PRIME Time

N4 (305) ორშაბათი 2 თებერვალი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

ფირცხალავას სკანდალური აღიარება

რა კავშირი აქვს ვაზაგაშვილის ჩაცხრილვას ნარკობიზნესთან

ცოტნე გამსახურდია: „ლევან ფირცხალავა კოდუას ხალხს ჰყავდა დაკავებული ნარკოტიკებზე“

ირაკლი ფირცხალავა: „ჩემი ძმა ნამდვილად იყო დაკავებული. მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა... მოხმარებაზე“

EXCLUSIVE

ჯახი ჯალაძის მეორე ნახევარი

EXCLUSIVE

ანუკი არეშიძე: „ძლიერი ვარ, საოცარი ინტუიციით, რაც ხშირად სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მეხმარება... კახას ყოველთვის აქვს ჩემი იმედი. იცის, რომ მის გარეშე არსად წავალ, ისეთს არაფერს გავაკეთებ, რაზეც შეიძლება ინერვიულოს“

EXCLUSIVE

კვიციანი სააკაშვილს ემუქრება

„ეს საქმე მივა ჰაagამდე. ბოლომდე ვიბრძოლებ ამისთვის“

EXCLUSIVE

ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან დიასპორის საკითხებში

EXCLUSIVE

სად არის განთავსებული სააკაშვილის შტაბი?

- რას გეგმავენ გაზაფხულზე ნაციონალები?
- ვინ აფინანსებს უკრაინაში ჩასულ ქართველებს?

შტაბი განლაგებულია სასტუმრო „უკრაინის“ მესამე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში. სწორედ აქ დაუთმეს სააკაშვილს რამდენიმე ოთახი

EXCLUSIVE

სულხან მოლაშვილი: „იგეგმება უკრაინიდან დაბრუნებული შეიარაღებული ადამიანების გამოყენება მიკრო სამოქალაქო დაპირისპირებებში, რასაც დაერქმევა უბნის გარჩევები და ე.წ. საქმოების დაპირისპირება“

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „უსუფაშვილის ეს განცხადებაა სწორედ ანტისახელმწიფოებრივი...“ EXCLUSIVE

ელდარ შენგელაიას ცხოვრების გზა

EXCLUSIVE

„ცხოვრება ამოცანას გაძლევს და შენ უნდა გადაწყვიტო. საჩუქარი არ არის, მუდმივი გამოცდაა. ეს გამოცდა უნდა ჩააბარო“

„ახალი შენიშვნა“ მარგველაშვილს დაპირისპირება გრძელდება



ტერაქტების ახალი სერია იწყება?

„არა მგონია, კიდევ რომელიმე შვილმკვდარი მშობელი იყოს მათი სამიზნე. მათი სამიზნე უფრო ხელისუფლების ის წარმომადგენლები იქნებიან, რომლებიც ძიებას აწარმოებენ და ბრძანებას გასცემენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური საექსპერტო დასკვნის ავტორი ალაპარაკდა

EXCLUSIVE

რისი შიშის გაუჩნდა ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს?

მარიამ ნადირაძე

იური ვაზაგაშვილის აფეთქებამდე დაახლოებით ერთი კვირის წინ საზოგადოებამ შეიტყო სკანდალური საექსპერტო დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ ე.წ. კორტების სპეცოპერაციის დროს ზურაბ ვაზაგაშვილი ახლო მანძილიდან სროლით გარდაიცვალა. ამ დასკვნით, პრაქტიკულად, ბეჭედი ესმებოდა იმ მოწმეების ნაამბობს, რომლებიც იგივეს ამტკიცებდნენ საკუთარ ჩვენებებში. 20 იანვრის შემთხვევის შემდეგ კი გამოჩნდა ახალი დეტალი, მოწმე უკრაინიდან, რომელიც ალაპარაკებას აპირებდა... სწორედ ამ ორი სკანდალური შემთხვევის კვალდაკვალ ააფეთქეს მამა, რომელსაც საკუთარი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიება სწორედ ამ კვალიფიკაციით მიჰყავდა მიწურულამდე.

ვთვლით, რომ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მოსაზრება ამ შემზარავ ფაქტთან დაკავშირებით. ერთად ვნახოთ, ხედავს თუ არა ექსპერტი ამ ორ საქმეს შორის პირდაპირ კავშირს:

– იური ვაზაგაშვილის გარდაცვალებამდე თქვენ მასთან ინტენსიურად გქონდათ ურთიერთობა, ვინაიდან „კორტების საქმის“ ექსპერტიზაზე იმუშავეთ. ხომ არ უთქვამს რამე საფრთხის, ან ვინმეს მუქარის შესახებ?

– მასთან ინტენსიური ურთიერთობა არ მქონია. გვქონდა მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია. ისიც მაშინ, როდესაც გადაწყდა, ექსპერტიზის დასკვნა პრესკონფერენციაზე გატანილიყო. მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბარი არ გვქონია.

– ჩვენი ინფორმაციით, როდესაც იური ვაზაგაშვილმა ნახა ფოტოები, რომლებიც მოგვიანებით პრესკონფერენციაზე გამოქვეყნდა, ორი დღის განმავლობაში, ისე იყო შეძრული, რომ მასთან კომუნიკაცია ვერ ხერხდებოდა... რამ შეძრა ის? ეს ფოტოები საქმის მასალებში მანამდე ნანახი არ ჰქონდა?

– აღმოჩნდა, რომ იური ვაზაგაშვილს მისი შვილის ლიკვიდაციის ამსახველი ფოტოები შეგნებულად არ ჰქონია ნანახი და მათმა ნახვამ ის ძალიან შეძრა.

– იური ვაზაგაშვილის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდა დასკვნის შინაარსი, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ 19 იანვარს სკანდალურმა მოწმემ უკრაინიდან ალაპარაკება გადაწყვიტა... თქვენი აზრით, ამ ფაქტებს შეიძლება უკავშირდებოდეს ყარაფილაში იური ვაზაგაშვილის აფეთქება?

– ჩემი ღრმა რწმენით ამას უკავშირდებოდა, ვინაიდან სწორედ ამით იური ვაზაგაშვილი ხდებოდა სამართლიანობისთვის მებრძოლ სიმბოლოდ. სწორედ ეს სიმბოლო ააფეთქეს. შესაძლოა, ეს სულაც არ შედიოდა იმ ადამიანთა გეგმებში, ვის გვარებსაც ღიად აცხადებდა ან უკვე გარდაცვლილი. თუმცა, მეორე მხრივ, ზურა ვაზაგაშვილის საქმის გახსნას შესაძლოა, ისეთი ჯაჭვური რეაქცია მოჰყოლოდა, რომ ეს ჯაჭვი ძალიან შორს და ზევითაც ასულიყო...

– იქნებ უფრო მეტად დაგვიკონკრეტოთ, ვის შეიწირავს კორტების საქმის გახსნა, რომლის უმოკლეს ვადებში გამოცხადებასაც პროკურატურა აანონსებს?

– სახელებსა და გვარებს ვერ დაგისახელებთ, ვინაიდან ამ ინფორმაციას არ ვფლობ და არც მინდა ვფლობდე, თუმცა ფაქტია, რომ საქმის მასალებით გამოძიება წელშია გამართული იმისთვის, რომ სისტემური დანაშაული გამოიკვეთოს. ძალიან შორს ვარ იმ აზრიდან, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება იყო. მინისტრები ასეთ დავალებებს არ იძლევიან. თუმცა თვითონ სპეცოპერაციის ჩატარების ასეთი წესი, რომელიც ძალიან ჰგავდა სხვებისთვისაც გასათვალისწინებელ სადამსჯელო ოპერაციას, მით უმეტეს, რომ მოხდა ახლო მანძილიდან პირის ლიკვიდაცია, იძლევა იმის პერსპექტივას, რომ სახეზე მივიღოთ სისტემური დანაშაულის სრული სურათი.

„ჩემი სუბიექტური აზრით, იური ვაზაგაშვილის აფეთქების დამკვეთი საქართველოს გარეთაა“

– სისტემური დანაშაული დადასტურდა განაჩენებით გირგვლიანის მკვლელობის ფაქტზეც, მაგრამ ვინმესთვის ამ საფრთხის არსებობას რომელიმე მისი ოჯახის წევრის აფეთქება არ გამოუწვევია...

– გირგვლიანის საქმეში ისეთი დეტალები დაიკარგა, რომელიც ვერასოდეს აღდგება. ამიტომაც გამოძიება ამ საქმეში ძლიერად ვერ დადგა ფეხზე. ამისგან განსხვავებით, კორტების საქმეზე გაცილებით მყარად არის პროკურატურა. თანაც საქმეს იძიებენ ისეთი გამომძიებლები, რომლებსაც შეხება არ ჰქონიათ ძველ გამოძიებასთან...

– თუ ამით გინდათ თქვათ, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქება იმ ადამიანთა წრის ინტერესში იყო, ვისაც ამ საქმის გახსნით სასჯელი ემუქრება, ფაქტია, რომ პროკურატურა ამ საქმის გახსნას მაინც აანონსებს უახლოეს მომავალში...

– მე თქვენ გითხარით, რომ ვაზაგაშვილი გახდა სიმბოლო, ადამიანი, რომელიც მივიდა ბოლომდე, მივიდა ბიძინა ივანიშვილამდეც და მას ყველაფერი უთხრა. სწორედ მან შეძლო და მრავალწლიანი ბრძოლის ფასად შედეგს მიაღწია, განსხვავებით ირინა ენუქიძისგან, რომელიც ასევე იყო სამართლიანობისთვის ბრძოლის სიმბოლო, მაგრამ სიცოცხლეში შედეგს ვერ მიაღწია. ვაზაგაშვილმა საოცრებები შეძლო. საქმეში არის მოწმეების საოცარი ჩვენებები. დიდი სამუშაოა ჩატარებული. ადვოკატებმა ძალიან ბევრი იმუშავეს. რეზიუმე მინდა გავაკეთო – იური ვაზაგაშვილი გახდა სისტემური დანაშაულის დამმარცხებლის სიმბოლო, რომელსაც სიტყვა ეთქმოდა და ძალიან დიდი ძალა ჰქონდა. ეს ძალა ააფეთქეს. ამ აქტით კი მოხერხდა 2 წლის წინათ არსებული შიშის გაღვიძება. ეს იყო ერთგვარი მესიჯი – თუ მოინდომებ სამართლიანობის აღდგენას, იგივე მოგელის...

– ისრებს ნაციონალებისკენ ისვრით?

– ჩემი სუბიექტური აზრით, იური ვაზაგაშვილის აფეთქების დამკვეთი საქართველოს გარეთაა. ის არის იმ ცხელი თავების წარმომადგენელი, რომელიც გამუდმებით იმის ფიქრშია, როგორ დაღუპოს ქვეყანა. ბასტილიის აღებამ გამოიწვია რევოლუცია. ეს აფეთქებაც გათვლილი იყო საზოგადოების დაშინებასა და გარკვეული პროცესების დაწყებაზე.

– დავკონკრეტდეთ, დამკვეთებს ხედავთ რუსეთის სპეცსამსახურებში, თუ უკრაინაში, სადაცაა მობილიზებული ძველი ხელისუფლება?

– მოდით, ვთქვათ პირდაპირ, ადამიანს, რომელიც ტელეეთერებით ბოლო ხანს პოლიციის მუნდირით გვევლინებოდა, დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარი თავის გასაძლიერებლად სჭირდებოდა, ვინაიდან ჩვენთვისაც ცხადია, რომ ის იური ვაზაგაშვილის აფეთქებით ბოლომდე გაიჩირა და მანაც კარგად იცის ეს.

– ვის ობიექტივში მოხვდა იური ვაზაგაშვილი? ფაქტია, რომ მან სახიფათო ცნობადობის ზღვარს მიაღწია. ასეთი ადამიანის ლიკვიდაციის შედეგად, როგორც წესი, დამგეგმავები ქუჩის გამოსვლებზე აკეთებენ ხოლმე გათვლას...

– ფაქტია, რომ ის ძალიან ცნობილი გახდა. საზოგადოების ყველაზე დიდი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაა დღეს. სწორედ ამ ბრძოლაში გაიმარჯვა იური ვაზაგაშვილმა და ეს მის ბოლო პრესკონფერენციაზე უკვე ცალსახად გამოჩნდა. სწორედ ამ გამარჯვების ნერტილში მოცელეს ის. ამიტომაც არის ეს დამაშინებელი აქტი გაფრთხილებით – გამარჯვებამდე შეიძლება მიხვიდე, მაგრამ...

– ამ ტერორის ფარგლებში ხომ არ მოიაზრებთ თქვენც ერთგვარ ანონსებს მორიგი მსგავსი აფეთქების შესახებ?

– ასეთი ანონსები არის ერთგვარი მაზოხიზმი. კარგად ვიცით, რომ ხელისუფლებას, რომელსაც წლების განმავლობაში ჰყავდა ხალხი ტერორში, ისევ უნდა დაბრუნება. ეს ანონსები, მოსალოდნელი მორიგი აფეთქების შესახებ, სწორედ იმ შიშის გამოძახილია, რომელმაც საზოგადოებაში გაიღვიძა. იმ ტოტალური შიშის, რომელიც ხალხში ორი წლის წინათ არსებობდა და მათ შორის მეც მქონდა.

– მოდი, ერთგვარი რეზიუმე გავაკეთოთ: თუ აფეთქებას შიში უნდა გამოეწვია, დავაკონკრეტოთ, ვის ინტერესებში შედის ეს? მეორე მხრივ კი, თუ ფიქრობთ, რომ დამკვეთები რუსულ სპეცსამსახურებში უნდა ვეძებოთ, მაშინ ჩნდება კითხვა – ეს ორი მოსაზრება ერთმანეთთან შეიძლება რამე კავშირში იყოს?

– ეს ორივე პოსტულატი ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ერთმანეთის გაგრძელებაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ამბობს ია მეტრეველი უარს პროკურატურის შეთავაზებაზე?

მირიან ბოქოლიშვილი

იური ვაზაგაშვილის ცხედარი თითქმის ჯერ არ იყო გაციებული, რომ სახალხო დამცველმა საზოგადოება მორიგ შოკში ჩააგდო და გვაცნობა – შსს-ს იმდროინდელი მაღალჩინოსნები 2008 წელს ბუტა რობაქიძის დედის, ია მეტრეველის ლიკვიდაციას გეგმავდნენ. უჩა ნანუაშვილი ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდადებული პატიმრის განცხადებას ეყრდნობოდა, რომელმაც ომბუდსმენს წერილობით მიმართა. ბრალდების მთავარი ადრესატი ამ შემთხვევაშიც კრიმინალური პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავაა.

ირაკლი ფირცხალავა:
„ეს არის დიდი სპექტაკლი, რომელიც უკვე დადგა შავმა სამყარომ და სცენარიც დაწერილი აქვს. უკვე მეორე აქტი მიმდინარეობს“

„სახალხო დამცველს ერთ-ერთმა მსჯავრდადებულმა მიმართა, სადაც ის აცხადებს, რომ 2008 წლის ივლისში დააკავეს შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელმა თანამშრომლებმა გიორგი ხიზანიშვილმა და გიორგი ჭანტურიამ და მიიყვანეს ირაკლი ფირცხალავასთან. მისი ინფორმაციით, ფირცხალავა მას ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემით დაემუქრა, ხოლო თავისუფლების სანაცვლოდ ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი უნდა მოეკლა, ასევე, უნდა მოეძებნა პირი, რომელიც ბურა ვაზაგაშვილის წინააღმდეგ მისცემდა ჩვენებას. ფირცხალავა ამ პირს თანამშრომლობის შემთხვევაში განთავისუფლებას დაჰპირდა“, – განაცხადა ომბუდსმენმა და პროკურატურას გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართა.

პროკურატურაში გამოძიება მართლაც დაიწყო. დაიკითხა თავად ია მეტრეველიც, რომელსაც დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვაც შესთავაზეს, თუმცა ამ დეტალებს ოდნავ ქვემოთ თავად ია მეტრეველის ინტერვიუდან შეიტყობთ, მანამდე კი ვნახოთ, რას პასუხობს სახალხო დამცველის ბრალდებებს ირაკლი ფირცხალავა, რომელიც უჩა ნანუაშვილს „კრიმინალების დამცველად მოიხსენიებს“.

„ეს არის დიდი სპექტაკლი, რომელიც უკვე დადგა შავმა სამყარომ და სცენარიც დაწერილი აქვს. უკვე მეორე აქტი მიმდინარეობს. ამას საზოგადოება თვითონ გადაწყვეტს, უნდა იყოს ამ ქვეყანაში კრიმინალი ზეობაში, თუ უნდა იყოს კანონი და, შესაბამისად, ის პოლიციელები, ვინც ამ კანონს იცავენ. სახალხო დამცველმა კი გადაწყვიტა, რომ ეს განცხადება გაეკეთებინა და მე მას დღეიდან კრიმინალური სამყაროს დამცველს ვუწოდებ“, – განაცხადა ფირცხალავამ, რომელიც ირწმუნება, რომ ზემოხსენებულ პატიმარს არათუ ვინმეს ლიკვიდაცია დაუკვეთა, არამედ მას საერთოდ არ შეხვედრია.

პატიმარი, რომელზეც უჩა ნანუაშვილი საუბრობს, ნარკოდანაშაულისთვის დაპატიმრებული ლაშა შავაძეა. ის ჯერ გეგუთის, შემდეგ კი რუსთავის მე-6 დანესებულებაში იხდიდა სასჯელს. უჩა ნანუაშვილამდე ის პირადად ია მეტრეველსაც არაერთხელ დაუკავშირდა და იგივე ინფორმაცია მიაწოდა. თავის მხრივ, ია მეტრეველმა საქმის კურსში ჩააყენა სახალხო დამცველის ოფისიც და პროკურატურაც. თავის მხრივ, პროკურატურას რამდენიმე თვის წინ მიმართა ირაკლი ფირცხალავამაც, რომელმაც აღნიშნული საქმის შესწავლა მოითხოვა, თუმცა ამ დრომდე რაიმე საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა. რობაქიძეების ოჯახის ახლობელმა „პრაიმტაიმს“ უამბო, რომ ზემოხსენებული პატიმარი ბუტა რობაქიძის მამასაც არაერთხელ დაუკავშირდა, თუმცა იმ შემთხვევაში თავად სოსო რობაქიძის ლიკვიდაციაზე საუბრობდა.

პატიმარი ლაშა შავაძე: „ბუტა რობაქიძის დედას, ია მეტრეველს უნდა მოუაროო, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მე ის უნდა მომეკლა. იარაღს მოგცემს „მასტერა“ და ვითომ დაყაჩაღების დროს შემთხვევით გაგივარდაო“

EXCLUSIVE

რამდენად რეალურია პატიმრის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია? ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ ია მეტრეველთან შეეცადა, რომელიც ამ საქმეზე პროკურატურამ გასულ კვირას დაკითხა.

ია მეტრეველი:

– პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სახალხო დამცველის განცხადების საფუძველზე. დამიბარეს ამის შემდეგ, დამკითხეს და რაც ვიცოდი, მივეცი ჩვენება. მათ ასევე შემომთავაზეს დაცვის პროგრამაში ჩასმა, რაზეც უარი ვთქვი.

– რატომ?

– არ ვფიქრობ, რომ საფრთხე არ მემუქრება, მაგრამ გადავწყვიტე, რომ დაცვა მაინც არ გამოეყოთ. ამ ეტაპზე ასე ჩავთვალე საჭიროდ.

– რა ინფორმაცია მიაწოდეთ გამოძიებას?

– მე ვუთხარი, რომ ეს პატიმარი დაახლოებით ერთი წლის წინათ დამიკავშირდა და შემატყობინა, რომ დაავალეს ჩემი ლიკვიდაცია.

– თქვენ რამდენად რეალურად გეჩვენებათ ამ პატიმრის ნაამბობი?

– თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ის საკმაოდ დამაჯერებლად საუბრობს. ასახელებს კონკრეტულ დეტალებს და გამოძიებას შეუძლია დაადგინოს, სიმართლეს ამბობს თუ არა ეს პატიმარი. იმის შემდეგ, რაც ბატონ იურის დამართეს, ეს ინფორმაცია სავსებით რეალურად მეჩვენება. ასევე, მე მაშინვე ვთვლიდი და ახლაც ამ აზრზე ვარ, რომ ირინა ენუქიძეც მოკლულია და ის თავისი სიკვდილით არ იყო გარდაცვლილი. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჩემი მოშორებაც იყო დაგეგმილი. ეს ბიჭი მთელი წლის განმავლობაში მიკავშირდებოდა და სანაცვლოდ არაფერს არ ითხოვდა.

– როგორც გავიგეთ, ამ პიროვნებამ ბატონ სოსოსაც შეატყობინა დაახლოებით იგივე ისტორია...

– არა, მე არ მაქვს ასეთი ინფორმაცია. თუ ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა, მეც მეტყოდა.

ია მეტრეველის გარდა, გამოძიებამ, სავარაუდოდ, უკვე დაკითხა თავად პატიმარი ლაშა შავაძეც. თავის დროზე, ამ საქმესთან დაკავშირებით ის ადვოკატებმაც გამოკითხეს. როგორც შავაძე გამოკითხვის ოქმში წერს, ის 2008 წლის ივლისში კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. პატიმარი კრიმინალურ დეპარტამენტის შენობაში შსს-ს პირველი სამმართველოს უფროსის გიორგი ხიზანიშვილის კაბინეტში შეიყვანეს, სადაც მას ხიზანიშვილთან ერთად დახვდა ირაკლი ფირცხალავა.

„ხიზანიშვილს ვიცნობდი, ირაკლი ფირცხალავას კი შორიდან ვიცნობდი. როდესაც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა პოლიციამ დამაკავა, ჩემს ცემას პოლიციის შენობაში ესწრებოდა ფირცხალავა. ხიზანიშვილმა დამიწყო საუბარი და მითხრა: მოკლედ, „სროკზე“ ხარ და 20 წლამდე გელოდებაო. ხოლო თუ ჩვენთან ითანამშრომლებ, აქედან სუფთად გაგიშვებთო. ვკითხე, რაში მდგომარეობდა თანამშრომლობა, რაზეც ირაკლი ფირცხალავამ მითხრა, – გაგიგია საშა ხუბულოვიო, რაზეც ვუთხარი, რომ არ ვიცნობდი და ტელევიზიით მქონდა გაგებული მისი ამბავი.

ფირცხალავა, ასევე, დაინტერესდა, ვიცნობდი თუ არა ზურაბ ვაზაგაშვილს, რაზეც უარი ვუთხარი. მან მითხრა, შენ ქუჩაში მოძრაობ და შეგეძლება შეაგროვო ინფორმაცია ვაზაგაშვილზე. იქნებ ვინმე ჰყავდეს დაჭრილი, დაყაჩაღებული ან მოკლულიო. იცოდე, ეს ძალიან გვაინტერესებსო. თუ დაგვეხმარები, მეფესავით გაცხოვრებთო – წამალიც გექნება და ვერავინ ვერ დაგაკავებსო. აღნიშნულზე მე მას თანხმობა ვუთხარი, ვეცდები ყველაფერს-თქო.

ამ დროს ხიზანიშვილმა მითხრა, რომ კიდევ ერთ საქმეზე მინდა იფიქროო. ბუტა რობაქიძის დედას, ია მეტრეველს უნდა მოუაროო, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მე ის უნდა მომეკლა. ხიზანიშვილმა მითხრა, იარაღს მოგცემს „მასტერა“ და ვითომ დაყაჩაღების დროს შემთხვევით გაგივარდაო. ჩვენ კი დაგიჭერთ, მცირე „სროკს“ მოგცემთ, ციხეში ყველაფერი გექნება, მეტადონი, სუბოტექსი და თვით ჰეროინიც კი. მე ვუთხარი, რომ მოვიფიქრებდი. მანაც მითხრა, არ გაჩქარებთ, იფიქრეო. ამის შემდეგ რამდენიმე ხანში ხიზანიშვილმა დამირეკა და მკითხა, რა გადაწყვიტე. მე მას თანხმობა განვუცხადე. თუმცა, ძალიან მალე მოხდა ომი და როგორც ჩანს, ჩემთვის ვეღარ მოიცალეს.

მთელი წლებია ამ ამბავს ვინახავდი. 2013 წლის დეკემბერში ჩემს თანასაკნელებს – ირაკლი კონცელიძეს, გიგა მესხიშვილს, თენგიზ ფხაკაძეს მოვუყევი. ვუთხარი მათ, რომ ამის საჯაროდ თქმას ვაპირებდი. 2014 წლის იანვარში ამ ბიჭების თანდასწრებით გეგუთის ციხის უფროსმა კახა ბებიამ მითხრა: შეეშვი ფირცხალავას, თორემ არ გაცოცხლებო“, – **წერს 2014 წლის 10 თებერვლის გამოკითხვის ოქმში პატიმარი ლაშა შავაძე.**

ბუტა რობაქიძის დედამ დაცვის პროგრამაში ჩასმაზე უარი თქვა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უვადო პატიმრებმა მასობრივი შიმშილობა გამოაცხადეს

მირიან ბოქოლიშვილი

უვადო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდადებულები პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართავენ და ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ გაცემულ იმ დაპირებას ახსენებენ, რომლის თანახმადაც მოხდებოდა მათი საქმეების გადახედვა და სხვადასხვა ფორმით სასჯელის შეცვლა. შიმშილობა ამ ეტაპზე გლდანის #8 დაწესებულებაში მყოფმა 55 პატიმარმა დაიწყო, თუმცა, როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ერთ-ერთი უვადო პატიმარი ამბობს, მალე პროტესტი სხვა დაწესებულებებსაც მოიცავს. „პრაიმტაიმს“ სასჯელაღსრულების #8 დაწესებულებიდან თავად დაუკავშირდა უვადო პატიმრობაში მყოფი ზურაბ სამხარაძე, რომელმაც ხელისუფლებამდე უვადო პატიმრების სათქმელის მიტანა გვთხოვა.

ზურაბ სამხარაძე, პატიმარი:

– უკვე ყველასთვის ნათელია, რომ სამართლიანობა არ აღდგა. აქ რამდენიმე პატიმარი სულ ტყუილად იხდის სასჯელს. არც ხარვეზების დამდგენი კომისია შექმნეს და არც ჩვენი საქმეების გადახედვა მოხდა. გვითხრეს, შეგეხებათო, მაგრამ არც ერთი არ გაუშვეს.

– ამნისტია რატომ არ შეგეხოთ?

– ვითომ შეგვეხო, მაგრამ ისევ სამუდამო დაგვრჩა. იმ მუხლს, რომლითაც სასჯელს ვიხდით, ამნისტია შეეხო, მაგრამ ჩვენ არაფერი შეგვახეს. გედევან ფოფხაძე იყო მოსული, გვითხრა, მართლები ხართო, მაგრამ ჩვენ რა გავაკეთოთ, ეგ საკითხი ზევით წყდებაო. ამიტომ ჩვენ უკვე დახვრეტას ვითხოვთ. ეს არის ნელი სიკვდილი, ამიტომ ან შეასრულონ დაპირება, ან პირდაპირ დაგვხვრიტონ.

– რამდენი წელია, რაც სასჯელს იხდით?

– 2004 წლიდან ვზივარ მკვლელობის მუხლით. ხალხი არის, 18 წელი იხდის სასჯელს. ნუთუ არაფერია ისეთი, რომელიც ჩვენც შეგვეხება, ასე ხომ არ შეიძლება. პრეზიდენტსაც არაერთხელ მივმართეთ შეწყალების თხოვნით, მაგრამ ისიც ვერაფერს წყვეტს. ყველასგან დავიწყებული ხალხი ვართ. ჩვენზე უარესი მკვლელები გაუშვეს, იგივე სააკაშვილის დროს თურქები გაათავისუფლეს, 6 ადამიანი, რომლებიც გაცილებით მძიმე საქმეებზე ისხდნენ. 44 წლის კაცი ვარ და ჩემს სიკვდილს ელოდებიან. ჰკითხონ ციხის ადმინისტრაციას, გამოითხოვონ დახასიათებები, რამეს ვაშავებთ? რა უნდა დავაშავოთ ჩვენ გარეთ?! ავდექით და ამ უკიდურეს ფორმას მივმართეთ. მივმართავ ხელისუფლებას, ეკა ბესელიას, პრეზიდენტსა და ყველა იმ პირს, ვისაც ეს საკითხი ეხება – შეასრულონ დაპირება, რომელსაც წინასაარჩევნოდ იძლეოდნენ.

უვადო პატიმრებს ციხის გარეთ სოლიდარობას ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გაერთიანება უცხადებს. ჩვენთან საუბრისას ბურჯანაძის თანამოაზრე, დიმიტრი ლორთქიფანიძე ხელისუფლებას ამ საკითხით დროულად დაინტერესებას ურჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტის უფრო ფართო მასშტაბებს აანონსებს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

– ამ ადამიანების პრეტენზიები და მოთხოვნები სრულიად კანონიერია. ისინი ითხოვენ, შეწყდეს მათ მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა, რასაც ადგილი აქვს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან. ამნისტიის აქტი, რომელიც გამოიცა, არანაირ ჩანაწერსა და შეღავათს არ ითვალისწინებდა უვადო პატიმრების მიმართ. ეს არის კონსტიტუციის იმ ნორმის დარღვევა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას. დაახლოებით 90-მდე მსჯავრდადებული იხდის უვადო სასჯელს. ეს ადამიანები მოითხოვენ დაპირების შესრულებას, რომელსაც მათ აძლევდნენ უმრავლესობის წარმომადგენლები. გარდა ამისა, პრეზიდენტის ადმინისტრაციას უნდა შეესწავლა ამ პატიმრების საქმეები და ჰპირდებოდნენ, რომ მათ მიმართაც ამოქმედდებოდა შეწყალების მექანიზმები. სამწუხაროდ, ესეც არ ხდება, ამიტომ მივმართავ პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას, რომ გაითვალისწინონ ის ვალდებულება, რომელიც აიღეს მსჯავრდადებულების, მათ შორის უვადო მსჯავრდადებულების მიმართ, რომლებიც ისევე ექვემდებარებოდნენ არაადამიანურ მოპყრობას წინა წლებში, როგორც სხვა მსჯავრდადებულები. ამჟამად 55 პატიმარი შიმშილობს, მათ სოლიდარობის მიზნით შეუერთდებიან სხვა პატიმრები და ასევე, ოჯახის წევრები გარედან.

– თქვენი პოლიტიკური გაერთიანება რა კუთხით იქნება ამ პროცესში ჩართული?

– ეს არის არა მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების, არამედ მთლიანად საზოგადოების ვალდებულება, რომ დავუდგეთ ამ ადამიანებს გვერდით. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა, ვიდრე ამ თემის პოლიტიზება.



„ხელისუფლებას მოვუწოდებთ, შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირება, თუ არადა, დაგვხვრიტონ“

სულხან მოლაშვი

„იგეგმება უკრაინიდან დაბრუნებული შეიარაღებული ადამიანების გამოყენება მიკრო სამოქალაქო დაპირისპირებებში, რასაც დაერქმევა უბნის გარჩევები და ე.წ. საძმოების დაპირისპირება“

მირიან ბოქოლიშვილი

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს, კომპენსაციის სახით, სახელმწიფო 20 ათას ევროს ამ დღეებში გადაურიცხავს, თუმცა მოლაშვილი ერთი წლის ვადაში მისი საქმის ხელახალ გამოძიებასა და მიხეილ სააკაშვილის მიმართ ბრალის წარდგენას ელის. საგამოძიებო უწყებას ერთწლიანი ვადა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ დაუწესა. სწორედ ამ პერიოდში უნდა მოხდეს მოლაშვილის საქმის ხელახალი გამოძიება. „პრაიმტაიმი“ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს საფრანგეთში დაუკავშირდა და მისი საქმის გარდა, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრა. მოლაშვილი ქვეყანაში მოსალოდნელ სამოქალაქო დაპირისპირებაზე საუბრობს და მთავრობას დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს.

სულხან მოლაშვილი, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე:

– ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტი არის მეთვალყურე ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს, როგორ შესრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი წლის ვადაში და იქნება თუ არა ჩემი წამების საქმე სრულფასოვნად გამოძიებული. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი გახდა სახელმწიფოს ცალმხრივი აღიარება ევროკონვენციის არაერთი მუხლის დარღვევის შესახებ. ეს იყო ერთადერთი და უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლო ადასტურებს მთავრობის მიერ პოლიტიკური დისკრიმინაციის ფაქტს. ეს უმსგავსობები ჩადენილია უშუალოდ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ყურმოჭრილი მონების მიერ. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ამ, ისევე როგორც სხვა უამრავი დანაშაულის გამო ეს ადამიანები წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ხელახალი გამოძიების შემთხვევაში, თქვენს საქმეზე ბრალს მიხეილ სააკაშვილს წაუყენებენ?

– არ ვიცი, რამდენად შეძლებს ამას გამოძიება. თუკი გამოძიება მოინდომებს, ყველა პირობაა იმისთვის, რომ ძირითად დამნაშავეებზე მაინც გავიდეს. არსებული კანონმდებლობის თანახმად, პატიმარს განსაზღვრული აქვს შესაბამისი საარსებო პირობები, რომელიც მინიმალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, იქნება ეს ჰიგიენის ელემენტარული საშუალებები, ძილის უფლება და ა.შ. ევროპის საბჭოს მონიტორინგის წარმომადგენლები რომ შემოვიდნენ ჩემთან საკანში, მათაც დააფიქსირეს, რომ მე არანაირი მსგავსი პირობა არ მქონდა. იქ იყო მხოლოდ გაფუჭებული ონკანი და ღია საპირფარეშო. ეს დაადასტურა მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა, რომელიც, სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი გახლდათ. მან აღნიშნა, ასეთ პირობებში ღორებსაც კი არ ამყოფებენო. ეს მოხდა მაშინ, როცა კონკრეტული პიროვნების ბრძანებით მე ორთაჭალის ციხიდან, ღამის 2 საათზე სპეცრაზმის თანხლებით გადამიყვანეს მე-7 საპყრობილის სარდაფში. თუ გამოძიებას სურს, გაარკვიოს, რატომ აღმოჩნდა მოლაშვილი იქ და რატომ მოეპყრნენ მას არაადამიანურად, ამას შეძლებს. ამისთვის საჭიროა ორი-სამი კაცის დაკითხვა, რომლებსაც შეუძლიათ თქვან, ვინ გასცა ბრძანება, ხოლო ბრძანების უშუალო გამცემი შესაძლოა, თანამშრომლობაზეც წამოვიდეს და უფრო მაღალი თანამდებობის პირები დაასახელოს, ვინც სიტყვიერი ბრძანებები გასცა, რათა მე ვყოფილიყავი მძიმე მდგომარეობაში და გავეტეხე წინასწარი გამოძიების პროცესში.

ყველა ამ პიროვნებას ვურჩევ, საკუთარი ნებით დატოვოს თანამდებობა, მოინანიოს და დაასახელოს ის პირები, ვის შეკვეთასაც ასრულებდა“

– ის ადამიანები, ან მათი ნაწილი, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, არიან თუ არა კვლავ თანამდებობაზე?

– რა თქმა უნდა, არიან. ეს არის ერთ-ერთი სამწუხარო ფაქტი. მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ მივმართო პროკურატურას და ვუთხრა: ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან ვალერი გრიგალაშვილი, მანანა მოსულიშვილი, სხვები და სხვები, ახლა მაინც აღარ უნდა მუშაობდნენ პროკურატურის სისტემაში. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მოსამართლეებზე, რომლებიც იმიტომ იყვნენ დანინაურებულნი, რომ სულხან მოლაშვილის საქმე განიხილეს და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. ეს ეხება ავადსახსენებელ მურუსიძეს, რომელმაც, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ვერ შეამჩნია ვერც ერთი ის დარღვევა, რომელიც ადვილად ამოიკითხა მისივე მთავრობამ და ევროპულმა სასამართლომ. იმის გამო, რომ მურუსიძემ უსიტყვოდ მოაკვარახჭინა ჩემი საქმე, ის დააწინაურეს სასამართლო სისტემაში. სამწუხაროდ, ის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე. იმედი მაქვს, არც პრეზიდენტი და არც პარლამენტი ასეთ სასაცილო აქტს არ დაუშვებს.

– თუმცა, თუ პარლამენტი და პრეზიდენტი დროულად ვერ ჩამოყალიბდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე, შესაძლოა, მოვალეობის შემსრულებელი ავტომატურად გახდეს კუბლაშვილის მოადგილე ზაზა მეიშვილი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში თქვენს საქმეს უძღვებოდა...

– რა თქმა უნდა, ეს პროცესი ჩიხში არ უნდა შევიდეს, თუნდაც ამ ფაქტორის გამო. ზაზა მეიშვილი იმიტომ გახდა უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის კოლეგიის ხელმძღვანელი, რომ აპელაციის დონეზე სულხან მოლაშვილის საქმე განიხილა და უსიტყვოდ დატოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული უმსგავსო განაჩენი. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მან დაცვის მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვის უფლებაც კი არ მოგვცა. ყველა ამ პიროვნებას ვურჩევ, საკუთარი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი პოლიტიკაში ბრუნდება?!

„ნებისმიერ იმ პარტიასთან ვითანამშრომლებ, ვისაც ეროვნული ორიენტაცია და მართლმადიდებლური ინტერესები ექნება“

„თუკი გამოძიება მოინდომებს, ყველა პირობაა იმისთვის, რომ ძირითად დამნაშავეებზე მაინც გავიდეს“

EXCLUSIVE

ნებით დატოვოს თანამდებობა, მოინანიოს და დაასახელოს ის პირები, ვის შეკვეთასაც ასრულებდა. დღეს უამრავ მოქალაქეს აწუხებს სააკაშვილისდროინდელი ჯალათების ხელახალი აღზევება მართლმსაჯულებისა და ძალოვან სისტემაში. ეს არის სამართლიანი უკმაყოფილება. ჩვენ ხელისუფლება იმისთვის არ აგვირჩევია, რომ სააკაშვილის ჯალათების საქმეები იქნას გაპრავებული. ვიცი, რომ თვითონ პრემიერ-მინისტრი მთელი სულით და გულით მონდომებულია, რომ ეს ნაცისტები თანამდებობებს მოშორდნენ, რათა მან სრულფასოვნად განახორციელოს საკუთარი გეგმები, ამიტომ მე მშვენივრად მესმის, რომ ძალიან ძნელია სრულფასოვანი სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელება. ღარიბაშვილის გარემოცვაში სხვადასხვა მხრიდან, ძალოვან უწყებებში თავმოყრილნი არიან ისეთი ადამიანები, ვინც პირდაპირ ოპერატიულ კავშირზეა „ნაციონალური მოძრაობის“ უსაფრთხოების სამსახურთან. ხელის ერთ აქნევას ელოდებიან, რომ მტრის ნავში გადასკუპდნენ და ირაკლი ღარიბაშვილის საწინააღმდეგო ქმედებები განახორციელონ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ასეთ გეგმას განიხილავს?

– რა თქმა უნდა... ეს არის მათი გეგმის ერთ-ერთი მცირე ნაწილი. ამისთვის მათ აქვთ შესაბამისი ტექნიკა. ისინი გეგმავენ დესტაბილიზაციის კერების შექმნას, უკრაინიდან დაბრუნებული შეიარაღებული ადამიანების გამოყენებას. მათ მონაწილეობას მიაღებინებენ მიკრო სამოქალაქო დაპირისპირებებში, რასაც დაერქმევა უბნის გარჩევები და მიეცემა ე.წ. საძმოების დაპირისპირებების კვალიფიკაცია. ამით ეცდებიან, წარმოაჩინონ შინაგან საქმეთა და საპატრულო სამსახურების უუნარობა, ამას დაემატება ყოველკვირეული გამოწვევები, გაღიზიანებები სამართალდამცავი მუშაკების. თქვენ დამთხვევა გგონიათ ის ჩანაწერები, რომელსაც გასულ კვირას ატრიალებდა მედია პატრულის თანამშრომლების შესახებ?

– რას გულისხმობთ?

– რატომღაც ეს ჩანაწერები „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მსახიობების ხელში ხვდება. ეს არის შეგნებულად დაგეგმილი და ინსცენირებული პროვოკაციები, რათა მაქსიმალურად მოხდეს

სამართალდამცავი უწყებების დისკრედიტაცია. როგორ ფიქრობთ, რომელი პატრული ალაპარაკებს ახალგაზრდა გოგოს ამდენ ხანს და ალანძღვინებს თავს, თუ მართლაც არ იყო დადგმული, ან პროვოცირებული. ნაციონალებს აქვთ სპეცტექნიკა, მიყურადების საშუალებები და ამ ყველაფერს ქვეყნის წინააღმდეგ იყენებენ.

– თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ დღესაც ფლობს მიყურადებისთვის საჭირო ტექნიკას, გეგმავს არეულობას, რას აკეთებს ამ დროს შესაბამისი უწყება? არ აქვთ მათ ეს ინფორმაცია? და თუ აქვთ და არ რეაგირებენ, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა...

– ცხადია, პრობლემაა. საქმეც ისაა, რომ არ ვიცით, რამდენად ინფორმირებულია ხელისუფლება. ის სამსახურები, რომლებმაც შესაბამისი ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, გაჯერებულია იგივე სააკაშვილისდროინდელი კადრებით. გარდა ამისა, ხელისუფლებამდე აღწევს შეზავებული და წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ისეთი დოზით, რომ აქცენტები გადატანილი იყოს სხვა მოჩვენებით საფრთხეებზე. მთავრობაც უნდა დარწმუნდეს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახით ქვეყანაში არსებობს ანტისახელმწიფოებრივი კრიმინალური ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანიცაა ხელისუფლების შეცვლა ნებისმიერი გზით, მათ შორის არაკონსტიტუციური გზით. ამ ხელისუფლების უწინარეს ამოცანად მიმაჩნია ამ დაჯგუფების განეიტრალება, გამოაშკარავება და გასამართლება. თუ ეს ასე არ მოხდა, ყოველგვარი რეფორმა, მცდელობა ცხოვრების გაუმჯობესებისა იქნება ფუჭი და არაპროდუქტიული. ეს, თავის მხრივ, დისკრედიტაციას გაუწევს ჩვენს ხელისუფლებას. უმთავრესი, რაც ქვეყნის განვითარების მთავარ წინაღობას წარმოადგენს, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ განეიტრალება. არამდგრადი დემოკრატიის მქონე ქვეყნების გამოცდილებიდან მშვენივრად ვიცით, რომ ძირითადი ქარტეხილები და სახელმწიფო გადატრიალების მთავარი სეგმენტები იგეგმება ძალოვან უწყებებში.

– ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის 90-იანი წლების აპოკალიპსური სურათის დახატვა?..

– რა თქმა უნდა, სცენარი ერთი და იგივეა. სამწუხაროდ, ისტორია ერთი და იგივე გაკვეთილებს გვთავაზობს. შეცვლილია ფორმა და მოქმედების ფიგურანტები. არსი იგივეა. ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დემოკრატიული არჩევნების გზით ვერ დაბრუნდება, სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში ისინი იმის მეოთხედ ხმებსაც ვერ დააგროვებენ, რაც ბოლო არჩევნებზე მიიღეს, ამიტომ მათი ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ ძალისმიერი გზით დაიბრუნონ ხელისუფლების სადავეები. იმედი მაქვს, ქართველი ხალი მათ ამის საშუალებას არ მისცემს.

– პირადად თქვენ ხომ არ აპირებთ პოლიტიკაში მოსვლას?

– სადაც ჩემი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, იქ შევიტან ჩემს წვლილს. ბუნებით მე არ ვარ პარტიული ადამიანი, არასდროს ვყოფილვარ პარტიის წევრი, მაგრამ ნებისმიერ იმ პარტიასთან ვითანამშრომლებ, ვისაც ეროვნული ორიენტაცია და მართლმადიდებლური ინტერესები ექნება.

– ლევან ვასაძე გამახსენდა, რომელიც ხშირად აპელირებს ეროვნულობისა და მართლმადიდებლობის საკითხებზე...

– ლევანი ძალიან ბევრ და სასიკეთო საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნისთვის. ვინც ანალოგიურად აზროვნებს, ყველამ მიგულოს მის გვერდით ერთ რიგით ჯარისკაცად.

– დაბოლოს, გკითხავთ იური ვაზაგაშვილის საქმეზე... როგორ ფიქრობთ, ვის ინტერესებში შედიოდა ვაზაგაშვილის აფეთქება?..

– საუბარი იმაზე, რომ აქ რაღაც რუსული კვალი იკვეთება, უსაფუძვლოა. ეს ისეთივე ვერსიაა, რომ, ვთქვათ, კოტ-დი'ვუარის ხელი ურევია ამ საქმეში. ეს არის ვიღაცის თავის გამართლებისთვის მოგონილი აბსურდი. ეს ტრაგედია დაიწყო 2006 წლის 2 მაისს, როდესაც არასწორად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპნენ ადამიანები, 19-20 წლის ბიჭები. ამ ყველაფერს ჰყავს ერთი და იგივე შემსრულებელი. ამ ყველაფრის თავში დგას „ნაციონალური მოძრაობა“. ასეთი ტერორისტული აქტები მათი გეგმის შემადგენელი ნაწილია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ბურჯანაძის გამო „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ ჟურნალისტთა ქარტიაში უჩივიან

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძის არაეთიკური განცხადების გამო ტელეკომპანიებს „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ ჟურნალისტთა ქარტიაში უჩივიან. თავად ბურჯანაძეს კი პოლიტიკისგან „დასვენებას“ და ზოგადი განათლების დონის ამაღლებას ურჩევენ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ოპონენტების შეფასებისას სიტყვა „დაუნი“ გამოიყენა, რითიც მან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეურაცხყოფა მიაყენა: „სააკაშვილს რომ წაუყენებ იმ ბრალდებას, რა ბრალდებებიც წაუყენეს, როცა დაუყადაღებ ბებიამისის 12 წლის მანქანას, რა თქმა უნდა, უნდა ელოდო, რომ ამ დაუნიზმზე, დაუნიზმზე მართლა, მაპატიოს საზოგადოებამ ამ სიტყვების გამოთქმისთვის, შესაბამისი რეაქცია ექნება საერთაშორისო თანამეგობრობას“.

როგორც აღმოჩნდა, ბურჯანაძე არ არის ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკური ქულების დასაწერად ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს გულს სტკენს. ბუნებრივია, ზედმეტია ამ დროს პოლიტიკაზე საუბარი, მაგრამ პოლიტიკოსის მიზანი, როდესაც პირდაპირ ეთერში ჩნდება, როდესაც პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს და ნებისმიერი სახით აქტიურობს, ერთია – გაზარდოს საკუთარ ამომრჩეველთა რიცხვი. ნინო ბურჯანაძემ კი 30 იანვარს ამომრჩეველთა ისედაც მცირე რაოდენობა კიდევ უფრო შეიმცირა... როგორც დაუნის სინდრომის მქონე ერთ-ერთი ბავშვის დედამ განაცხადა, დროა, ყოფილმა თავმჯდომარემ პოლიტიკას თავი დაანებოს: „თუ ცოტა ხნით მაინც პოლიტიკოსის მანტიას შემოიძარცვავთ, ნებას იბოძებთ და საკუთარი განათლების დონის ასამაღლებლად ცოტა დროს გამონახავთ, აუცილებლად გაიგებთ, რომ დაუნიზმი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არიან დაუნის სინდრომით დაბადებული ადამიანები და თქვენ ამ ადამიანებს თქვენი არაკორექტული და ქსენოფობიური განცხადებით შეურაცხყოფა მიაყენეთ. ბოდიში? არა, პირადად მე, დაუნის სინდრომით დაბადებული ბავშვის დედა, თქვენგან ბოდიშს არ მივიღებ!“

„ეს არის პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების არაეთიკური ქცევა, რომელმაც უნდა მოახდინოს გავლენა მათ იმიჯსა და მათ ღირსებაზე“

ოფიციალური განცხადება გავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ტელევიზიებისგან ბოდიშის მოხდას, გაფრთხილებასა და მსგავსი განცხადებების აღკვეთას ითხოვენ. განცხადებას ორი ორგანიზაცია და მათი წარმომადგენლები აწერენ ხელს: „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობლებისა და



ანა აბაშიძე: „არგუმენტი, რომ უკაცრავად, არ ვიცოდი, ჩვენთვის მიუღებელია“

ანა აბაშიძე: „არსებობს თვითრეგულირების მექანიზმი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, უახლოეს დღეებში ორივე მექანიზმი იქნება გამოყენებული ტელევიზიების წინააღმდეგ“

პროფესიონალების კავშირი „ჩვენი ბავშვები“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და მათი წარმომადგენლები: ლია ტაბატაძე, ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი, მარი კორკოტაძე, ქეთი ბახტაძე, ნანა გოჩიაშვილი და თამუნა მარგიშვილი.

„პრაიმტაიმი“ ანა აბაშიძეს ესაუბრა, რომელიც პირობას დებს, რომ ბურჯანაძისგან სიტყვებს: „უკაცრავად, არ ვიცოდი“, ის არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს...

ანა აბაშიძე, ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი:

– ნინო ბურჯანაძემ, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ყოფილი თავმჯდომარეა, არაეთიკურად გამოიყენა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა, იმისთვის რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა კონკრეტული ადრესატისთვის, ამ შემთხვევაში ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა მისი კომენტარის შინაარსი და ადრესატი. მას თუ არა, სხვას ვის უნდა ესმოდეს, როგორი მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და კანონის დაცვა. ჩვენთვის მთავარი იყო ის შეურაცხყოფა, რომელიც მისი სიტყვებიდან იგრძნობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ ეტაპზე განცხადებით მოვახდინეთ რეაგირება. მინდა აღვნიშნო, რომ არანაკლებ არაეთიკურად მოიქცნენ ტელეკომპანიები „რუსთავი 2“ და „იმედი“, რომლებსაც ჰქონდათ ვალდებულება, რეაგირება მოეხდინათ.

– პირდაპირი ეთერის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცნენ ტელევიზიები?

– ისეთ შემთხვევაში, თუ ეს ჩანაწერი იყო, მათ ჰქონდათ ვალდებულება, არ გაეშვათ ამდაგვარი შეურაცხმყოფელი ფრაზა, რომელიც არღვევს სტიგმას და დისკრიმინაციის საფუძველს ამყარებს, ან თუ პირდაპირი ეთერი იყო, ასეთ შემთხვევაში ტელევიზიები ვალდებულები არიან, იქვე გამოხატონ თავიანთი პოზიცია მსგავსი შინაარსის ტექსტთან დაკავშირებით. არც ერთი და არც მეორე არ გაკეთებულა აღნიშნული ტელევიზიების მიერ.

– განცხადებით შემოიფარგლებით თუ საჩივრის შეტანასაც აპირებთ მის წინააღმდეგ?

– არსებობს თვითრეგულირების მექანიზმი, ასევე არსებობს ჟურნალისტური ეთიკის, ქარტიის მექანიზმი, მინდა გვითხრათ, რომ უახლოეს დღეებში ორივე მექანიზმი იქნება გამოყენებული ტელევიზიების წინააღმდეგ.

– რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს?

– გვესმის, რომ ქალბატონი ბურჯანაძე არის პოლიტიკოსი, რომელიც სარგებლობს თავისუფლების გამოხატვის მაღალი სტანდარტით, შესაბამისად, მასთან დაკავშირებით კონკრეტულ სამართალწარმოებას ნამდვილად არ ვაპირებთ, თუმცა ყოველთვის და ყველგან დავაფიქსირებთ, რომ ეს არის პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების არაეთიკური ქცევა, რომელმაც უნდა მოახდინოს გავლენა მათ იმიჯსა და მათ ღირსებაზე.

– როგორ შეიძლება აიხსნას პოლიტიკოსის ასეთი საქციელი?

– ასეთი გამოთქმებსა და შეურაცხმყოფელ კონტექსტს არა მარტო ერთი, არამედ თითქმის ყველა პოლიტიკოსი იყენებს, სამწუხაროდ. ვფიქრობ, ამის მიზეზია ცოდნის ნაკლებობა შეზღუდული შესაძლებლობების პირების, მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ზოგადად, ცოდნა ერთია, მაგრამ ჩვენ ახლა არ ვსაუბრობთ ჩვეულებრივ მოქალაქეზე, ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტიკოსებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც პოლიტიკას, ცხოვრებას ქმნიან ამ ქვეყანაში და შესაბამისად, მათ მიმართ მოთხოვნებიც მაღალია. არგუმენტი, რომ უკაცრავად, არ ვიცოდი, ჩვენთვის მიუღებელია. არ-ცოდნა ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ შეიძლება შეწყნარებული იყოს, მაგრამ როდესაც პოლიტიკოსი და საჯარო პირი აკეთებს ამას, მსუბუქი რეაქცია ნამდვილად ვერ გვექნება. გპირდებით, რომ ყველა მსგავს შემთხვევაში რეაგირებას მოვახდენთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეროვნული ფორუმის“ სკანდალი

ხათუნა მგალობლიშვილი

„ეროვნულმა ფორუმმა“ დიდხნიანი პაუზა დაასრულა. პარტია ახალ სკანდალში გაეხვია, მისი ლიდერები კი კვლავ ჩრდილში დარჩენას ცდილობენ. გუბაზ სანიკიძეს ნაკლებად გამოუვა მიზნის მიღწევა. სავარაუდოდ, ვეღარ მოახერხებს, ბიძინა ივანიშვილის თვალს მოერიდოს, რომ ზედმეტი კითხვები არ მიიღოს. თუმცა არ არის გამორიცხული, ივანიშვილმა სანიკიძეს კოალიცია პირდაპირ, ყოველგვარი კითხვების გარეშე დაატოვებინოს.

იური ვაზაგაშვილი „ეროვნულ ფორუმს“ აფინანსებდა?

„ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და გარკვეულ ორგანიზაციურ საკითხებში მეხმარებოდა, ამიტომ მისი გარდაცვალება ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო“

შარში პარტია ზურაბ წიკლაურმა გახვია. პროფესიით მხატვარი „ეროვნული ფორუმის“ წევრია. წიკლაურს უკვე უწინასწარმეტყველებენ, რომ ლელა კაკულიას ნარმატებით ჩაანაცვლებს, რადგან მან თავის დროზე სწორი თანმიმდევრობით „იწინასწარმეტყველა“ ჯერ ციხის კადრების გავრცელება, მოგვიანებით ცოცხებით „ნაციონალური მოძრაობის“ გაცილება, სულ ცოტა ხნის წინ შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის გადადგომა და ბოლო, მეოთხე საოცრება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის „დაანონსება“ იყო. ამ ყველაფერს ზურაბ წიკლაური თავის „ფორუმელ“ მეგობრებს უზიარებდა: „მოკლედ, პატივცემულო პოლიტსაზოგადოებავ! ჩემს ხელთ, და არამარტო ჩემს ხელთ, არის აწ უკვე გაბაზრებული ინფორმაცია, რომ: დაგეგმილია მკვლელობა ფრიად ეროვნული მგზნებარებით გამორჩეული კაცისა!“

„თბილისი ფორუმზე“ წიკლაური მეტსახელით იყო დარეგისტრირებული, სენსაციურ ინფორმაციებსაც ფსევდონიმით ავრცელებდა. „ფრემნიუსმა“ მისი სახელი და გვარი დაადგინა და კვალიც „ეროვნულ ფორუმამდე“ თავისთავად მივიდა. წიკლაურმა „ფრემნიუსთან“ საუბრისას ვაზაგაშვილის მკვლელობის დაანონსებას ხუმრობა უწოდა და ირწმუნებოდა, კონკრეტულ პიროვნებას არ ვგულისხმობდიო. შესაბამისად, კატეგორიულად უარყოფს ვერსიას, რომ მას წინასწარ ინფორმაციები მიეწოდებოდა... ეჭვების გაქარწყლება წიკლაურმა საკმაოდ უნიჭოდ სცადა: „როცა სისტემა დემოკრატიული არ არის და გარკვეული კლასის ინტერესებს ითვალისწინებს, ის იძულებულია, რომ პერიოდულად საზოგადოების სისხლი გამოუშვას. ანუ ყველაზე აქტიური წევრი მოიცილოს. ამის უამრავი შემთხვევა გვქონდა, დაწყებული ზვიად გამსახურდიადან, კოსტავადან... ბევრი ცნობილი ადამიანი მოკლეს გაურკვეველ პირობებში“.

„გულუას პერსონამ მაშინდელ ოპოზიციაში სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია“

მიუხედავად პოლიტიკოსი-მხატვრის მტკიცებისა, რომ ის უბრალოდ ვარაუდობდა და მისი ვარაუდი ყოველ ჯერზე მართლდებოდა, გამოძიება მისით მაინც დაინტერესდა და წიკლაური სულ ორიოდე დღის წინ დაკითხა. დაკითხვიდან გამოსულმა ფორუმელმა დუმილის უფლება გამოიყენა. იგივე გზას ადგას თავად პარტიაც. **ანი მიროტაძის** განცხადებით, პარტიაში კონკრეტულ ინფორმაციებს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ ფლობენ, კომენტარის გაკეთებას კი საკითხის გარკვევის შემდეგ გვპირდებიან. ეს საკითხისგან თავის არიდების მცდელობა უფროა, მით უფრო, რომ „ფორუმთან“ იური ვაზაგაშვილის სახელი ფინანსებით იყო დაკავშირებული. როგორც ამბობენ, იური ვაზაგაშვილი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინახავდა „ეროვნულ ფორუმს“, მის წევრებსა და ოფისებს. ამაზე საუბარი ხმამაღლა, ბუნებრივია, არავის სურს, თუმცა წიკლაური „ფრემნიუსთან“ ინტერვიუში მინიშნებას სწორედ ვაზაგაშვილის დახმარებაზე აკეთებს: „ამ ადამიანს კარგად ვიცნობდი, ის აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყველას მხარში ედგა, ვისაც კი შეატყობდა აქტიურობის სურვილს. შეიძლება ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ ეს ადამიანი საკუთარი სახსრებით აფინანსებდა ორგანიზაციების ღონისძიებებს და საკმაოდ დიდი თანხებითაც, არაფერზე უკან არ იხევდა, ოღონდ სამართლიანობა აღდგენილიყო. ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და გარკვეულ ორგანიზაციურ საკითხებში მეხმარებოდა, ამიტომ მისი გარდაცვალება ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო“.

იური ვაზაგაშვილის ახლობელი აცხადებს, რომ პირად საუბრებში თავად ვაზაგაშვილი ძალიან ნანობდა, რომ პოლიტიკოსებს უფლება მისცა, მისი შვილის მკვლელობის თემით „ევაჭრათ“ და სულ იმეორებდა, ახლანდელი გადმოსახედიდან პოლიტიკოსებს ამ საქმეს არავითარ შემთხვევაში არ ჩავუგდებდი ხელშიო... როგორც ამბობენ, ის განსაკუთრებით ნაწყენი და გაბრაზებული სწორედ „ფორუმზე“ იყო... რომლებიც, სხვათა შორის, მის დაკრძალვას არც კი დაესწრნენ...

ისე, ფორუმელების მიმართ კითხვები მარტო იური ვაზაგაშვილს არ ჰქონია. გუბაზ სანიკიძის ინტერესები და პოლიტიკური ორიენტაცია ყოველთვის განხილვის თემა იყო. უფრო ადრე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა პოლიტიკაში. პოლიტპარტნიორები „ფორუმელებს“ ხშირად შორდებოდნენ და მიზეზი ყოველთვის მათი მოქმედება იყო.

ეს იყო პარტია, რომელიც ყველაზე ხშირად ეხვეოდა სკანდალში, რომელიც თავის მხრივ ან პრორუსულ ძალებთან იყო დაკავშირებული, ან ფინანსურ გარიგებებთან...

ერთ-ერთი პირველი „ეროვნული ფორუმი“ იყო, რომლებიც თავის დროზე ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფ „თავისუფალ დემოკრატებს“ უმტკიცებდნენ, მინდია გულუასთან თანამშრომლობა ღალატს არ უდრისო... ეს ის პერიოდია, როდესაც ეგრეთწოდებული „ექვსიანი“ მოქმედებდა. ალასანიას მაშინ უნდა გაეკეთებინა არჩევანი, ან „ექვსიანი: დაეტოვებინა, ან რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენ მინდია გულუას ახალ პარტიასთან საარჩევნო ბლოკი უნდა შეექმნა. გულუა, რომელიც პოლიტიკით აქტიურად იყო დაინტერესებული იმ პერიოდში, თბილისში ყრილობის ჩატარებას გეგმავდა. გულუამ მაშინ „ექვსიანში“ შემავალ რამდენიმე სუბიექტს არჩევნებზე ერთ ბლოკად გასვლა შესთავაზა. საარჩევნო კამპანიის ხარჯებსა და სხვა სახის დაფინანსებას თავის თავზე იღებდა. გულუას პერსონამ მაშინდელ ოპოზიციაში სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია, ალასანია და უსუფაშვილის პარტია „ფორუმის“ წინააღმდეგ, ანუ გულუას, წინააღმდეგ გამოდიოდა. „ფორუმი“ კი დაუღალავად ცდილობდა მათ დაყოლიებას, რომელსაც გულუას წინადადება საკმაოდ მომხიბვლელად ეჩვენება.

მოგვიანებით კი, როდესაც „ევრაზიული კავშირის“ შექმნის საკითხი აქტიურად განიხილებოდა, კავშირის ერთ-ერთ მომხრე პარტიად კვლავ „ეროვნული ფორუმი“ დასახელდა, თანაც ნინო ბურჯანაძესთან ერთად. მაშინ ექსპერტები პირდაპირ ასახელებდნენ პარტიებს, რომლებიც ევრაზიული კავშირის შექმნას მხარს დაუჭერდნენ.

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი: „პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს იქნება ნინო ბურჯანაძე, როგორც პრორუსული ორიენტაციის მატარებელი პოლიტიკოსი. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, „ქართული ოცნების“ მიგნით პრორუსულად ორიენტირებულმა პარტიებმაც გარკვეული ლობირება გაუწიონ „ევრაზიულ კავშირში“ საქართველოს შესვლის იდეას. მე ვგულისხმობ, თუნდაც პირველ რიგში „ეროვნულ ფორუმსა“ და „მრეწველებს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახი კალაძის მ

my View

თამარ გონგაძე

ანუკი არეშიძეს არაერთხელ მოუცია ინტერვიუ ჩვენთვის. დიზაინერი ამჯერად „პრაიმტაიმის“ კითხვებს „მეორე ნახევრის“ ამპლუაში პასუხობს. ყველამ ვიცით, რომ მას და საქართველოს ვიცე-პრემიერსა და ენერგეტიკის მინისტრს, კახა კალაძეს სამი ვაჟი ჰყავთ. წყვილის ერთად გამოჩენა მუდმივი ინტერესის საგანია. მათ ყოველთვის ერთმანეთის შესაფერისად აცვიათ. როგორც ანუკი ამბობს, მათ შორის არსებული 11-წლიანი სხვაობა ამ ურთიერთობას კრავს. ოჯახი კიდევ უფრო შეკრა მესამე ვაჟის, ვაჩეს დაბადებამ. წყვილს ჯერ ჯვარი არ დაუწერია. წინა ინტერვიუში ანუკი სიცილით იხსენებდა უკრაინულ პრესაში დაწერილ ნიუსს. „ტაძარში გადაღებული ჩვენი ფოტო გამოაქვეყნეს და დააწერეს, როგორც იქნა კალაძემ თავისი შვილების დედაზე დაიწერა ჯვარიო“. წუხს, რომ ჯერ ჯვრისწერა ვერ მოახერხა. „სამწუხაროდ და ჩემდა სამარცხვინოდ, ჯვარი დაწერილი არ გვაქვს. ვერც ვამბობ, როდის გვექნება, რადგანაც რამდენჯერაც დავგეგმეთ, არ გამოგვივიდა“.

თუ როგორი მეორე ნახევარია კახა და რა კომფორტს ახვედრებს დატვირთული რეჟიმის შემდეგ შინ დაბრუნებულ მინისტრს მეუღლე, ამას ანუკის ინტერვიუდან შეიტყობთ.

ანუკი არეშიძე: პირველ რიგში მეორე ნახევარი უნდა გავსებდეს, უსიტყვოდ ესმოდეს შენი, შენ გრძნობებს პატივს სცემდეს. ზოგადად ერთმანეთს უნდა ავსებდნენ. ის გვერდით უნდა გედგას, როგორც ძლიერი პიროვნება, რომლის იმედი ყველაფერში გექნება. ჩემთვის ასეთია მეორე ნახევარი.

- თავად როგორი მეორე ნახევარი ხარ, როგორ ფიქრობ?

- ვფიქრობ, კარგი მეორე ნახევარი ვარ, ყოველ შემთხვევაში საყვედურებს არ ვიღებ ხოლმე. ძლიერი ვარ, საოცარი ინტუიციით, რაც ხშირად სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მეხმარება. ეს მხოლოდ მე არ მადგება. კახას ყოველთვის აქვს ჩემი იმედი. იცის, რომ მის გარეშე არსად წავალ, ისეთის არაფერს გავაკეთებ, რაზეც შეიძლება მან ინერვიულოს. მისი ხასიათი კარგად ვიცი, ყოველთვის თვალებით ვხვდები, რა უნდა, რას გრძნობს. რაც მაინტერესებს, არასდროს უადგილოდ არ ვეკითხები. სწორად ვარჩევ დროს. ხშირად უთქვამს, როცა ჩემ გვერდით ხარ, თავს ძლიერად ვგრძნობო. შეიძლება ამ ყველაფერში ისიც მეხმარება, რომ ორ ძმასთან ერთად გავიზარდე. თითქმის სულ მათთან ერთად ვიყავი და ძლიერი სქესის ხასიათი კარგად ვიცი. ვიცი, რა მოსწონთ, რა - არა.

- და როგორი მეორე ნახევარია თავად კახა? რა პლუს-მინუსი აქვს?

- ყურადღებიანი მეორე ნახევარია. თავისაზე მეტად ჩემი დაბადების დღე უყვარს, მე კიდევ - მისი. ხშირად მეკითხებიან, რას გჩუქნისო? რატომღაც ჰგონიათ, რომ ქალი ბედნიერი მატერიალური თვალსაზრისით უნდა იყოს. არადა, ჩემთვის კახას კომპლიმენტი უფრო დიდი საჩუქარია, ვიდრე რაიმე ნივთი. მახსოვს, ახალი შეუღლებულები ვიყავით, კიევში რომ ჩავედით, კახამ მითხრა - სახლში ავიდეთო. აინტერესებდა, მუშები სამუშაოს რა ეტაპზე იყვნენ. სახლთან რომ მივედით, თვალებზე ხელი ამაფარა. შევედით და რას ვხედავ, კახას სახლი უკვე მოწყობილი ჰქონდა. ყველაფერი თვითონ გააკეთა. კახა მეხმარება, რომ მე რეალიზებული ვიყო და ის, რაც ძალიან მიყვარს, მაქსიმალურად ხარისხიანად და ბოლომდე ვაკეთო. დამერწმუნეთ, სამი შვილისა და ასეთი მეუღლის პირობებში ეს ადვილი არ არის, რადგანაც ისინი ჩემგან დიდ ყურადღებას მოითხოვენ. ვფირობ, როდესაც ადამიანი გიყვარს, მას ოცნებების სასრულებაში ეხმარები. ძალიან ვაფასებ კახას. და თუ ხანდახან ავიწყდება ხოლმე, რომ კარში პირველი მე უნდა გამატაროს, სხვა იმდენ დადებითს ვხედავ მასში, რომ ამაზე ვეღარ ვბრაზდები. :)

- როგორ ფიქრობ, რაში მდგომარეობს ოჯახის კეთილდღეობის საიდუმლო - სიყვარულში, მატერიალურ უზრუნველყოფაში, გამართლებაში, მოთმენაში...?

- როდესაც ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ისინი ამ გრძნობის გამო რაღაცებზე თვალს ხუჭავენ. ასეა და ამას ვერავინ გაექცევა. ხან ერთმა უნდა დაუთმოს, ხან - მეორემ. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 11 წელია და ესეც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ურთიერთობაში. როცა შევუღლდით, კახა 30 წლის იყო და მარტო ცხოვრობდა, დამოუკიდებელი და შემდგარი პიროვნება იყო. ამან კი დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ურთიერთობაში იდილია გვქონოდა. ორივე წყლის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნის მატარებელი ვართ და ბევრ საკითხზე საერთო აზრი გვაქვს. როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთის გესმით, ამაზე ბედნიერება არაფერია. ქალზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ხომ ვამბობთ, ქმარი ირთავს ცოლსო. ფსიქოლოგები კი ამბობენ, რომ ქალს მოჰყავს კაცი ქმრად. ქალია ყველაფრის გადამწყვეტი. ქალს დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს. როცა ოჯახში ქალია მაგრად, ოჯახიც ძლიერია და ყველა საქმეში წარმატებას აღწევს. ქალთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, წარა-მარა რომ ურეკავენ და ტვინს უჭამენ ქმრებს. თავს არ ვაბეზრებ. როცა ოჯახში ყველაფერი კარგად არის და ქალი მამაკაცის არყოფნის დროს ოჯახის საკითხებს კარგად უძღვება, ამ დროს კაციც ძლიერია. დღის განმავლობაში კახას ბევრ რამეზე უხდება ფიქრი, ესეც ხომ გარკვეული სტრესია. როდესაც სახლში მოდის, პირველი რასაც ვაკეთებთ - ერთმანეთს ძლიერად ვეხუტებით, რომ დადებითი ენერგიით დავიმუხტოთ. მძიმე ხასიათის არც ერთი არ ვართ და აქედან გამომდინარე ურთიერთობაშიც ყველაფერს ძალიან ადვილად ვუდგებით ხოლმე.

„ძალიან ვაფასებ კახას. და თუ ხანდახან ავიწყდება ხოლმე, რომ კარში პირველი მე უნდა გამატაროს, სხვა იმდენ დადებითს ვხედავ მასში, რომ ამაზე ვეღარ ვბრაზდები“

„კვირის სამუშაო დღეებში რამდენიმე საათს ვატარებთ ხოლმე ერთად. ხანდახან მაქვს პერიოდები, როდესაც ამას ძალიან განვიცდი. მერე გადამივლის. ეჩვევი ყველაფერს, თუმცა გულწრფელად გეტყვით - ძალიან მიჭირს“



„კახა მეხმარება, რომ მე რეალიზებული ვიყო და ის, რაც ძალიან მიყვარს, მაქსიმალურად ხარისხიანად და ბოლომდე ვაკეთო. დამერწმუნეთ, სამი შვილისა და ასეთი მეუღლის პირობებში ეს ადვილი არ არის, რადგანაც ისინი ჩემგან დიდ ყურადღებას მოითხოვენ“

- ხელის თხოვნის დღეზე მოგვიყევი... რა გარემოში იყო, როგორ გთხოვა ხელი?

- თავისით მოხდა ყველაფერი. ჩვენ ერთად ყოფნა გადავწყვიტეთ! ჯერ თაფლობის თვე გვქონდა. შემდეგ ხელი მოვაწერეთ. ჩვენ შემთხვევაში ყველაფერი არეულად იყო, თუმცა ამას ბედნიერებაში ხელი არ შეუშლია. პირიქით, დღემდე ძალიან ბევრი რამ დაუგეგმავად ხდება ჩვენს ცხოვრებაში.

- ვფიქრობ, შენ შემთხვევაში გამოთქმა - „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“ - გამართლებულია.

- ნამდვილად. ჩემი ფეხით ჩავედი ადამიანთან, რომელიც ჩემი მეუღლე გახდა. ჩემი გათხოვება და თან კახა კალაძეზე იმდენად წარმოუდგენელი და არარეალური იყო, რომ ამ თემაზე ვერც ხუმრობდნენ. თუმცა არასოდეს არ უნდა თქვა „არასოდეს“.

- ძალიან გიყვარს მილანი და როგორ იხსენებ ახლა იტალიაში გატარებულ წლებს? რა მოგცა იმ პერიოდმა?

- მილანური ცხოვრება ყველაზე ბედნიერი ეტაპი იყო. სუპერმარკეტში სიარული ძალიან მიყვარს. უბედნიერესი ვიყავი, პროდუქტებით დატვ-

„მილანში ცხოვრებისას, სანამ კახა ვარჯიშზე იყო, მე და ბუბუ ვსეირნობდით. მერე მამიკო რომ მოდიოდა, პარკში მივდიოდით, სადაც უგემრიელესი ჩამოსასხმელი ნაყინი იყიდებოდა და ჩვენც, ყინვასა თუ სიცხეში, ამ ნაყინით ვსეირნობდით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ

ᲐᲜᲣᲙᲘ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ:

„ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲓᲒᲔᲑᲐ. ᲙᲐᲮᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ. ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲐᲚ, ᲘᲡᲔᲗᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲡ“

„ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲔᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲮᲐᲠ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲝ“

„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ - ᲔᲠᲗᲘᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲕᲔᲮᲣᲭᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲛᲣᲮᲢᲘᲗ“

EXCLUSIVE

ირთული რომ ვბრუნდებოდი სახლში. აქ რამდენჯერაც მომიხდა მსგავს სიტუაციაში ყოფნა, ხალხის მზერის ობიექტი გავხდი და სამწუხაროდ, თავისუფლად ვეღარ ვარ ხოლმე. მილანში ცხოვრებისას, სანამ კახა ვარჯიშზე იყო, მე და ბუბუ ვსეირნობდით. მერე მამიკო რომ მოდიოდა, პარკში მივდიოდით, სადაც უგემრიელესი ჩამოსასხმელი ნაყინი იყიდებოდა და ჩვენც, ყინვასა თუ სიცხეში, ამ ნაყინით ვსეირნობდით. რა თქმა უნდა, კახას ცნობდნენ და მის გვარს ყვიროდნენ, ხშირად პაპარაცების ობიექტივშიც მოვხვედრილვართ. ახლაც, მილანში ჩასვლისას, არ მახსენდება პაპარაცებს სადმე არ დავეფიქსირებინეთ. ყოველთვის გამოგვიჭერენ ხოლმე. ყოფილი მილანელის მიმართ საოცარი დამოკიდებულება აქვთ და ეს უდიდეს პოზიტივს იწვევს ჩემში. უგემრიელესი კერძები აქვთ. ყოველდღე რომ მუზეუმში იარო, სანახავს ვერ გამოლევ. სუფთა ჰაერია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. საოცრად უფრთხილდებიან მცენარეებს, პარკებს. ყველა აივანზე გამწვანებას შენიშნავთ. შობას ქალაქი ლამაზად ირთვება, ქუჩაში ყველა გიცინის და გეფერება. იქ ცხოვრებამ ბევრი რამ მომცა. პირველ რიგში მასწავლა დამოუკიდებლად ცხოვრება, სხვისი აზრის პატივისცემა, სხვა ადამიანის შრომის დაფასება. ბევრი რამ ვნახე, გავიგე, რამაც ძალიან გამზარდა. მინდა, რომ ჩემი ქალაქიც ევროპული იყოს. სუფთა და ძალიან მწვანე.

- ფეხბურთელების და მოდელების წყვილი ხშირი შემთხვევაა, ასე იყო თქვენ შემთხვევაში, თუმცა ახლა არც ერთია ფეხბურთელი და არც მეორე ხარ მოდელი. მაინც რატომ წყვილდება ამ ორი პროფესიის ადამიანი?

- არ ვიცი. ალბათ, ამ ორი პროფესიის ადამიანის მიმართ ყურადღება დიდია, მეტი პოპულარობით სარგებლობენ. იტალიაში ბევრ ფეხბურთელს ჰყავს მოდელი მეორე ნახევარი.

- როგორი იყო კახა, როდესაც დადგა ფაქტის წინაშე, რომ ფეხბურთიდან უნდა წამოსულიყო და პოლიტიკაში წასულიყო? და გაცილების ემოციური დღე გაიხსენე.

- კარგად მახსოვს ეს დღე. რთული იყო გუნდიდან უცებ წამოსვლა, ყველაფრის თავიდან დაწყება და სრულიად ახალ ამპლუაში ყოფნა. გაცილების დღე ძალიან მძიმე იყო. თითქმის ყველა მისი მეგობარი ჩამოვიდა. ყველას ცრემლი ჰქონდა თვალზე. თუმცა ოდესღაც ყველა ასრულებს თავის სპორტულ კარიერას.

- თანამდებობიდან გამომდინარე, შენთვის, ბუნებრივია, ვეღარ იცლის ძველებურად. როგორია იყო ხელისუფლების წარმომადგენლის მეორე ნახევარი?

- ძალიან რთულია. პასუხისმგებლობა, ვალდებულება ადვილი არ არის. გარდა ამისა, საზოგადოება სულ სხვაგვარად გიყურებს. შენ მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილნი. ხშირ შემთხვევაში ჩასაფრებული პოზიციაა. ზოგადად ცნობილი რომ ხარ, რთულია და მით უმეტეს პოლიტიკოსის ცოლიც თუ ხარ. სულ ყურადღების ქვეშ ხარ. ვცდილობ არავინ გავაღიზიანო. ვერიდები საჯაროდ აზრების გამოხატვას. პოლიტიკა ყოველთვის მაინტერესებდა და დღესაც მაინტერესებს. ვუყურებ საინფორმაციო გამოშვებებს. ვცდილობ, რომ კახას სიახლეებს სულ გავეცნო. ყოველთვის ვუყურებ პირდაპირ ეთერში გამოსვლისას. კვირის სამუშაო დღეებში რამდენიმე საათს ვატარებთ ხოლმე ერთად. ხანდახან მაქვს პერიოდები, როდესაც ამას ძალიან განვიცდი. მერე გადამივლის. ეჩვევი ყველაფერს, თუმცა გულწრფელად გეტყვით - ძალიან მიჭირს.

- კახამ, როგორც პოლიტიკოსმა, პროგრესი განიცადა. როგორ იმუშავა საკუთარ თავზე?

- ზოგადად, მიზანდასახულია. უყვარს საქმის ბოლომდე და ხარისხიანად კეთება. ღამეები იჯდა და ბევრს კითხულობდა. საკუთარ თავზე სულ მუშაობს. არასოდეს დაეზარება რაიმეს გაკეთება, დილით ადგომა. პასუხისმგებლობის გრძნობა მაღალი აქვს. ეს დაეხმარა მას სპორტულ კარიერაში. როგორ ცუდადაც არ უნდა ყოფილიყო, ერთი დღეც არ გაუცდენია ვარჯიში. მე ვიცი მისი რესურსი. რა ვალდებულებაც აიღო, სურს კეთილსინდისიერად და კარგად შეასრულოს. მე მქონდა მისი იმედი, რადგანაც ვუყურებ რამდენს შრომობს და მუშაობს თავის თავზე. მგონია, ასეთ ადამიანებს ცხოვრებაში ყველაფერი გამოუვათ.

„ᲛᲔ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ. ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲗ“

- როგორ ახერხებ სამ შვილთან ერთად საკუთარი საქმის აქტიურად წარმოებას?

- მონდომებული ვარ. სიყვარული დიდ ძალას და მოტივაციას მაძლევს, რომ ჩემი საქმე ვაკეთო. იმხელა ენერგია მაქვს, რომ სახლში ვერ გავჩერდები. ყველაფერი განწყობაა. ყოველი წუთით ბედნიერი ვარ. პრობლემასაც დადებითი კუთხით ვუყურებ.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ემზარ კვიციანი სააკაშვილს ჰააგის ტ

„ეს საქმე მივა ჰააგამდე. ბოლომდე ვიბრძოლებ ამისთვის. ქალბატონ რუსიკოსა და იქ დაღუპული ბიჭების სული არ მომცემს სხვანაირად მოქცევის უფლებას“

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

საზოგადოებაში რატომღაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ, რაკი ემზარ კვიციანი თავისუფლებაზეა, ის გამართლდა. თუმცა ეს სულაც არ არის ასე. პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულსა და პროკურატურას შორის გაფორმებული ხელშეკრულება პოპულარული ენით რომ ავხსნათ, ასეთი სურათი გვაქვს სახეზე – კვიციანმა, მართალია, არ აღიარა სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ის მაინც რჩება ნასამართლევად სწორედ იგივე მუხლებით, რაც მას თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამ წაუყენა. უბრალოდ, 12-წლიანი სასჯელი შეიცვალა 11-თვიანით. ეს ის ვადაა, რაც კვიციანმა პატიმრობაში უკვე გაატარა და სასამართლოს ამ განაჩენის შემდეგ ის ავტომატურად გამოვიდა თავისუფლებაზე.

ეს საპროცესო შეთანხმება არ საჩივრდება. ამიტომაც სამშობლოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებით გასამართლებული ყოფილი გუბერნატორი ბრძოლას სხვა მიმართულებით დაიწყებს და პირობასაც დებს, რომ შედეგად ყოფილ პრეზიდენტს კოდორის ხეობის ჩაბარებისთვის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისთვის ჰაგის ტრიბუნალამდე მიიყვანს...

არსებობდა მოლოდინი, რომ კვიციანი მეტად სკანდალურ ფაქტებს ახდიდა ფარდას. დღეს ის თავისუფალია და ამაში ხელს არავინ უშლის. ამდენად დევნილობაში ყოფნის დროს აღებული ინტერვიუს შემდეგ „პრაიმტაიმი“ უკვე თბილისში უსვამს მას კითხვებს. პასუხად კი ერთად შევიტყობთ კონკრეტულ გვარებს, ვინც კოდორის ჩაბარებისთვის მოხაზულ სქემაში მონაწილეობდა. შევიტყობთ იმასაც, შეხვდა თუ არა ის ირაკლი ალასანიას, მოსთხოვა თუ არა მას პასუხი კოდორის ჩაბარებაზე და რა დიალოგი გაიმართა მათ შორის და კიდევ იმ საინტერესო საკითხებსაც შევეხებით, რომელზეც ჩვენს მკითხველს განმარტება აქამდე არ მიუღია. მაშ ასე, ინტერვიუ ემზარ კვიციანთან:

– თქვენი განმარტებებით იკვეთება, რომ კოდორის ჩაბარების პროცესი ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იგეგმებოდა და ამაში ყოფილი ორი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები ეტაპობრივად მონაწილეობდნენ. შეგიძლიათ მოკლედ დაგვიდოთ სქემა, როგორ განვითარდა ეს პროცესები?

– როდესაც 1994 წელს ოთხმხრივი ხელშეკრულება დაიდო, ეს ნიშნავდა იმას, რომ საქართველომ კაპიტულაციას მოაწერა ხელი. თვითონ ამ ხელშეკრულების პირობები იძლეოდა იმ პერსპექტივას, რომ ის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დარღვეულიყო ქართული მხარის მიერ, რაც ჩვენს მტრებს საშუალებას მისცემდა, კოდორი აეღოთ.

– გულისხმობთ პირობას, რომლის მიხედვითაც იმ ტერიტორიაზე არ უნდა განთავსებულიყო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები?

– რა თქმა უნდა. ამ ხელშეკრულების დარღვევის მცდელობა ჯერ კახა თარგამაძემ დაიწყო და პრაქტიკულად იგივეს ცდილობდა შინაგან საქმეთა და უშიშროების ყველა მინისტრი, რომლებიც თხზავდნენ ათასგვარ დანაშაულს იმისთვის, რომ ამ დანაშაულის აღკვეთის მოტივით ხეობაში ჯარი შეეყვანათ. ამას საბოლოოდ სააკაშვილმა მიაღწია და რა შედეგიც მივიღეთ, სახეზეა. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ძალიან დიდი სისხლის ფასად დაუჯდებოდათ აფხაზეთის საზღვრების გადმოტანა კოდორის ხეობაზე. ამიტომაც შემოვლით გზას მიმართეს – ხელისუფლებაში მოიყვანეს თავისი ხალხი, რომლებიც ამას უსისხლოდ მოახერხებდნენ.



– ვის გულისხმობთ მოწინააღმდეგეებში?

– რუსეთს, თქვენ რა, ვერ ხვდებით? ვინ წაიღო ხეობა? ამერიკამ? რა თქმა უნდა, რუსეთმა წაიღო...

– თქვენი განცხადებები ცოტა დამაბნეველია, ვინაიდან, როდესაც დაუმორჩილებლობა გამოაცხადეთ, მაშინ ხელს ამერიკისკენ და კონდოლიზა რაისისკენ იშვერდით, უკვე მოგვიანებით კი – რუსეთისკენ და იგორ გიორგაძისკენ...

– ეს რუსეთმა გაკეთა დასავლეთთან შეთანხმებით. მე მახსოვს, როგორ მითხრა შევარდნაძემ, ამერიკელები ითხოვენ ხეობის ჩაბარებასო. ამიტომაც ვამბობდი დაუმორჩილებლობის დროს, ნიღაბი ჩამოვხადე ამერიკელებს-მეთქი. თუმცა ეთერით გადაცემული ჩემი განცხადებების დიდი ნაწილი დამონტაჟებული იყო. მაშინ მე დაზუსტებით არ ვიცოდი, რომ სააკაშვილი რუსულ თამაშს თამაშობდა. ეჭვი მქონდა, მაგრამ მეგონა, მეჩვენებოდა. მერე კი დავაზუსტე, რომ ხალხის გასაგონად აგინებდა სააკაშვილი რუსეთს, თორემ ის რეალურად „კაგებეს“ ერთ-ერთი მოწინავე თანამშრომელია. სააკაშვილი ხელისუფლებაში ვინ მოიყვანა, იგორ გიორგაძემ არ მოიყვანა?

– პირველად მესმის...

– აბა, გიორგაძემ მას მანქანა იმიტომ აჩუქა, რომ კარგი ბიჭია და ლამაზი თვალები აქვს? რეალურად პარტნიორების მტრად გამოცხადება საზოგადოების წინაშე, მიღებული ხერხია. ამ ხერხმა გაამართლა საქართველოს დაქცევის პროცესში.

– თქვენ აცხადებთ, რომ სპეცოპერაცია ქიბარ ხალვაშის სახლში დაიგეგმა... ამ ოპერაციის რეალური მიზანი კონკრეტულად თქვენი განეიტრალება იყო, თუ ხეობის ჩაბარება?..

– იმ შეკრების მონაწილეთა შორის, ალბათ, ორმა, ან სამმა კაცმა იცოდა საბოლოო მიზნის შესახებ. თორემ ძირითად ნაწილს ეგონა, რომ სპეცოპერაცია მხოლოდ ჩემს წინააღმდეგ იგეგმებოდა...

– რჩება შთაბეჭდილება, რომ ოქრუაშვილისთვის გინდათ ხელის დაფარება...

– ოქრუაშვილზე ეჭვი შემეპარა მაშინ, როდესაც კოდორის მოვლენების შემდეგ გადააყენეს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მას საქმე გააკეთებინეს და მოიშორეს, ვინაიდან ოქრუაშვილის ხასიათიდან გამომდინარე, შემდგომში შეიძლებოდა მისი მართვა გართულებულიყო, ვინაიდან ხეობის ჩაბარების წინააღმდეგ წავიდოდა. ეს ჩემი ვარაუდია. თუმცა უფრო მეტად ვფიქრობ, რომ ისიც შეიძლებოდა სრულად ყოფილიყო საქმის კურსში.

– კიდევ ერთი ადამიანის შესახებ მინდა გკითხოთ, რომელსაც

„პირდაპირ ვკითხე, – ირაკლი, რატომ ჩააბარე კოდორის ხეობა? ხომ გითხარი, რომ არ შეიძლებოდა ჯარის შეყვანა. ხომ მართლა ისე მოხდა, როგორც მე გეუბნებოდი-მეთქი? მიპასუხა, თანამდებობიდან გადამაყენეს, პოლიტიკური გადაწყვეტილებით მოხდა ჩემი ჩამოშორებაო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რიბუნალით ემუქრება

„ვინ წაიღო ხეობა? ამერიკამ? რა თქმა უნდა, რუსეთმა წაიღო...“

დევნილობაში ყოფნის დროს ასახელებდით. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ალასანიაზე სკანდალური ფაქტები გექნებოდათ. თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ თქვენ მას მხოლოდ მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებთ, ვინაიდან პირობა მოგცათ ხეობის არჩაბარებაზე...

– თქვენ რა გინდოდათ, თვალში მეტაკა მისთვის თითი? ამაზე მეტი რა გინდათ, პირდაპირ ვადებ ხელს, რომ მან ხელი შეუწყო ხეობის ჩაბარებას...

– გაჟღერდა, რომ თქვენ შემთხვევით შეხვდით ერთმანეთს. რა დიალოგი გქონდათ?

– შემთხვევით შევხვდით ტელეკომპანია „იმედში“... პირდაპირ ვკითხე, – ირაკლი, რატომ ჩააბარე კოდორის ხეობა? ხომ გითხარი, რომ არ შეიძლებოდა ჯარის შეყვანა. ხომ მართლა ისე მოხდა, როგორც მე გეუბნებოდი-მეთქი? მიპასუხა, თანამდებობიდან გადამაყენეს, პოლიტიკური გადაწყვეტილებით მოხდა ჩემი ჩამოშორებაო. ისიც ვუთხარი, ხომ გაფრთხილებდი, შეიძლება თანამდებობას ჩამოგაშორონ და ამ შემთხვევაში, ვინ აგებს პასუხს კოდორზე-მეთქი. შენ კი მპირდებოდი, პასუხისმგებელი მე ვარო... მითხრა, წინასწარმეტყველი არ ვარ, ყველაფერი მცოდნოდაო... ასეა, ადამიანები თანამდებობას რომ იკავებენ, ჰგონიათ, რომ მას სამუდამოდ შეინარჩუნებენ. ოქრუაშვილსაც ამიტომ ეგონა, რომ ფადიშაჰი და მსოფლიოს მმართველი იყო. არადა, ფაქტია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის კისერზეა ქალბატონის სიკვდილი კოდორის ხეობაში, რომლის სიცოცხლეც სწორედ ოქრუაშვილის სამხედროების დაბომბვებმა შეინირა.

– არადა, ამ ქალბატონის სიკვდილი, განაჩენის მიხედვით, თქვენს კისერზეა...

– არა, ამაში არ მედება ბრალი... ჩემს ბრალშია მხოლოდ ის, რაც 25 მაისს მოხდა... იმ ღამით გავედი მე ხეობიდან. ეს ქალბატონი კი 26 მაისს გარდაიცვალა.

– ეს მე თქვენი ადვოკატისგან ვიცი...

– ადვოკატებსაც ასე ეგონათ, მაგრამ სასამართლოზე ყველაფერი გაირკვა...

– ბატონო ემზარ, ცოტა ბუნდოვანია თქვენი განთავისუფლების პროცესი. მოდით, დავკონკრეტდეთ, თქვენ რჩებით ნასამართლევად იმ ბრალდებებით, რაც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამ წაგიყენათ, უბრალოდ, საპროცესო შეთანხმებით 12-წლიანი სასჯელი 11-თვიანით შეგეცვალათ?

– დიახ, ასეა. თუმცა აქვე განვმარტავ, რომ ის ბრალდებები მე არ მიღიარებია. ჩვენ შევთანხმდით მხოლოდ სასჯელზე. მე როლანდ ახალაიას გამოძიებულ საქმეზე გამომიტანეს განაჩენი.

– თქვენთვის უხერხულობას არ წარმოადგენს, რომ ნასამართლევი ხართ სამშობლოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო? რატომ წახვედით ამ დათმობაზე?

– დათმობაზე მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ არ მქონდა ამ სასამართლოს იმედი. ახლა კი თავისუფალი ვარ და უფრო მეტად შევძლებ, ვიბრძოლო სიმართლის დასადასტურებლად...

– თუმცა ამ საპროცესო შეთანხმებას ვერსად ვეღარ გაასაჩივრებთ...

– არა უშავს, საპროცესო შეთანხმებას არც შევეხები. მე დავამტკიცებ იმას, რომ სააკაშვილმა დაარღვია კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი. სწორედ კონსტიტუციის დარღვევით რომ წამოიყვანა ჯარი, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით რომ დაესხა თავს კოდორის ხეობას, ამას დავუმტკიცებ მას. ეს საქმე მივა ჰააგამდე. ბოლომდე ვიბრძოლებ ამისთვის. ქალბატონ რუსიკოსა და იქ დაღუპული ბიჭების სული არ მომცემს სხვანაირად მოქცევის უფლებას. კოდორის ხეობა იყო ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა აფხაზებთან ერთიერთზე საუბარი. იქ მოვახერხეთ ის, რომ აფხაზების დიდი ნაწილი შემოვატრიალეთ საქართველოსკენ. ამიტომაც გაუჩნდათ შიში, რომ მოვიდოდა დრო, როდესაც აფხაზები და ქართველები ერთ მხარეს დავდგებოდით. ეს არ აწყობდა რუსეთს და ამიტომ იყო მოფიქრებული მთელი ეს სქემა ასე ჭკვიანურად.

ერთი სიტყვით, ჩვენმა მკითხველმა უკვე შეიტყო, შესაძლოა, პროცესები წარიმართოს ისე, რომ ორი წლის წინათ დაანონსებული მუქარა სააკაშვილის ჰააგის ტრიბუნალზე წარდგომის შესახებ, იქნებ რეალობადაც იქცეს. ძველი ანონსის მიხედვით, ეს 2008 წლის მოვლენებს უნდა დაკავშირებოდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება მიხვდა, რომ ამ მიმართულებით საქმის წარმოება მთლიანად სახელმწიფოს დააწვებოდა ტვირთად, ვინაიდან ჩვენი მხრიდან ომის დაწყების აღიარებას ითვალისწინებდა. ამდენად, სულაც არ არის ლოგიკას მოკლებული, რომ ხელისუფლების წიაღში ახალი გეგმა დაიდო – სააკაშვილი წარდგეს ტრიბუნალის წინაშე კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ არსებობს, ვინაიდან, როგორც ემზარ კვიციანი უსვამს ხაზს, ყოფილმა პრეზიდენტმა ხეობაში ჯარი „ერთპიროვნული გადაწყვეტილებით“ შეიყვანა.

„ხალხის გასაგონად აგინებდა სააკაშვილი რუსეთს, თორემ ის რეალურად „კაგებეს“ ერთ-ერთი მოწინავე თანამშრომელია“

ვინ იბრძოლებს ქუჩის ლიდერობისთვის

ხათუნა მგალობლიშვილი

ქუჩის თემა ნელ-ნელა აქტიური და მიმზიდველი ხდება. ვარაუდი, რომ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ძალების ნაწილი აუცილებლად მიაკითხავს ქუჩას, სავარაუდოდ, უკვე მართლდება. მართალია, გაზაფხულამდე ჯერ მთელი თვეა დარჩენილი, მაგრამ თბილი ამინდებიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გარკვეული ძალები გარეთ გასულიყვნენ.

ირმა ინაშვილმა რუსთაველზე „გასეირნებით“ დაიწყო და დიდი იმედი აქვს, რომ რიგები გაუფართოვდება. დაწყება ლოგიკური იყო – ქუჩას, როგორც ვარაუდობენ, სწორედ პრორუსული ძალები მიაკითხავენ და, სავარაუდოდ, ზუსტად ისე გააპროტესტებენ სტატუსს პრორუსულობის შესახებ, როგორც თავის დროზე სიტყვა „რადიკალებსა“ და „ქუჩის ოპოზიციას“ აპროტესტებდნენ ოპოზიციური ძალები.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში არ არის ისეთი მძიმე სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია რომ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს, თუმცა ასე არ ფიქრობენ არც ბურჯანაძე და არც სხვა, მსგავსი ორიენტაციის ძალები. მათთვის ახლა მთავარი ის არის, ვინ აიღებს ხელში ქუჩის ლიდერობას. ამის დამტკიცებას ყველა მათგანი შეეცდება, მათ შორის ირაკლი ალასანიაც კი... სხვათა შორის, ვალერი გელბახიანმა ივარაუდა, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ქუჩას მიაკითხავს, ირაკლი ალასანია იქნებაო: „როდესაც მიხვდება, რომ უნდა იაქტიუროს, მიუხედავად იმისა, რომ ალასანია ქუჩის პოლიტიკოსი არ არის, ალბათ, ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც ქუჩას მიაკითხავს. ამომრჩევლისთვის ქუჩაში აქტიურობა ყველაზე მეტადაა მიმზიდველი. ვინც ქუჩაში გასვლას ბედავს, ითვლება, რომ ის ყველაზე გამბედავი და ბრძოლისუნარიანია“.

შესაძლოა, ქუჩა ალასანიასთვის მართლაც ერთადერთი გზა გახდეს პოლიტიკური სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მაგრამ გია ხუხაშვილი დარწმუნებულია, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი, როგორც კი ქუჩაში გავა, ავტომატურად დაკარგავს იმ ციფრსაც კი, რომელიც დღეს აქვს, რადგან მას არ გააჩნია ის მუხტი, რომელიც ქუჩის ლიდერს სჭირდება. ხუხაშვილის განცხადებით, ვისაც ასეთი მუხტი აქვს, ის ალასანიას გვერდით არც დადგება და არც თავად დაიყენებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მას უკანა პლანზე გადასვლა მოუწევს...

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– ირაკლი ალასანია და ქუჩა – ეს ორი რამ შეუთავსებელია, რადგან ქუჩის პოლიტიკას სჭირდება შესაბამისი ლიდერები, შესაბამისი ფიგურები. მაშინაც კი, როდესაც ქუჩის პროცესები მიმდინარეობდა და ალასანია მონაწილეობდა, ის მეორე პლანზე იყო ყოველთვის. ნაციონალური ლიდერი, რომელიც ქუჩის მუხტის აკუმულირებას შეძლებს, ალასანია ნამდვილად ვერ გახდება, ეს გამორიცხულია და ამის ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს. ის უფრო დავარცხნილი, ეგრეთწოდებული „Халевый“ არის. მის ნაციონალურ ლიდერობას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ მით უმეტეს ქუჩასთან დაკავშირებით. ის ადამიანები, ვისაც ქუჩაში გარკვეული მუხტის წამოღება შეუძლიათ, ალასანიას გვერდით არ დგანან და ვერც იდგებიან.

– ვინ არიან ეს ადამიანები, არის ასეთი ლევან გაჩეჩილაძე?

– ჩვენ ოცი წელია, ამ ისტორიებს ვუყურებთ და ზუსტად ვიცით, ვისაც შეუძლია მუხტის შექმნა. ქუჩაში გამოდის განსაკუთრებით აქტიური საპროტესტო ელექტორატული მასა, რომლებიც ორიენტირებულები არიან რადიკალურ, ემოციურ განწყობებზე. ალასანიასგან ყველაფერი მოდის, ემოციის გარდა. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის ლიდერები ვერასოდეს მართავენ ქუჩას. არათუ ვერ მართავენ, მიტინგზეც კი წარმოუდგენელია მათი გამოსვლა. წარმოიდგინეთ ალასანია მიტინგზე შეძახილებით, ეს ხომ წარმოუდგენელია?

– და რატომ არის შეუძლებელი, მის გვერდით ვიხილოთ ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც ქუჩის მუხტის შექმნაში დაეხმარება?

– არც არიან და ვერც იქნებიან მის გვერდით ასეთი ადამიანები, იმიტომ რომ მისი პოლიტიკური ტემპერამენტი არ გულისხმობს ასეთ ადამიანებთან თანამშრომლობას. თუ ალასანია ასეთებთან ითანამშრომლებს, ავტომატურად გადაინაცვლებს მეორე პლანზე, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გახდება ის ქუჩის ლიდერი.

– ქუჩის ლიდერად ვის ხედავთ?

– არ ვფიქრობ, რომ დღეს იმდენად დრამატული სიტუაციაა, პროცესები ქუჩაში გადავიდეს. ამის წინაპირობას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბევრი პრობლემაა, მაინც ვერ ვხედავ. ერთადერთია სამართლიანობის აღდგენის თემა, ხელისუფლება ამ მოთხოვნის წინააღმდეგი არ არის. იგივე ინაშვილის მიერ მოწყობილი აქცია, თავისი იდეით არ ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების გაცხადებულ პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, საფუძველი, რომ ქუჩაში ტემპერატურამ აიწიოს, არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ პოლიტიკური მოთხოვნებით აქციები არ იქნება...

– რამდენად შეიძლება ქუჩის ლიდერად ლევან ვასაძე ჩამოყალიბდეს, ან ამის მცდელობა მაინც ჰქონდეს?

– ლევან ვასაძე არც ქუჩის ლიდერად ჩამოყალიბდება და არც კაბინეტის, არც აქვს მას ამის შანსი და ვერც ამის სურვილს ვერ ვატყობ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ზედმეტად ხდება მის ფიგურაზე აქცენტირება. რა პარამეტრით ხდება ეს, არ ვიცი. პერიოდულად გამოთქვამს ხოლმე საკუთარ აზრს კონკრეტული საკითხის ირგვლივ და ეს არის მისი მოღვაწეობის მთელი ფილოსოფია.

გია ხუხაშვილი: „ირაკლი ალასანია და ქუჩა – ეს ორი რამ შეუთავსებელია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელდარ შენგელაი

my View

თამარ გონგაძე

რუბრიკა „ცხოვრების გზა“ თვითონ მკარნახობს რესპონდენტებს. ამ გვერდებზე მხოლოდ ასეთ ადამიანებს თუ ჩაწერ, მსუყე ცხოვრებისეული გამოცდილებითა და საინტერესო სამყაროთი. ცხოვრება ისე არ მიდის, როგორც ჩვენ გვსურს ხოლმე, ვარდების სურნელთან ერთად ეკლების ჩხვლეტის შეგრძნება მიგვყვება. აღმართ-დაღმართის ლოგიკაც ამ თემაშია. ბედისწერა თუ თავისუფალი ნება – მუდმივი ჭიდილია. ზოგჯერ რაღაცებისთვის თავიდანვე ხარ განწირული, ან დიდებისთვის, ან თავდაღმართისთვის. ელდარ შენგელაიას ბედი მისმა ოჯახმა თავიდანვე განსაზღვრა. რეჟისორისა და მსახიობის შვილს თითქოს არჩევანი არც ჰქონდა. ეცადა „გზიდან“ გადახვევას, ჰიდროტექნიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ „გეპეი“ მისი საქმე არ იყო. ამიტომ „სცენარს“ მიჰყვა, მოსკოვში კინოსარეჟისოროზე ჩააბარა. ქართული კინო ელდარის ფილმების გარეშე წარმოუდგენლად მეჩვენება. 26 იანვარს კლასიკოსი რეჟისორი 82 წლის გახდა.

ბედი, ოჯახი, პროტესტი

ელდარ შენგელაია: ვფიქრობ, ადამიანი თვითონ განაგებს თავის ბედს. არის რაღაცები, რასაც ვერ ერევი, რადგან უფალი არსებობს. თუმცა საქმისადმი დამოკიდებულებით ადამიანმა თვითონ უნდა განსაზღვროს საკუთარი ბედი. მე ისეთ ოჯახში დავიბადე, კინორეჟისორი უნდა გავმხდარიყავი. დედა შეწუხდა, უმუშევარი იქნებიო. ომის მერე ბევრი ფილმი ჩამოიტანეს და სტალინმა ფილმების წარმოება შეწყვიტა. ქვეყანას უჭირდა, ფულს კინოზე აღარ ხარჯავდნენ და ცოტა ფილმს იღებდნენ. მე მაინც გადავწყვიტე წასვლა. დედა საბჭოთა კავშირში ცნობილი მსახიობი იყო და მე არ მინდოდა მისი სახელით ჩავრიცხულოყავი უმაღლესში. გავაფრთხილე, თუ სასწავლებელში მოხვალ, მე იქიდან წამოვალ-მეთქი. ანბანის მიხედვით გვიძახებდნენ, მე გვარის გამო დიდხანს მომიხდა გამოცდაზე შესასვლელად ლოდინი. მოდის ბიჭი, ვიღაც ქალი გეძახისო, მითხრა. ჩავედი და დედა დგას. დედა, რატომ მოხვედი, მე აქედან წავალ-მეთქი, გავუმეორე. მშიერი ხარ, „ბელორუსსკი ვაგზალზე“ წავიდეთ, შევჭამოთ და მოდი ისევ გამოცდაზეო. დედა კახელი იყო და სადილზე ერთ ჭიქა ღვინოს სვამდა და ჩვენც, მე, გიორგის და თენგიზს გვასმევდა ხოლმე. შევხედე, საჭმელთან ერთად ერთი ჭიქა არაყი მოაქვთ. გამიკვირდა, დედამ უნდა დალიოს არაყი-მეთქი? დედამ მითხრა, შენ დალიე და გამოცდას უფრო კარგად ჩააბარებო. მართლაც ასე იყო.

დედისადმი საზოგადოების დიდ ყურადღებას ვაპროტესტებდი. ომის პერიოდი იყო და ძმები გადახოტრილები დავდიოდით. დედასთან ერთად ქუჩაში რომ მივდიოდი, დედას აჩერებდნენ, ელაპარაკებოდნენ, მერე ჩემზე გადმოდიოდნენ, უი, რა ლამაზი ბიჭი ხარო მეუბნებოდნენ. ეს საშინლად არ მომწონდა. მე ვიცოდი, რომ ლამაზი არ ვიყავი. ამიტომ დედას ვუთხარი, შენ გვერდით არ ვივლი, მე ან წინ წავალ რამდენიმე ნაბიჯით, ან უკან ჩამოგრჩები-მეთქი. ასე დავდიოდით, მე ან წინ ვიყავი, ან უკან. სკოლაში ცუდად ვსწავლობდი და დედას ვაბრაზებდი. დედას გარდაცვალების დარდი დიდხანს გამყვა. ხშირად დავდივარ პანთეონში, დედ-მამის საფლავზე. დედას ძალიან უყვარდა იები. სამი დღის წინ მივედი საფლავზე და იების კონები დავალაგე...

პირველი შენაძენი – ღამის ქოთანი

„ВГИК“-ში ბევრი ქართველი სწავლობდა. იმ დროს, როდესაც ბატონი ელდარი კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, იმ პერიოდში მასთან ერთად სწავლობდნენ: თამაზ მელიავა, მერაბ კოკოჩაშვილი, ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია. მახსოვს, მერაბ კოკოჩაშვილმა მომიყვა: „ერთ ოთახში ვცხოვრობდით მე, ძმები შენგელაიები, ოთარ იოსელიანი, ბორის ანდრონიკაშვილი. გვერდით ოთახში იყო ოთარ აბესაძე, ქვედა სართულზე ბაადურ წულაძე. „ВГИК“-ში სწავლისას ყველანი შეყვარებულები ვიყავით, ძირითადად რუს გოგონებზე, მაგრამ სწრაფმავალი რომანები იყო. ოთარ იოსელიანმა სტუდენტობის დროინდელი სიყვარული, რიტა შეირთო ცოლად, ელდარ შენგელაიამ - არაადნა. არიადნა პარალელურ ჯგუფში სწავლობდა და იქ დაიწყო მათი სიყვარულის ისტორიაც“.

ელდარ შენგელაია: – სწავლისას ბევრი მეგობარი გავიჩინე. იქ გავიცანი თამაზ მელიავა, რომელთან ერთადაც გადავიღე ფილმი „თეთრი ქარავანი“. რაც მთავარია, გავიცანი ლიოშა სახროვი, რომელსაც ჩემს მესამე ძმას ვეძახდი. მე და ლიოშამ სწავლის დამთავრების შემდეგ „მოსფილმში“ ორი ფილმი გადავიღეთ - „ლეგენდა გაყინულ გულზე“ და „ზამთრის ზღაპარი“. ევგენი ლეონოვმა პირველი როლი ჩვენთან ითამაშა. კარგად მიიღეს ჩვენი ნამუშევარი. სამთავრობო აგარაკებზე აჩვენეს ფილმი. იქ ვიღაცამ დაიწუნა და ცოტა ჰონორარი მოგვცეს. ბანკეტისთვის თანხა გადავდეთ და დარჩენილი თანხით მე ჩემი ქალიშვილი ნატოსთვის ღამის ქოთანი ვიყიდე. მაშინ არიადნა იყო ჩემი ცოლი და ძალიან გაუხარდა ჩემი ნაყიდი ქოთანი. კინოდან ეს იყო ჩემი პირველი შენაძენი.

„ეს კოლიას შვილია“

„მე და ლიოშას გოგოლის „ცხვირის“ გადაღება გვინდოდა. ივან პერევმა, გაერთიანების ხელმძღვანელმა, ჩვენი სცენარი გადაყარა, თანამედროვე ფილმი უნდა გადაიღოთო. მივხვდი, იქ არ იყო ჩემი ადგილი. „მოსფილმი“ დატოვა ლიოშამაც და ყირგიზეთში წავიდა. კანცელარიაში წამოსვლის თაობაზე განცხადება, რომ დავწერე, მითხრეს, „ერთი კვირა წასვლის უფლებას არ მოგცემთ. ყველას უნდა „მოსფილმში“ მოხვედრა, თქვენ კიდევ მიდიხართო“. გადაწყვეტილება არ შემიცვლია, თბილისში წამოვედი.

კინოსტუდიაში დარაჯი არ მიშვებდა. შოთა მანგაძემ უთხრა, ეს კოლიას შვილია, ამისთვის ყველა კარი ღიააო. დავიწყე მუშაობა. ჩვენი დირექტორი მწერალი და ფილოსოფოსი მიხეილ კვესელავა გახლდათ. მან დიდი როლი შეასრულა ჩვენთვის - ახალი ტალღისთვის. სტუდიაში მოიყვანა ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც მაშინ არ იბეჭდებოდნენ. ესენი იყვნენ: ნოდარ დუმბაძე, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი... „თეთრ ქარავანი“ რომ გადავიღეთ, ერქვა „გზები და გზაჯვარედინები“. ნოდარ ბუმბაძემ ნახა ფილმი და მე და თამაზს გვითხრა, სათაური არ ვარგა, „თეთრი ქარავანი“ დაარქვითო. ასეც მოვიქეცით. ეს ფილმი კანის ფესტივალზე იყო წარდგენილი. არც მე და არც თამაზი არ გაგვიშვეს. კომიტეტის თავმჯდომარე ბასკაკოვი იყო. მოგვიანებით მოსკოვში „მიქელას“ სცენარის გამო ჩავედი და ბასკაკოვი მეუბნება, კანში რატომ არ ჩამოხვედი, ისე კარგად მიიღეს „თეთრი ქარავანიო“. თითქოს მე შემეძლო მათ გარეშე საზღვარგარეთ წასვლა“.

„ელენეს გადარჩენა შეიძლებოდა, უცებ რომ მიეღოთ საავადმყოფოში. გვიანი იყო. მე დავუხუჭე თვალები... ეს ისეთი ტრაგედიაა, რომელიც მე და ნელის სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. ამის მკურნალი არ არსებობს. ვისაც შვილი არ დაღუპვია, ის ამ დარდსა და წამებას ვერ გაიგებს“

„ცხოვრება ამოცანას გაძლევს და შენ უნდა გადაწყვიტო. საჩუქარი არ არის, მუდმივი გამოცდაა. ეს გამოცდა უნდა ჩააბარო“

რეზო გაბრიაძის აღმოჩენა

რომ არა რეზო გაბრიაძისა და ელდარ შენგელაიას დუეტი, „უბრალოდ“ არ გვექნებოდა „შერეკილები“ და „არაჩვეულებრივი გამოფენა“, ქართული კინოს ორი მარგალიტი. ეს კი ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ცათმფრენის გაფრენა „შერეკილებში“.

„ახალი ფილმისთვის ვეძებდი სცენარს და წავედი მოსკოვში. სასცენარო კურსზე მამაჩემის მეგობარ რეჟისორ ტრაუბერგთან მივედი – აქ რამდენიმე ქართველი სწავლობს და რომელთან მისვლას მირჩევთ-მეთქი. რეზო გაბრიაძესთან მიდიო, მირჩია. მომცა რეზოს სცენარი. ეს იყო 250-გვერდიანი მასალა. შევხვდი რეზოს. „არაჩვეულებრივი გამოფენის“ სცენარი ნელ-ნელა დავიყვანეთ სცენარის ნორმაზე, 80 გვერდზე. სტუდიაში მოსამზადებელი სამუშაო მაქვს და თბილისში ჩამოვიდა გია დანელია. გია იწყებდა „არ დაიდარდოს“ გადაღებას. მე სცენარისტად რეზო გაბრიაძე ვურჩიე. მეორე დღეს შევახვედრე ერთმანეთს. რეზოს ვუთხარი, უფრო მეტად იყავი გიასთან, მე რომ დამჭირდები, დაგირეკავ და მოხვალ-მეთქი. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ისე გადავიღე, რეზო თითქმის არ ესწრებოდა. ბათუმში და ქუთაისში ჩამოვიდა. უმეტესაც გიასთან იყო. ფილმი არც ერთ ფესტივალზე არ ყოფილა. ბულგარეთში აჩვენეს, მე და ლალა თაბუკაშვილი ვიყავით. გორბაჩოვის პერიოდში როტერდამში ჩემი მოწაფე დიტო ცინცაძე გახლდათ და მითხრა, იქ ფილმი ძალიან კარგად მიიღესო.

„შერეკილები“

ეს ფილმი ისევე არ მბეზრდება, როგორც „ცისფერი მთები“. მუდმივად, ყოველ ნახვაზე ახალს აღმოვაჩენ ხოლმე. ბავშვობაში იმ მომენტზე, ბიძია-ბაბუა რომ თავისი სიყვარულის ისტორიას ჰყვება, ვისესებოდი და ვეღოდები მომენტს, როდესაც იტყოდა – ეჰ, თამუნია, თამუნია... მომწონდა კოკეტი მარგალიტა თავზე დაკოსებული ბაფთით. ნიძლავსაც ვიგებდი – დამისახელეთ ფილმი, სადაც მხოლოდ ერთადერთი ქალი თამაშობს-მეთქი. ეს „შერეკილებია“ :) ბატონმა ელდარმა არიადნა შპრინკს გვარი მისცა. არიადნა შენგელაია „ევგენი ონეგინში“ თამამის შემდეგ ძალიან პოპულარული რომ გახდა, ელდარს ეკითხებოდნენ, არიადნასი ვინ ხარო? :) იყო ასეთი დროც.

„ფილმის გადაღება რომ დავიწყეთ, სირთულეს გადავაწყდით – ცათმფრენის გაკეთება. მე მყავდა ნათესავი გენერალი სუდეცი, საჰაერო ძალების უფროსი. მისი ქალიშვილი გოგი ანდრონიკაშვილის მეუღლე იყო. გასცა ბრძანება, რომ ჩვენთვის ეს პროექტი გაკეთებულიყო. წავედით მოკოვში. ორსართულიან შენობაში შევედით და ლიფტი ქვევით ჩავიდა, არ ვიცი რამდენი სართულით ქვევით. იქ დაგხვდა სატაროვი, კონსტრუქტორი. ჩვენ ვაჩვენეთ თენგიზ მირზაშვილის და თავად რეზო გაბრიაძის დახატული ცათმფრენის ესკიზები. ერთ კვირაში გავაკეთებო, დაგვპირდა. ერთ კვირაში რკინის ჩონჩხი მართლაც დაგვახვედრა. იცინოდა, ამერიკელებს შევუგდებთ და იტყვიან, ეს რა მოიგონეს რუსებმაო. ეს კონსტრუქცია თბილისში ჩამოვიტანეთ. ჩვენთან მხატვარი იყო ჩუბჩიკას მამა, ბატონი რეზო მირზაშვილი. მოსკოვიდან წამოღებული წებოთი დააწება ყველაფერი და საბოლოო სახე მისცა ცათმფრენს. ჩავიტანეთ თელავში, აეროდრომზე. მოვიდა გენერალი - ეს უნდა აფრინდესო? გადმოგვხედა. აფრინდებაო, ვუთხარით. ცათმფრენი ნელ-ნელა რომ აფრინდა, გენერალმა - „იოფ ტვაიუ მაწ, ლენინტო“.

ფილმი შახის პერიოდში თეირანის კინოფესტივალზე აჩვენეს. მე სცენაზე გამომიყვანეს. ვხედავ, ირგვლიც ციცინათელებს. ეს იყო ქალბატონების დეკოლტეზე აბრჭყვიალებული ბრილიანტები. დედოფალს აჩვენეს „შერეკილები“ და მოეწონა. ჩემთან ერთად იყო საბჭოთა ელჩი, მთხოვა, შემიყვანე, არ მინახავს ეგ ფილმიო. ძალიან კარგ სასტუმროში ვცხოვრობდი, ყველა რესტორანში შემეძლო მესადილა. მთელი საელჩო ჩემთან ერთად ჭამდა. წასვლის დღეს საწოლზე ანგარიში დამხვდა. ათასობით დოლარი ეწერა. არადა, 25 დოლარის ამარა ვიყავი. ნერვიულობისგან მთელი ღამე არ მიძინია. დილას საელჩოს თანამშრომელი მოვიდა - ამ თანხით კიდევ შეგიძლიათ რესტორნებით სარგებლობაო.

- არის სიყვარული ვერტიკალური და თან ბრუნვადი?

- რა თმა უნდა.

„ცისფერი მთები“ – კლასიკა

„სამანიშვილის დედინაცვალმა“ ქაიროს ფესტივალზე გამოსახულებისთვის აიღო პრიზი. ანუ ეს ჯილდო ლომერ ახვლედიანმა აიღო. და დადგა „ცისფერი მთების“ პერიოდი. ეს ფილმი სულ სხვაგვარად ძვირფასია რეჟისორისთვის. მისი გადაღების დროს გაჩნდა ელდარის ქალიშვილი ელენე, რომელიც მოგვიანებით ტრაგიკულად, ავტოავარიით დაიღუპა. რეჟისორმა ფილმი ქალიშვილს მიუძღვნა. „ცისფერი მთები“ კანის ფესტივალზე 1984 წელს ორჯერ აჩვენეს, მსგავსი რამ კი კანში არ ახსოვთ. 30 წლის შემდეგ კი ფილმი კლასიკური ფილმების კატეგორიაში მოხვდა. ელდარ შენგელაია კლასიკოსად აღიარეს.

„თითქმის ერთი ნელინადი ვწერდით მე და რეზო ჭეიშვილი სცენარს. მას ჩვენ კინოსტუდიაზე ჰქონდა პატარა მოთხრობა „ცისფერი მთები“. იქ არც მარკშრეიდერი იყო, არც ნგრევა. ამ მოთხრობის საფუძველზე დავიწყეთ წერა. სცენარს კინოში დიდი მნიშვნელობა აქვს. ეიზენშტეინი ამბობდა, თუ სცენარი კარგი გაქვს, ჩათვალე, რომ ფილმი გაკეთებულია. მოსკოვში შენიშვნები მოგვცეს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავაკეთეთ. თემიკო ჩირგაძეს რომ უნდა ეთამაშა ეს უკვე გადაწყვეტილი მქონდა. ქალბატონი სესილიას დაყოლიება მინდოდა. გიორგი ვერიკოს სიძე იყო და ქალბატონი სესილია იქ სტუმრობისას გავიცანი. მივუტანე სცენარი. შენ გიჟი ხომ არ ხარ, ხვალ თუ ზეგ უნდა წავიდე ამ ქვეყნიდანო, გამომიცხადა. ქალბატონო სესილია, მე სცენარს დაგიტოვებთ, თქვენ წაიკითხეთ, მირჩიეთ ვინ გადავიღო-მეთქი. მეორე დილის ცხრა საათზე გაისმა ტელეფონის ზარი - ჩქარა მოდი ჩემთანო, ქალბატონი სესილია იყო. ჩემი „ნივით“ გავვარდი. კარი გამიღო და ზუსტად ისე დამხვდა, როგორიც ფილმშია, ქალბატონი თამარის როლში. მუხლზე დავეცი, წუთებში გადავიღებთ-მეთქი. ჯანდ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჯერ ჩემი ძმა ჩააგდეს, მერე ლანა ღოღობერიძე, მერე მიშა კობახიძე, მერაბ კოკაჩაშვილი, საშა რეხვიაშვილი და ახლა ელდარ შენგელაია. გამოდის, რომ კინოცენტრი უფროს თაობას ებრძვის. ამ რეჟისორებს ფული რომ არ მისცე, ეს შეიძლება? სანამ ცოცხლები ვართ, გამოგვიყენონ რა“ EXCLUSIVE

აბას შენი თავიო, დამთანხმდა. ავად იყო, ლეჩკომბინატში იწვა, იქიდან მოჰყავდათ გადაღებაზე, ჩვენ მზად ვხვდებოდით, გადავიღებდით და უკან მიგვყავდა. კინოს სახლის დიდ დარბაზში გვქონდა ჩვენება. ქალბატონი სესილია პარტერში იჯდა. თავმდაბალი ქალი იყო, სიტყვით გამოსვლა არ უყვარდა. შემოქმედებით ჯგუფთან ერთად რომ დავასახელე, მუშტი მომიღერა. მაინტერესებდა როგორ მიიღებდა ფილმს. ყურს აკლდა. კარგი სურათია, მაგრამ ვერაფერი გავიგეო, მითხრა. მეორე დღეს მექანიკოსს ხმა ავაწევინე. ყველა დაყრუვდა, ქალბატონმა სესილიამ ფილმი შეაქო. ფილარმონიაში ფილმის ჩვენებას სერგო ფარაჯანოვი ესწრებოდა. ჩვენების შემდეგ მსახიობების წარდგენისას ხალხი ფეხზე ადგა, ოვაციებით შეხვდა სესილია თაყაიშვილს. მიართვეს თაიგული. მანქანაში ჩავსვით, სახლში გავუშვით... და სამ დღეში გარდაიცვალა კიდეც...

თავმჯდომარე ერმაში თვლიდა, რომ ეს ანტისაბჭოთა ფილმია. გარდაქმნის დროს ბიჭვინთაში ჩამოვიდა გორბაჩოვი. ქართული ფილმები მოითხოვა. იქ იყო შევარდნაძეც. მე მოგვიანებით ეს მთარგმნელმა მომიყვა. გორბაჩოვს სიცილით უყურებია „ცისფერი მთებისთვის“ და შევარდნაძისთვის უთქვამს, რამე თუ არ ვიღონეთ, როგოც ამ ფილმში ჩამოვარდა ჭერი, სახელმწიფოც ასე დადგენგრევაო. ასეც მოხდა.

1984 წელს კანის ფესტივალის დირექციამ ერმაშს სთხოვა, რომ „ცისფერი მთები“ კონკურსში გაეშვათ. მან არ გაუშვა. დილას ადრე აჩვენეს, სარეჟისორო ჩვენებაზე. ხმა მაინც დაირხა, კარგი ფილმიაო. კანის ფესტივალზე ფილმს ერთხელ აჩვენებენ, „ცისფერი მთები“ მეორეჯერაც აჩვენეს. სენსაცია მოხდა, საღამოს ჟურნალისტებმა განგაში ატეხეს, რაც კი რამ ვნახეთ, ყველაზე საუკეთესო ფილმი ეს არისო. ღამით სპეციალურად მეორე ჩვენება მოაწყვეს, რომელსაც კინომცოდნეების უმაღლესი შეფასება მოჰყვა. ბევრი კრიტიკოსი, რეჟისორი, პრესა... შეადარეს კაფკას, გოგოლს. დიდი დრო გავიდა და შარშან მაისში კანში კლასიკოსად გამომაცხადეს. ათასი ფილმიდან „კან კლასიკში“ 20 ფილმი შევიდა. იქ მოხვდა „ცისფერი მთები“. ამ ოცეულში ჩემი კერპი რეჟისორების – ფელინის, ანტონიონის, გოდარის, ბერგმანის ფილმები შევიდა. გამიხარდა ძალიან. ეტყობა, ეს კინოცენტრს არ გაუხარდა.

– რატომ?

– ახლახან კინოცენტრში სცენარი წარვადგინე და ორიანი დამიწერეს, დამიწუნეს. კინოცენტრის დაარსების იდეა მე მეკუთვნის. ამისთვის საფრანგეთში გავფრინდი, ფრანგული კინოცენტრის სანახავად. ოთარ იოსელიანი ვნახე, რომელიც იქ იღებდა ფილმებს. დიდხანს დავდიოდით მე და ოთარი ფრანგულ კინოცენტრში. ყველაფერი აგვიხსნეს. აქ რომ დავბრუნდი, არაერთხელ ჩამოვიდნენ ფრანგები. ჩვენ მცირე დარბაზში კინემატოგრაფისტებიც ისხდნენ და ფრანგები გვიხსნიდნენ როგორი უნდა მუშაობდეს კინოცენტრი. პარლამენტში მიიღეს კანონი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კინოცენტრი.

დაწუნებული სცენარი – ოროსანი კლასიკოსი
– რა სცენარი დაგიწუნეს?

– ჩემი პროექტია „სავარძელი“. თანამდებობის პირზე და სკამზეა. სავარძელია თავად პერსონაჟი. მე და გოგა ცხვედიანმა დავწერეთ. არ მოეწონათ. არადა, კონკურსში უცნაური ჟიური იჯდა. კლიპების გამკეთებლები, დოკუმენტალისტი... ერთადერთი, კოტე ჯანდიერს რომ ეთქვა, ცუდი სცენარიაო, საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა. როდესაც კლიპმეიქერი, რომლის გადაღებული კლიპი არ მინახავს, ამბობს, რომ სცენარი ცუდია, მე შეურაცხყოფილი ვარ. კომპეტენტურის უარს მივიღებდი. ჯერ ჩემი ძმა ჩააგდეს, მერე ლანა ღოღობერიძე, მერე მიშა კობახიძე, მერაბ კოკაჩაშვილი, საშა რეხვიაშილი და ახლა ელდარ შენგელაია. გამოდის, რომ კინოცენტრი უფროს თაობას ებრძვის. ამ რეჟისორებს ფული რომ არ მისცე, ეს შეიძლება? გია დანელია შვიდი წელი აკეთებდა ანიმაციურ ფილმს „ქინძაძა“. შვიდი წელი კულტურის სამინისტროს ფონდი ძალიან დიდი ფულით აფინანსებდა. რუსეთში უფროს თაობას უფრთხილდებიან. „მოსფილმში“ უფროსი თაობისთვის ძველი ტექნიკა სპეციალურად არის შემონახული, სანამ ისინი ცოცხლები არიან, უნდათ, რომ იმუშაონ. ჩვენთან ამაზე არავინ ფიქრობს. სიონში პატარა 8 წლის ბიჭი მეკითხება, „შერეკილები“ შენ გადაიღეო? უფროსი თაობის მიმართ სხვა დამოკიდებულება უნდა იყოს. სანამ მე, გიორგი, საშა, მერაბი და რეზო ესაძე ცოცხლები ვართ, გამოგვიყენონ რა.

– თქვენ ბოლო ნამუშევრად „ექსპრეს ინფორმაცია“ ითვლება, არა?

– თუ არ ჩავთვლით შარშანდელ კოპროდუქციას რუსეთთან, „ექსპრეს ინფორმაცია“ ბოლო ნამუშევრად ითლება. გამსახურდიას დროს ვიღებდი, თან მიტინგებზე დავდიოდი და მთლად კარგი ფილმი არ გამოვიდა. მერე გადავამონტაჟე. ახლა მეუბნებიან, ცუდი ფილმი არ ყოფილაო.

– რეზო გაბრიაძესთან ისევ უნდა გეთანამშრომლათ, მახსოვს.

– „პატარა ქალაქი“ ჰქვია მის მოთხრობას. მაგრამ რატომღაც უარი მითხრა მის გადაღებაზე. რეზო ცოტა ჭირვეულია. მე ეს არ მწყინს.

ელენე

ასეთი ოჯახი, თავბრუდამხვევი კარიერა და ფილმოგრაფია, წარმატება, სახელი და უცებ მოულოდნელი ტრაგედია. ელენე ელდარის მესამე ქალიშვილი იყო, მეორე ქორწინებიდან. რვა წლის წინ 23 წლის სიცოცხლით სავსე გოგონა მოულოდნელად დაილუპა, ავარიით. „ელდარი დღემდე ვერ მშვიდდება, მანქანა არ უნდა გვეყიდა, იქნებ ტრაგედია თავიდან აგვეცილებინაო“, – ამბობს რეჟისორის მეუღლე, ქალბატონი ნელი დავლიანიძე.

„პრაიმტაიმი“ ამ ტრაგედიაზე ხუთი წლის წინ წერდა. მაესტრომ მაშინ შვილისთვის მიძღვნილი ფილმი მაჩვენა, ელენეს ბავშვობიდან ცხოვრების ბოლომდე გადაღებული ვიდეო მასალების ნაკრები.

გოგონას წინათგრძნობა ჰქონდა. დედას უთხრა, ისეთი შეგრძნება მაქვს, მალე უნდა მოვკვდეო. მე არ გავთხოვდები, ქმარი არ მეყოლებაო. ბოლო ზაფხულს მანქანის ყიდვა არანორმალურად აიჩემა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე სან-ფრანცისკოდან ჩამოვიდა. უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა, მოენყო GIPA-ს მაგისტრატურაში და საღამოს უნდა ევლო ლექციებზე. უცებ გადაწყვიტა, სწავლისთვის თავი დაენებებინა. წელს უნდა დავისვენო, ძალიან დავიღალეო. თუ ვერ მარჩენთ, მონაფე ამიყვანეთო, ნახევრადხუმრობით ამბობდა. მამა ბრაზობდა, რატომ გამოვიდა GIPA-დანო...

რეჟისორს მასზე სასაუბროდ თვალები აენთო. ახლა ელენეზე ვილაპარაკებო. გული ჩამწყდა...

„ელენე სნორედ მაშინ დაიბადა, როდესაც მე „ცისფერ მთებს“ ვიღებდი, 1983 წელს. პავილიონში მითხრეს, ელენე დაიბადაო. ჩემმა დირექტორმა შამპანური გახსნა, იქვე აღვნიშნეთ. „ცისფერი მთები“ მე ელენეს მივუძღვენი. ერთხელ მე და ნელიმ წავიყვანეთ ოპერაში. ნინო ანანიაშვილი რომ ნახა, ცეკვა მოუნდა. ნელიმ ჰუანტები უყიდა და სახლში ცეკვავდა. მე მინდა გამოვიდე ნინო ანანიაშვილიო, ამბობდა. სწავლობდა გერმანიში, ლონდონში, ამერიკაში, სან ფრანცისკოში. დირექციამ მოგვწერა, იდეალურად იცის ინგლისური ენა, მაგრამ მაინც უნდა ნახოს ინგლისური ფილმები და იკითხოს ლიტერატურაო. რომ ჩამოვიდა მას დასვენება უნდოდა, მე მინდოდა ესწავლა. ამაზე კონფლიქტი მოგვვიდა. ეს ჩემი შეცდომა იყო... მას მართლა ესაჭიროებოდა დასვენება. მაშინ მოინდომა მანქანაზე დაჯდომა. ტანით ძალიან პატარა იყო. როგორც ჩანს, ამან იმოქმედა და მოხდა ეს საშინელი ამბავი, ავარია. მისი გადარჩენა შეიძლებოდა, უცებ რომ მიეღოთ საავადმყოფოში. ძალიან დიდხანს ატარეს აქეთ-იქით. ლიფტში რომ შევედი, გული მიმდისო, მითხრა. რომ დამინახეს გამოცვივდნენ ექიმები და შეიყვანეს საოპერაციოდ. გვიანი იყო. მე დავუხუჭე თვალები... ეს ისეთი ტრაგედიაა, რომელიც მე და ნელის სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. ამის მკურნალი არ არსებობს. ვისაც შვილი არ დაღუპვია, ის ამ დარდსა და წამებას ვერ გაიგებს.

ერთი-ორჯერ დამესიზმრა. იშვიათად ვხედავ დედას, მამა საერთოდ არ მინახავს. მას მერე, რაც უწმინდესმა და უნეტარესმა გვითხრა, ელენეს სული ცოცხალიაო, სხვაგვარად შევხედე ყველაფერს. შემდეგ გოგი ხარაბაძემ წაგვიყვანა ეკლესიაში მამა გიორგი ზვიადაძესთან... ასე დავიწყეთ მე და ჩემმა მეუღლემ ეკლესიური ცხოვრება...

სიონში მამა გიორგი ელენეს პანაშვიდს იხდიდა. ამ დროს მოფრინდა თეთრი მტრედი. ჯერ სარკმელზე იჯდა, მერე ბოძზე გადავიდა და ბოლოს კანკელზე დაჯდა. პანაშვიდის დამთავრებამდე იქ იყო. პანაშვიდი დასრულდა თუ არა გაფრინდა. თითქოს ელენეს სული იყო... მამა გიორგი გვეუბნება, ყველაფერი უფლის ნებაა და ელენე ახლა ანგელოზია ცაშიო. მე ამის მჯერა. მოძღვარი რაღაცნაირად გვეხმარება, მაგრამ ამის გადატანა ძნელია. მის საფლავზე ვლოცულობ.

ოჯახი

„გიორგი ავადმყოფობს, ფეხები სტკივა და მე მასთან ავდივარ მოსანახულებლად. ერთი ძმა მყავს და როგორ შეიძლება რომ ყურადღება არ მივაქციო? თენგიზი უფროსი იყო, მე და გიორგი ვჩხუბობდით ხოლმე. გიორგიმ მომიარა. მოსკოვში სწავლისას დაძონძილი პალტო მეცვა. მან „ოთარაანთ ქვრივში“ რომ ითამაშა, ფული აიღო, მოსკოვში ჩამოვიდა, წამიყვანა მკერავთან და ძალიან კარგი პალტო შემიკერა“.

– ცოლი ოჯახის ბურჯია?

– რა თქმა უნდა, ბურჯია. ნელი ჩემი ცოლი იყო, ახლა ჩემი დედაა, მის ბრძანებას ვემორჩილები.

– ცხოვრება როგორია?

– ცხოვრება ამოცანას გაძლევს და შენ უნდა გადაწყვიტო. საჩუქარი არ არის, მუდმივი გამოცდაა. ეს გამოცდა უნდა ჩააბარო. რაც მთავარია, უნდა იშრომო.

„გორბაჩოვს სიცილით უყურებია „ცისფერი მთებისთვის“ და შევარდნაძისთვის უთქვამს, რამე თუ არ ვიღონეთ, როგორც ამ ფილმში ჩამოვარდა ჭერი, სახელმწიფოც ასე დაგვენგრევაო. ასეც მოხდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სად არის განთავსებული საკაშვილის კიევური შტაბი?

მარიამ ნადირაძე

უკანასკნელ ხანს ბევრი საუბრობს ნაციონალური შტაბის შესახებ კიევში. ამ თქმულების მიხედვით, ყოფილი ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ გეგმას აწყობს, რომლის მიზანიც ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდებაა.

ამ ვერსიას ხორცს ასხამს და ამ ე.წ. შტაბის წევრებისა და დაფინანსების შესახებ გვიამბობს სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი, რომელიც საკმაოდ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული გვარების დასახელებისას ექსპერტი გვარწმუნებს, ჩემს ყველა ნათქვამზე პასუხს ვაგებო, ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, მაინც ვერ გავუმხელთ მკითხველს ამ გვარებს, თუმცა ისტორიებს, რა თქმა უნდა, უცვლელად შემოგთავაზებთ.

მაშ ასე, რას გეგმავენ ნაციონალები გაზაფხულზე? ვინ უხდის ხელფასს უკრაინაში ჩასულ ქართველ მებრძოლებს? რომელ სასტუმროში არის განთავსებული ხსენებული შტაბი? რა ტიპის დავალებებს იღებენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში დარჩენილი, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერი მაღალი თანამდებობის პირები და რა გზებით ხდება ამ დავალებების განხორციელება? ამ კითხვებზე პასუხს ქვემოთ შემოთავაზებულ ინტერვიუში ამოიკითხავთ:

– ეს შტაბი შექმნა მიხეილ საკაშვილმა კიევური მაიდანის დროს. შტაბი განლაგებულია სასტუმრო „უკრაინის“ მესამე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში.

სწორედ აქ დაუთმეს საკაშვილს რამდენიმე ოთახი, სადაც ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ ბანდის მობილიზაცია. სწორედ სასტუმრო „უკრაინიდან“ ხდებოდა პროვოკაციები.

– რას გულისხმობთ?

– იქიდან ხდებოდა გასროლები მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართულებით. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა – მოეხდინა პროვოკაცია სისხლისღვრისთვის.

– ვინ ისროდა?

– ამ შტაბში მოხდა ყოფილი დამნაშავე სამხედროების მობილიზება (ასახელებს გვარებს. – მ.ნ.). სხვათა შორის, საქართველოში, ძალოვან სტრუქტურებში უკმაყოფილების გაღვივება სწორედ მათგან იმართება. ისინი კოორდინაციას უწევენ საქართველოდან ჩასულ ყოფილ სამხედროებსა და პოლიციელებს უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში ჩასართავად. ერთი სიტყვით, მრავალი მიმართულებით მუშაობენ იმისთვის, რომ უკრაინის მოვლენები საქართველოშიც განმეორდეს. ეს იგეგმება გაზაფხულისთვის. ამ ადამიანებს კავშირი აქვთ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე თანამდებობის პირებთან, აძლევენ მითითებას იმისთვის რომ მოხდეს საბოტაჟი სხვადასხვა მიმართულებით.

– ასეთ საბოტაჟებს აქვს ადგილი?

– რა თქმა უნდა. ამას წინათ სატელეფონო საუბარი შედგა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ თანამდებობის პირთან (ასახელებს გვარებს. – მ.ნ.). ამ მითითების მიხედვით, ამ თანამდებობის პირს დაევალა, სამხედრო ნაწილებში გამოთქმულიყო უკმაყოფილება დაახლოებით ასეთი ფორმულირებით – უკრაინაში ჩვენი ძმები ილუპებიან და ჩვენ აქ რას ვაკეთებთ? მართლაც, ძალიან მალე, ამ თანამდებობის პირს დაქვემდებარებულ ერთ-ერთ ნაწილში მოხდა ინციდენტი – ერთი ოფიცერი გამოვიდა (მისი გვარიც სახელდება. – მ.ნ.) და დაიწყო უკმაყოფილების გამოთქმა ზუსტად იგივე ტექსტებით. საქმეში სამხედრო პოლიცია ჩაერთო. მოვიდა კონტრდაზვერვაც. გარეგნულად თითქოს დაიწყეს მოკვლევა. მაგრამ, მოგეხსენებათ, კონტრდაზვერვა სავსეა ცნობილი „მასტერას“ კადრებით და ეს საქმე ჩაიფარცხა.

– ის თანამდებობის პირიც ადგილზეა დარჩენილი, ვინც ეს დავალება მიიღო კიევიდან?

– კი, დღესაც თანამდებობაზეა. არადა მის კისერზეა წამების არაერთი ფაქტი. ერთი ასეთი იყო იმ ოფიცრების წინააღმდეგ განხორციელებული, რომლებმაც უარი თქვეს თავის დროზე საპროტესტო აქციების დარბევაში მონაწილეობაზე. მან ეს ოფიცრები გააშიშვლა, ჩაყარა თხრილში, გადაასხა დიზელი და გაუთამაშა დაწვის იმიტაცია. ამ სცენას უყურებდნენ სხვებიც, რათა მათთვისაც ყოფილიყო ჭკუის სასწავლებელი. მეტიც, ერთხელ ერთ ბაზაზე მივიდა, სადაც პოლკოვნიკ მალხაზ კობერიძეს აგინა, საქმე ხელის შეხებამდე მივიდა. ამ ინციდენტის დროს პოლკოვნიკი გარდაიცვალა. მისი ოჯახი დღემდე იბრძვის სამართლიანობის მისაღწევად...

– ისევ უკრაინულ შტაბს დავუბრუნდეთ. რით ფინანსდებიან?

– საქართველოდან თუ ჩავა ვინმე, გახდება უკრაინის მოქალაქე და ჩაირიცხება უკრაინულ ჯარში, ის ოფიციალურად იღებს ხელფასს. სხვები საკაშვილისგან ფინანსდებიან, რომელსაც საქართველოდან 16 მილიარდი აქვს გატანილი და სხვადასხვა უცხო ქვეყნის ანგარიშებზე განთავსებული... იქ მოქმედებს დაქირავებულთა ჯარიც. ჩემი ინფორმაციით, ამ ჯარის რიგებში ჩარიცხული მებრძოლები დაახლოებით 3000 დოლარს იღებენ ხელფასის სახით. თუმცა, მე დავინტერესდი დაღუპული ქართველი მებრძოლების კავშირებით. აღმოჩნდა, რომ მათ არავითარი კავშირი არ ჰქონიათ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მის კიევურ შტაბთან.

– თქვენ აცხადებთ, რომ გაზაფხულზე იგეგმება არეულობა...

– სასტუმრო „უკრაინის“ შტაბში მოხდა ყველა ზონდერის, სოდისა და კუდ-ის გაქცეული თანამშრომლების მობილიზება. ხმამაღლა აცხადებენ, რომ თითქოს ისინი იქ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობენ. ეს არის სიცრუე. სინამდვილეში ისინი იქ გადიან მომზადებას იმაზე, თუ ვინ, სად, როდის და რა ქმედება უნდა განახორციელოს საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირების დროს და ვინ რომელი სახელმწიფო ობიექტის ბლოკირება უნდა მოახდინოს. კონსულტაციებზე ამ შტაბში სისტემატურად ჩადის გიორგი ვაშაძე, უწყვეტი კომუნიკაცია აქვს მათთან გივი თარგამაძეს, გიორგი ბარამიძეს, გიგა ბოკერიას. ამასთანავე, ახლა უკრაინაში იმყოფება ძებნილი ადეიშვილი. მეტიც, ჩემი ინფორმაციით, იქ ჩასული იყო დათა ახალაიაც და სოსო თოფურიძეც. ისინი კონსულტაციებს უწევენ სხვადასხვა უწყებების პირველ პირებს. ამასთანავე, საქართველოს მიმართულებით იგეგმება, გაზაფხულამდე ეტაპობრივად მოხდეს ამ შტაბის მიერ მომზადებული ჯგუფების შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე. როდესაც ჩვენს ტერიტორიაზე მოხდება მათი სრული მობილიზება, შემდეგ უკვე გადავლენ გეგმის მეორე ნაწილზე – მოქმედებაზე ხელისუფლების ხელში ასაღებად. მზად ვარ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დავუდო ყველა მასალა, რაც მე გამაჩნია ამ შტაბთან და მის გეგმებთან დაკავშირებით.

ვინ არის ირაკლი ფირცხალავას

„მოხმარებაზე იყო დაკავებული. ამაზე არავის არ იჭერდნენ და წინასწარ პატიმრობას არ აძლევდნენ. მარტო ჩემს ძმას მისცეს წინასწარი პატიმრობა“

მარიამ ნადირაძე

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების ირაკლი ფირცხალავას, კახა ლეგაშვილის, გიორგი ხიზანიშვილისა და გიორგი ჭანტურიას წინააღმდეგ განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მომზადებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება ერთი კვირაა დაიწყო. ირაკლი ფირცხალავას განმარტება უკვე უნდა იდოს საქმეში, ვინაიდან, ჩვენი ინფორმაციით, მან ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გადაწყვიტა პროკურატურაში თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ამ ფაქტის შესახებ ინფორმაციამ პირველად გაიჟღერა. თუმცა ოფიციალური ჩვენების მიღებას მისგან ჯერ არ ჩქარობს პროკურატურა ამ კონკრეტულ საქმეზე, ისევე, როგორც ჯერ არავის მოუთხოვია მისგან იგივე ცნობილი „კორტების“ საქმესთან დაკავშირებით...

ამასობაში კი ყოფილი მაღალჩინოსანი ცდილობს, ყველა კითხვას გასცეს პასუხი და მორიგეობით იპყრობს ქართული ტელეკომპანიების საეთერო დროს...

ამით ვსარგებლობთ ჩვენც და ვთხოვთ განმარტებას ვერსიაზე, რომელმაც მხოლოდ „პრაიმტაიმში გაიჟღერა“ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალი ხელისუფლების პირობებში შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ ირაკლი ფირცხალავას მეგობრები, ალეკო ტაბატაძე და დავით ბედია. სწორედ მათ უკავშირებდა ან გარდაცვლილი იური ვაზაგაშვილი „კორტების საქმის“ გამოძიების გაჭიანურებას.

ეს ვერსია კი შემდგომში მდგომარეობს: ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი ირაკლი ფირცხალავას ძმასთან კონფლიქტს შეეწირნენ, ეს კონფლიქტი კი ნარკოტიკების საქმეს უკავშირდებოდა. კონფლიქტი ძალიან გამწვავდა და მათ ანგარიში ამის გამო თავად ირაკლი ფირცხალავამ გაუსწორათ...

როგორც ჩანს, ამაზე აკეთებდა მინიშნებას ცოტნე გამსახურდია ერთ-ერთ გადაცემაში, როდესაც ირაკლი ფირცხალავას საკუთარი ძმის შესახებ სთხოვა, საზოგადოებისთვის ეამბა. ეს თემა აღარ გაგრძელებულა. ამიტომაც, „პრაიმტაიმმა“ სწორედ კონკრეტულად ამ დეტალის შესახებ გადაწყვიტა მკითხველის ინფორმირება, რის გამოც ჯერ ცოტნე გამსახურდიას დავუკავშირდით.

ცოტნე გამსახურდია:

– მე მინდოდა ირაკლი ფირცხალავას გაეცა პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა მისი ძმა დაკავებული ნარკოტიკების რეალიზაციაზე... სამწუხაროდ, ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.

– ლევან ფირცხალავას ნარკოდანაშაულზე დაკავება რა კავშირში უნდა იყოს ვაზაგაშვილისა და ხუბულოვის საქმესთან?

– ის ხელაღებით უწოდებს კრიმინალებს გარდაცვლილ ადამიანებს და ამიტომაც იქნებოდა საინტერესო, მისგანვე გაგვეგო, დაკავშირებულია თუ არა მისი ოჯახის წევრიც კრიმინალთან...

– მხედველობაში ხომ არ გქონიათ „კორტების საქმის“ გასაიდუმლოებული მოტივი, ნარკოჯგუფების დაპირისპირების შესახებ?

– ამ ვერსიის შესახებ, არ დაგიმალავთ, მეც მსმენია, თუმცა არ ვარ კარგად ჩახედული ამ საქმეში. ჩემი კითხვა შეეხებოდა მისი ოჯახის წევრების კავშირს კრიმინალთან და ძალადობასთან...

– ძალადობასთან?!

– დაზუსტებით ვიცი, რომ ბიზნესმენი კოკაია ძალდატანებით წაიყვანეს თავის დროზე ნოტარიუსში და მილიონიანი ქონება გადააფორმებინეს ნინო ხვიტიას სახელზე. ეს ქალბატონი კი ირაკლი ფირცხალავას მეუღლე გახლავთ.

ამ თემასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ დაახლოებით ორი წლის წინათ აწ უკვე გარდაცვლილ იური ვაზაგაშვილსაც ესაუბრა.

სიმართლე გითხრათ, ძალიან უხერხული იყო, შვილმკვდარი მამისთვის კომენტარი გეთხოვა თემაზე, სადაც მისი შვილი ნარკოსაქმიანობასთან შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული. თუმცა, იური ვაზაგაშვილის კომენტარმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გთავაზობთ ამონაწერებს ამ ინტერვიუდან:

– ...ფირცხალავა არის აღიარებული ყაჩაღი. ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს მისი დეიდაშვილი, ირინა ყიფიანი, რომელიც არის ადმინისტრაციის უფროსი, რომელიც დღე და ღამე დარბის, რომ როგორმე დაიხსნას ეს ადამიანები...

– თუ ფლობთ ინფორმაციას იმის თაობაზე, რას საქმიანობს ირაკლი ფირცხალავას ძმა?

– ამაზეც მოგახსენებთ: ლევან ფირცხალავა კოდუას ხალხს ჰყავდა დაკავებული ნარკოტიკებზე და მის ჩავარდნას აბრალებდნენ ფუთურიძეს, ან ხუბულოვს. კიდევ გეტყვით, რომ ეს ლევან ფირცხალავა არამარტო ასაღებდა ნარკოტიკს, თავად იყო გამოუსწორებელი ნარკომანი. მათი მამა ფინანსური განყოფილების უფროსი გახლდათ უშიშროებაში, მერე შსს-ში, მათი დეიდაშვილის შესახებ უკვე მოგახსენეთ, რომლის საიდუმლო მიწერ-მოწერებიც გვაქვს... ერთი სიტყვით, ყაჩა-

„ჩემს ძმას არანაირი კავშირი არ ჰქონია დამნაშავეთა სამყაროსთან. არ იცნობდა ხუბულოვს და სხვა მის მსგავსებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ძმა და რა კავშირშია ის „პორტეჯის საქმესთან“?

„ლევან ფირცხალავა არამარტო ასალეგდა ნარკოტიკს, თავად იყო გამოუსწორებელი ნარკომანი“

„...ფირცხალავა არის ალიარებული ყაჩაღი“

ღია, რა. ეს იყო მიშასა და ვანოს ხელისბიჭი. რა ვერსიაც თქვენ მითხარით, ამის შესახებ ინფორმირებული ვარ.

– იმასაც ამბობენ, რომ ამ ბიჭებისგან რომელიღაც შსს-ში ფირცხალავასთან და მის გუნდთან დაპირისპირებულ დაჯგუფებასთან თანამშრომლობდა და...

– ვიცი, რასაც მეუბნებით. ამის დადასტურება შეუძლია მთავარ პროკურორს, რომელსაც ხელი მიუწვდება საიდუმლო მასალებზე, რომლის მიხედვითაც გაირკვევა, ვინ ვისთან თანამშრომლობდა...

ბუნებრივია, პროკურატურიდან საიდუმლო ინფორმაციას არავინ გააჟღერებს პრესაში, ამიტომაც „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა, თავად ირაკლი ფირცხალავასთან გადაემოწმებინა ეს ვერსია.

ირაკლი ფირცხალავა:

– თქვენი ძმა მართლა იყო დაკავებული ნარკოდანაშაულზე?

– ვინ გითხრათ ეს?.. ჩემი ძმა ნამდვილად იყო დაკავებული. მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა (ალბათ, უნდოდა ეთქვა, „შეეფარდა“. – მ.ნ.).

– მიესაჯაო, რომ ამბობთ, ადმინისტრაციულ პატიმრობას გულისხმობთ?

– არა... ორი თვე იჯდა. შემდეგში გაფორმდა მასთან საპროცესო შეთანხმება და პირობითი მსჯავრი მოიხადა. ამის შემდეგ ჩემი ძმა დაკავებული არ ყოფილა. ჩემი ძმა არის უკეთილშობილესი ადამიანი თავისი ცხოვრების წესით. ჰყავს ორი არაჩვეულებრივი ბავშვი. ამ ფაქტის შემდგომ მას რაიმე შეხება დანაშაულთან არ ჰქონია.

– თქვენი ძმა ნარკოტიკების მოხმარებაზე დაიკავეს, თუ რეალიზაციის გამო?

– რა რეალიზაციის, ტო!.. მოხმარებაზე იყო დაკავებული. ამაზე არავის არ იჭერდნენ და წინასწარ პატიმრობას არ აძლევდნენ. მარტო ჩემს ძმას მისცეს წინასწარი პატიმრობა. ორი თვე ციხეში გაატარა. ის უპატიოსნესი, უწესიერესი ადამიანია. ამის შემდეგ მას არანაირი შეხება ნარკოტიკებთან აღარ ჰქონია. ცხოვრობს თავისი ცხოვრებით.

– არავის არ იჭერდნენ და ჩემი ძმა დაიჭირესო, – ამბობთ... ამით რამეს გინდათ ხაზი გაუსვათ?

– ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ ჩვენ ხელს არ ვაფარებდით საკუთარ ოჯახის წევრებს.

– მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც აძლევთ მნიშვნელობას იმას, რომ მაინცდამაინც თქვენი ძმა დაიჭირეს...

– მან დააშავა და დაიჭირეს. თუმცა ის მკაცრად დაისაჯა მარტო იმიტომ, რომ ჩემი ოჯახის წევრი იყო.

– იქნებ იმიტომ შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა, რომ ადმინისტრაციული სასჯელის შემდეგ მან კვლავ ჩაიდინა ეს დანაშაული. სისხლის სამართლის წესით მხოლოდ ასე ისჯება ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი...

– მსგავსი ფაქტი მანამდე არ ყოფილა. ეს იყო პირველი შემთხვევა და მაშინაც ასე სამაგალითოდ დაისაჯა. ამის შემდეგ მას ნარკოდანაშაულთან შეხება რომ არ ჰქონია, ყველა დაგიდასტურებთ ამას.

– არადა, არსებობს ვერსია, რომ კორტების საქმე სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებით სხვადასხვა ჯგუფის დაპირისპირებას უკავშირდება.

– ჩემს ძმას არანაირი კავშირი არ ჰქონია დამნაშავეთა სამყაროსთან. არ იცნობდა ხუბულოვს და სხვა მის მსგავსებს...

– თქვენი ძმა ერთადერთი არ არის, ვისმა სახელმაც თქვენი ოჯახის წევრებიდან გაიჟღერა. ცოტნე გამსახურდია ირწმუნება, რომ ბიზნესმენმა ილია კოკაიამ მილიონის ღირებულების ქონება ძალოვნების ძალდატანებით თქვენი მეუღლის სახელზე გადააფორმა...

– მიჩუქებია ცოტნესთვის ეს მილიონები. მე ნამდვილად არ მეგონა, რომ ასეთი ბუმბერაზი კაცის შვილი ისე დაეცემოდა, რომ ჩემი ოჯახის წევრებს შეეხებოდა... ცოტნემ მიხედოს თავის კრიმინალურ წარსულს... თუ სხვა მტკიცებულება აქვს, გამოაქვეყნოს...

– კიდევ ერთი თქვენი ნათესავი, კონკრეტულად კი დეიდაშვილი, ირინა ყიფიანი ახსენა ადრე ჩვენთან ინტერვიუში იური ვაზაგაშვილმა, რომელიც შსს-ს ადმინისტრაციაში მუშაობდა და თქვენს გადასარჩენად ყველაფერს აკეთებდა.

– ის არ ყოფილა ადმინისტრაციის თანამშრომელი. ის მუშაობდა თანაშემწედ.

– ვის თანაშემწედ?

– კრიმინალურ დეპარტამენტში, თუ არ ვცდები. ის იქ მას შემდეგ დაინიშნა, რაც მე წამოვედი სამინისტროდან. ვის უნდა უმფარველოს? უბრალო თანაშემწეა...

მაშ ასე, პოზიციები სახეზეა, შენიშვნისთვის კი მკითხველს გავუმარტავთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ისჯება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში. გთავაზობთ ამონაწერს: პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“. შესაბამისად, თუ ირაკლი ფირცხალავას დავუჯერებთ და ვირწმუნებთ, რომ ლევან ფირცხალავა მართლაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის პირველად დაიჭირეს და სამაგალითოდ დასაჯეს, გამოდის, რომ მაშინდელ შსს-ს კანონი დაურღვევია და ფირცხალავების ოჯახს თავისუფლად შეუძლია უკანონო პატიმრობისთვის იჩივლონ. მეორე მხრივ კი, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების განმეორებითი ფაქტია ადმინისტრაციული სასჯელის, ან სახდელის შემდეგ, მაშინ მისი სამაგალითო დასჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა იქნებოდა და არა წინასწარი პატიმრობის შემდეგ პირობითით სახლში გაშვება. ამდენად, ეს კოდექსი მკითხველს აძლევს საშუალებას, ეჭვი შეიტანოს ირაკლი ფირცხალავას გულწრფელობაში.

„მე მინდოდა ირაკლი ფირცხალავას გაეცა პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა მისი ძმა დაკავებული ნარკოტიკების რეალიზაციაზე...“

„მიჩუქებია ცოტნესთვის ეს მილიონები. მე ნამდვილად არ მეგონა, რომ ასეთი ბუმბერაზი კაცის შვილი ისე დაეცემოდა, რომ ჩემი ოჯახის წევრებს შეეხებოდა... “

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ წაიყვანა საგიჟეთში შეყვა

my View

ნინო მჭედლიშვილი

ასეთი სიყვარულის ისტორია ჯერ არ მოგისმენიათ. გიორგი გურგულიას და ლარისა გიგაურს ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ. გიორგიმ ლარისა მეგობრებს მაშინ გაიცნო, როცა თავად არ იცნობდა. რატომ წაიყვანა გაცნობიდან მეორე დღეს საგიჟეთში თავისი რჩეული და როგორ მოხვდნენ ბორდელში, შეყვარებული წყვილი თავად გიამბობთ.



- მომიყევით, როგორ გაიცანით ერთმანეთი?

გიორგი:

- გია ნიკოლაძესთან და სხვა მომღერალ ძმაკაცებთან ერთად კაფეში ვიყავით. კონცერტი ჰქონდათ ჩემს მეგობრებს, თან ვსვამდით. იმ პერიოდში ერთ გოგოს მოვწონდი. გამომტყუა სად ვიყავი და დაუპატიჟებლად მოვიდა. მეგობარი გამოვაცილე გარეთ, ვსაუბრობდით. ამ დროს მოვიდა ლარისა. მაგიდის დაჯავშნა უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ უკვე ძალიან მთვრალები ვიყავით და უკან გაბრუნდა. გარეთ ტაქსი ელოდებოდა. კიბეებზე შევხვდით ერთმანეთს. სად მიდიხარ-მეთქი, ვკითხე. უკვე არსადო, გამიღიმა. მეც გავუღიმე. ჩავიდა, ტაქსი გაუშვა და დაბრუნდა. ჩვენს მაგიდასთან მივიყვანე, მეგობრებს ისე გავაცანი, რომ მეც არ ვიცნობდი.

ლარისა:

- დიდი ხნის განმავლობაში გერმანიაში ვცხოვრობდი და ქართულ კინოსთან შეხება არ მქონია, შესაბამისად, ქართველ მსახიობებსაც ცუდად ვიცნობ. მაშინ გიორგის სახეზეც არ ვიცნობდი. ის ჩემთვის იყო უბრალოდ ძალიან სიმპათიური მამაკაცი, მეტისმეტად კეთილი თვალებით. მერე, როცა უკვე გავიგე ვინ იყო, გავიხსენეთ ფილმი მისი მონაწილეობით, „ორმაგი სახე“ და გამახსენდა, რომ ყოველთვის ცრემლიანი თვალებით ვუყურებდი ამ მამა-შვილურ დრამას.

„მამაჩემთან იყო გიორგი ხელის სათხოვნელად. ყვავილები უნდოდა ეყიდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა“

- გიორგი, იმ გოგოს, დაუპატიჟებლად რომ მოვიდა, ლარისას დანახვაზე რეაქცია არ ჰქონდა?

გიორგი:

- იმან იეჭვიანა, სცენა მომიწყო, ვისში გამცვალეო, მითხრა და გაიქცა. იმ დღესვე გავიტაცე ლარისა.

- სად გაიტაცე?

- ეს საიდუმლოა (იცინიან). მის მერე ერთად ვართ.

- ლარისა, ზღაპარს ჰგავს ეს ამბავი. ასე, ერთი ნახვით როგორ მიხვდი, რომ გიორგი შენიანი იყო?

- ზოგადად ძალიან რთული ადამიანი ვარ, უხეში, მკაცრი. გამორიცხულია, რომ ასე, უცხო მამაკაცი გამომელაპარაკოს და მას გავუღიმო, მით უმეტეს სადმე წავყვე. არ ვიცი, ვერ აგიხსნი, რა დამემართა... მეორე დღეც ერთად გავატარეთ. საგიჟეთში წამიყვანა.

- საგიჟეთში? რატომ?

გიორგი:

- დილით ნაბახუსევზე ჯერ ბულიონი ვაჭამე და მერე საგიჟეთში წავიყვანე. იქ ჩემი მეგობარი, მხატვარი, გიო კილაძე მკურნალობს. ტრავმული შიზოფრენია აქვს. მთელი ასათიანი მოხატა. ხშირად მივდივარ ხოლმე მასთან, კვირაში ერთხელ მაინც. ახლა გლდანში გადაიყვანეს. ერთი საათი ტაქსით ვეძებდით საგიჟეთს. გავაგიჟე ლარისა, მოვიარეთ მთელი გლდანი, ყველა მთაზე ავედით. მთავარი სიგიჟე იქ ელოდებოდა. ასე გიჟურად გრძელდება ჩვენი ურთიერთობა. მერე ჩემი შვილი, ანდრია და ლარისა ჩემს ძმაკაცთან წავიყვანე სახლში, ვაზისუბანში აქვს ეზოიანი ბინა და იქ დავსახლდით. ბასეინი მოვაწყვეთ და ვირუჯებოდით, გადავრიეთ მეზობლები. მერე ზურა ყიფშიძე, ერეკლე ბადურაშვილი, მე და ლარისა წავედით ზღვაზე. არასამთავრობო ორგანიზაციაში ვარ გაწევრიანებული. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც ამ ავადმყოფობის უფასო მკურნალობა მოვითხოვეთ და ფრანგები ჩამოვიყვანეთ ამ საკითხის მოსაგვარებლად. ამ ორგანიზაციის ეგიდით გვქონდა აქცია ბათუმში. აქციით გათვალისწინებული დღეები რომ გავიდა, დარჩენა გადავწყვიტეთ. ბათუმელმა ძმაკაცმა მითხრა, სასტუმროში ფული რომ არ გადაიხადოთ, ჩემს მეგობარს ვთხოვ, სასტუმრო აქვს გონიოში და უფასოდ დაგაბინავებთო. უარს როგორ ვიტყოდი. მივედით და ბორდელში მოვხვდით (იცინიან), უზბეკი, აზიელი ქალები, მე, ყიფშიძე, ერეკლე და ლარისა. ერთი ღამე გავათიეთ და გამოვიქეცით.

- ლარისა, მოგწონდა ასეთი გიჟური ვოიაჟები?

- მომწონდა, მეც გიჟი ვარ ბუნებით, არანორმალური.

გიორგი:

- ოცი წლით უფროსი ვარ ლარისაზე და მენდობოდა ყველაფერში. რა იცოდა, რა გიჟთან მოხვდა. თვითონაც არ არის ჭკვიანი. ორი ადამიანი სახლობს მასში, ერთი ფსიქოპატი და მეორე მშვიდი, მოსიყვარულე.

- როგორია გაბრაზებული ლარისა?

- კლანჭებით მოდის, ზოგჯერ დანითაც (იცინის). ვხუმრობ, რა თქმა უნდა, მაგრამ ხევსურია, სულ შიში მაქვს, ღრმად არ ჩამეძინოს. ჯიშში უკრაინელებიც ჰყავს, მაგრამ მთიულისა და ხევსურის სისხლი ვერ გადაფარეს. სისხლის აღების პერიოდი უდგება ხოლმე და თავდასხმებს აწყობს (იცინის). ნებისმიერ რამეზე შეუძლია „გაჭედოს“. მაგალითად, იმაზე, რომ არ დავურეკე, არ მოვიკითხე.

- ლარისამ იცის, რომ პერიოდულად, რამდენიმე კვირით, თვით განმარტოვება გჭირდება ხოლმე?

- იცის, მაგრამ ვერ ეგუება. ორი ადამიანია ჩემ გარშემო, რომლებიც ჩემს სიმარტოვეს ვერ იტანენ. ესენი არიან: ანდრია, ჩემი ბიჭი მესამე ქორწინებიდან და ლარისა. 24-საათიან რეჟიმში სურთ გვერდით ვყავდე. ანდრია არ მეყოფოდა, ახლა ეს კიდევ (იცინის). ისეთი სიტუაცია მაქვს, ტუალეტში თუ დავწერ რამეს და იმაზეც მეჩხუბებიან, ამდენ ხანს ტუალეტში რას აკეთებო.

„ადრე მსგავსი ამბავი, რომ გამეგო, შეიძლება მეც მეჭორავა. მაგრამ ახლა, როცა საკუთარ თავზე გამოვცადე...“



„არ ვთვლი, რომ აუცილებლად ბეჭდით უნდა იარო ქალთან, რომელიც გიყვარს. სად წავიყვანო, თვითონ გარდერობის თავზე მძინავს“

- „ფეისბუქზე“ დაიდო
ფორმაცია, რომ დაქორწ
დით.

ლარისა:

- ეს ჩემი ბრალია, სამი (
ლი გყავდა, დასაქორწინებ
რატომ გაქვს მითითებული-
თქი, ვუთხარი და შევცვალე
ატუსი. ვერც წარმოვიდგენ
ასეთი ამბავი თუ ატყდებო
მერე ნახეს ფოტო, სადაც
ორგის შვილიშვილი მიჭირ
ხელში და ჩათვალეს, რომ
ვე შვილიც შეგვეძინა. მოკლ
გაუგებრობაში მოვყევით. ჯ
არც ჯვარი დაგვიწერია და ა
ხელი მოგვიწერია.

გიორგი:

- ლარისკას მშობლები კა
ად არ შეხვდნენ ამ ამბავს,
ბერ კაცთან რა გინდა, შვილ
ვილები ჰყავსო, ეუბნებოდ
მართალიც არის, 11 წლის შვ
იშვილი მყავს, სტაჟიანი ბა
ვარ. ამას იმდენი შვილები
შვილიშვილები ჰყავს, შენთ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ხევსურია, სულ შიში მაქვს ღრმად არ ჩამეძინოს“

„ამას იმდენი შვილები და შვილიშვილები ჰყავს, შენთვის ვერ მოიცლისო, ეუბნებოდნენ“

EXCLUSIVE

ვერ მოიცლისო, ეუბნებოდნენ.

ლარისა:

- მამაჩემთან იყო გიორგი ხელის სათხოვნელად. ყვავილები უნდოდა ეყიდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა. მამა რუსეთში ცხოვრობს. ცოტა ხნით იყო ჩამოსული და ისარგებლა.

გიორგი:

თავიდან ნორმალურად ვისაუბრეთ. მერე დაიძაბა სიტუაცია. რაჭაში გვინდოდა წასვლა ერთად. ზურა ყიფშიძის იუბილე იყო და იქ ვუხდიდით. მეც ერთ-ერთი ორგანიზატორი ვიყავი. მამამისი არ უშვებდა ლარისკას, ჯერ ხელი მოაწერეთ ან ჯვარი დაიწერეთ და მერე იარეთო, გვითხრა. მე არ ვთვლი, რომ აუცილებლად ბეჭდით უნდა იარო ქალთან, რომელიც გიყვარს. სად წავიყვანო, თვითონ გარდერობის თავზე მძინავს. სახლები გავყიდე, უსახლკარო ვარ, თვითონ მეგობრებთან ვრჩები. მართლა სუფისტი ვარ, კი არ ვიტყუები. სუფისტები არიან პოეტები, რომლებმაც მთელი ქონება გაიღეს და მათხოვრად იქცნენ. ყველაფერი რაც ჩემია, თან დამაქვს. სუფისტობა კარგია, როცა მარტო შენი თავი გაბარია, მაგრამ როცა ამდენი ცოლები, შვილები, შვილიშვილები გყავს და კიდევ ცოლის მოყვანა გინდა, ძნელი ყოფილა.

- ლარისა, ცოტა ხნით მაინც დაფიქრებულხარ ამ ასაკობრივ სხვაობაზე?

- არა. თუ ვინმე რამეს მეტყოდა ამ თემაზე, მაშინვე ვაჩუმებდი, მეორედ ეგ თემა აღარ წამოწიოთ-მეთქი, ვეუბნებოდი. სიყვარულმა მართლა არ იცის ასაკი. ადრე მსგავსი ამბავი, რომ გამეგო, შეიძლება მეც მეჭორავა. მაგრამ ახლა, როცა საკუთარ თავზე გამოვცადე... პატარა ბიჭები არ მომწონს, არ შემიძლია მათთან ურთიერთობა, რატომ არ შეიძლება ვიყო ადამიანთან, ვისთანაც თავს კარგად ვგრძნობ.

გიორგი:

- მოხუცი ვარ ახლა მე?!

- არა, რას ამბობ... ლარისა, გათხოვილი არ ყოფილხარ?

- არა.

- რას საქმიანობ, რა პროფესია გაქვს?

- არაფერს. თეატრალურში ვაპირებდი ჩაბარებას. მერე რუსეთში წავედი, ხელი შემეშალა სწავლაში. მერე დავბრუნდი საქართველოში და გერმანიაში წავედი ისევ. მოკლედ, მთელი ცხოვრება მოგზაურობაში გავატარე.

- 30 წლამდე არავინ შეგყვარებია?

- გერმანიიდან ერთ ბიჭს გამოვექეცი. თავიდან მეც მიყვარდა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ მასთან ყოფნა აღარ მომწონდა და ვეღარ მოვიშორე, გამოვიქეცი.

- გიორგი, როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი, სულ სუფია ხომ არ იქნები?

- სულ სუფია ვიქნები. დედამიწაა ჩემი სახლი. რატომ უნდა გადავწყვიტო, რომ ერთ ადგილას ვიცხოვრო, როცა ყველგან შემიძლია ვიცხოვრო?

ლარისა:

- რა არასერიოზული ხარ. ზოგჯერ სხვანაირად ლაპარაკობს. გაიხსენე, რაზე ოცნებობ ხოლმე ყოველ ღამე?

- ეზოიან სახლზე ვოცნებობ, სადმე ტყესთან ახლოს. ქალაქი აღარ შემიძლია.

- ეგ ოცნება მეც მახსოვს, ერთხელ, ჩემთან ინტერვიუში თქვი, რომ გინდა სადმე ტყესთან ახლოს დიდი სახლი, რომ 18 წლიდან ცოლიანი ხარ, რომ დაგღალეს ამდენმა ცოლებმა, მაგრამ დღეს ისევ ცოლზე ფიქრობ...

- რაშია საქმე იცი, ქალთან ერთადაც შეუძლებელია ცხოვრება და უქალოდაც არ გამოდის.

- ისეთი ქალები არ არსებობენ, რომლებიც მხოლოდ კომფორტს გიქმნიან და დისკომფორტი არ გაქვს?

- არ ვიცი, მე ჯერ არ შემხვედრია. დიდი პერიოდი ვარ კომფორტულად, მერე ჩნდება დიდი დისკომფორტი და მერე ურთიერთობა ინგრევა. ოღონდ არავის არ ვაბრალებ, ჩემი ბრალია.

- დაქორწინებას გეგმავთ?

- მანამდე თუ არ დავხოცეთ ერთმანეთი (იცინიან)...

ლარისა:

- ეს ჩემზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით ერთად ვართ და გვინდა ერთად ვიყოთ.

გიორგი:

- ქალზე ბევრია დამოკიდებული, როგორ მოიქცევა. კაცი დამყოლია. ლომი ვარ, მომეფერე და ყველაფერს გამაკეთებინებ. უნდა მაგრძნობინო, რომ გიყვარვარ, ესაა მთავარი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ გაიმარჯვეს ახლად დაარსებულმა კომპანიებმა მერიის ტენდერებში?

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

ნარმანიას უწყების მიერ ჩატარებული ტენდერები არასამთავრობო ორგანიზაციების შესწავლის საფუძველი გახდა. ავანსად გაცემული თანხები და ახლად დაარსებული კომპანიებისთვის უპირატესობის მინიჭება – ეს ის თემებია, რომლებმაც სამოქალაქო სექტორის ყურადღება მიიპყრო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2014 წლის აგვისტოდან ამავე წლის 12 დეკემბრამდე ჩატარებული 67 ტენდერიდან, რომლებიც ავანსის სახით თანხის გაცემას ტენდერის ღირებულების 50%-ით ან მეტი ოდენობით ითვალისწინებდა, 10 შემთხვევაში გაიმარჯვეს კომპანიებმა, რომლებიც 2012 წლის შემდეგ შეიქმნენ.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შემთხვევები, სადაც ტენდერის გამოცხადების შემდეგ ან წინადადებების მიღების ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე დაარსებულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს“, – გვითხრეს „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“, სადაც კონკრეტულ კომპანიებსაც ასახელებენ. ასე, მაგალითად:

2014 წლის 8 ოქტომბერს გზის შეკეთების სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში, სადაც წინადადებების მიღების ვადა 31 ოქტომბერს იწურებოდა, 2014 წლის 16 ოქტომბერს დაფუძნებულმა შპს „ენკომ“ გაიმარჯვა. შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულებამ 459 164 ლარი შეადგინა. ტენდერის პირობები გადასახდელი თანხის 95%-ის წინასწარ გადახდის შესაძლებლობას ითვალისწინებს. კომპანიის მესაკუთრეები თორნიკე შიოლაშვილი (50%) და ნუგზარ მოწყობილი (50%) არიან. თორნიკე შიოლაშვილი წარსულში შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი (2011-2013 წ.წ.) და თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსი იყო (2013 წ.).

2014 წლის 3 ოქტომბერს გზის შეკეთების სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში (2014 წლის 13 აგვისტოს დაარსებულმა კომპანიამ „შპს ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენ“-მა გაიმარჯვა. შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულებამ 605 555 ლარი შეადგინა. „შპს ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენ“ ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია იყო. კომპანია მალხაზ გელაშვილს (25%), ლია ოდიშვილსა (50%) და ირაკლი ბლიაძეს (25%) ეკუთვნით. ტენდერის პირობები გადასახდელი თანხის 95%-ის ავანსად გაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

2014 წლის 5 სექტემბერს გზის შეკეთების სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში, სადაც წინადადებების მიღების ვადა 29 სექტემბერს იწურებოდა, შპს „გზამშენი 4-მა“ გაიმარჯვა. შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულებამ 477 905 ლარი შეადგინა. ტენდერის პირობები გადასახდელი თანხის 50%-ის ავანსად გაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებდა. შპს „გზამშენი 4“ 1997 წელს არის დაფუძნებული, თუმცა მისი 99.2% წილის მფლობელი შპს „გზა-2014“ 2014 წლის 22 აგვისტოსაა დაარსებული. „გზა-2014“ თავდაპირველად ნაზიბროლა ალასანიას ეკუთვნოდა, ამჟამად კი ირანული კომპანია „შპს Roham Sperlus Co“-ის საკუთრებაშია.

კომპანიის დირექტორი გიორგი გოჩიაშვილია, დამფუძნებელი კი – რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული შპს „ნიკა“

2014 წლის 3 ოქტომბერს რკინა-ბეტონის სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში, სადაც წინადადებების მიღების ვადა 27 ოქტომბერს იწურებოდა, 2014 წლის 8 ივლისს დაფუძნებულმა კომპანიამ „შპს ნიკას ფილიალი საქართველოში“ გაიმარჯვა. ტენდერის სახელშეკრულებო ღირებულებამ 649 000 ლარი შეადგინა. ტენდერის პირობებით გადასახდელი თანხის 50%-ის ავანსად გაცემის შესაძლებლობა იყო გათვალისწინებული. კომპანიის დირექტორი გიორგი გოჩიაშვილია, დამფუძნებელი კი – რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული შპს „ნიკა“. გიორგი გოჩიაშვილი კიდევ ოთხი კომპანიის: შპს „გ. ანა 2009“-ის, შპს „ეკომშენის“, შპს „მშენსერვისცენტრის“, შპს „იბერიავესტის“ დირექტორი და მეწილეა.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ტენდერებისა, სადაც ახლად შექმნილი კომპანიები იმარჯვებენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მერიის შესყიდვები არადამაკმაყოფილებელია და გარკვეულ ეჭვებს აჩენს.

„ეს პრაქტიკა კითხვის ნიშნებს ბადებს სახელმწიფო სახსრების სწორად განკარგვისა და მერიის სამსახურის მიერ ხარისხიანი მომსახურების მიღების მიზნით მართებული ქმედებების დაგეგმარებასთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, საჭიროა მეტი სიცხადე შესყიდვების განხორციელებისას გასაცემი ავანსის ზედა ზღვრის დაწესების პროცესში. ასევე, სასურველია, არსებობდეს გამოცხადებულ ტენდერებზე ავანსის ზედა ზღვრის (50% და მეტი) გაცემის უფრონათელი კრიტერიუმები, რათა არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ავანსის გაცემა კონკრეტული, გამოცდილების არმქონე კომპანიებისთვის უპირატესობის მინიჭებას ემსახურება“, – განგვიმარტეს ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“.

რა კრიტერიუმით ხდება გამოცდილების არმქონე კომპანიებისთვის უპირატესობის მინიჭება? ამ კითხვით „პრაიმტაიმმა“ მერიის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელს, დავით მორალიშვილს მიმართა. მისი თქმით, სატენდერო კომისიას დაფუძნების თარიღის მიხედვით კომპანიის დისკვალიფიკაციის კანონიერი საფუძველი არ გააჩნია.

„ტენდერი ცხადდება სატენდერო პირობების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (procurement.gov.ge) და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად სისტემის მიერვე ავტომატურად ვლინდება გამარჯვებული პრეტენდენტი (ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადება). აღნიშნული პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთულ ტექნიკურ დოკუმენტაციას სატენდერო კომისია იხილავს შერჩევა-შეფასების ეტაპზე და თუ პრეტენდენტი აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს (სისტემაში ატვირთული სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია), კომისია შესაბამისი ოქმით აცხადებს მას გამარჯვებულად. შესაბამისად, სატენდერო კომისია კომპანიებს დაფუძნების თარიღის მიხედვით უპირატესობას არ ანიჭებს და მხოლოდ ამ კრიტერიუმით არც მათი დისკვალიფიკაციის კანონიერი საფუძველი აქვს. ამასთანავე, პირიქით, სატენდერო კომისიის ამოცანაა მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს შექმნა და ამ მიზნით, თითოეული ტენდერის სატენდერო პირობების განსაზღვრისას (მიზანშეწონილობის ფარგლებში) გაითვალისწინოს ეს პრიორიტეტი“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ დავით მორალიშვილმა.

გამარჯვებული კომპანიის მფლობელი თორნიკე შიოლაშვილი წარსულში შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი და გიგი უგულავას დროს თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსი იყო

რა კრიტერიუმით ხდება გამოცდილების არმქონე კომპანიებისთვის უპირატესობის მინიჭება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მებაჟეების კლიპი ინტერნეტსივრცეში ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გავრცელდა

ხათუნა მგალობლიშვილი

მებაჟე ოფიცრებმა საკუთარი დღე თავისავე გადაღებული კლიპით აღნიშნეს. კლიპს პროფესიონალურს ნამდვილად ვერ უწოდებ, თუმცა, როგორც ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები აცხადებენ, პროფესიონალიზმზე პრეტენზია არც ჰქონიათ. ეს, უბრალოდ, მძიმე დღის მხიარული დასასრული იყოო... მხიარული დასასრული უფრო ოცნება იყო, რადგან რეალობა მებაჟეებისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა კლიპმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და „მხიარულობის“ ორგანიზატორებს თავისმართლებაც კი მოუწიათ.

შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, ხატია მოისწრაფიშვილი საზოგადოების რეაქციებითა და შეფასებებით გაკვირვებულია, რადგან ვერც კლიპში და ვერც მებაჟეების ინიციატივაში ის უარყოფითს ვერაფერს ხედავს. მოისწრაფიშვილის განცხადებით, 26 იანვარს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში მებაჟე ოფიცერთა პროფესიული დღესასწაული – საბაჟოს საერთაშორისო დღე აღნიშნეს და სწორედ ამ მიზნით მოამზადეს მხიარული კლიპი, რომელიც მოგვიანებით სამინისტროს ოფიციალურ გვერდზეც დაიდო.

ლაშა ცაგარეიშვილი: „მოხდა ჩანაწერის ჩვენება ხელმძღვანელობისთვის სამსახურში, იქ გამოხატეს მოწონება და შემდეგ აიტვირთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე“

ხატია მოისწრაფიშვილი:

– არანაირი ფინანსები არ დახარჯულა კლიპის გადაღებაზე, აქ საუბარი არ არის სახელმწიფო თანხებზე, საკუთარიც კი არ დახარჯულა. ეს არის ტელეფონით გადაღებული სახალისო ვიდეო. ეს იყო სახუმარო კლიპი საკუთარი პროფესიული დღის აღსანიშნავად, რომელიც თანამშრომლებმა თავად მოამზადეს... სიმართლე გითხრათ, ძალიან გამაკვირვა რეაქციებმა. რატომ უნდა გაგაღიზიანოს ახალგაზრდების სურვილმა, რომლებსაც პროფესიულ დღეს ემღერებათ ან ეცეკვებათ, არ ვიცი. მიკვირს და მიჭირს იმის გარკვევა, რა დაინახეს ამაში ცუდი. უფრო მეტად გამაკვირვა მათმა რეაქციამ, ვინც ერთმანეთისგან კარგად ასხვავებს ტელეფონითა და პროფესიონალური კამერით გადაღებულ კადრებს. მათგან მეტად გულსატკენი იყო ის გამაღიზიანებელი და ცილისმწამებლური ფრაზები, ვიდრე ადამიანებისგან, ვისაც არ აქვთ საშუალება და წვდომა, ზუსტად გაარჩიონ მოყვარულის მიერ გადაღებული კადრი პროფესიონალის მიერ გადაღებულისგან. არაუშავს, მთავარია, რომ ესენი არიან არაჩვეულებრივი ახალგაზრდები, ძალიან კარგი მებაჟეები, ისინი შვიდი დღის განმავლობაში ოცდაოთხი საათი მუშაობენ და როდესაც დასვენების საათები აქვთ, მაინც რჩებათ განწყობა, იყვნენ კარგ ხასიათზე. ვფიქრობ, ეს ახალგაზრდები შექებას უფრო იმსახურებენ, ვიდრე გაიცხვას.

– ტექსტსა და სიმღერაზე ვინ იმუშავა?

– თავად იმ ახალგაზრდებმა, ვინც კლიპში მონაწილეობენ.

– ანუ თავად გაუკეთეს ყველაფერს ორგანიზება?

– აბსოლუტურად. სიმღერის ტექსტი ლაშა ცაგარეიშვილს ეკუთვნის. კლიპიც მისი ტელეფონით არის გადაღებული. ლაშას განცხადებით, კლიპის გადაღება უშუალოდ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით განხორციელდა. თავდაპირველად ითქვა, რომ ის მხოლოდ თანამშრომლების წრეში უნდა გავრცელებულიყო, მოგვიანებით კი სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის სპეციალური ჩვენება გაიმართა და გადაწყდა, რომ ის ინტერნეტსივრცეშიც გაევრცელებინათ...

ხატია მოისწრაფიშვილი: „ეს იყო სახუმარო კლიპი საკუთარი პროფესიული დღის აღსანიშნავად, რომელიც თანამშრომლებმა თავად მოამზადეს“...

ლაშა ცაგარეიშვილი, მებაჟე:

– 26 იანვარს იყო საბაჟოს საერთაშორისო დღე და მეგობრებს გაგვიჩნდა ასეთი იდეა, დავსხედით, ტექსტი მოვიფიქრეთ, კლიპის გადასაღებად ერთი დღით შევიკრიბეთ, მეორე დღეს სიმღერა ჩავწერეთ. ეს ყველაფერი არასამუშაო საათებში მიმდინარეობდა. ჩვენვე დავამონტაჟეთ.

– ტელეფონით არის გადაღებული?

– დიახ, ჩემი პირადი ტელეფონით გადავიღეთ და ჩვენ თავად დავამონტაჟეთ. ჩვენ არ გვქონია არანაირი პრეტენზია, უბრალოდ, გვინდოდა, მეგობრებში გავრცელებულიყო და დაძაბული დღის ბოლოს ხალისი შემოგვეტანა.

– რამდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ის რეაქციები, რაც კლიპის გავრცელებას მოჰყვა?

– რეაქციები მოულოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც კლიპი ნამდვილად არ იყო გამიზნული ფართო საზოგადოებისთვის. ჩვენთან, სამსახურში, თანამშრომლებმა, ხელმძღვანელობამ ზუსტად გაიგო და სწორად მიიღო ის, რისი ჩვენებაც გვინდოდა ამ კლიპით, მათ სწორად აღიქვეს.

– როდესაც კლიპის გადაღება დაგეგმეთ, ხელმძღვანელობას შეუთანხმეთ?

– ელემენტარული საკითხები გვქონდა შეთანხმებული უშუალო ხელმძღვანელობასთან, უკვე 26 იანვარს მოხდა ჩანაწერის ჩვენება ხელმძღვანელობისთვის სამსახურში, იქ გამოხატეს მოწონება და მოხდა ღონისძიებაზე დაშვება. შემდეგ აიტვირთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ, რადგან შესაძლოა, ივარაუდეს კიდეც, როგორი კრიტიკა მოჰყვებოდა აღნიშნულ ვიდეოს, მაგრამ მაინც განათავსეს ის.

– არავინ გირჩიათ, რომ უმჯობესი იქნებოდა, პროფესიონალების დახმარებით მომზადარიყო კლიპის გადაღება?

– არ ყოფილა ასეთი რამ, არც გვიფიქრია, რომ პროფესიონალურ დონეზე უნდა გადაგვეღო და გაგვეკეთებინა კლიპი. წმინდა გაგებით, არის სამოყვარულო ვიდეო და გავრცელების მასშტაბი უნდა ყოფილიყო თანამშრომლები. რაიმე მიზანი ამ კლიპს ნამდვილად არ ჰქონია.

– კიდევ ხომ არ გეგმავთ რაიმე კლიპის ჩაწერას?

– არა, არ ეტაპზე არაფერი არ იგეგმება, მთლიანად სამუშაო რეჟიმზე ვართ გადართულები.

– სიტყვებზე ვინ იმუშავა?

– ტექსტის ავტორობა ცოტა ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა, სიტყვები მე მეკუთვნის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ქაცარავას ტრანსექსუალებ

„წარმოიდგინე, ტიპები ნოტაციებს მიკითხავენ და ქალის სილამაზის ეტალონად კესარია აბრამიძე მოყავთ. კარგი, რაა! საქართველოში ლამაზი ქალი დაგველია? როგორი შეურაცხყოფაა ქალებისაც და კაცებისაც, საერთოდ ყველასი“

იუნა შაფათავა: „გპირდებით, კესარია აუცილებლად მოიხდის საჯაროდ ბოდიშს ჩემი შეურაცხყოფისთვის“

my View
თამარ გონგაძე

ახალი სკანდალი მომწიფდა. სატელევიზიო შოუდან დაიწყო და „ფეისბუქზე“ გადაინაცვლა. რითი დასრულდება, ჯერ უცნობია, პროგნოზსაც ვერავინ აკეთებს, თუმცა გაგრძელების სუნი უდის. შოუ უნდა გაგრძელდეს, თუ გაარძელებენ, არც ეს დარჩება კულისებში გაუხმაურებლად, ყველაფერს გავიგებთ. იყო მუქარაც – იუნა შაფათავას კესარია აბრამიძე დაემუქრა – ცუდად დაამთავრებ და ამის სათავეში მე ვიქნებიო. ეს იყო ქალური კონკურენცია თუ... რაღაც ძველი, პირადი ჩარჩენილი წყენები გამოამზეურეს გია ჯაჯანიძის „სხვა რაკურსში“, უხამსი ფრაზებით, შეურაცხყოფებით. ამავე შოუში დავით ქაცარავა კი მეორედ იქნა ჰომოფობიურ განცხადებაში მხილებული. პირველად, ორი წლის წინ, ტელეკომპანია „იმედის“ დატოვება ამ მიზეზით მოუხდა. დილის ეთერში სალომე გოგიაშვილთან ერთად კომენტარი გააკეთა ელტონ ჯონზე, რომელმაც შვილები აიყვანა. „მე ვთქვი, რომ გულწრფელად მეცოდება ელტონ ჯონის ორივე შვილი-მეთქი. სალომემ დაამატა, მე მართლაც არ მშურს ამ ბავშვების; რომ გაიზრდებიან ორი მამა ეყოლებათო. და ჩვენ ტელევიზია დაგვატოვებინეს“, – ამბავს იხსენებს დავით ქაცარავა. მეორე ჰომოფობიურმა განცხადებამ ისევ „იმედში“ გაიჟღერა. ამჯერად სამიზნე ქართველი ტრანსექსუალი – კესარია აბრამიძე გახდა. „დათო ქაცარავა დამეტაკა და სასაცილო განცხადებები აკეთა, ეს არ არის ნატურალური ქალი, ეროტიკულ სცენებში მე არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანთან არ ვითამაშებო“,– ამბობს კესარია.

„სხვა რაკურსის“ გამოკითხვით „იმედის“ თანამშრომლებმა სექსუალურ

დავით ქაცარავა:
„სერიალში კესოსთან საერთო სცენაც არ მქონდა, არათუ, ეროტიკული. ასეთი შემოთავაზება რომ ყოფილიყო, რეჟისორს უხეშად დაველაპარაკებოდი, ხომ არ გაგიჟდი-მეთქი. რა თქმა უნდა, ასეთ როლზე უარს ვიტყოდი“

მამაკაცად დავით ქაცარავა დაასახელა. შოუში მისული სექსსიმბოლო კი იუნა შაფათავასა და კესარიას შორის მომხდარმა დაპირისპირებამ დააბნია. დათო ამბობს, რომ გადაცემაში სულ სხვა თემით მიიყვანეს და სულ სხვა სურათი დახვდა.

დავით ქაცარავა: შოუს პროდიუსერმა მაია სტეფნაძემ მითხრა, „იმედში“ გამოკითხვა გავაკეთეთ და ყველაზე სექსუალურ მამაკაცად შენ დაგასახელეს, ამიტომ გიწვევთ, როგორც სექსსიმბოლოსო. თემა არის ქალი და მამაკაციო. ამ „კამპოტით“ მივედი და ისეთ გაუგებრობაში მოვყევი, გავოცდი, კესომ და იუნამ ისე დასცხეს, თმებში წვდებიან, ალბათ-მეთქი, ვფიქრობდი.

გია ჯაჯანიძე: „იმედი“ გამოვკითხეთ – დაასახელეთ საქართველოში ვინ არის სექსუალური ქალი და მამაკაცი-მეთქი. ყველას გაუჭირდა დასახელება. ბოლოს დათო ქაცარავა პირველ ადგილას გავიდა და მოვიწვიეთ. ქალებს შორის ბევრი დასახელდა, ამიტომ არ გამოიკვეთა. თემა იყო, როგორი უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა. დათო მსახიობია და ნებისმიერ თემაზე შეიძლება ვკითხო აზრი. ყველა კითხვა დაგეგმილი ხომ არ არის. კითხვები სპონტანურად ისმება. ამას მოჰყვა ის, რაც ნახეთ.

– ტრანსსექსუალსა და სექსსიმბოლო მამაკაცს შორის დაძაბულობის გამოწვევაც არ გქონიათ დაგეგმილი?

– მე ამ თემას სერიოზულად არ ვუყურებ. დღეს ვიძაბებით, ხვალ გადავიძაბებით და ასე შემდეგ. ცხოვრება მიჰქრის, გუშინ რომ მოვხიე კალენდარზე 1 იანვარი, დღეს უკვე 2 თებერვალია. ამაზე კესარიას არ ჰქონია მძაფრი რეაქცია. მსახიობს უფლება აქვს როლზე უარი თქვას. ჩემი საყვარელო, ეს ამბავი ჰგავს ფოიერვერკს, რომელიც აინთება, იბრჭყვიალებს და მაშინვე ქრება.

– თქვენი შოუს გარშემო ატეხილი ეს ხმაური გახარებთ?

– შოუს გარშემო ატეხილი ხმაური სასიამოვნოა, თუმცა ცოტა ვიძაბები. მგონია, რომ კეთილი ვარ, არ მიყვარს ჩხუბი, მაგრამ გამოდის. მე ვნერვიულობ, ადამიანები რომ ერთმანეთს გულს სტკენენ, მერე ღამე არ მძინავს.

– ხომ დააპუტინეთ სტუმრებს ერთმანეთი?!

– ეს ჩაფიქრებული არ მქონია. მე კითხვა დავსვი, ესენი კი ეცნენ ერთმანეთს და რა უნდა მექნა?

შოუში იუნასა და კესარიას დაპირისპირებაზე სკანდალური „ფეისბუქზე“ გაგრძელებული „დაპირისპირებაა“. ძირითადად კესარიას მხარეს იჭერენ, კომპლიმენტებით ავსებენ, იუნას კი პირიქით – ლანძღავენ. კომენტარებში არასასურველი კონტექსტით მოიხსენიეს დავით ქაცარავაც. იუნა კი დათოს დამშვიდებას სთხოვს: „გთხოვ, შენი თმის ღერის მოლეკულადაც არ ღირს არც ერთი, შენი ყურადღების ღირსები არ არიან. Sorry, რომ ამ ყველაფრის მოწმე გახდი. მე, საერთოდ ვერ გავიგე ტრანსსექსუალს ვინ მადარებს? შეადარეთ სხვა, პლასტიკური ქირურგის მსხვერპლები. მე მანდ სხვა თემაზე მივედი და გისურვებთ მაგაზე მაგარი ქალი არ გყოლოდეთ ცხოვრებაში“. გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ იუნას ჩვენც დავუკავიშირდით, ის შემდეგ განცხადებას აკეთებს: „ბოდიშს მოვიხდი საჯაროდ. სამწუხაროდ, ქართული კანონმდებლობა, მხოლოდ უმცირესობის უფლელებს იცავს და უმრავლესობა კნინდება. თითქოს სამარცხვინოა, იყო ნატურალი. იურისტი ვარ, უამრავი იურისტი მეგობარი მყავს. გპირდებით, კესარია აბრამიძე აუცილებლად მოიხდის საჯაროდ ბოდიშს ჩემი შეურაცხყოფისთვის“.

იქვე ახალი და უფრო ხმაურიანი სკანდალი მწიფდება – ვინმე ელენა ალეგროვა დათო ქაცარავს ტრანსსექსუალებთან ინტიმურ კავშირში ამხელს: „დავით არ გრცხვენიაა, არ გაგიხსენო 2 ნლის წინანდელი ამბები, არ ღირს. კესარიას თემა მეც შემეხო, ამიტომ მოლბით, არ გამაცხაროთ. მთელი მსოფლიო აღიარებს ტრანსსექსუალს ქალად, მამაკაცთა 99% -ის არჩევანი – ჩვეენ. იუნას და ყანების დრო დამთავრდა, ახლა ჩვენი დროა, ფეხებს ნუღარ შლიით. დავით დარწმუნებული ხარ რომ გინდა მოვყვე რამეე? უკრაინის ამბები გაიხსენე, შენ თვითონვე

„ჩვენ ჰომოფობები ვართ და ბნელებს გვიწოდებენ. რისი უფლება აქვთ? შეურაცხყოფა რომ მომაყენონ? მათთან პოლემიკაში შესვლით თავს ვიბანძებ. ისიც მივქარე, მათთან დისკუსიაში რომ შევედი, რატომ დავეცი მაგ დონემდე, ჩემი შეცდომაა. ეგეთებს ან უნდა დასცინო, ან სრული იგნორი გაუკეთო“

გადახედე შენს ისტორიას. ნუ ეხები უწმაწურად ტრანსსექსუალებს, როდესაც სექსუალურ ურთიერთობას ამყარებდი მათთან, მაშინ ხომ გრძნობდი, რომ ქალი იყო? კესარია აბრამიძის წინაალმდეგ რატომ გამოხვედი? ხომ იცი, რომ ევროპაში ბევრს ხედავ და ბევრთან გაქვს ურთიერთობა. ამაზე გავჩერდეთ, კიდევ არ ამალაპარაკო, როდესაც ტრანსსექსუალებზე დაიწყებ ლაპარაკს, დაფიქრდი კარგად...“

ალეგროვას ქაცარავა პასუხობს: „შენ ხარ დარწმუნებული იმაში რასაც წერ? ან ვიღაცაში გეშლები, ან რაღაც სიბინძურეს იგონებ!!!!! შენთან და შენნაირებთან არაფერი საერთო არ მაქვს და ვერ მექნება!!!!! „ფეისბუქზე“ ძალიან გულადები ხართ და ენას დაშვებულზე მეტად იგრძელებთ. საბედნიეროდ, თქვენისთანა არსებებთან არანაირი ურთიერთობა არც მქონდა, არც მაქვს და არც მექნება!!! ამ „ფეისბუქის“ სივრცესაც როგორმე შევზღუდავ თქვენისთანა არსებებთან ურთიერთობისგან. ისედაც ძალიან მივქარე, რომ აქაც შეგიმჩნიეთ. და შენ საერთოდ ვინ ხარ და საერთოდ როგორ მიბედავ რამეზე მენტორული ტონით საუბარს? ძალიან გადა...ით ზოგადად ლგბტ-ებმა და ცოტა ტრაკზე მოვჯექით!“.

დავით ქაცარავა თვლის, რომ „ფეისბუქზე“ სწორედ კესარია აბრამიძემ „მიუქსია“ ტრანსსექსუალები. „თუ გინდა ტრანსების გაცნობა, ყველა იქ შემოყარა, ეტყობა, ამ კესომ რააა. „ფას“ – უთხრა, თვითონ შორი პოზიცია დაიჭირა, არც ერთი პოსტი არ დაუდია და ძუკნები შემოყარა“.

აქ მთავარი არის ის, რომ ყველაფერი ჯაჯანიძის შოუში არ დაწყებულა. კესარიასა და ქართველი სექსსიმბოლო მამაკაცის გადაკვეთა გაცილებით ადრე მოხდა. მათ ერთ სერიალში ითამაშეს.

დათო ქაცარავა: ერთმა ჟურნალისტმა მოიგონა, რომ თითქოს მე უარი ვთქვი კესოსთან ერთად ინტიმური კადრების გადაღებაზე. რად გინდათ ამ თემის ტირაჟირება-მეთქი, მაშინაც აღვშფოთდი. ვსაუბრობ, სერიალზე „ფსიქოპატთა თამაშები“. არადა, სერიალში კესოსთან საერთო სცენაც არ მქონდა, არათუ, ეროტიკული. ასეთი შემოთავაზება რომ ყოფილიყო, რეჟისორს უხეშად დაველაპარაკებოდი, ხომ არ გაგიჟდი-მეთქი. რა თქმა უნდა, ასეთ როლზე უარს ვიტყოდი. ჩვეულებრივ კადრებში მასთან ერთად ვითამაშებდი, მაგრამ – არა სექსუალურ სცენებში. მაგრამ საერთო სცენა არ გვქონია. კაცებთან კოტრიალს ხომ არ დავიწყებ, არა? კაცებთან ინტიმური კავშირი არ მაკავშირებს. ვერც მექნება. ეს ბოლმა ეტყობა ჩაიდეს. ენას ძვალი არ აქვს და მე თურმე ევროპაში დავდივარ და იქ ტრანსები მევასებიან და აქ რომ ჩამოვდივარ, პირიქით ვლაპარაკობ. ეს მარაზმია, ავადმყოფები არიან. იუნას გამოვესარწლე და ერთ-ერთი ტრანსსექსუალი აქეთ მომდგა. თურმე უკრაინაში და ევროპაში იმიტომ დავდივარ, რომ ტრანსებთან სექსი მქონდეს. ორი წლის წინ ვიყავი უკრაინაში, ფილმში მიღებდნენ და ფილმის სურათები მიდევს კიდეც „ფეისბუქზე“. ეს არის ფილმი „URSUS -THE CAUCASIAN BROWN BEAR“, სადაც ნიკა თავაძე მთავარ როლშია.

კესარია: „მე უამრავი ადამიანი მიცავდა, დათოს კი მხოლოდ თავისი ცოლი“

გია ჯაჯანიძე: „შოუს გარშემო ატეხილი ხმაური სასიამოვნოა, თუმცა ცოტა ვიძაბები. მე კითხვა დავსვი, ესენი კი ეცნენ ერთმანეთს და რა უნდა მექნა?“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თან სექსუალურ კავშირში ამხელენ

EXCLUSIVE

„სიმართლე რომ გითხრათ, მათი გადამტერება მაგარი „მკიდია“, სრულ იგნორს ვუკეთებ. მაგათ დონეზე ჩამოვიდე და შევეპასუხო, უბრალოდ, არ მინდა“

საიდან იწყება კესარიას და დავით ქაცარავას კონფლიქტი?

კესარია აბრამიძე: „21-ე საუკუნეში ჰომოფობია, უბრალოდ, სირცხვილია. როცა კარგ მსახიობობაზე გაქვს პრეტენზია, გეის როლიც უნდა ითამაშო და კაბაც უნდა ჩაიცვა“

ელენა ალეგროვა: „დავით, არ გაგიხსენო 2 წლის წინანდელი ამბები. უკრაინის ამბები გაიხსენე, შენ თვითონვე გადახედე შენს ისტორიას. ნუ ეხები უწმაწურად ტრანსსექსუალებს, როდესაც სექსუალურ ურთიერთობას ამყარებდი მათთან, მაშინ ხომ გრძნობდი, რომ ქალი იყო? იუნას და ყანების დრო დამთავრდა, ახლა ჩვენი დროა“

– სანაცნობო წრეში ტრანსსექსუალი არ გყავს?

– არა, ღადაობ? კესო ვიცი. ყველამ იცის, რომ გეები და ტრანსები არ მევასებიან. „იმედიდან“ მაგ მიზეზით წამოვედი, ეს ისტორია ბევრმა გაიგო.

– აბა, ასე თამამად როგორ მოგმართავს და გამხელს ელენა? შენი მათდამი ამგვარი დამოკიდებულების გამო ხომ არა?

– ალბათ, ასეც არის. იციან ჩემი დამოკიდებულება. ენას ძვალი არ აქვს, მიდი და გოიმებს სდიე. თქვა და რა უნდა უყო?

– ელენე ალეგროვას არ იცნობ?

– პირველად ვნახე „ფეიბუქის“ კომენტარებში. ჩვენი დროაო, წერს და ეგრეა. საზოგადოებამ „გააბლატავა“ ეს არარაობები. ეს დღევანდელი საზოგადოების კიბო და პრობლემაა. ლიბერალური და ტოლერანტული დამოკიდებულებით საზოგადოებამ ეს მათხოჯები თავს გაიყვანა. ტიპებს ყველაფრის უფლება აქვთ და გამოდიან აქ ვითომ ჩვეულებრივები, მაგრამ სულით ავადმყოფები და მათ იცავენ, არა, ძმაო, მათი უფლებებიო... ჩვენ ჰომოფობები ვართ და ბნელებს გვიწოდებენ. რისი უფლება აქვთ? შეურაცხყოფა რომ მომაყენონ? მათთან პოლემიკაში შესვლით თავს ვიბანძებ. ისიც მივქარე, მათთან დისკუსიაში რომ შევედი, რატომ დავეცი მაგ დონემდე, ჩემი შეცდომაა. ეგეთებს ან უნდა დასცინო, ან სრული იგნორი გაუკეთო. წარმოიდგინე, ტიპები ნოტაციებს მიკითხავენ და ქალის სილამაზის ეტალონად კესარია აბრამიძე მოჰყავთ. კარგი, რაა! საქართველოში ლამაზი ქალი დაგველია? როგორი შეურაცხყოფაა ქალებისაც და კაცებისაც, საერთოდ ყველასი.

კესარიას ქაცარავას მიმართ წყენა სერიალის შემდეგ დაბეჭდილი ინტერვიუს შემდეგ აქვს, სადაც დათოს უთქვამს, რომ ტრანსსექსუალთან ეროტიკულ კადრებში არ ითამაშებს. აბრამიძე, ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ „ელენე ალეგროვას არ იცნობს, ჰომოფობიური განცხადების გაკეთება ჩვენს საუკუნეში კი უბრალოდ „ტეხავს“.

კესარია აბრამიძე: მე „ფეისბუქზე“ კომენტარების დასაწერად არ მცალია. თან ეს იმდენად მდაბიო თემაა, რომ კომენტარის დაწერის ღირსადაც არ ჩავთვალე. ძალიან დაკავებულიც ვარ. ვხალისობდი იმაზე, რომ სამი დღის განმავლობაში კომენტარები არ შეწყვეტილა. ეს სკანდალი სამი დღე გრძელდებოდა „ფეისბუქზე“, რომელშიც ჩართული იყო დათო ქაცარავა, მისი ცოლი და იუნა შაფათავა. ძალიან აქტიურობდა დათო და მისი ცოლი და ჩემ მიმართ ჰომოფობიურ განცხადებებს წერდნენ. ქალი არ არის, ლამაზი არ არისო. მე არც არასდროს ვამბობ, რომ მე ვარ ქალი და საქართველოში ყველაზე ლამაზი-მეთქი. ეს თემა ჩემთვის ვულგარულია. ხალხი მაღიარებს და ხალხივე მიჯანყდება. მერე ერთმანეთში აწყობენ გარჩევებს. რაც შეეხება დათო ქაცარავს, ჩვენ ერთ ფილმში ვითამაშეთ. მან ინტერვიუში ჰომოფობიური განცხადება გააკეთა. სტატიაში ამბობს, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანთან ერთად ფილმში არ ვითამაშებო. რატომ, არ ვიცი, ალბათ, ის ტრანსსექსუალებს სრულფასოვან ადამიანებად ვერ აღიქვამს. 21-ე საუკუნეში ჰომოფობია, უბრალოდ, სირცხვილია. როცა კარგ მსახიობობაზე გაქვს პრეტენზია, გეის როლიც უნდა ითამაშო და კაბაც უნდა ჩაიცვა. შეიძლება დათო ქაცარავა არ არის ლგბტ ადამიანების მიმართ ცუდად განწყობილი, მაგრამ ასეთი განცხადებებით, თუნდაც ჩემ მიმართ ძოუში – ეს ქალი არ არისო – ამით, ალბათ, ტრადიციული ქართველი ადამიანების გულს იგებს. სრულფასოვან ადამიანებად არ გვთლის და ამით იგებს ქართველი ადამიანების ცოტა ნაწილის გულს. ეს მისი სუბიექტური აზრია, მე სხვის აზრს პატივს ვცემ.

– ვინ არის ელენა ალეგროვა, რომელიც დათო ქაცარავას უკრაინაში ვიზიტს უხსენებს?

– არ ვიცი, ვინ არის ელენა ალეგროვა. „ფეისბუქზე“ სულ აქტიურობს. მე „ფეისბუქზე“ უამრავი მეგობარი მყავს. ყველას არც ვიცნობ და ვერც გავიცნობ. ვირტუალური ცხოვრების დრო არ მაქვს. დათოს ისე დაბეჯითებით გაუხსენა ეს ყველაფერი, მე ვერაფერს გეტყვით, დათოს უნდა ჰკითხოთ. თავისი განცხადებით ელენამ დათო გააჩუმა და კომენტარებს თუ გადახედავთ, დათო საერთოდ გაქრა ინტერნეტ სივრციდან. მე არ ვიცი რა მოხდა, ან დათოს უკრაინაში რა უკეთებია, ინფორმირებული არ ვარ. ვიცი ის, რომ კომენტარებში ბევრი გამალებით მიცავდა, ბევრს ვუყვარვარ და მადლობა მათ ამისთვის. მე უამრავი ადამიანი მიცავდა, დათოს კი მხოლოდ თავისი ცოლი. ადამიანი ორიენტაციის გამო გძულდეს, დღეს ეს გაუგებარია. ტრანსსექსუალები იტალიაში პარლამენტშიც სხედან და ბევრ ქვეყანაშიც ასეა.

– დათოს მიდგომის გამო, სამაგიეროს გადახდის მიზნით ხომ არ იყო ეს ბრალდება?

– ვერც იმას ვიტყვი დააბრალა-მეთქი და ვერც იმას, რომ მართალი თქვა-მეთქი. არ ვიცი და სკანდალის გამო ვერ მოვიგონებ. მე ისედაც სკანდალური ვარ სკოლიდან მოყოლებული. დადგმული შოუები არ მჭირდება. მე რასაც შევხედე იყო ის, რომ ამ კომენტარის მერე ქაცარავა ინტერნეტ სივრციდან გაქრა.

– ანუ ასკვნი, რომ სიმართლე უთხრეს?

– რატომ არის ტრანსსექსუალთან სექსი ასეთი გასაკვირი, ვერ ვხვდები. ისეთი სილამაზის ტრანსსექსუალები არიან მსოფლიოში (თუნდაც უკრაინაში), რომ ბევრი ქალი ოცნებობს იმ ვიზუალის იყოს, თუნდაც სექსუალური შესაძლებლობებით ჰგავდეს მათ. ქალი ვერასოდეს გააკეთებს იმას, რასაც ტრანსსექსუალი აკეთებს. ვისაც სექსუალური ფანტაზია ღია აქვს და დაკომპლექსებული არ არის, ყოველთვის ცდილობს

„ალბათ, უნდათ, რომ გამსვარონ“

ურთიერთობა ტრანსსექსუალთან ჰქონდეს. ეს ჩვენს საუკუნეში საკმაოდ ნორმალურია. ასე რომ, რატომ უნდა გაგიჟდე და გაგიკვირდეს ის, ქაცარავას ჰქონდა თუ არა ტრანსსექსუალთან სექსი?! არ არის გამორიცხული დათოს ჰომოფობიურ განცხადებას გაგრძელება მოჰყვეს. ტრანსსექსუალები ძლიერები არიან და მათ მიმართ აგრესია ცუდ შედეგამდე მიდის. ბევრმა ქართველმა გააკეთა მსგავსი განცხადება და მის მიმართ აგრესია წამოვიდა. აქ მხოლოდ დათოს არ ვგულისხმობ. ჭკვიანი ადამიანი ჰომოფობიურ განცხადებას არ აკეთებს. ელენა ალეგროვა აქ არ არის. საქართველოში კი ბევრი ტრანსსექსუალია, რომლებიც არ ჩანან ასპარეზზე. შესაბამისად, ეს ადამიანები შეიძულებენ ჰომოფობიური განცხადების გაკეთებისთვის. მხოლოდ სექსუალური მამაკაცის როლის მორგებით ცხოვრებაში წინ ვერ წახვალ. პიროვნულადაც კარგი ადამიანი უნდა იყო. „ტეხავს“ ჩვენ საუკუნეში ამ თემის გარჩევა.

– შენ თვლი დათო ქაცარავას სექსუალურ მამაკაცად?

– დათო ქაცარავს სექსუალურობაზე არ მიფიქრია. ჩემთვის სექსუალური ჩემი მეგობარი ბიჭია.

– დათო, როგორ ფიქრობ, გადაიკიდებ არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებს?

დავით ქაცარავა: სიმართლე რომ გითხრა, მათი გადამტერება მაგარი „მკიდია“, სრულ იგნორს ვუკეთებ. მაგათ დონეზე ჩამოვიდე და შევეპასუხო, უბრალოდ, არ მინდა. მაშინ ძალიან უნდა გადმომწვდნენ და შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩემთვის მათი არსებობა სრული ნულია.

– როგორ ფიქრობ, ეს ფაქტი შენ იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს?

– ალბათ, უნდათ რომ გამსვარონ. იმიჯზე ცუდად რატომ უნდა იმოქმედოს, ჩვეულებრივი, სრულფასოვანი მამაკაცი ვარ.

„მხოლოდ სექსუალური მამაკაცის როლის მორგებით ცხოვრებაში წინ ვერ წახვალ. პიროვნულადაც კარგი ადამიანი უნდა იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის წინააღმდეგ იგეგმება ტერაქტი

ხათუნა მგალობლიშვილი

ვინ იქნება შემდეგი – იური ვაზაგაშვილის შემდეგ ბევრი ვერსია გამოითქვა, ვის წინააღმდეგ შეიძლება დაიგეგმოს მომდევნო ტერაქტი და რა მიზნით. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში პირდაპირ დაასახელა პოლიტიკური ძალა, რომელსაც არეულობა და ხალხის ქუჩაში გამოყვანა აწყობს. ნაციონალების რევოლუციურ გეგმებზე საუბარი აქტიურად მიმდინარეობს, შესაბამისად, მათ მიმართ დღესდღეობით ყველაზე მეტი კითხვა არსებობს.

მამუკა არეშიძე: „მათი სამიზნე უფრო ხელისუფლების ის წარმომადგენლები იქნებიან, რომლებიც ძიებას აწარმოებენ და ბრძანებას გასცემენ“

ექსპერტი, მამუკა არეშიძე პირდაპირ ადებს ხელს ყოფილი სახელისუფლო გუნდის წარმომადგენლებს და აცხადებს, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობა სწორედ მათი ხელისუფლების დროს სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშნული ძალოვნების ჩადენილია, რომლებიც დღეს ერთადერთ მიზანს ემსახურებიან – როგორმე საკუთარი თავები გადაირჩინონ. პარალელურად კი ნაციონალების წისქვილზეც ასხამენ წყალს. სოსო რობაქიძემ პირდაპირ განაცხადა, ჩვენი დახოცილი შვილების გამოუძიებელ საქმეებს შეეწირა წინა ხელისუფლება და თუ იგივე გაგრძელდება, დიდი ალბათობით, მოქმედი ხელისუფლებაც იმავე გზას დაადგებაო. უკმაყოფილება სახეზეა. მით უფრო, რომ ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენას სათავეში მოსვლის პირველივე დღიდან ითხოვენ...

ვარაუდი, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობა პროფესიონალების დაგეგმილია, ბევრი მიზეზით აიხსნება. ვაზაგაშვილების ოჯახის ახლობლის განცხადებით, იური ვაზაგაშვილს შვილის საფლავზე სენსორული განათება ჰქონდა დამონტაჟებული, რომელიც მაშინვე ინთებოდა, როგორც კი საფლავზე ფეხს დაადგამდა. აღნიშნული მოწყობილობა ვაზაგაშვილის მკვლელობამდე ზუსტად ორი დღით ადრე გამოსულა მწყობრიდან. სოსო რობაქიძის განცხადებით, განათების გაფუჭება დაგეგმილი მკვლელობის ნაწილი იყო. განათების მუშაობის შემთხვევაში სპუტნიკი სიგნალს დაიჭერდა და საფლავზე დამნაშავეების მიერ ასაფეთქებელი მოწყობილობის დამონტაჟების პროცესის დაფიქსირება შესაძლებელი გახდებოდა.

სოსო რობაქიძის მსგავსად, მამუკა არეშიძეც დარწმუნებულია, რომ მკვლელობას კონკრეტული დამნაშავეები ჰყავს, რომლებიც უკან არაფერზე დაიხევენ, მათ შორის არც ყოფილი პრემიერის წინააღმდეგ ტერაქტის დაგეგმვაზე...

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– ამ ისტორიაში მთავარი დამკვეთია. დამკვეთს რაც შეეხება, ვფიქრობ, აქ არც ისე დიდი წრე შეიძლება იყოს ეჭვმიტანილი. ვაზაგაშვილი პირდაპირ ასახელებდა, ვისაც სურდა მისი მოშორება და რამდენადაც მე ვიცი, მან მოახერხა ბიძინა ივანიშვილის დარწმუნება თავის სიმართლეში, როდესაც ბოლოს შეხვდა. ვაზაგაშვილი ახალი მოწმის გამოჩენის შემდეგ ივანიშვილის მოთხოვნით მივიდა მასთან, სხვათა შორის, და ყველანაირი დოკუმენტაცია წარუდგინა. გარდა დოკუმენტაციისა, ისიც მიანიშნა, რომ ის ადამიანები, ვინც ეჭვმიტანილები იყვნენ მისი შვილის მკვლელობაში, ისევ რჩებიან მაღალ თანამდებობებზე. მათი საუბრის დეტალები ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ბიძინა ივანიშვილი არ დაეთანხმა გაზაგაშვილს, რომ დამნაშავეები კვლავ თანამდებობებზე იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ იქვე მოხდა გადამოწმება და გაირკვა, რომ ვითომ განთავისუფლებული და დაქვეითებული დამნაშავე ადამიანები კვლავ მუშაობდნენ. ამაზე, როგორც ვიცი, ივანიშვილს ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდა. ზოგიერთი მათგანი მართალია, გაშვებულია ძალოვანი უწყებიდან, მაგრამ ზოგიერთი მხოლოდ სიტყვიერად დააქვეითეს. სწორედ ამის გარკვევის შემდეგ მოკლეს ვაზაგაშვილი. ამიტომ ვფიქრობ, ვაზაგაშვილის მკვლელობა ივანიშვილთან ვიზიტის შემდეგ დაიგეგმა. რადგან ვიღაცამ იგრძნო, რომ მასზე სიმართლე ირკვეოდა. როგორც ჩანს, დამნაშავეებმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგეს. ვიღაცამ, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ ვაზაგაშვილის მოკვლით რამდენიმე კურდღელს დაიჭერდნენ, ჩაფარცხავდნენ სიტუაციას და გარდა ამისა, მთავრობის დისკრედიტაციას მოახდენდნენ. ეს მკვლელობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ჩატარებული, ეს მაფიქრებინებს, რომ ძალოვნების მიერაა განხორციელებული.

– გამორიცხავთ, რომ მსგავსი ტერაქტი, მკვლელობა კიდევ განხორციელდეს? ითქვა, რომ ასეთი რამ კიდევ იყო დაგეგმილი...

– ია მეტრეველი ამბობდა, რომ მისი ლიკვიდაცია იგეგმებოდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ბევრად ადრე იგეგმებოდა, ჯერ კიდევ 2007 თუ 2008 წელს, თუმცა მაშინ კონკრეტულმა გარემოებებმა ამის განხორციელებას ხელი შეუშალა. დღეს არა მგონია, მისი მკვლელობა იყოს დაგეგმილი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ის ადამიანები, ვინც ვაზაგაშვილის მკვლელობა დაგეგმა, არაფერზე არ არიან უკან დამხევები. არა მგონია, კიდევ რომელიმე შვილმკვდარი მშობელი იყოს მათი სამიზნე. მათი სამიზნე უფრო ხელისუფლების ის წარმომადგენლები იქნებიან, რომლებიც ძიებას აწარმოებენ და ბრძანებას გასცემენ.

მამუკა არეშიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგაც დაიგეგმოს ტერაქტი“

– ანუ შესაძლოა, რომელიმე თანამდებობის პირის წინააღმდეგ დაიგეგმოს ტერორისტული აქტი?

– შესაძლოა, თანამდებობის პირის წინააღმდეგ იყოს ჩატარებული ტერაქტი და ვინ არის ის თანამდებობის პირი ან ისეთი მდგომარეობის ადამიანი, რომელსაც შეუძლია სიტუაცია მკაცრად გააკონტროლოს? ასეთი ადამიანი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილია. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ რომ მის წინააღმდეგაც დაიგეგმოს ტერაქტი. სწორედ იმიტომ რომ თავიდან ავიცილოთ საფრთხეები, ძალიან სერიოზული ოპერატიული ღონისძიებებია ჩასატარებელი და რაც შეიძლება სწრაფად.

– ბიძინა ივანიშვილმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ არეულობა, პირველ რიგში, ნაციონალებს აწყობთ...

– საერთოდ, როდესაც ასეთი სიტუაცია ვითარდება, ყოველთვის ისმის კითხვა, ვის აწყობს ეს ყველაფერი? დასახელდა „ნაციონალური მოძრაობა“ და თავისთავად შეიძლება გამოჩნდნენ ამის უკან, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ დამნაშავეები დამოუკიდებლად მოქმედებენ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად.

– ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა საფრთხეს ადეკვატურად აცნობიერებს?

– ადეკვატურად რომ აცნობიერებენ საფრთხეს, სწორედ ამიტომ დაინიშნა ანზორ ჩუბინიძე სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსად და გომელაური – შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გამოძიების გარეშე ამ თემით პოლიტიკური სპეკულირება სრულიად დაუშვებელია“

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „უსუფაშვილის ეს განცხადებაა სწორედ ანტი-სახელმწიფოებრივი...“

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

„პრაიმტაიმს“ ესაუბრება „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი და სტრასბურგში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ ჭიაბერაშვილი:

– ერთი მხრივ, არსებობს ხელისუფლება, რომელიც ამბობს: ნაციონალები ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ეწევიანო, მეორე მხრივ, ნაციონალები ამბობენ, მაგალითად, გიგა ბოკერია, რომ ეს ხელისუფლება სწრაფად და დემოკრატიულად უნდა დასრულდეს... ეს ყველაფერი 90-იან წლებს ჰგავს... როცა გამსახურდიამ და ჭანტურიამ ვერ მოილაპარაკეს, გაჩნდა შეიარაღებული კიტოვანი და ის ადამიანები, რომლებსაც რუსეთმა ფული მისცა...

– პასუხი არის ჰოც და არაც. მდგომარეობა უახლოვდება 90-იან წლებს იმ გაგებით, რომ ხდება სახელმწიფო სტრუქტურების მოშლა. სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ, სახეზეა ეკონომიკური ვარდნა, ლარის ინფლაცია, მთავრობა კი უუნაროა, არათუ შეცვალოს მდგომარეობა, არამედ ადეკვატურად უპასუხოს მას. ამ მხრივ, 90-იან წლებს ნამდვილად ვუახლოვდებით. პატრულთან დაკავშირებული ინციდენტი იმის კლასიკური მაგალითია, როგორ იშლება სახელმწიფო ინსტიტუტები და როგორ იმატებს მოქალაქეების მხრიდან უნდობლობა სახელმწიფო სექტორის მიმართ.

ჩვენ უკვე მოპოვებული გვაქვს სერიოზული პოლიტიკური კულტურა – ერთხელ უკვე შეიცვალა ხელისუფლება არჩევნების გზით. ეს გამოცდილება არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების შემდეგ მივიღეთ მთავრობა, რომელიც დაკავებულია სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევით და ოპონენტების დევნით, ამის მიუხედავად, საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ, როგორც არ უნდა მოგწონდეს მთავრობა, კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო მდგომარეობიდან ყველაზე ადეკვატური გამოსავალია...

– პატრულთან დაკავშირებით, მოვისმინეთ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება. საერთოდ, უსუფაშვილი ძალიან იშვიათად აფიქსირებს ხოლმე საკუთარ პოზიციას. ეს ის შემთხვევა იყო, როცა თქვა, რომ ადგილი ჰქონდა მონტაჟს და რომ გავრცელდა ცრუ ინფორმაცია... პრემიერმა პატრულის წინააღმდეგ კამპანიას ანტისახელმწიფოებრივი უწოდა... ფაქტობრივად, ნაციონალები პროვოკაციულ ქმედებებში დაადანაშაულეს...

– მთავრობას და მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარესაც ახასიათებს უაპელაციო განცხადების გაკეთება. რა არის მონტაჟი და რა არის ნამდვილი კადრი, ამის თაობაზე გამოძიება არ ჩატარებულა. ასე გამოგვიცხადეს ვანოს საკნიდან გაყვანის დროსაც, ეს ყველაფერი ტყუილიაო... მერე აღმოჩნდა, რომ ფირები საერთოდაც იშლებოდა... პატრულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებამ გასცეს პასუხი და გამოიძიოს... უსუფაშვილის ეს განცხადებაა სწორედ ანტისახელმწიფოებრივი...

– შესაძლოა, ის შსს-ს განცხადებას დაეყრდნო, თქვა, რომ ამ ეკიპაჟიდან ერთი დანინაურდა, მეორე კი მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ წავიდა პატრულიდან...

– ეგ, ალბათ, ბორჯომის ინციდენტს ეხება, იარაღის ტრიალი რომ იყო. რაც შეეხება სხვა კადრებს, ის ახალია. საინტერესოა, რომ მაგაზე ჯერ გამოძიებაც არ დაწყებულა... წინასწარი დასკვნების გაკეთებაც რთულია.

საერთოდ, ცხადია, რომ კრიმინალმა მოიმატა... პოლიციელებს ასეთ მდგომარეობაში იმის გაცნობიერება სჭირდებათ, რომ სახელმწიფო მათ გვერდით დგას, ახლა ისინი ხედავენ, რომ ხელისუფლება და კრიმინალი შეხმატკბილებულად მოქმედებენ. ბათუმში, მაგალითად, კრიმინალებმა 22 წლის პოლიციელი განზრახ მოკლეს და რომ არა რიგითი პოლიციელების ვაჟკაცობა, საბაჟოზე მკვლელები თურქეთში გააღწევდნენ. და მაშინ არც მინისტრი და არც სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნები პოლიციელის დაკრძალვაზე არც ჩასულან. ანალოგიური შემთხვევა მოხდა იგივე ბათუმში, როცა პროკურორს მანქანა დაუწვეს... სხვა შემთხვევაში უკვე ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართაც გაიმეორეს. თავისთავად, მანქანის დაწვა კრიმინალების შურისძიების იარაღია ხოლმე. როცა კრიმინალი ასე თამამად გრძნობს თავს ამ ხელისუფლების პირობებში, პოლიციელის გამბედაობა იკლებს, სახელმწიფო ინსტიტუტები მცირდება. ამ ნაწილში 90-იან წლებს ვემსგავსებით...

– კრიმინალთან დაკავშირებით, იგივე გივი თარგამაძის წინაალმდეგ ისმის გარკვეული ბრალდებები. ითქვა, რომ არსებობს რაღაც შტაბი კიევში, საიდანაც ის რაღაც დირექტივებს იღებს, ასევე, ქურდულ სამყაროსთან აქვს კავშირი... ასეთი განცხადებები პარლამენტშიც გაკეთდა.

– ვისაც ამ ტიპის სპეკულაციების სჯერა, მათ თავისუფლად შეუძლიათ აიღონ „ალიას“ ის ნომერი, სადაც ჭიკაიძემ ვრცლად ისაუბრა ნაციონალების მიერ ახალი საბურავების ჩამოტანაზე... შსს-მ ამასთან დაკავშირებით ნაციონალების წინაალმდეგ საქმეც კი აღძრა. ვისაც ამ აბსურდული ვერსიების სჯერა, მათ რაც არ უნდა ვუპასუხო, აზრი არ აქვს; ხოლო ვისაც ამ ვერსიების არ სჯერა, იქ საერთოდაც ჩემი მხრიდან განმარტების გაკეთება ზედმეტია...

– რას იტყვით სააკაშვილის განცხადებებზე: მალე ჩამოვალთ, ხელისუფლებაში მალე დავბრუნდებით...

– მალე რომ დავბრუნდებით, ამაში ეჭვი არ მეპარება... ეკონომიკის მოშლა, ხალხის მდგომარეობის გაუარესება და კრიმინალის მატება – შეუძლებელია, საზოგადოებამ ეს დიდხანს მოითმინოს. შესაბამისად, ჩვენ, როგორც ხელისუფლების ერთადერთი ალტერნატივა, ვხედავთ საზოგადოებაში განწყობების ცვლილებას, მთავრობამ სრულად დაკარგა საზოგადოების მხრიდან ნდობა. როცა არ უნდა იყოს არჩევნები, 2016 წელს, თუ ბიძინა გადაწყვეტს მის 2015-ში ჩატარებას, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ხელისუფლებას არჩევნებს მოვუგებთ...

– ახლა სხვა დრო და სხვა რეალობაა...

როცა გამსახურდია-ჭანტურია-კიტოვანზე ვსაუბრობდით, მაშინ პრორუსებმა ხელში იარაღი აიღეს, ახლა რამდენად არის იმის შანსი, რომ არჩევნებში გაიმარჯვონ? თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლების რეიტინგი ვარდება, მაგრამ თქვენი იწევს? არის რაიმე კვლევები ამასთან დაკავშირებით?

– შედარების დროს, აქ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა... საქართველოს ისტორიაში ძირითადი ოპოზიციური ძალა არასოდეს ყოფილა ქვეყნის კონსტიტუციური განვითარების გარანტი. როცა ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში, აბსოლუტურად დესტრუქციული ოპოზიცია გვყავდა, რომელიც ცდილობდა, არა მხოლოდ პოლიტიკურად დაეზიანებინა ხელისუფლება, არამედ მთელი სახელმწიფო გამოეყვანა წყობიდან. ახლა ისინი ხელისუფლებაში არიან და ისე იქცევიან, როგორც ჭორებზე, სპეკულაციებზე დამყარებული დესტრუქციული ძალა.

რაც შეეხება არჩევნებს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ივანიშვილს მოუწევს პრორუსულ ძალებთან ღია და დაუფარავი ალიანსის შეკვრა. დღეს ისინი ბევრი მიმართულებით მოკავშირეები არიან. თუნდაც, პოლიტიკური ოპოზიციის – ნაციონალების განადგურების თვალსაზრისით. ბიძინას პოზიციები ისე სუსტდება, რომ მას მოუწევს ღია ალიანსი ბურჯანაძესთან და „პატრიოტთა ალიანსთან“. ბევრი, ვისაც ივანიშვილი პრორუსი არ ჰგონია, დაინახავს, რომ მისი პოლიტიკური გადარჩენის ერთადერთი გზა ეს არის...

– ვაზაგაშვილის მაგალითი ავიღოთ... იური ვაზაგაშვილის შვილის საფლავზე აფეთქების შემდეგ სოზარ სუბარმა თქვა, რომ ეს ნაციონალების ხელწერაა, ნაციონალები ხელისუფლების უუნარობაზე ალაპარაკდნენ, პრორუსულმა ძალებმა კი ხალხს ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდეს...

– ეს საშინელი ტრაგედიაა, უაღრესად ტრაგიკული მოვლენაა. ვითარებას ამძიმებს ის, რომ საქართველოში ისევ დავუბრუნდით მდგომარეობას, როცა ამგვარი მკვლელობის შეკვეთა და განხორციელება შესაძლებელია. ჩვენ კრიმინალთან ძალიან მძიმე ბრძოლის ფასად, მივიღეთ საზოგადოება, სადაც ადამიანები თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ, დღეს უსაფრთხოების განცდა გაქრა და საზოგადოებაში შიშმა დაისადგურა.

გამოძიების გარეშე ამ თემით პოლიტიკური სპეკულირება სრულიად დაუშვებელია, პოლიტიკური უპასუხისმგებლობა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა.

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცველებმა უშუალოდ იური ვაზაგაშვილის შვილის საქმესთან დაკავშირებითაც კანონის შესაბამისად იმოქმედონ. სპეკულაციები აქაც უნდა გამოირიცხოს... არავინ არ შეიძლება განტევების ვაცი გახდეს...

„რაც შეეხება არჩევნებს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ივანიშვილს მოუწევს პრორუსულ ძალებთან ღია და დაუფარავი ალიანსის შეკვრა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თაკო ნაცვლიშვილი – 16 წლის მოდელის დი

my View
თამარ გონგაძე

პარიზში მაღალი მოდის კვირეული 25 იანვარს დონატელა ვერსაჩემ გახსნა. ყველაზე გლამურული დეფილე და საერთოდ მთელი კვირეული საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გახდა იმით, რომ ჩვენებებში 16 წლის მოდელი თაკო ნაცვლიშვილი მონაწილეობდა. საკუთარი კოლექციის წარმოსაჩენად ახალბედა მოდელი პოდიუმზე თითქმის ყველა დიდმა ბრენდმა და დიზაინერმა გამოიყვანა. მოდელის დებიუტი, რომ ვერსაჩეს კოლექციის ჩვენებით შედგება, ეს ცოტა ოცნებას წააგავს. ეს საკმაოდ მიზანდასახული თაკოსთვის რეალობაა და მას უკვე იმ კაბების ფერები აქვს, რომლის ჩვენებითაც ის მაღალი მოდის სამყაროში თამამად შევიდა. ქართველი ლამაზმანი მამაკაცების იამამტოს ჩვენებაზეც გამოიყვანეს. დიორს არმანის დეფილე მოჰყვა, არმანის ელი სააბი და ბოლოს რალფ ენდ რუსო. არ გეჩვენებათ, ამ დიზაინერებმა თაკო ნაცვლიშვილს საკუთარი კოლექციიდან პოდიუმზე კაბა გამოატანინეს. დედას გახარეულმა უთხრა, რომ ბექსთეიჯში მთელი ყურადღება მისი მისამართით იყო მიმართული. ვინმე ტოპმოდელში ხომ არ ვეშლები, ძალიან დიდ ყურადღებას მაქცევენ, ფოტოებს მიღებენ, ფეშენ ტივიმ ინტერვიუ ჩამომართვაო, გოგონა თავს დამტყდარმა წარმატებამ გააოგნა.

თაკო ნაცვლიშვილი: პარიზში რომ ჩავედი, იმედი მქონდა, ერთი დიზაინერი მაინც ამირჩევდა და კასტინგებზე სიარული დავიწყე. გაკვირვებული დავრჩი ყველაზე მაგარმა ამდენმა დიზაინერმა თავისი ჩვენებისთვის რომ ამირჩია. თავიდან თავი სიზმარში მეგონა. ეს ჩემი პირველი სეზონია და ახალი სახე ვარ ყველასთვის და უცებ ასეთი წარმატება. უზომოდ მიხარია, ჩემზე ასეთი მოთხოვნა რომ არის.

თაკო ნაც – ასე ეძახიან ქართველ მოდელს პარიზში. ორი წელია რაც მოდელობს, უცხოურ ბაზარზე კი მხოლოდ ერთი წელია გასული. მოდელობა 14 წლის ასაკში დედის – ასევე მოდელის, ნინო ცქიტიშვილის სამოდელო სააგენტო „ლუქ მოდელსში“ დაიწყო, სპონტანურად. მოუნდა, რომ დედისნაირი ყოფილიყო. სიმაღლეში დედას 4 სანტიმეტრით ჩამორჩება, 180 სანტიმეტრია. ახალბედა მოდელის პარამეტრები ასეთია: მკერდის გარშემოწერილობა 83 სმ, წელი 59 სმ, თეძო 87 სმ. 52 კილოგრამია. დიეტაზე არ არის. მიირთმევს შავ შოკოლადს, სალათებს. ფეხით ბევრს დადის. საფრანგეთში მყოფს ენატრება დედის სადილები. „კვირეული რომ დამთავრდება ხინკალი უნდა ვჭამო ქართულ რესტორანში, მითხრა“, – ამბობს ნინო ცქიტიშვილი.

ნინო ცქიტიშვილი: ფრანგულმა სააგენტომ „ნექსთმა“ უთხრა თაკოს, რომ მსგავსი პრეცედენტი – მოდელი ერთდროულად ამდენ დიზაინერს აეყვანოს, აქამდე არ დაშვებულაო.

პირველად რომ გადაწყდა და ვერსაჩეს ჩვენებაზე უნდა გამოსულიყო, თაკოს ხმის ჩანაწერი მომივიდა, კიოდა, დედა, ვერსაჩემ დამამტკიცაო. მანამდე მომწერა, სავარაუდოდ ამიყვანს, საოცრად მოვეწონე და ალბათ დამამტკიცებსო. პასუხი მეორე დღეს მოვიდა და შოკირებული იყო. ასევე მეც. ემოციების გამოხატვა და აჟიტირება არ შემიძლია. სავარძელში დავჯექი და ჩემთვის ვფიქრობდი, ასე უცებ ეს ყველაფერი როგორ მოხდა-მეთქი. ენით მით უმეტეს ვერ გადმოვცემ, შინაგანად ისეთი ემოცია მქონდა. და არა მხოლოდ მე. მთელ ოჯახს, ახლობლებს და მგონი სრულიად საქართველოს. ვატო შოკირებული მეუბნებოდა, იცი, სად არის ახლა თაკო? ასე უცებ ეს ყველაფერი როგორ მოახერხეო? მარტო ჩემზე არ იყო დამოკიდებული, მოდელზე იყო.

თაკო ნაცვლიშვილი: ვერსაჩეს მოკლე ლურჯი კაბა მეცვა დიდი სარტყელით. პირველ ჩვენებას დადებითი შეფასებები მოჰყვა. ყველამ გამიცნო და შემდეგ შოუებზე უკვე მცნობდნენ ფოტოგრაფები, ვიზაჟისტები და ზოგადად ხალხი. ეს დაუჯერებელი იყო. ჩვენების შემდეგ ბექსთეიჯში რომ შევდიოდი, აქეთ-იქიდან მეძახდნენ, თაკო გამოგვხედე, თაკო! გარეთ ფოტოგრაფები მომყვებოდნენ მეტრომდე და ფოტოებს მიღებდნენ. მივხვდი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. დიორის ჩვენებაზე 5-კილოიანი მოკლე თვლებიანი კაბა მეცვა. შავი თვლებიან-ბისერებიანი გრძელი კაბა მეცვა არმანის ჩვენებაზე. ელი სააბზე გადაწყვიტეს ჩემთვის მოკლე ვარდისფერი კაბა ჩაეცვათ, ულამაზესი ყვავილებით. გაზაფხულის აურა მოჰქონდა. ბოლოს კი Ralph&Russo-ს ყვავილებიანი კაბა მეცვა, რომელსაც საოცარი გარდამავალი ფერები ჰქონდა. იქ რაც ხდება, ეს ჯადოქრობაა. ყველა დარბის, ზოგი თმას გიკეთებს, ზოგი მაკიაჟს. ცნობილი ჟურნალების ფოტოგრაფებს ყველგან გადააწყდები, გიღებენ. ამ ყველაფერს მოდის სფეროს არხები აშუქებენ. ახალ კოლექციას პირველად ვიპ საზოგადოება ათვალიერებს. ბექსთეიჯში გავიცანი ცნობილი ვიზაჟისტი Path Macgrathreal-ი, რომელიც დამიმეგობრდა, ჩემზე ყველაფერი ჩაინიშნა და ხელი შემიწყო დიზაინერებთან.

ნინო ცქიტიშვილი: ბევრი ჩვენება ერთმანეთს დაემთხვა. შანელმა თავის ჩვენებაზე რომ ვერ გამოიყვანა, ჟურნალი „ედითორიალისთვის“ ახალი კოლექციით ფოტოსესიაში მაინც გადაიღო თაკო. მე ძალიან მომეწონა არმანის ჩვენებაზე, შავი ელეგანტური კაბა ძალიან უხდებოდა. საოცარი იყო ელი სააბის დეფილეზე. ვერსაჩეს კოლექციაზე მე დიდად არ ვგიჟდები.

– თაკო, „ახლოდან“ როგორები არიან მსოფლიო მოდის შემქმნელები?

თაკო ნაცვლიშვილი: ჩვეულებრივი ადამიანები არიან, უბრალოდ, არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებენ. რახან პირველი დონატელა ვერსაჩე იყო, პირველი მძაფრი ემოციებიც მასთან არის დაკავშირებული. დონატელასთან რომ შემიყვანეს, გავიარე და სიარულის დროს მესმოდა შეფასების ხმები – mamamia bella!! Gourgeous! არ მჯეროდა, ყურებს არ ვუჯერებდი. ამას ერთი წუთითაც არ დავუბნევივარ, თავდაჯერებულობა არ დამიკარგავს, პირიქით, მომემატა და უკეთ გავიარე. შემდეგ იყო დიორის კასტინგი. დიორი მკაცრი არმოჩნდა. სამჯერ დამიბარეს, ყველანაირი გამოცდა გამატარეს. როგორც მერე გავიგე დიორის სახლის კრეატიულ დირექტორს რაფს ძალიან მოვწონებივარ.

არმანი შოკისმომგვრელი იყო. მოგიახლოვდა ნიკაპზე მომკიდა ხელი და მითხრა: „great face“. ამ დროს თვალებში ვუყურებდი და გავოგნდი საოცარი თვალები აქვს!!!

ნინო ცქიტიშვილი: თაკომ მითხრა, ისეთი მგლისფერი თვალებით მიყურებდა შემეშინდა და ცოტა დავიბენიო.

თაკო ნაცვლიშვილი: როდესაც პოდიუმზე გავდივარ, ყველაფერი მავიწყდება. იქ მხოლოდ მე და კამერები ვართ. ვცდილობ კამერა ჩემი მზერითა და სიარულით გავხვრიტო. ამ კვირეულზე უზომოდ დიდი გამოცდილება მივიღე. მივხვდი, ამხელა დიზაინერებთან მუშაობისას რამხელა პასუხისმგებლობა გაკისრია – როგორ უნდა წარმოაჩინო თავი ყველასთან ისე, რომ აგიტაცონ. ბევრი რამ ვისწავლე. გავიგე ნამდვილად ვის უხარია ჩემი წარმატება და ვის – არა. პირველ რიგში კი იმას მივხვდი, რომ თუ შენი თავის გჯერა, შეუძლებელი არაფერია. ყველაფერი ისე გამოვა, როგორც გინდა რომ გამოვიდეს. თუ უკმური

„გაისმა ზარი, მილოცავდენენ, მე დონატელა ვერსაჩეს ჩვენებაზე დამამტკიცეს! ცხოვრებამ თვითონ დამანახა ჩემი გასავლელი გზა“

ნინო ცქიტიშვილი: „ამ ყველაფერს არ მოველოდი-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. უბრალოდ, არ მეგონა ასე ადრე თუ მოხდებოდა ყველაფერი და ამდენი დიზაინერი ასე აიტაცებდა თაკოს. ეს შოკის მომგვრელია ჩვენთვის“

ნინო: „ემოციების გამოხატვა და აჟიტირება არ შემიძლია. სავარძელში დავჯექი და ჩემთვის ვფიქრობდი, ასე უცებ ეს ყველაფერი როგორ მოხდა-მეთქი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დი წარმატება პარიზის მოდის კვირეულზე

„ჯერ მხოლოდ 16 წლის ვარ და ბოლომდე მივყვები. რამდენი რამ განვიცადე და ეს მხოლოდ დასაწყისია“

EXCLUSIVE

ხარ, არაფერიც არ გამოგივა არა მარტო ამ სფეროში, ზოგადად. ამიტომ ხასიათიც უნდა გიწყობდეს ხელს. ამას ნამდვილად მივხვდი.

ყველაზე მეტად მინდოდა, რომ დედაჩემს ეამაყა ჩემით. ის ამას იმსახურებს, რადგან მან ჩემი წარმატებისთვის ბევრი იშრომა. მან შეუძლებელი შეძლო. ჩვენ ერთნი ვართ. გამიხარდა სააგენტოს მოლოცვა, როცა მითხრეს, რომ ჩემით ამაყობდნენ. დედას და მამას ორივეს დიდი როლი აქვთ ჩემს წარმატებაში.

ნინო ცქიტიშვილი: 14 წლამდე რატომღაც მოდელობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. არ მინდა, მოდელი არ გამოვალ, ხელს შემიშლის სპორტშიო, სისულელებს ამბობდა. იმ დროს კარგად თამაშობდა ჩოგბურთს. ერთ დღესაც აზრი რადიკალურად შეიცვალა და შენთან მოვალ სააგენტოშიო, გამომიცხადა. მე გამიხარდა. ალბათ, ბავშვობიდან ახსოვდა ჩემი პოდიუმზე გამოსვლა, ჩარჩენილი ჰქონდა და სურვილიც გაუჩნდა. ასე დაიწყო თაკოს კარიერა. დავხვეწეთ ჩვენს სკოლაში, სიარული, პოზირება ვასწავლეთ. ფოტოები გადავუღეთ. პირველი შემოთავაზება ჰონგ-კონგის კარგი სააგენტო „ელიტისგან“ მიიღო. 15 წლის იყო და მეც გავყევი. პირველი ნაბიჯების მარტო გადადგმა რთული რომ არ ყოფილიყო, რამდენიმე კვირა მასთან ერთად დავყავი. მერე დავტოვე და სამი თვე იმუშავა. რომელ კასტინგზეც არ წავიდა, ყველა სამუშაოზე დაამტკიცეს, მათ შორის დიორთან. მომდიოდა შეტყობინებები, ეს ბავშვი ბევრს მიაღწევსო. რომ ვაკვირდებოდი, თაკოს კარიერა ისე სწრაფად ვითარდებოდა, მივხვდი, რომ დიდი მომავალი ექნებოდა და ფაქტი სახეზეა. ამ ყველაფერს არ მოველოდი-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. ამდენს იმიტომ ვშრომობ, რომ არამხოლოდ ჩემმა შვილმა, ჩემმა მოდელებმა წარმატებას მიაღწიონ. მე ხელს ვუწყობ. მე უბრალოდ არ მეგონა ასე ადრე თუ მოხდებოდა ყველაფერი და ამდენი დიზაინერი ასე აიტაცებდა თაკოს. ეს შოკის მომგვრელია ჩვენთვის. ვის ჰგავს? ჩემგანაც და ვატოსგანაც საუკეთესო აქვს აღებული. უფრო მე მამსგავსებენ, ახალგაზრდობისას.

– თაკო, მოდელობა შენი სამომავლო პროფესიაა?

– რა თქმა უნდა. თავის დანებებას არ ვაპირებ, მით უმეტეს ამიერიდან, როდესაც ასეთ ჩვენებებში გამოვედი. ჯერ მხოლოდ 16 წლის ვარ და ბოლომდე მივყვები. რამდენი რამ განვიცადე და ეს მხოლოდ დასაწყისია. ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია და აზრს ვერავინ და ვერაფერი შემაცვლევინებს. ცხოვრებამ დამანახა ისიც, რომ არ უნდა დავნებდე. სანამ კასტინგებზე არ ამიყვანეს, ვფიქრობდი, თუ არაფერი გამოვა, ამ საქმეს თავს დავანებებ-მეთქი. გაისმა ზარი, მილოცავდნენ, მე დონატელა ვერსაჩეს ჩვენებაზე დამატკიცეს! ცხოვრებამ თვითონ დამანახა ჩემი გასავლელი გზა და მანიშნა, რომ არ დავნებებულიყავი. მე ახლა ამ გზას მივყვები.

– დაახასიათეთ ქალიშვილი.

ნინო ცქიტიშვილი: თაკო შრომისმოყვარე და მიზანდასახული, ძლიერი პიროვნებაა. დამოუკიდებელი გოგოა. ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენს ვერ მიაღწევდა. მართალია ამაში დიდია ჩემი წვლილი, მაგრამ სხვანაირი ტიპაჟია. რასაც ჩაიფიქრებს, აკეთებს. რქებით „აწვება“. საზღვარგარეთ ჩავიდა თუ არა, ყველაფერი იმდღესვე აითვისა. მეტროთი მარტო დადის. მგონი თავში ნავიგაცია აქვს. ერთს ჩახედავს რუკაში და იცის, სად უნდა მივიდეს. ასე იყო მილანშიც, ჰონგ-კონშიც და ლონდონში. ეტყობა, ნიჭიერია.

„პირველ რიგში კი იმას მივხვდი, რომ თუ შენი თავის გჯერა, შეუძლებელი არაფერია. ყველაფერი ისე გამოვა, როგორც გინდა რომ გამოვიდეს. თუ უჟმური ხარ, არაფერიც არ გამოგივა“

თაკო პარიზში საგენტოსთან ახლოს მარტო ფრანგ დიასახლისთან ერთად ცხოვრობს. მისთვის ეს ქალაქი უცხო არ არის. ბავშვობის გარკვეული წლები იქ გაატარა.

ნინო: ხუთი წელი პარიზში ვცხოვრობდით. თაკო 6 წლიდან ათ-თერთმეტ წლამდე იქ იყო. თავს ყველაზე კარგად იქ გრძნობს.

თაკო: პარიზი მეორე თბილისია ჩემთვის. აქ ყველგან ერთობი, სახლშიც კი, იმდენად საოცარი ქალაქია. ყველაზე მეტად „hotel costes“-ის რესტორანი მიყვარს. მიყვარს ოპერის ტერიტორიაზე ფეხით სიარული, კაფეებში კაპუჩინოს სმა. პარიზში სხვა რა უნდა აკეთო, თუ არა მის ქუჩებში სეირნობა?! დავდივარ კასტინგებზე, ან დილით, ან საღამოს. ქუჩაში მაჩერებენ, ფოტო გვინდა თქვენთანო.

– და თაყვანისმცემლები?

– ჯერ მაგ თემაზე არ ვფიქრობ, ჯერ კარიერა. მინდა სწავლა პიარ-მენეჯმენტის ფაკულტეტზე გავაგრძელო. ეს ჩემს პროფესიას ეთავსება.

„ყველაზე მეტად მინდოდა, რომ დედაჩემს ეამაყა ჩემით. ის ამას იმსახურებს, რადგან მან ჩემი წარმატებისთვის ბევრი იშრომა. ჩვენ ერთნი ვართ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მთავარი პოლიტიკური ინტრიგა

ქეთი ხატიაშვილი

დიდი პოლიტიკური ბატალიები ევროსაბჭოს კულისებში. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არც ერთი მხარის უპირატესობით ეს ბრძოლა არ დასრულებულა. მოსკოვი ისევ დარწმუნებულია თავის სიმართლეში და მიაჩნია, რომ მას უსამართლოდ ექცევიან. ამ ვითარებაში ის შანტაჟის ენით საუბარსაც კი ბედავს. სტრასბურგი კი, თავის მხრივ, ასევე, ცდილობს, მოკრძალებული მეთოდებით გააგებინოს კრემლს, რომ პოლიტიკა კუნთებით არ იზომება. ასეა თუ ისე, ეს იყო დიპლომატიისა და უხეში ძალის დაპირისპირების საინტერესო ფრაგმენტი.

მოსკოვმა თავდაპირველად მოახერხა და მონიტორინგის ჯგუფში შეძლო, მისთვის სანქციები დაებლოკა. ანუ მონიტორინგის ჯგუფმა მხარი არ დაუჭირა რუსეთისთვის ხმის მიცემის შეჩერებას. სხდომა დახურულია, თამაშის წესები კი – ევროპული, ამიტომაც, პირად საუბრებშიც კი არ საუბრობენ, ვინ, რომელი ქვეყნები გამოვიდნენ, უკრაინასთან ომის ფონზე, სანქციების დაწესების წინააღმდეგ.

თუმცა, როცა რუსეთმა აქ წარმატების მიღწევის შემდეგ მისთვის სხვა სანქციების მოხსნაც მოითხოვა, მაშინ უკვე დისკუსიამ სხდომაზე გადაინაცვლა და დეპუტატებმა რუსეთისთვის აპრიბის დემონსტრირება გადაწყვიტა და ეს მისგან არავის გაჰკვირვებია. კულისებში მაშინვე დაიწყო საუბარი რუსეთის შემცველზე, ანუ მის ალტერნატივაზე. ცნობილია, რომ თურქეთმა მაშინვე გამოთქვა სურვილი, გაზარდოს დაფინანსება და უფრო მეტი საწევრო შეიტანოს ევროსაბჭოს ბიუჯეტში, თუმცა, აქვე ის ითხოვს, გაიზარდოს მისი დელეგაციაც.

ეს რუსეთს დიპლომატიური პასუხი. მოსკოვი კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა ერთ რუსულ ჭეშმარიტებაში: „Свято место пусто не бывает“.

ასე რომ, ახლა მან თავად უნდა ლამდე ხმის ჩამორთმევას მხარი დაუჭირეს.

ევროპის პროტესტზე რუსეთმა პროტესტითვე უპასუხა და სტრასბურგი 2016 წლამდე დატოვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ფედერაციას საკმაოდ დიდი დელეგაცია ჰყავს სტრასბურგში, მივხვდებით, რამდენად სოლიდურია მისი საწევრო შენატანი ევროსაბჭოს ბიუჯეტში. რუსეთის დელეგაცია შანტაჟის დროს სწორედ ამაზე აპელირებდა და აცხადებდა, რომ ის შეწყვეტდა საწევროს გადახდას და სტრასბურგს სერიოზულ ფინანსურ დარტყმას მიაყენებდა. უნდა ითქვას, რომ, საწევროს გარდა, რუსეთი სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსაც აფინანსებდა.

რუსეთმა სტრასბურგში ძალეაირჩიოს, თავის სივრცეს თურქეთს დაუთმობს თუ აპრილში მაინც გამოცხადდება. სანქციები მის წინააღმდეგ სწორედ გაზაფხულამდე ვრცელდება. ექსპერტების განმარტებით, თუკი რუსეთი უკრაინაში პოზიციებს დათმობს და ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნას შეასრულებს, მას აპრილში სრულფასოვნად შეეძლება სესიაში მონაწილეობა.

თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც ამის შემდეგ დაიწყო. სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის დელეგაციამ პროტესტის ნიშნად კარი გაიჯახუნა, თუმცა მანამდე პირწმინდად, დააცარიელეს თავისი ოფისი და ტუალეტის ქაღალდი და საპონიც კი წაიღესო.

პირველად ამის შესახებ სოცქსელებში უკრაინის სახელმწიფო ეკოლოგიური ინსპექციის პრესმდივანმა იგორ ტიხოლაზმა დაწერა:

„სტრასბურგიდან შემატყობინეს ნაცნობმა ჟურნალისტებმა, რომლებიც PACE-ს სხდომას ესწრებოდნენ, სადაც რუსეთის წარმომადგენლებს კარისკენ მიუთითეს... მათ სკანდალით დატოვეს სამუშაო კაბინეტები და ხმაურით გაიჯახუნეს კარი. მაგრამ მანამდე კაბინეტები პირწმინდად დააცარიელეს – წაიღეს საკანცელარიო ნივთები (კალმები, ფანქრები, A4 ფორმატის ქაღალდი, სტეპლერები, ფაილები), ზოგან ნათურებიც კი მოხსნეს, ტუალეტებიდან კი საპონი და ტუალეტის ქაღალდიც გააყოლეს ხელს“.

დიპლომატია უხეში ძალის წინააღმდეგ

„ახალი მეინიმვნა“ მა

ქეთი ხატიაშვილი

ყველა პოპულისტურ თემაზე პრეზიდენტი ქულების მაქსიმალურად ჩაწერას ცდილობს. თუმცა, ვერ ახერხებს. კლასიკური მაგალითი მოსმენების შესახებ კანონია. მაშინ მარგველაშვილს მოუწია, თავად მოეწერა ხელი კანონისთვის, რომელსაც თავადვე დაადო ვეტო უფრო ადრე. კლასიკა, როგორც ამბობენ, შეიძლება განმეორდეს და უკვე მეორდება კიდეც. ახლა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევენ. პრეზიდენტს, როგორც ჩანს, მაქსიმალურად სურს, საზოგადოებას აჩვენოს, რამდენად სერიოზულად ეკიდება ამ საქმეს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მისთვის. ნუ, ეს ხომ ლოგიკურია. ბოლოს და ბოლოს, საქმე ეხება ხელისუფლების მესამე შტოს, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს და სამართლიანობის განცდა დაუბრუნოს საზოგადოებას.

ასე რომ, მარგველაშვილის პასუხისმგებლობა სრულიად გასაგები და მისაღებია, რომ არა ერთი დეტალი: პრეზიდენტი ამ პროცედურებს ისე წელავს და ჭიმავს, რომ პროცესი უკვე კომედიურ ხასიათსაც კი იღებს. თავად განსაჯეთ, ჯერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხვდება სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და არასამთავრობოებს იმ მოტივით, რომ სურს, შეათანხმოს ის კრიტერიუმი, რომლითაც ახალი თავმჯდომარე უნდა იყოს შემკული. შემდეგ დანიშნა საგანგებო ბრიფინგი და ეს კრიტერიუმები ისე მოგვახსენა, თითქოს დიდი აღმოჩენა იყო. თქვა, რომ: „ეს არის კანონით განსაზღვრულ თვისებებს დამატებული, რომელიც უნდა ჰქონდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას, პრინციპულობა, მენეჯერული თვისებები, პარტიული ნიშნისგან თავისუფლება და პროფესიონალიზმი“.

ამის შემდეგ კი შერჩევის მეორე რაუნდი გამოაცხადა: „ჩვენ შემდეგ ეტაპზე გადავდივართ, კომპეტენტურ ხალხს ვთხოვთ, 9 თებერვლამდე წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები კანდიდატურებთან დაკავშირებით“.

რა ვიცი, შეიძლება ბევრ რამეში არ დაეთანხმო ბიძინა ივანიშვილს, მაგალითად, ლართან ან ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით (თუმცა, აქ მას არ უთქვამს, რომ ვადამდელი აუცილებლად იქნება), მაგრამ ამ შემთხვევაში ექსპრემიერმა სავსებით სამართლიანი შენიშვნა გააკეთა:

„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკითხზე არ მაქვს და



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რგველაშვილს

„შემიძლია, ახალი შენიშვნა მივცე, რომ მიეჩვია და დააფუძნა ტერმინი „ქვეყნის პირველი პირი“

არც უნდა მქონდეს მოსაზრება. პრინციპულად არ ვერევი ამ პროცესში. ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა, მან უნდა დაასახელოს. ზედმეტად წევს თამასასს პრეზიდენტი ისევ“.

და ისევ დაიწყო კონსულტაციების ახალი ეტაპი. ამჯერად პარტიები საკუთარ კანდიდატურებს შესთავაზებენ მარგველაშვილს. თუმცა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მარგველაშვილის პრეროგატივაა კანდიდატურის დასახელება და ისინი ამ პროცესში ჩართვას არ აპირებენ.

ექსპრემიერმა პრეზიდენტს „ახალი შენიშვნა“ მისცა:

„შემიძლია, ახალი შენიშვნა მივცე, რომ მიეჩვია და დააფუძნა ტერმინი „ქვეყნის პირველი პირი“. საზოგადოებაც, მთელი მედია ამას იმეორებს. ეს შინაარსში უნდა გადაიტანოს. ფორმალურად მართლა ასე იწოდება – სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ კონსტიტუციით მას რეალურად აღარ აქვს საპრეზიდენტო რესპუბლიკის მქონე პრეზიდენტის უფლებები, თუმცა ცდილობს, შინაარსში გადაიყვანოს ეს და ძალიან მაღლა წევს თამასას“.

ასეა, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხმაურით სურს მას თავისი თავის საზოგადოებაში დამკვიდრება. პოპულარულ თემებზე მედგარი სახით ჩნდება ხოლმე. თუმცა, ისევ კომიკურ ვითარებაში ვარდება. ასე იყო მაშინაც, როცა ის სტრასბურგში გაემგზავრა, სადაც ევროპარლამენტს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება უნდა მოეხდინა. წასვლით კი სასწრაფოდ წავიდა, თუმცა, ქანდარაზე მოუწია ჯდომა და სიტყვის უფლებითაც ვერ ისარგებლა.

ისე, უცნაური ბედი დაჰყვა პოლიტიკაში...

„ვადამდელის შემთხვევაში, არჩევნებს „ოცნება“ მოიგებს“

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ვინმეს ძალით არ გაუშვებენ „ოცნებიდან“, თავისით იქიდან არავინ არაა წამომსვლელი...“

ქეთი ხატიაშვილი

ვის აწყობს ვადამდელი არჩევნები? რა ცვლილებას გამოიწვევს ეს პოლიტიკურ სპექტრში? რამდენად დგას ქართული პოლიტიკა რეალური დაპირისპირების წინაშე? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე ესაუბრა:

– ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს: „სიტყვას გაძლევთ, რომ მინიმუმ 20 წელი ვიქნები თქვენთან ერთად“... მეორე მხრივ, მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „მალე დავბრუნდები“!!!

– მე კი მგონია, რომ არც „ოცნება“ დარჩება მაგდენი ხნით ხელისუფლებაში და არც სააკაშვილი ჩამოვა წელს...

– როგორ ფიქრობთ, ასეთი განცხადებების მიღმა სერიოზული დაპირისპირებაც გაჩნდება?

– თუ ასე გაგრძელდა, დაპირისპირებას მივიღებთ... ოღონდ დაპირისპირება იქნება არა ნაცებსა და ქოცებს შორის, არამედ მთავრობასა და ხალხს შორის... თუ მთავრობამ პრობლემები ვერ მოაგვარა, ხელისუფლებას პასუხს მოსთხოვენ, მით უფრო, რომ თავის დროზე, საპარლამენტო არჩევნების წინ მან ძალიან ბევრი დაპირება გასცა.

– ხალხი ახსენე, უკვე ითქვა, რომ ვითარება ქუჩის პროცესებისკენ მიდის, ითქვა, ლიდერს ისევ ქუჩა გამოავლენსო... როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში ნაციონალები შეძლებენ ალტერნატიული ძალის როლი შეინარჩუნონ?

– „ნაცმოძრაობას“ ყოველთვის ეყოლება თავისი ამომრჩეველი, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად შეძლებს ის ქუჩის ორგანიზებას. ნაციონალებს ჰყავთ როგორც თავისი ამომრჩეველი, ისე მოწინააღმდეგეებიც. ანუ, მას ჰყავს ერთგული მოწინააღმდეგეები და ერთგული მომხრეები. ასე რომ, ქუჩაში გაუჭირდებათ. თუ ისინი ქუჩაში გამოვლენ, ყოველთვის მოიძებნებიან ისინი, ვინც მათ ქუჩაშივე დაუპირისპირდებიან... აქ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად დაიშლება კოალიცია „ქართული ოცნება“...

– როცა ამბობთ, რომ ხალხი მოსთხოვს პასუხს ხელისუფლებას, პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანას გულისხმობთ?

– ადრე თუ გვიან, გადავა. იმდენს თუ ვერ ახერხებს ხელისუფლება, რომ ხალხს ელემენტარული პირობები ჰქონდეს, ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ ლარი არ გაიქცეს. ხალხს უნდა აუხსნას, რა ხდება, უნდა დააჯეროს თავის არგუმენტებში. ლართან დაკავშირებით ის ახსნა-განმარტებები, რაც კეთდება, როგორც ჩანს, ხალხს არ მოსწონს და არ სჯერა, ამიტომაც უსამართლობის შეგრძნება უჩნდება... უსამართლობის შეგრძნებას ხალხი ქუჩაში გამოჰყავს...

– ქუჩის ლიდერს ხედავ ვინმეს? ვიღაცებმა ალასანია დაასახელეს...

– ალასანიას საერთოდ ვერ ვხედავ ქუჩის ლიდერებს შორის ვერანაირად. ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ლიდერი ყოველთვის გამოჩნდება, გავიხსენოთ, 2007 წლის 7 ნოემბერი. მაშინ მთელი პოლიტიკური ოპოზიცია, ყველა ქუჩაში იდგა. მაგას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია მაინც ხალხი გამოვიდეს, ლიდერი ყოველთვის მოიძებნება. თუნდაც ნათელაშვილი იქნება ერთ-ერთი ლიდერი.

– რამდენად არის იმის საფრთხე, რომ ეს ლიდერი პრორუსული ორიენტაციის იქნება?

– ასეთი საფრთხე საქართველოში ყოველთვის არსებობს...

– ვადამდელ არჩევნებზე რას ფიქრობთ, იქნება?

– არ ვიცი, როგორც გამოჩნდა, მაგას სხვები წყვეტენ... ვადამდელის შემთხვევაში, არჩევნებს „ოცნება“ მოიგებს, მაგრამ ეს შეიძლება მისთვის უარესი იყოს, იმიტომ რომ ხელისუფლებაში კიდევ 4 წლით მოვა და მერე ვერავის, ვერც სააკაშვილს და ვერც ვერაფერს ვერ დააბრალებს. იმაზე მეტს მოსთხოვს ხალხი, ვიდრე ორი წლის წინათ მოსთხოვა.

– ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში ნაციონალები გაცილებით ნაკლები პროცენტით შევლენ პარლამენტში?

– კი, მათ პროცენტი შეუმცირდებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასრულდება – პარტიამ დაამტკიცა, რომ თავის გადარჩენა შეუძლია, რომ უკვე ჩამოყალიბებულია საკმაოდ სერიოზულ ძალად... პარლამენტში მოვა გაცილებით მცირე შემადგენლობით და შემდეგ ნაციონალების შიგნით ცვლილებები მოხდება, ცვლილებების შედეგად სიტუაციასთან შეგუებას, მგონი, მოახერხებენ.

– რაც შეეხება „ქართული ოცნების“ რღვევას, რაც ზემოთ ახსენეთ...

– ჯერჯერობით, ამ ეტაპზე, ვერ ვხედავ, რომ რესპუბლიკელები გამოეყოფიან... თუ ვინმეს ძალით არ გაუშვებენ ოცნებიდან, თავისით იქიდან არავინ არაა წამომსვლელი...

– ფიქრობთ, რომ ივანიშვილს მოუწევს, ღია ალიანსი გააფორმოს პრორუსულ ძალებთან?

– იმედი მაქვს, ამაზე არ წავა, ისედაც პრორუსობას აბრალებენ და ასეთი ალიანსი მას საბოლოოდ დაანგრევს.



„ალასანიას საერთოდ ვერ ვხედავ ქუჩის ლიდერებს შორის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეროვნული ნაკრების წევრი ბუბა

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, ბუბა დაუშვილი მალე მეორე შვილის მამა გახდება. მისი მეუღლე ეკო ჭუმბურიძე ყოფილი მოდელია, ბუბაზე დაქორწინების შემდეგ პროფესიას თავი დაანება და ოჯახის საქმეებშია ახლა ჩაფლული. წყვილმა ჯერ ბავშვის სქესი არ იცის, მაგრამ ძალიან უნდათ, რომ ვაჟი შეეძინოთ, რომლის სახელიც ეკომ უკვე მოიფიქრა. რუბრიკა – „ფეხბურთელების ცოლები“ ბუბა დაუშვილის მომხიბვლელ მეუღლეს გაგაცნობთ.

„ბუბა და მისი გუნდელი, ირაკლი ძარია იყვნენ, დახეული ჯინსებით, მაისურებზე რაღაცები ჰქონდათ, ბოტასებით და ამის გამო არ უშვებდნენ“

შეხვედრა

ერთმანეთი ღამის კლუბში გაიცნეს. გაცნობის ისტორიას ეკო დღეს სიცილით იხსენებს.

„ღამის კლუბი იყო – „ბამბა რუმი“, ჩემმა მეგობარმა მთხოვა, ჩემი მეგობრები არიან და არ უშვებენ კლუბში, შენ ხომ იცნობ მანდ ვიღაცებსო და შემოაშვებინეო. გავედი გარეთ, ბუბა და მისი გუნდელი, ირაკლი ძარია იყვნენ, დახეული ჯინსებით, მაისურებზე რაღაცები ჰქონდათ, ბოტასებით და ამის გამო არ უშვებდნენ. ვთხოვე და შემოუშვეს. მე ჩემს მეგობრებთან დავბრუნდი. ცოტა ხანში, ვხედავ მოდის ბუბა, სასმელზე დამპატიჟა მადლობის ნიშნად, მაგრამ უარით გავისტუმრე (იცინის), მალევე მობრუნდა, იქნებ ვიცეკვოთო და უარით გავისტუმრე. იქ მეტი არაფერი მომხდარა. შემდეგ სოციალურ ქსელში დამიმატა, odnoklassniki იყო ჩვენ დროს. მომიკითხავდა, ზომიერად.

სევასტი თოდუა ჰყავდა გუნდელი, რომელთან მეც ვმეგობრობდი. ერთ დღეს დამირეკა, სადღაც მივდივართ და წამოდიო. იქ ვნახე ისევ. ვერ მივხვდი, რომ დაგეგმილი იყო. მანამდე, ლაპარაკი ჩამოვარდა, მითხრეს, რომ 20 წლის არისო. არასდროს მიფიქრია, რომ პატარას შევხედავდი. მე მაშინ 23 წლის ვიყავი. იქიდან სახლში დამტოვა და იმის შემდეგ კარგა ხანი არ მინახავს. ისევ სოციალურ ქსელში ვწერდით ერთმანეთს, რა მუსიკა მოგწონს, რა ფილმს უყურებ და ა.შ.

მეგობრობიდან ოჯახის შექმნამდე

როგორც ეკო ყვება, გარკვეული პერიოდი მეგობრობდნენ, ვიდრე ბუბა მას სიყვარულში გამოუტყდებოდა, თუმცა მისგან უარი მიიღო. როგორც გაირკვა, ფეხბურთელს მასთან მხოლოდ მეგობრობა არ სურდა, ეკომ კი უარით გაისტუმრა და ბუბას სიყვარულს უარით უპასუხა.

„არ მიყვარხარ-მეთქი, ვუთხარი და დღემდე არ მპატიობს ამას (იცინის). ძალიან პატარა ხარ და პატარა ბიჭები არ მომწონს-მეთქი. შევთავაზე გვემეგობრა, რაზეც ბუბამ მითხრა, რომ ჩემთან მეგობრულად არასდროს ყოფილა და ან დავთანხმებოდი მის შემოთავაზებას, ან დავშორდებოდით და უარით გავისტუმრე. გარკვეული პერიოდი აღარ ვურთიერთობდით. იმ პერიოდში, თუ ვინმე გამოჩნდა ჩემს გარშემო, ყველა ისე ჩამომშორდა, თაყვანისმცემელი აღარ შემომრჩა (იცინის). რამდენიმეჯერ დაბადების დღეზე შემხვდა, უკვე დაგეგმილი იყო მისგან. უკვე სხვანაირი თვალით შევხედე. თავიდან თუ არ მენატრებოდა, შემდეგ ძალიანაც შემიყვარდა. ერთი წელი ვიყავით შეყვარებულები, „ზესტაფონში“ თამაშობდა. ხან მე ჩავდიოდი, ხან ის ჩამოდიოდა. ერთი წლის მერე გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა.

ქორწილი

წყვილს ქორწილი ჯერ არ ჰქონია. მხოლოდ ხელი მოაწერეს და ჯვრისწერის ცერემონიალსაც ქორწილისთვის ინახავენ, როგორც ეკო ამბობს.

„ქორწილი არ გვქონია. გვინდა, რომ დიდი და გრანდიოზული გავაკეთოთ, მაგრამ ჯერ ვერ დავგეგმეთ. მხოლოდ ხელი მოვაწერეთ, ჯვრისწერას ქორწილისთვის ვინახავთ, ძალიან ვიწრო მეგობრების წრეში აღვნიშნეთ და ეგვიპტეში წავედით თაფლობის თვის გასატარებლად.

ბუბა, ფეხბურთი და „ზესტაფონი“

ეკოს და ფეხბურთის ურთიერთობა ფეხბურთიდან არ დაწყებულა. როგორც ფეხბურთელის ცოლი ამბობს, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების დიდი ქომაგია და პატარაობიდან ყველა თამაშზე დადის. გარდა ამისა, იცოდა თბილისის „დინამო“ და „ზესტფონი“. „ზესტაფონი“ იმიტომ, რომ თავადაც ზესტაფონელია. თუმცა ოჯახის ყველაზე რთული პერიოდი სწორედ იმერულ კლუბს უკავშირდება, საიდანაც ბუბა პრობლემებით წამოვიდა.

„ყველაზე რთული პერიოდი იყო, როდესაც ბუბას გუნდიდან გაყიდვაზე უარი უთხრეს და დუბლებში გადაიყვანეს. არც იქ ათამაშებდნენ, ანაზღაურებაც შეუწყვიტეს. ძალიან ცოტა პერიოდი იყო დარჩენილი ტრანსფერამდეც და ვშიშობდით, გუნდს ვერ იშოვიდა, თუმცა „კარპატი“ გამოჩნდა და პრობლემებიც მოგვარდა. მე, როგორც შემეძლო, ხელს ვუწყობდი ყველაფერში.

ლიდერი ოჯახში

ბუბა დაუშვილი ჯიუტია. ეს მის ცოლსაც რომ არ ეთქვა, ყველა, ვინც საფეხბურთო სფეროში საქმიანობს, ამის შესახებ მცირედი ინფორმაცია

„არ მიყვარხარ-მეთქი, ვუთხარი და დღემდე არ მპატიობს ამას (იცინის). ძალიან პატარა ხარ და პატარა ბიჭები არ მომწონს-მეთქი. შევთავაზე გვემეგობრა, რაზეც ბუბამ მითხრა, რომ ჩემთან მეგობრულად არასდროს ყოფილა და ან დავთანხმებოდი მის შემოთავაზებას, ან დავშორდებოდით“

იქიდანაც ექნება, რა მოვლენებიც განვითარდა თავის დროზე „ზესტაფონში“.

ეკოს თქმით, ბუბა თუ რამეს იტყვის, იშვიათად, რომ რამე გადათქვას, მიუხედვად ამისა, ქმრის სიჯიუტე, ოჯახში პრობლემებს არ ქმნის.

„პირადი ურთიერთობა ძალიან აწყობილი გვაქვს. ვიცი, მე რა მევალება და სადაა ჩემი მაქსიმუმი. ოჯახში ბუბას სიტყვა გადამწყვეტია“.

ჩხუბი

მას შემდეგ, რაც დაქორწინდნენ, ბევრისთვის შეიძლება დაუჯერებელი იყოს, მაგრამ წყვილს არ უჩხუბია. ფეხბურთელის ცოლს ქმარი მუდამ ენატრება, რადგან ერთად ხშირად არ არიან, ამიტომ ერთმანეთისთვის მუდამ კომფორტის შექმნაზე ფიქრობენ.

„ბუბას პროფესიიდან გამომდინარე, იმდენად ხშირად არ ვართ ერთად, რომ არასდროს გვიჩხუბია. ვცდილობ, კომფორტი შევუქმნა, ზედმეტად არ ვანერვიულო, არ ვაწყენინო. სულ მენატრება. ახლაც, ერთი თვეა არ მინახავს და კიდევ ერთი თვე ვერ ვნახავ.

თიკა

ეკოს უფროსი ქალიშვილი თიკა, პირველი ქორწინებიდან ჰყავს. გოგონა სკოლის მოსწავლეა, ბუბასთან კი იდეალური ურთიერთობა აქვს და მამისგან არ ანსხვავებს, რაზედაც პატარა ქალიშვილი, ტასო ძალიან ეჭვიანობს.

„ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდში, ბუბას და თიკას მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. თვითონ ბუბა ძალიან თბილია და ძალიან უყვარს ბავშვები, არამარტო თიკა და ტასო, მეგობრების შვილებიც. პატარებიც გრძნობენ, რომ დადებითი აურა მოდის მისგან. გიყდება ბუბაზე, არ ანსხვავებს მისგან, მაგრამ აქ ხდება საშინელება. ტასო ეგოისტია, მამა სიგიჟემდე უყვარს, სულ ენატრება. როცა ჩამოდის, მეც არ მაკარებს, ამბობს, რომ ბუბა მარტო მისია და სხვისი არავისი.

უკრაინა

ბუბა დაუშვილი ლვოვის „კარპატში“ თამაშობს. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარებისა, ქართველი ფეხბურთელი უკრაინაში კიდევ ერთი წელი დარჩება და მოვალეობას შეასრულებს. ეკო და ბავშვები კი მასთან შეძლებისდაგვარად ხშირად ჩადიან.

„თუ შეკრება არ აქვს, ჩავდივარ უკრაინაში. ბავშვები ხან მიმყავს, ხან დედას და დედამთილს ვუტოვებ. ორივე ძალიან მიწყობს ხელს და მეხმარება. თიკაც მყავდა თავიდან, მაგრამ ახლა სკოლა აქვს და ათას რამეზე დადის და ვერ ვაცდენინებ.

დიასახლისი

ბევრი ცოლისგან განსხვავებით, ეკო გადასარევი მზარეულია და როგორც თავად ამბობს, ყველაფრის კეთება ეხერხება. ბუბას ფავორიტი საჭმელი კი ქათამია. ფეხბურთელის ცოლი სიცილით ამბობს, რომ მისი ქმარი ყველანაირ ქათამზე გიჟდება. მიუხედავად იმისა, რომ ორსულადაა, სამზარეულოში ახლაც დაუზარლად ტრიალებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაუშვილი მეორე ბავშვს ელოდება

EXCLUSIVE

„ყველაზე რთული პერიოდი იყო, როდესაც ბუბას გუნდიდან გაყიდვაზე უარი უთხრეს და დუბლეებში გადაიყვანეს. არც იქ ათამაშებდნენ, ანაზღაურებაც შეუწყვიტეს“

ეკო ჭუმბურიძეს შვილისთვის ქმრის სახელის დარქმევა აქვს გადაწყვეტილი

„ვაკეთებ ყველაფერს. ბუბას ჩემი გაკეთებული ყველაფერი მოსწონს და არამარტო მას. ჩემი მეგობრებიც სამსახურიდან ჯერ ჩემთან მოდიან, აქ უნდა ჭამონ და მერე წავიდნენ სახლში. მას შემდეგ, რაც თბილისში გადმოვედი და მარტო ვცხოვრობდი, ყველაფრის კეთება მე მიწევდა. ეს ჩემთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. დილით უნდა ავდგე, რაღაც უნდა გავაკეთო – არაერთნაირი, იმიტომ, რომ ყველას თავის მოთხოვნა აქვს, თიკას, ტასოს, დედა-ჩემს. ბუბაც არ არის რთული მჭამელი. ქათამი უყვარს შემწვარი, ქათამი ბაჟეში, ჩახოხბილი, ქათამი ყველანაირი, ქათმის ფანია (იცინის).

ბუბა და ტრავმები

ყველა სპორტსმენისთვის გარდაუვალია ტრავმა. გამონაკლისი არც ბუბა

„რომ გითხრათ, რომ თავს ბრენდებით ვათამამებ, ასე არ არის. სხვანაირად ვფიქრობ, მაშინ უნდა ტრიალებდე იმ საზოგადოებაში, სადაც ყველას ბრენდი აცვია, არავის უჭირს, ჩემ გარშემო კი ასეთი საზოგადოება არ არის“

დაუშვილია. ადვილი რომ არ არის, მეორე ნახევარს მოედანზე ხედავდე, რომ ცუდად არის და ვერ შველოდე, ეს ეკომ თავის თავზე გამოსცადა.

„ზესტაფონს“ რუსთავში ჰქონდა თამაში. სტადიონზე ვიყავი. დავინახე, წაიქცა ბუბა და ექიმები მირბიან მასთან, საკაცეზე დააწვინეს. პირველად ვნახე ბუბა ასეთ მდგომარეობაში. რომ დავეშვი ტრიბუნიდან, მოედნისა და ტრიბუნების გამყოფ მესერზე ავხტი. გია გეგუჩაძე იყო მაშინ გუნდის მწვრთნელი, მიყურებდა, რა გნებავთ ქალბატონოო, ვკიოდი, ბუბას ცოლი ვარ-მეთქი, კაპლები მოატანინა ჩემს დასამშვიდებლად (იცინის). მთელი სტადიონი მე მიყურებდა და იცინოდა.

მეორე ასეთი შემთხვევა იყო, „კარპატს“ დნიპროში ჰქონდა თამაში. ტელევიზორში ვუყურებდი. მეგობარს ვნერდი ტელეფონზე, ამ დროს შევხედე ტელევიზორს, ბუბა საკაცით გაჰყავთ მოედნიდან, ხელი დამეჭირა ტელეფონზე და ვკივი, მიშველეთ, ბუბა გაიყვანეს საკაცით. იმან გაიგო ბუბა მოკვდა, საკაცით გაჰყავთო, დაურეკა ნახევარ სამეგობროს, ბუბა მოკვდაო და იყო ერთი ამბავი (იცინის).

„ქორწილი არ გვქონია. გვინდა, რომ დიდი და გრანდიოზული გავაკეთოთ, მაგრამ ჯერ ვერ დავგეგმეთ“

ტასო და მომავალი ბავშვი

ბუბა დაუშვილი პირველი შვილის ამქვეყნად მოვლინებას არ დასწრებია. ფეხბურთელი მაშინ ლეგიონერი არ ყოფილა, „ზესტაფონის“ წევრი იყო, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზის გამო, კლუბის პრეზიდენტმა, ცოლის მშობიარობაზე ზესტაფონიდან თბილისში არ გამოუშვა. მეორე ბავშვს ეკო აგვისტოში ელოდება. ჯერ სქესი არ იციან, მაგრამ ძალიან უნდათ, რომ ბიჭი გაჩნდეს, რომლის სახელიც ეკომ უკვე მოიფიქრა.

„ზესტაფონში“ თამაშობდა მაშინ და ტასოზე მშობიარობა რომ დამეწყო, არ გამოუშვეს. უარი უთხრეს. მეორე ბავშვის სქესი ჯერ არ ვიცით, მაგრამ ძალიან გვინდა ბიჭი. თუ ბიჭი იქნება, ჩემი გადაწყვეტილებით, მას ბუბას დავარქმევ და ვერავინ გადამფიქრებინებს.

პროფესია

ეკო პროფესიით ჟურნალისტია, თუმცა არასდროს უმუშავია ამ მიმართულებით. პროფესიონალი მოდელი

„იმდენად ხშირად არ ვართ ერთად, რომ არასდროს გვიჩხუბია“

იყო და მას შემდეგ, რაც ბუბა გაიცნო, ამ საქმეს თავი დაანება.

„ბუბა რომ გავიცანი, ფაქტობრივად, უკვე დანებებული მქონდა თავი მოდელობისთვის. სერიოზულად რომ ვუყურებდი ამ სფეროს. ერთ-ორ ჩვენებაში ახლაც მივიღე მონაწილეობა, ძირითადად ძველი დიზაინერების. ბოლოს ავთო ცქვიტინიძეს ჰქონდა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო ჩვენება და იქ სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. პროფესიით მუშაობა არასდროს მიცდია. სტუდენტობისას „იმედზე“ „დუბლიორი“ გადიოდა და იქ ვიყავი“.

პლასტიკური ოპერაცია

პლასტიკური ოპერაცია არასდროს გაუკეთებია, მაგრამ მას მიესალმება. თვლის, რომ როდესაც ადამიანს რამე არ მოგწონს საკუთარ თავში და შესწორების საშუალება გაქვს, უარი არ უნდა თქვა.

„იმ ასაკში ვარ, რომ ჯერ არაფერი გამიკეთებია, მაგრამ მომხრე ვარ პლასტიკური ოპერაციის. სარკეში რომ ჩავიხედო და ბევრი ნაოჭი ვნახო, შეიძლება გული გამისკდეს. როდესაც, ადამიანს ეს საუკუნე აძლევს იმის საშუალებას, რომ დიდი ხანი გამოიყურებოდე ახალგაზრდულად და ნაოჭი არ გქონდეს, რატომაც არა“.

ტანსაცმელი

ეკო ამბობს, რომ თავს ბრენდების ტანსაცმლით განებივრების საშუალებას არ აძლევს, რადგან იმ საზოგადოებაში, სადაც ასე არავინ არის შემოსილი და უმეტესობას უჭირს, ეს ზედმეტი ფუფუნებაა.

„რომ გითხრათ, რომ თავს ბრენდებით ვათამამებ, ასე არ არის. სხვანაირად ვფიქრობ, მაშინ უნდა ტრიალებდე იმ საზოგადოებაში, სადაც ყველას ბრენდი აცვია, არავის უჭირს, ჩემს გარშემო კი ასეთი საზოგადოება არ არის, ჩემს მეგობარს რომ უჭირს, მირჩევნია მას დავეხმარო და სხვას, ვიდრე ამაში დავხარჯო ფული. მაქვს რამდენიმე ჩანთა, ქურქი და ა.შ. აქ ეს მიულებელია, მაგრამ თუ პარიზში, ლონდონსა და ნიუ-იორკში ცხოვრობ, სადაც ყველა ასე დადის, მაშინ შენც შესაბამისად უნდა ჩაიცვა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ სახელმწიფო მინის

მზეკო ჟვანია

„თუ გუნდი დაპირებებს ვერ შეასრულებს, ის ჩანაცვლდება უფრო პროფესიული და მოაზროვნე გუნდით. ეს არის დინამიკური განვითარების პროცესი“

საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს კიდევ უფრო მეტად აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე პროცესები. მათთვის თითოეულ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო ისეთს, რომელიც მათ ეხება. სწორედ ამიტომ სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში ხშირ შეხვედრებს აწყობს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან და მათთან ერთად სწავლობს იმ პრობლემებს, რომლებიც მათ ყველაზე მეტად აწუხებთ. სახელმწიფო მინისტრის, გელა დუმბაძის განცხადებით, უწყება აქტიურად მუშაობს ქართველებისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მისანიჭებელი პროცედურის კიდევ უფრო გამარტივებაზე, სამინისტრო შესაბამის უწყებებთან კონსულტაციებს აწარმოებს არალეგალების პრობლემების მოგვარების გზებზე. მინისტრის განცხადებით, სხვადასხვა ქვეყნების დიასპორულ ორგანიზაციებში პოლიტიკური დაპირისპირების ფაქტებსაც აქვს ადგილი. სწორედ ამიტომ გელა დუმბაძის მიზანია, ემიგრანტებმა უზარმაზარი ენერგია და ემოცია პროფესიულ სფეროში გადმოანაცვლონ და შექმნან ისეთი ფორუმი, სადაც პროფესიული ნიშნით სერიოზული საკითხების ირგვლივ მსჯელობა და გამოცდილების გაცვლა მოხდება...

გელა დუმბაძე:

– იმ პერიოდიდან, რაც მე მინისტრი გავხდი, ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება იყო გასულ წელს, 12-დან 18 ოქტომბრამდე, დიასპორული კვირეულის ჩატარება, სადაც ჩვენ პირველად შევეცადეთ, ძირითადი აქცენტი ისეთ თემაზე გადაგვეტანა, როგორიცაა დიასპორული ინვესტიციები. სასტუმრო „მეტეხში“ მოვაწყვეთ პირველი დიდი დიასპორული ეკონომიკური ფორუმი. გაიმართა ორი დამოუკიდებელი კონფერენცია, რომელთა ძირითადი თემაც გახლდათ დიასპორული ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები. ევროპის ქვეყნებიდან მოვიწვიეთ წარმატებული ბიზნესმენები, რომლებმაც განახორციელეს მცირე და საშუალო დიასპორული საინვესტიციო პროექტები სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში და, შესაბამისად, აქ დავახვედრეთ ფერმერული წრეების წარმომადგენლები, ეკონომიკურ თემაზე მომუშავე სპეციალისტები რეგიონებიდან და იყო ძალიან საინტერესო აზრთა ურთიერთგაცვლა, რომელმაც შემდგომშიც ჰპოვა განვითარება. ამ ფორუმის ფარგლებში ხელი მოვაწერეთ USAID-თან თანამშრომლობის მემორანდუმს. ზოგადად, ფორუმი მოეწყო საერთაშორისო დიასპორულ ალიანსთან ერთად, რომლის წევრიც აგვისტოში გავხდით. ეს ორგანიზაცია ჰილარი კლინტონის მიერაა დაარსებული. მოცემულ ეტაპზე ვაგრძელებთ დიალოგს და ლაპარაკია სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმებაზე. ჩვენ ეს ხალხი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში თავის პარტნიორად მოგვიაზრებს. შესაბამისად, ასეთ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ჩართულობა, თანამშრომლობა აამაღლებს ჩვენი დიასპორების ჩართულობის ხარისხს გლობალურ პროცესებში, თუნდაც აშშ-ში და სხვა ქვეყნებშიც, რადგან ჩვენ აქტიურად ვცდილობთ, ახალი მექანიზმები და სამუშაო ფორმები შევთავაზოთ ჩვენს დიასპორებს. მინდა გითხრათ, რომ დიასპორული კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 1924 წლის ავჯანყებისადმი მიძღვნილი 2 კონფერენცია ჭიათურასა და თბილისში, ასევე უკრაინის სოლიდარობისადმი მიძღვნილი დიასპორული მარათონი ჩვენი ფერეიდნელი და ჰერეთელი თანამემამულეების მონაწილეობით.

„ბოლო წლების განმავლობაში, ვინც მოქალაქეობის აღდგენა ითხოვა, 90%-მა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აღიდგინა მოქალაქეობა“

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს დიასპორული ორგანიზაციები მრავლად არიან მსოფლიოში წარმოდგენილი. ამ ჯგუფებს შორის, ზოგიერთ ქვეყანაში, სამწუხაროდ, შეინიშნება პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირება. ჩვენ გვინდა, რომ მათი უზარმაზარი ენერგია და ემოცია პროფესიულ სფეროში გადმოვიტანოთ და მოვაწყოთ ფორუმები, სადაც სამუშაო სექციებში პროფესიების მიხედვით დანაწილდებიან და ბევრ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმები, ინჟინრები, რომლებმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, ისინი საქართველოში შეხვდებიან მათივე პროფესიის ადამიანებს და მათ გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. გვინდა, ამ ენერგიის აკუმულირება პროფესიონალურ სეგმენტებში მოვახდინოთ და ჩამოსულ თანამემამულეებთან ცოცხალი, აქტიური დიალოგი გაიმართოს.

– საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ზუსტი რიცხვი თქვენთვის ცნობილია? რაოდენობასთან დაკავშირებით ყოველთვის პრობლემა იყო...

– უცხოეთში მცხოვრები ქართველების ზუსტი ციფრი, სამწუხაროდ, არ არსებობს. ზუსტი ციფრის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სხვა ქვეყანაში ჩასული მოქალაქე საკონსულო აღრიცხვაზე დადგება. როგორც მოგეხსენებათ, ახლა იგეგმება საყოველთაო აღწერა, რის შედეგადაც უფრო ფართო სურათი გამოიკვეთება. მანამდე კი არსებობს მიახლოებითი რიცხვი და ეს არის 1 500 000 ადამიანი.

– ქვეყნიდან არალეგალურად გასულ მოქალაქეთა პრობლემა ყოველთვის ნომერ პირველი იყო, რა სიტუაციაა ახლა, ამ მხრივ?

– ეს პრობლემა არსებობს და არა მხოლოდ საქართველოსთვის, ეს არის მსოფლიო პრობლემა. ვცდილობთ, შევისწავლოთ პროგრესულ ქვეყანათა გამოცდილება ამ საკითხში. ზოგადად, არალეგალების პრობლემა მხოლოდ ჩვენი სამინისტროს კომპეტენცია არ არის.

– ერთობლივ გეგმაზე ხომ არ მუშაობთ იმ უწყებებთან ერთად, რომლებსაც ასევე ეხებათ ეს პრობლემა?

– ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობს ამ თემაზე. შემიძლია გითხრათ, რომ აქტიურად ვიმუშავეთ სხვადასხვა უწყებებთან, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით. ვგულისხმობ, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხს. ამ საკითხის გლობალურად შესწავლისთვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებისა და უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლები დავსხედით და თემა სერიოზულად შევისწავლეთ. შედეგად, ჩვენ ამ იდეის ინიციატორებს შევთავაზებთ დროსა და თანხებში მაქსიმალურად შემცირებულ, გამარტივებულ მოდელებს, რათა მაქსიმალურად მარტივად განხორციელდეს მათთვის საქართველოს მოქალაქეების აღდგენა. ბოლო წლების განმავლობაში, ვინც მოქალაქეობის აღდგენა ითხოვა, 90%-მა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აღიდგინა მოქალაქეობა. არ მინდა ქვეყანაში იყოს მცდარი წარმოდგენები, თითქოს ვინმე მოქალაქეობას კარგავს, ეს არ არის სწორი. ადამიანებს შეუძლიათ მყისიერად, კომპიუტერის მეშვეობით, ინსტანციებში მისვლის გარეშე, იმწამსვე განაცხადონ სურვილი საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების შესახებ. მათი განაცხადი შესაძლო გამარტივებამდე არსებული წესით, 3 თვის განმავლობაში განიხილება და ის დაიბრუნებს მოქალაქეობას, თუ მას რაიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა არ გააჩნია.

– რამდენად კარგად იცნობთ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების პრობლემებს და რამდენად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნების პრობლემები ერთმანეთისგან?

– აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემებია. არის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურად გაცილებით მაღლა დგანან საქართველოსთან შედარებით, ასეთ ქვეყნებში წამოწეული არ არის მატერიალური პრობლემები, სამაგიეროდ არის კომუნიკაციის პრობლემა. ჩვენი ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მათ თვითმყოფადობა, ენა შევუნარჩუნოთ. ვაგზავნით სახელმძღვანელოებს, მეთოდურ ლიტერატურას, მხატვრულ ლიტერატურას, ვეხმარებით ანსამბლებს, ასევე, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩვენი თანამემამულეების ჩართულობის უზრუნველყოფა. მრავალი პრობლემაა, რომელსაც ვსწავლობთ და თემატურ სეგმენტაციას ვახდენთ.

„უცხოეთში მცხოვრები ქართველების ზუსტი ციფრი, სამწუხაროდ, არ არსებობს“

– არალეგალები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული პრობლემაა... არსებობს მონაცემები, რომელ ქვეყანაში უფრო მეტი არალეგალი ცხოვრობს?

– არა, ასეთ ციფრს ვერ მოგახსენებთ, თუ სად უფრო მეტნი არიან. ალბათ, უფრო ევროკავშირსა და აშშ-ში.

– ყოველთვის იყო და არის საუბარი, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები საზღვარგარეთ ქართულ დიასპორებთან აქტიურობენ, რომ ახალი ხელისუფლების იმიჯი შებღალონ. ამ მხრივ, თქვენ თუ გრძნობთ რაიმე პრობლემას?

– ყოველ შემთხვევაში იმ ქვეყნებში, სადაც მე გახლდით, მსგავსი პრობლემა არ მიგრძნია. უახლოეს მომავალში ვგეგმავ უკრაინაში ჩასვლას, აუცილებლად მინდა ჩასვლა ფერეიდანში, რომ ვნახო ჩვენი ფერეიდნელი ქართველები, ვგეგმავ ვიზიტს აშშ-ში. ზოგადად,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გელა დუმბაძე: „ქვეყანაში ორი ძირითადი ფუნდამენტური ფასეულობაა მიღწეული - ეს არის თავისუფალი გარემო და ბიზნესზე წნეხის არარსებობა“

EXCLUSIVE

„ახლა იგეგმება საყოველთაო აღწერა, რის შედეგადაც უფრო ფართო სურათი გამოიკვეთება. მანამდე კი არსებობს მიახლოებითი რიცხვი და ეს არის 1 500 000 ადამიანი“

ყველა პარტია სათავისოდ იყენებს იმ თემებს, რაც სათანადო დონეზე ვერ მოაგვარა ხელისუფლებამ. თუმცა მიმაჩნია, რომ ყველა ქართველთან, საქართველოს ყველა მოქალაქესთან უნდა არსებობდეს გულწრფელი და მართალი დიალოგი, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ ადგილებზე ჩასვლთა და ასევე ჩვენი ციფრული კომუნიკაციების მეშვეობით, როგორიცაა ჩვენი ვებ-გვერდი „ფეისბუკი“, დიასპორული ქსელი tanamemamule.ge და ბევრი სხვა რამ.

„აქტიურად ვიმუშავეთ სხვადასხვა უწყებებთან, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით“

– კიდევ ერთი, რაზეც ოპოზიციის მხრიდან ყოველთვის ხდება ხოლმე აპელირება, არის ის, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ძალიან ბევრი ქართველი გავიდა და არ დაბრუნდა ქვეყანაში, ეს რეალობასთან ახლოსაა?

– ვფიქრობ, განსაკუთრებული ტალღა ან მოძრაობა არ ყოფილა. მით უმეტეს, შეიძლება დღევანდელ ხელისუფლებას ბევრი რამ დასწამოს ოპონენტმა, მაგრამ ქვეყანაში არ არის ისეთი სიტუაცია, რომ ვინმე აქედან ჩემოდნებით გარბოდეს. გასულ წლებთან შედარებით, აშკარად თავისუფალი გარემოა, ადამიანებს აღარ ეშინიათ, შესაბამისად, ხსენებული ხედვა სიმართლეს არ შეესაბამება. ცალკე თემაა, რაოდენ შესრულდა ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებები, - რაც დროს მოითხოვს. ქვეყანაში ორი ძირითადი ფუნდამენტური ფასეულობაა მიღწეული, - ეს არის თავისუფალი გარემო და ბიზნესზე წნეხის არარსებობა, რაც ფუნდამენტია ყველა ნორმალური საზოგადოების განვითარებისა, რასაც თავის მხრივ, გარკვეული დრო სჭირდება.

– მოსახლეობის მთავარი მოთხოვნები რაც არის, კარგად ვხედავთ და კარგად ვიცით. მათი მხრიდან იმ პრობლემების მოგვარების გარდა, რა მოთხოვნები არსებობს დიასპორებში ხელისუფლების მიმართ?

– მოდით, ასე ვთქვათ, ეს მოთხოვნები გარკვეულწილად იმ პრობლემებს უკავშირდება, რაც მათ ადგილზე აქვთ. ბევრი მოთხოვნაა, მაგრამ ყველაზე აქტუალური, ალბათ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დასაქმებაა. ადამიანი, რომელიც მოწყვეტილია სამშობლოს, წვალობს, და ეს იმიტომ ხდება, რომ აქ არ არის საკმარისი სამუშაო ადგილი. მათ უნდათ, რომ აქ იყვნენ, არსებულთან შედარებით, აქ ნახევარი შემოსავალი მაინც თუ ექნათ, ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან.

„უახლოეს მომავალში ვგეგმავ უკრაინაში ჩასვლას, აუცილებლად მინდა ჩასვლა ფერეიდანში, რომ ვნახო ჩვენი ფერეიდნელი ქართველები“

– ამ პროცესების დაწყების ნიშნებს ხედავთ?

– მუდმივი მოლოდინია... რამაც შეიძლება პროცესი დააჩქაროს, ეს არის გლობალური პრობლემატიკა, რაც ქვეყნის კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული და რაც ყველა ჩვენგანის გასაკეთებელია. ძალიან ბევრი ინდიკატორია, რომელიც ანიშნებთ, რომ მათ ქვეყანაში „დათბა“ და შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. შევქმნათ უკეთესი ეკონომიკური კლიმატი და ისინი დაბრუნდებიან. ქვეყნის კეთილდღეობა ემიგრანტების დაბრუნების ძირითადი ინდიკატორია. ამას განყენებულად ვერც ერთი სამინისტრო ვერ გააკეთებს, ეს არის ერთობლივად ბიზნესის, ხელისუფლების, საზოგადოების ძირითადი მიზანი. ჩემთვის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლისათვის სასურველია, ეს ყველაფერი ჩვენმა გუნდმა გააკეთოს. თუ გუნდი დაპირებებს ვერ შეასრულებს, ის ჩანაცვლდება უფრო პროფესიული და მოაზროვნე გუნდით. ეს არის დინამიკური განვითარების პროცესი. უნდა ვიჩქაროთ, ოღონდ ნელა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ბიზნესი დაამთავრა კრაxით ია ფარულავამ

„ჩემი პირველი ქმარი მორიელი იყო, ვერ ვიტანან ამ ნიშანს“

„ტარიელი xომ არის ჩემს ცxოვრებაში, თქვენ გგონიათ, მე ტარიელს მართლა დავშორდი?“

„დამცინიან კიდეც, „მკითxავმაშო“ xარო. ადამიანს რომ შევxედავ, ვიცი, საიდან მოდის, რა ატმოსფერო აქვს გარშემო, როგორი აურა აქვს, გამოუვა თუ არა ესა თუ ის დაწყებული საქმე“

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

როგორც უკვე იცით, წინა კვირას, ასტროლოგმა დავით ბუტიკაშვილმა ია ფარულავას ასტროლოგიური დახასიათება სპეციალურად „პრაიმტაიმისთვის“ გააკეთა. როგორც წინა შემთxვევებში, ამჯერადაც ასტროლოგი არ იყო ინფორმირებული ვისზე საუბრობდა. ისევე როგორც დანარჩენი რესპონდენტები, იაც კმაყოფილი დარჩა ბატონი დავითის გამოთვლებით. თუმცა იყო დეტალები, რაშიც არ დაეთანxმა.

- თავიდან სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მეგონა ისეთ რაღაცებს იტყოდა, რაც ნებისმიერ ადამიანს შეიძლება მოერგოს. ის ფაქტორი, რომ ასტროლოგმა არ იცის ვისზე ლაპარაკობს და მაინც ბევრი რამ მისი დახასიათებიდან რესპონდენტის xასიათს ემთxვევა, მის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. მის ინტერვიუში იყო ძალიან ბევრი ისეთი გამოთვლა, რაც არაპროფესიონალს ნამდვილად გაუჭირდებოდა. ბატონმა დავითმა გამოიცნო, რომ ჩემი პროფესია xელოვნებასთან არის კავშირში, რომ ახლა ტელევიზიაა ჩემი საქმიანობის მთავარი სფერო. ბატონი დავითი ჩემზე წერს, - როცა ეს ადამიანი საუბრობს, ძლიერ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს გარშემომყოფებზეო. აბსოლიტური ჭეშმარიტებაა. ეს, ახლა კი არა, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში აღმოვაჩინე.

- **როგორ**?

- კლასში მასწავლებელი ავად თუ გახდებოდა და სxვა მასწავლებლით ანაცვლებდნენ, მოგეხსენებათ ახალ მასწავლებელს უჭირს ბავშვების დამორჩილება, ვდგებოდი და ვიწყებდი ზღაპრის მოყოლას, რომელიც მანამდე მილიონჯერ მქონდა მოყოლილი. ისეთი ინტერესით მისმენდნენ, თითქოს პირველად ვყვებოდი. ახლაც ასე ვარ, შეიძლება ბევრი არაფერი ვთქვა, მაგრამ xალxი მისმენს. როგორც ჩანს, სწორად ვანაწილებ საუბრისას ემოციებს.

- ასტროლოგი ამბობს, რომ რჩევებისთვის xშირად მოგმართავენ ადამიანები...

- რჩევა ბევრჯერ მიმიცია ადამიანებისთვის და მერე აღმოჩენილა, რომ სწორად მირჩევია. ალბათ, იმიტომ რომ რჩევას, xშირ შემთxვევაში, ინტუიციაზე დაყრდნობით ვამბობ და არა ლოგიკაზე.

- ძლიერი ინტუიცია აქვსო, ამბობს ასტროლოგი.

- ეს მართალია. უბრალოდ, არ ვიცოდი ეს ჰოროსკოპში თუ ჩანდა. დამცინიან კიდეც, „მკითxავმაშო“ xარო. ადამიანს რომ შევxედავ, ვიცი საიდან მოდის, რა ატმოსფერო აქვს გარშემო, როგორი აურა აქვს, გამოუვა თუ არა ესა თუ ის დაწყებული საქმე. xშირად მოდიან და მეკითxებიან, გამომივა ეს საქმეო. მე ვxედავ, მართლა ვxედავ, გამოუვა თუ არა. ეს წარმოსახვის, ინტუიციის დამსახურებაა.

- შენს შესაძლო ბიზნესვუმენობაზე რას იტყვი?

- აი, აქ მაგრად შეეშალა ბატონ დავითს. ჩემგან ბიზნესვუმენი არასდროს არ დადგება.

- ცxოვრება წინ არის, რა იცი, რა xდება?

- მათემატიკასთან ძალიან შორს ვარ, კალკულატორული გონება მთლიანად გათიშული მაქვს. ეს, ალბათ, ჩეxოვის მეთოდის ბრალია, მაგას გვასწავლის სწორედ.

- ბიზნესის კეთება არასდროს გიცდია?

- ერთxელ, კრემების ბიზნესი წამოვიწყე და აღმოჩნდა, რომ, საოცარი გარღვევა მქონდა. კრემების ორმოცი პროცენტი გამიჩუქებია. ჩემმა ბუღალტერმა კინაღამ მცემა. მაშინ მივxვდი, რომ ბიზნესვუმენი ჩემგან არ გამოვა.

- არავის კმაყოფაზე არ უნდა იყოს, მან თავად უნდა გამოიმუშაოს თავისი საარსებო მინიმუმიო, ამბობდა ბატონი დავითი...

- მერე, მე ვის კმაყოფაზე ვარ?! მთელი ცxოვრება აქეთ ვინახავ ოჯახის წევრებს, მეღადავებით?!... შეიძლება რაღაცას ვაქირავებდე, შენობას, ბინას, მაგრამ ეს რა ბიზნესია?

- სწორედ უძრავ ქონებაზე გააკეთა აქცენტი ასტროლოგმაც.

- ეს რა ბიზნესია, ასი დოლარიდან რომ იწყებენ და დიდ იმპერიებს ქმნიან, ეს არის ბიზნესი. ამის ნიჭი მე ნამდვილად არ მაქვს.

„ახლა შინაგანად შევსებული ვარ, იმიტომ არა, რომ ჩემი ქმარი კარგად უკრავს გიტარაზე“

- საქართველოდან შორს ყოფნა არ გამოსდისო...

- ამაში არ შემიძლია არ დავეთანxმო ბატონ დავითს. როცა ამერიკაში ვცxოვრობდი, ყოველდღე ვიტანჯებოდი. ოთxმოცდაათიანი წლები იყო, ომი, სამაჩაბლოს დაკარგვა. ფსიქოლოგიურად ძალიან განვიცდიდი ამ ყველაფერს, იმას, რომ ჩემს სამშობლოში არ ვიყავი, ძალიან მტკიოდა გული. დღემდე რუსთაველის ქუჩაზე გავლა ისეთ ბედნიერებას მანიჭებს... რომ ლაპარაკობენ, რა ქვეყანაში ვცxოვრობთ, რა საშინელი პირობებიაო, ვგიჟდები. ტრაკი დაყენეთ ყველამ, დააფასეთ რა ქვეყანაში, რა მინა-წყალზე ვცxოვრობთ. ცუდ ქვეყანაში ვცxოვრობთო, რომ გაიძახის ყველა, ეს ნეგატიურ აურას ქმნის, ნეგატიურ ღრუბელს ადებენ ჩვენი ქვეყნის ცას. არ ვიცი რა უნდა მომცე, რამდენი ფული, ბინა, რომ მე საქართველოს გარეთ ვიცxოვრო. ამერიკის პასპორტი მაქვს, როცა მინდა წავალ, არსად არ დავიკარგები, ბოლო-ბოლო დამლაგებლად ვიმუშავებ, მაგრამ არ მინდა, ჩემს ფუძეში, ჩემს ფესვებში, ჩემს სამშობლოში მინდა ყოფნა.

- რამდენი წელი გაატარე ამერიკაში?

- რვა წელი და თითოეული დღე საქართველოს გარეშე ძალიან მტკიოდა. ეს, ალბათ, მამაჩემისგან ჩადებული კოდია. მამაჩემი პირველი ჩოxოსანი იყო საქართველოში. დღემდე „ჩაკრულოს“ და „მრავალჟამიერს“ რომ ვუსმენ, ცრემლი მადგება.

- ასტროლოგმა მაჰათმა განდის და ლენინს შეგადარათ...

- კი, ვიxალისე, მაგრამ ეს ორი ადამიანი ისეთი დიდი პიროვნებები იყვნენ, მე ვის დავეკარგე საერთოდ... მაგრამ, რომ ამბობს, არ მიაყენოს დარტყმა ადამიანს, თორემ ორმაგად შემოუბრუნდებაო, ასე არ ვიქცევი. თუ ადამიანმა არ გამამწარა და სამაგიეროს გადახდის პოზიციაში არ ვარ, პირველ დარტყმას არასდროს ვაკეთებ. ალბათ, მაფრთxილებს ასტროლოგი, დიდი მადლობა ამისთვის. მტრები არ მყავს, ერთი-ორი თუ არის, მათაც თავის თავს დააბრალონ.

- პრობლემებს უქმნის თxის რქა, ვერძიო...

- თxის რქა ტარიელია (იცინის), თუმცა მერწყულის ზღვარზეა.

- საუკეთესო პარტნიორი მისთვის მორიელი, კირჩxიბი და თევzები იქნებაო, წერს...

- ძალიან დიდი ბოდიში, ბატონო დავით, მაგრამ არ გეთანxმებით. ჩემი პირველი ქმარი იყო მორიელი. ვერ ვიტან მორიელებს ვერც ქალებს და ვერც კაცებს. თევzებიც არავინ მყოლია.

- მაშინ გეყოლება, თევzების zოდიაქოს ნიშნით დაბადებული მამაკაცი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობსო, წერს ასტროლოგი.

- მერე, სად არის, ან სად იყო?

- იქნებ ახლა გამოჩნდეს?

- რატომ? ტარიელი xომ არის ჩემს ცxოვრებაში. თქვენ გგონიათ, მე ტარიელს მართლა დავშორდი?

- იმ „პროფილის“ შემდეგ სადაც ტარიელი იყო სტუმრად, ყველას ასეთი შთაბეჭდილება დარჩა.

- ლენინზე გამახსენდა, როგორც კარლ მარქსი და ელგენსი არ დაშორდნენ ერთმანეთს, ისე მე და ტარიელი არ დავშორდებით (იცინის). ძალიან დიდი კარმული მიჯაჭვულობა გვაქვს. პრობლემები რომელ ცოლქმარს არ აქვთ?

- კონფლიქტურია ოჯახურ თანაცxოვრებაში, ოღონდ მნიშვნელოვანია რომელი zოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებუილი ადამიანი ჰყავს გვერდითო...

- იცი რა, შვილი რომ არ მყავს, ალბათ, კომპენსირებას ქმრით ვაxდენ, ქმარს შვილივით ვუვლი, ვკარნახობ, რა გააკეთოს, როდის გააკეთოს. აბა, xელები დაიბანე, ჭამე, ახლა იქ წადი, აქ წამოდი. გადავიყვანე ჭკუიდან (იცინის). რთული არ ვარ ოჯახურ ურთიერთობებში, ძალიან უბრალო ვარ, გეფიცები.

- არც უxასიათო?

- ყველა ადამიანს აქვს კარგი და ცუდი xასიათი, მაგრამ როცა უxასიათოდ ვარ, საკუთარ თავში ვიკეტები. ადრე სxვაზე ვანთxევდი ბოღმას. ახლა გამოვსწორდი, ვისწავლე, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. თან ახლა შინაგანად შევსებული ვარ, იმიტომ არა, რომ ჩემი ქმარი კარგად უკრავს გიტარაზე, არა, უბრალოდ შევსებული ვარ შინაგანი მისტიკური პროცესებით, თავს ვივსებ კოსმიური ძალებით, ბახით, კლასიკური მუსიკით. მე ეს მავსებს. გაბრაზებულ გულზე ვრთავ ბახს და იქ მთავრდება ჩემი გაბრაზება. ერთი სიტყვით, ბატონი დავითის დახასიათებიდან, ბიზნესვუმენობის გარდა, ყველაფერი მენიშნა.

- დასასრულ, ტარიელზე უნდა გკითxო, შენი საუბრიდან გამომდინარე, ვxვდები, რომ შენ და ტარიელი ისევ ერთად xართ.

- მე და ტარიელმა გადავწყვიტეთ, რომ ერთმანეთზე აღარ ვილაპარაკოთ.

- ბატონი დავითი ამბობს, რომ შენი ოჯახური თანაცxოვრება, ყოველთვის იქნება საზოგადოების განსჯის საგანი. ასე რომ, გაგიჭირდება ამ ყველაფერს თავი დააღწიო.

- ჰო, ეგ სულ დამავიწყდა, zუსტად გაარტყა! ამიტომ ვცდილობ ამ თემაzე არ ვილაპარაკოთ. ერთად ვართ და ამით დავამთავროთ!

„შვილი რომ არ მყავს, ალბათ, კომპენსირებას ქმრით ვაxდენ, ქმარს შვილივით ვუვლი, ვკარნახობ, რა გააკეთოს, როდის გააკეთოს. აბა, xელები დაიბანე, ჭამე, ახლა იქ წადი, აქ წამოდი. გადავიყვანე ჭკუიდან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი პრობლემები შემიქმნა“

„ჩემ ირგვლივ ისეთი ამბავია, რომ დიდი ალბათობით პირადი ცხოვრება დამენგრევა“

„მინდა ბოდიში მოვუხადო იმ არასრულწლოვან მოზარდებსა და მათ მშობლებს იმ ჩანაწერებისგამო, რაც ნახეს“

ხათუნა მგალობლიშვილი

ეკა ყუშიტაშვილი პატრულთან დაპირისპირების ჩანაწერს „youtube“-ზე ორ დღეში ოცდათექვსმეტ ათასზე მეტი ნახვა დაუგროვდა. თავად ჩანაწერებს არ ნახულობს, არც შვილს აძლევს ინტერნეტთან წვდომის საშუალებას, სიახლეებს საკუთარი თავის შესახებ ახლობლებისგან იგებს და ელოდება დროს, როდის მობეზრდებათ უცხო ადამიანებს მასზე საუბარი.

ეკა 24 წლის არის, მას 5 წლის გოგონა ჰყავს, რომელსაც მარტო ზრდის. მეუღლეს მაშინ დაშორდა, როცა ერთი თვის ორსული იყო... ამბობს, რომ სინამდვილეში სულაც არ არის ისეთი, როგორიც ჩანაწერებიდან ჩანს, სწორედ ამიტომ ის არასრულწლოვან მოზარდებსა და მათ მშობლებს ბოდიშს უხდის საკუთარი უცენზურო სიტყვების გამო...

ეკა ყუშიტაშვილი:

– ჩემს შვილს არანაირი შეხება არ აქვს ინტერნეტთან, ბაღშიც სასტიკად გავაფრთხილე ყველა, რომ არაფერი უთხრან. გულით მინდა, ბოდიში მოვუხადო მშობლებს, ვისმა შვილებმაც ჩემი უცენზურო სიტყვები მოისმინეს, ეს ჩემთვისაც მიუღებელი იქნებოდა. ვინც აღნიშნული ვიდეო გაავრცელა, მათ თავისუფლად შეეძლოთ, გადაეფარათ უცენზურო სიტყვები, ან სახე დაეფარათ და ისე გაევრცელებინათ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ამას ბევრი არასრულწლოვანი ნახავდა. მართლაც მინდა ბოდიში მოვუხადო იმ არასრულწლოვან მოზარდებსა და მათ მშობლებს იმ ჩანაწერების გამო, რაც ნახეს. ეს ყველაფერი მოხდა ნაციონალების გამო, რადგან მათ გაავრცელეს აღნიშნული ვიდეო. მე ჩემს შვილს არასოდეს ვაყურებინებ მას და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ აღნიშნული ვიდეო ან დაიბლოკოს ან დაიფაროს მაინც. საერთოდ, ქართველების უმრავლესობა ისეთი კატეგორიისაა, სხვისი ცუდი რომ ახარებს. თუმცა არაუშავს, ბევრი წარმატებული ადამიანის ცხოვრებაში ყოფილა მსგავსი ინციდენტი, შავი პიარი, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულებულა. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ჩემს შემთხვევაშიც. ჩემი ნამდვილი მეგობრები ამის გამო არ დამკარგავენ, უბრალოდ, გული მტკივა ნამდვილად, რადგან სინამდვილეში არ ვარ ასეთი. არც პატრულის მიმართ მაქვს ასეთი აგრესია, პირიქით. ოქტომბერში ძალიან დამეხმარა პატრული, როდესაც ჩემს მანქანას რაღაც ნაწილი დაუზიანდა და კინაღამ ამოვტრიალდი... ეს ერთ კონკრეტულ პატრულს ეხებოდა მხოლოდ. მე იმ ადამიანს ვერ დავწყევლიდი, ამიტომ წყევლას გინება ვამჯობინე. ჩემს თავზე ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა, თორემ ისე ყველაფერი გამოვცადე ცხოვრებაში, ზუსტად ვიცოდი, რომ წყევლა წინ დამხვდებოდა, ამიტომ მოვიქეცი ასე.

– მეუღლეს როდის დაშორდით?

– მეუღლესთან განქორწინებული ვარ. ერთი თვის ორსული ვიყავი, როცა ერთმანეთს დავშორდით.

– რამდენი წლის იყავით, როცა გათხოვდით?

– 18 წლის. დროებით ვიყავი ჩამოსული საქართველოში, პასპორტს ვადა გასდიოდა და ახალი უნდა გამეკეთებინა. შემდეგ ისევ ვაპირებდი უკრაინაში დაბრუნებას, გეგმაში მქონდა სწავლა, თუმცა მოხდა ისე, რომ ჩემი მეუღლე გავიცანი და მალევე დავქორწინდით. უკრაინაში ორივე ერთად წავედით. იქ ვცხოვრობდით, თუმცა უკრაინაში დიდხანს ვერ გავძელით და მალევე დავბრუნდით საქართველოში. საქართველოში დაბრუნებულები კი მალე დავშორდით ერთმანეთს.

– დაშორების მიზეზი რა იყო?

– ჩარეულები იყვნენ ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობაში და ამან განაპირობა ჩვენი დაშორება.

– ვინ იყო ჩარეული?

– მამაკაცის გამო დამენგრა ოჯახი, ჩემი მეუღლის ოჯახის წევრი იყო ჩარეული ჩვენს ცხოვრებაში. მეუღლის ოჯახიდან მოდიოდა პროვოკაცია... ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა და არ მინდა ამის გახსენება. ქორწინებამ არ გაამართლა და მალევე დავშორდით, თუმცა ბავშვის მოცილება არც მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ერთი თვის ვიყავი.

– ვინ გეხმარებოდათ იმ პერიოდში?

– არავინ, მარტო ვიყავი, სამშობიაროდანაც კი მარტო გამოვედი, თუმცა იმდენი შევძელი, რომ შვილი გაძეზარდა, მემუშავა. მაქვს იმის საშუალება, რომ მას ვასწავლო, მივხედო და ყველა ის პირობა შევუქმნა, რომ საუკეთესო მომავალი ჰქონდეს... 18 წლის ასაკში გავაჩინე ბავშვი, იმ პერიოდში ბევრ ადგილას ვმუშაობდი, არამარტო სალონში. არანაირი შრომა არ მეთაკილებოდა და არც დღეს მეთაკილება, ჩემი შვილის გამო ყველაფერს გავაკეთებ.

– არ გიჭირდათ დამოუკიდებლად ბავშვის გაზრდა?

– კი, ეს საკმაოდ მძიმე პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. თანაც როდესაც ბავშვი გავაჩინე, მას თავში სითხე აღმოაჩნდა. იმ პერიოდში საშუალება არ მქონდა და ერთი კვირის განმავლობაში გაგუას კლინიკაში დაგვტოვეს, რისთვისაც დღემდე მადლობელი ვარ ჩემი შვილის ექიმის. სანამ ბოლომდე არ გამოჯანმრთელდა, არ გამოგვწერეს. როდესაც სახლში დავბრუნდით, სრულიად მარტოები ვიყავით და მაშინ დაიწყო ჩვენთვის დამოუკიდებელი ცხოვრება. იყო პერიოდი, როდესაც სამსახურში შვილთან ერთად დავდიოდი, ჩემი უახლოესი მეგობრები მეხმარებოდნენ. ჩემს ცხოვრებაში ყველანაირი პერიოდი იყო.

– მშობლები არ გეხმარებოდნენ?

– ვერ მეხმარებოდნენ, რადგან საქართველოში ჩამოსვლას ხშირად ვერ ახერხებდნენ. დედაჩემსაც და მამაჩემსაც თავისი ოჯახები აქვთ, მე მარტო აღმოვჩნდი.

– ბავშვს მამასთან ურთიერთობა აქვს?

– ადრე გავაცანი ერთმანეთი, თუმცა უშედეგოდ. ჩემი ყოფილი მეუღლე არ იმსახურებს იმას, რომ ჩემს შვილთან ერთად იყოს. აქედან გამომდინარე, არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს მასთან. მე მაქვს იმის შესაძლებლობა, რომ შვილს დამოუკიდებლად მოვუარო, გავზარდო და გზაზე დავაყენო. დარწმუნებული ვარ, მომავალში ასეც იქნება.

– უკრაინაში ვისთან ერთად ცხოვრობდით, სანამ გათხოვდებოდით?

– უკრაინაში ჩემი ოჯახი ცხოვრობდა, მე იქ ვიყავი ბავშვობიდან. როდესაც საქართველოში ჩამოვედი, ქართულიც არ ვიცოდი. აქ სკოლის პერიოდში ჩამოვედი, თუმცა ძალიან ხშირად მიწევდა უკრაინაში ყოფნა.

– თქვენი მშობლები ახლაც იქ ცხოვრობენ?

– ჩემი მშობლები დღესაც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ისინი ჩვიდმეტი წელია დაშორებულები არიან. დედა ხან უკრაინაშია, ხან – რუსეთში. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. ამიტომ ხშირად მიწევდა მასთან სარული, ჩემი ხელობაც იქ ვისწავლე.

– რა შეისწავლეთ?

– სტილისტის პროფესიას დავეუფლე. სამწუხაროდ, არ მქონდა იმის საშუალება, რომ რომელიმე უნივერსიტეტში ჩამებარებინა და მესწავლა, ბავშვი მყავდა იმ პერიოდში პატარა. თუმცა ერთი პერიოდი სამედიცინოზე ვსწავლობდი, კერძო ინსტიტუტში, მაგრამ არც ამან გაამართლა, რადგან იმ პერიოდში დედა მოსკოვში გადადიოდა საცხოვრებლად, მე კი უკრაინაში მარტო ვერ დავრჩებოდი, ამიტომ საქართველოში წამოვედი.

– თქვენ გვერდით არის დღეს ვინმე?

– მეგობარი მამაკაცი მყავს დიდი ხანია, სახელს და გვარს ვერ დაგისახელებთ, სამი წელია ერთად ვართ, თუმცა საკითხავია, კიდევ მეყოლება თუ არა. ჩემს ირგვლივ ისეთი ამბავია, რომ დიდი ალბათობით პირადი ცხოვრება დამენგრევა. სწორედ ამ ადამიანის დახმარებით გავაკეთე და მივაღწიე ძალიან ბევრს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა, ის ყოველთვის გვერდით მედგა.

– როგორ გაიცანით?

– მეგობრის საშუალებით გავიცანი, შემთხვევით, კაფეში. ბევრი საერთო ინტერესი აღმოგვაჩნდა და ნელ-ნელა დავახლოვდით. თავიდან მესიჯებით ვურთიერთობდით, ბევრს ვწერდით ერთმანეთს, ალბათ, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში. შემდეგ შეხვედრები დავიწყეთ და აეწყო ჩვენი ურთიერთობა. ერთად ვცხოვრობდით დაახლოებით ორი წელი.

– ახლა?

– ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი პრობლემები შემიქმნა, რადგან მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ქუჩაში ვიღაცებს აგინებს. ის ერთი კონკრეტული შემთხვევა იყო და ამასაც აქვს თავისი ახსნა. საერთოდ არ ვარ ისეთი, როგორიც გამომაჩინეს, ძალიან მშვიდი ცხოვრებით ვცხოვრობ, მთელი დღე ვმუშაობ და როგორც კი ჩემი შვილი ბაღიდან მოდის, საღამოებს ერთად ვატარებთ. ახლაც გვერდით მიზის.

– ამ ინციდენტის გამო საყვარელი ადამიანი დაკარგეთ?

– ყოველ შემთხვევაში ახლა ერთად აღარ ვცხოვრობთ. მას შემდეგ ერთხელ დამირეკა, დამაწყნარა, მითხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგრამ რა იქნება მომავალში, არ ვიცი. ამ ფაქტმა ძალიან გამანადგურა, სახლში რომ მოვედი, დღესაც მეუბნებოდა ჩემი შვილის ძიძა, რომ ვიდეოები დღესაც იდება ინტერნეტში. ეს ყველაფერი ძალიან ცუდად მოქმედებს ჩემზე. მეგობრები ძალიან მეხმარებიან. სიმართლე გითხრათ, არასოდეს ვიმალები და ამჯერადაც ვეცდები, დავამტკიცო, რომ არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ქუჩაში იგინება. ხალხის რეაქციაც მესმის, მათ მეტი საქმე არ აქვთ და მლანძღავენ.

– ამ კადრების გავრცელების შემდეგ კიდევ თუ გაგაჩერებთ პატრული, როგორ მოიქცევით?

– არ ვიცი, ისეთი პრობლემები შემექმნა, რომ არც კი ვიცი, დღეს იგივეს გავაკეთებდი თუ არა...გარდა ამისა, ეს ფაქტი ზაფხულში მოხდა, ამდენი ხნის შემდეგ კი ნაციონალებმა გამოიყენეს. ამიტომ მე მათ ვაფრთხილებ, რომ ჩემს ენასაც არ აქვს ძვალი და მეც შემიძლია ბევრი რამის თქმა. ამიტომ თავი დამანებონ და თავის საქმეს მიხედონ.

– ხომ არ აპირებთ საჩივრის შეტანას იმ ადამიანების წინააღმდეგ ვინც აღნიშნული ჩანაწერი გაავრცელა?

– აუცილებლად, რადგან ჩემი უფლებები ძალიან დაირღვა. არ იყო აუცილებელი ჩემი სახელისა და გვარის გამჟღავნება, თუ მაინცდამაინც სურდათ ჩანაწერის გავრცელება, შეეძლოთ ან სახე დაეფარათ, ან უცენზურო სიტყვები ამოელოთ. ასე სპეციალურად და მიზანმიმართულად მოიქცნენ. რატომ გააკეთეს ეს, არ ვიცი.

– საზღვარგარეთ ხომ არ აპირებთ დროებით მშობლებთან წასვლას?

– არა, უკრაინაში ვერ წავალ, რადგან იქ არეულობაა, ჯერჯერობით არ ვფიქრობ.

– დღეს შვილთან ერთად მარტო ცხოვრობთ?

– მარტო არ ვცხოვრობთ, ჩვენთან ერთად ძიძა და მისი შვილი ცხოვრობენ.

– პირადად გრძნობთ აგრესიას?

– სიმართლე გითხრათ, არც გავსულვარ გარეთ. ძალიან ბევრი საქმე მქონდა და მხოლოდ ისეთ ადგილებში დავდივარ, სადაც ჩემი ახლობლები არიან, ამიტომ ასე პირდაპირ აგრესიას ვერ ვგრძნობ. საერთოდ, ცუდია, მაგრამ ჩვენთან სულ ასე ხდება, ყოველთვის ცდილობენ, ჩაქოლონ ადამიანი. მე თუ ერთ კონკრეტულ ადამიანს შევაგინე, იმ ადამიანების საქციელი, რომლებიც მე მლანძღავენ, რას ჰგავს? ჩემი ერთი გინება გამოჩნდა და მათი დღევანდელი ქმედებები და ქცევები არ ჩანს? ხომ გაგიგიათ, პირველი ქვა იმან ისროლოს, ვისაც ცოდვა არ ჩაუდენიაო...

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გვინდა ძალიან დიდი, ალბათ, 200-სერიიანი ფილმის გადაღება

„ყველა კანდიდატს შორის ფავორიტი მე ვიქნები“

ხათუნა მგალობლიშვილი

მხატვრულ სერიალს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის შესახებ გოგა ხაინდრავა „ურეჟისორებს“. თუმცა დასახმარებლად, არ არის გამორიცხული, გოგი ქავთარაძეც მიაშველონ, რადგან ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მხატვრული ფილმი ორასსერიიანი იქნება.

ბიძინა ივანიშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი: „ვაპირებთ მხატვრული ფილმის გადაღებას „9+1“-ის სახელწოდებით. ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ. ეს, ალბათ, მიგანიშნებთ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაზე გვინდა ძალიან დიდი, ალბათ, 200-სერიიანი ფილმის გადაღება. შემოდგომისთვის უნდა მომზადდეს უკვე.

გოგა ხაინდრავა საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება და მხოლოდ ამის შემდეგ იტყვის, ვინ იმუშავებს მის გუნდში, ვინ იქნება სცენარისტი და დამხმარე რეჟისორი. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, ხაინდრავას გარდა, შესაძლოა, სერიალზე გოგი ქავთარაძემაც იმუშაოს.

გოგი ქავთარაძე:

– შეთავაზება ჯერ არ მიმიღია, თუმცა არ არის გამორიცხული, ასეთი წინადადება იყოს, რადგან, როგორც ითქვა, სერიალი დიდი იქნება. შესაბამისად, შესაძლოა, ერთმა რეჟისორმა ვერ გაართვას თავი და ერთი ან რამდენიმე სერია მე ჩამაბარონ.

– ანუ დასთანხმდებით, თუ შემოთავაზება იქნება?

– კი, რა თქმა უნდა.

სერიალი მხატვრული იქნება. ხაინდრავას განცხადებით, დღეს მსოფლიოში ბევრ პოლიტიკურ სერიალს იღებენ და ეს აპრობირებული მეთოდია.

გოგა ხაინდრავა: „ჩემთვის ძალიან საინტერესოა ეს ყველაფერი და ვფიქრობ, ყველა კანდიდატს შორის ფავორიტი მე ვიქნები, რადგან ჩემზე კარგად ეს თემა, ნაკლებად მგონია, ვინმემ იცოდეს. ამაზე ბევრი მაქვს ნაფიქრი. საკმარისი გამოცდილება და პროფესიონალიზმიც მაქვს იმისთვის, რომ ძალიან საინტერესო ნამუშევარი გამოვიდეს. ბუნებრივია, ჩემთან ერთად ის ადამიანები იმუშავებენ, რომლებსაც ეს საქმე, ჩემი აზრით, ყველაზე კარგად ხელეწიფებათ. ამ თვალსაზრისით პრობლემა არ არის. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ადამიანია, ვინც სცენარის წერა იცის“.

სერიალის დაანონსებისთანავე გაჩნდა კითხვა, ვინ შეასრულებს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილს როლს. პასუხი თავისთავად მივიდა ქართლოს ნატროშვილამდე. სააკაშვილის პაროდისტი შეთავაზების გაკეთებამდე აცხადებს უარს და ამბობს, რომ ხაინდრავას რეჟისორულ განცდებში ჩარევის სურვილი არ აქვს.

ქართლოს ნატროშვილი, მიხეილ სააკაშვილის პაროდისტი: „მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გადაღებას აპირებენ, მე პირადად არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩავება გოგა ხაინდრავას რეჟისორულ განცდებსა და ფიქრებში, ამის არანაირი სურვილი არ მაქვს, გადაიღონ, რამდენიც უნდათ, 300 სერიალი, თუ უნდათ აჯობონ მექსიკურ სერიალებს, მაგრამ მე პირადად სურვილი არ მაქვს. თუმცა დაველოდები, რა ფილმს გადაიღებენ, მაინტერესებს“.

გადაცემა „2030“-ის პროდიუსერი, ვასილ მაღლაფერიძე დარწმუნებულია, რომ „ფავორიტი“ ხაინდრავა იქნება: „როგორც ვიცი, გოგა ხაინდრავაზე გადაწყდა, დეტალებს თავად ხაინდრავა გააჟღერებს“.

მხატვრული ფილმი GDS-ზე, სავარაუდოდ, შემოდგომიდან გავა. თუმცა მანამდე ყოფილი პრემიერი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის შესახებ საკუთარ ანალიზს „facebook“-ის საშუალებით გაავრცელებს.

გოგი ქავთარაძე: „შესაძლოა, ერთმა რეჟისორმა ვერ გაართვას თავი და ერთი ან რამდენიმე სერია მე ჩამაბარონ“

ქართლოს ნატროშვილი: „არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩავება გოგა ხაინდრავას რეჟისორულ განცდებში“

„საქართველომ აქედან შეიძლება კომერციული მოგებაც კი ნახოს“

ხათუნა მგალობლიშვილი

სად განთავსდება ნატოს სასწავლო ცენტრი საქართველოში, საბოლოოდ ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ერთ-ერთ ადგილად ვაზიანი განიხილება, თუმცა ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ საბოლოოდ საჩხერეზე გაკეთდეს არჩევანი, მით უფრო, რომ იქ სამთო მომზადების სკოლა უკვე არსებობს.

ირაკლი ალადაშვილი, „არსენალის“ მთავარი რედაქტორი:

– ეს იქნება სასწავლო ცენტრი და არა ბაზა. ბაზასა და ცენტრს შორის დიდი სხვაობაა. ბაზას მუდმივი კონტინგენტი ჰყავს, ხოლო სასწავლო ცენტრში, ინსტრუქტორების გარდა, ცვალებადი კონტინგენტი იქნება, ვინც სწავლებას გაივლის. შეიძლება ჩვენს მტრებს სურთ, დააფიქსირონ, რომ ეს იქნება ბაზა, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. აქ არის საუბარი სასწავლო ცენტრზე, სადაც შეიძლება მომზადდნენ, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის სამხედროები, ასევე ნატოს პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს არმიების წარმომადგენლებიც.

– როდისთვის გაიხსნება სასწავლო ცენტრი?

– საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე, ალექსანდრე ვერშბოუ და სწორედ ამ დეტალებზე იქნებოდა საუბარი, სად შეიძლება გაიხსნას ცენტრი და გადაწყდება, როდის განხორციელდება გახსნა.

– უშუალოდ სასწავლო დანიშნულება ექნება?

– ასეთ დეტალურ ინფორმაციას შეიძლება ჯერ თავადაც არ ფლობენ, საუბარია როგორც სასწავლო, ასევე ლოჯისტიკის ცენტრზეც, ასევე იქნება სკოლაც, სადაც მოხდება სასწავლო პროცესის გავლა. სხვათა შორის, საქართველოს აქვს გარკვეული გამოცდილება ამაში, ვგულისხმობ საჩხერის სამთო მომზადების სკოლას, მას უკვე რამდენიმე წელია, მიღებული აქვს ნატოს BFT სერტიფიკატი. ასე რომ, საჩხერეში უკვე არსებობს სწავლების გამოცდილება. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე ემზადებოდნენ, ძირითადად ნატოს პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის იყო უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. დეტალები ჯერ არ არის ცნობილი, რამხელა იქნება ცენტრი, სად განლაგდება კონკრეტულად, ეს ყველაფერი განსახილველი და დასათვლელია. ბუნებრივია, მარტო საქართველო ამას ვერ უზრუნველყოფს. მეტსაც გეტყვით, იდეაში საქართველომ აქედან შეიძლება კომერციული მოგებაც კი ნახოს. იგივე საჩხერის სკოლა, შეიძლება რომელიმე ქვეყანას სამთო მომზადება დასჭირდეს თავისი სამხედროებისთვის და ამაში მათ ფული გადაიხადონ. ეს იდეა თავის დროზეც არსებობდა, თუმცა, სამწუხაროდ, არ გაკეთებულა. იგივე შეიძლება ვთქვათ ახალ ცენტრზეც.

ირაკლი ალადაშვილი: „შეიძლება ჩვენს მტრებს სურთ, დააფიქსირონ, რომ ეს იქნება ბაზა, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის“

– შეიძლება სასწავლო ცენტრის გახსნის პროცესი შეფერხდეს?

– შეთანხმება უკვე მიღწეულია, მართალია, თავდაცვის სამინისტროში ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ გეზი, რომელიც არჩეულია, არ იცვლება და იგივე რჩება. სავარაუდოდ, ყველაფერი ისე განხორციელდება, რომ ცენტრი 2015 წლის ბოლოს ამოქმედდეს. ბუნებრივია, ბევრია დამოკიდებული თანხებზე, რომლის ძირითადი ნაწილიც ნატოს მხრიდან გამოიყოფა, თუმცა საჭირო იქნება თანხის გამოყოფა საქართველოს მხრიდანაც. საჭიროა, მოეწყოს ისეთ მაღალ დონეზე და იყოს ისეთი ინფრასტრუქტურა, რომ განხორციელდეს მაღალი დონის გადამზადება. სასწავლო ცენტრში არ ჩამოვლენ აბსოლუტურად მოუმზადებელი სამხედროები, იქ სწავლებას გაივლიან სამხედროები, რომლებიც მრავალი წელია მსახურობენ და ესაჭიროებათ გადამზადება.

– ანუ იქნება წინასწარი შერჩევა?

– ბუნებრივია, შერჩევა მოხდება. ჩემი აზრით, ჩამოვლენ და შეისწავლიან ისეთი კონფლიქტების გამოცდილებას, როგორიც არის ავღანეთში, კოსოვოში, ერაყში. ამ კონფლიქტებში საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებიც საკმაოდ მონაწილეობდნენ, შესაბამისად, ჩვენც საკმაო გამოცდილება გვაქვს და კარგი იქნება, თუ სასწავლო პროცესში ინსტრუქტორებად ნელ-ნელა ქართველი სამხედროებიც გამოჩნდებიან.

– ინსტრუქტორები მხოლოდ უცხოელები იქნებიან?

– ვნახოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ არმიაშიც მოიპოვება არაერთი სამხედრო მოსამსახურე, ოფიცერი და სერჟანტი, რომელსაც ამერიკელებზე არანაკლები გამოცდილება აქვთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კოტე მათითაშვილის ტელეწამყვანობას ოჯ

my View

ნინო მჭედლიშვილი

გადაცემამ „ექიმები“, შეიძლება ითქვას, რომ „რუსთავი 2“-ის მაყურებელი ეკრანს მიაჯაჭვა. სხვადასხვა სფეროს ოთხმა გამოცდილმა ექიმმა ტელეწამყვანის ფუნქცია შეითავსა და მაყურებელს არაერთი საინტერესო გადაცემა აჩუქა. მედიცინა მრავალმხრივია, თემები ამოუწურავი. საინტერესო წამყვანები, ხალისიანი სტუმრები, ცოტა იუმორი და ბევრი სასარგებლო რჩევა. აი, რა მოსწონს მაყურებელს ამ გადაცემაში ყველაზე მეტად.

გადაცემის ერთ-ერთ წამყვანს, პლასტიკურ ქირურგს, კოტე მათითაშვილს სამსახურში, „კარაფს მედლაინში“ ვესტუმრეთ.

- კოტე, ექიმობა, კერძოდ პლასტიკური ქირურგია, რატომ აირჩიეთ პროფესიად?

- ესტეთიკა, სილამაზე ყველას გვიყვარს. მედიცინაში ეს მიმართულება განსაკუთრებით მომწონს, უფრო რეალურად და საინტერესოდ მომეჩვენა ეს განხრა ჩემთვის. მეოთხე კურსიდან ამ დარგის სპეციალისტებთან ვსწავლობდი და ვმუშაობდი. „კარაფს მედლაინში“ ვარ მისი გახსნის დღიდან და დღემდე აქ ვმუშაობ. 10-12 წელია ბატონ, საშა კალანტაროვთან ერთად ვმუშაობ. ვამაყობ იმით, რაც შევძელით ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი არათუ თავდაუზოგავი, არამედ გიჟური მუშაობითაც კი.

- ხშირად პროფესიას მშობლის ან ნათესავის მიბაძვით ირჩევენ, თქვენ ოჯახში თუ არის ვინმე ექიმი?

- ოჯახში არა, მაგრამ ნათესაობაში - კი. მყავს ორი ბიძაშვილი. ერთი ძალიან წარმატებული გინეკოლოგი, ექოსკოპისტი, სერგო მათითაშვილი და მეორე ონკოლოგი, ამირან მათითაშვილი. სამივე ერთი თაობა ვართ და თვითონ გავიკვალეთ გზა მედიცინაში.

- სხვა პროფესიაზე არასდროს გიფიქრიათ?

- არასდროს არის გვიან. მიყვარს ფოტოგრაფია, მხატვრობა. ყველა ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს დრო, როცა ის რადიკალურად სხვა პროფესიას აირჩევს და სხვაგან იპოვის თავის თავს. მაგრამ დღეს არ არის ამის დრო, დღეს უნდა ვაკეთოთ ის, რაც გვისწავლია და რაც საზოგადოებაშიც აქტუალურია. როცა არააქტუალური პროფესია გაქვს, ავტომატურად ფიქრობ შეცვლაზე. ამ ეტაპზე პროფესიის შეცვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. უბრალოდ, ახალი პროფესია შევითავსე (ილიმება).

- ტელეწამყვანობას გულისხმობთ, ალბათ, როგორ მოხვდით გადაცემაში „ექიმები“?

- ოთხივე წამყვანი შესარჩევ ტურის საშუალებით აგვარჩიეს. ხუთასამდე ექიმი გასინჯეს და ამ ოთხეულს დაგვირეკეს.

- დანარჩენ სამს იცნობდით მანამდე?

- არა, ნინოს ვიცნობდი მხოლოდ, ისიც შორიდან, საერთო სამეგობრო წრე გვყავს, ისე, არც სამედიცინო და არც მეგობრული კონტაქტი არ გვქონია. დღეს ძალიან კარგი მეგობრები აღმოვჩნდით ერთმანეთისთვის.

- პირველივე გადაცემიდან თავისუფლად, ლაღად უძღვებით ეთერს, ნერვიულობის მომენტი თავიდანაც არ გქონიათ?

- ემოციები ოთხივეს გვაქვს, არის ადრენალინი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება მედიცინისგან, მედიცინაში სხვა ტიპის ფსიქოლოგიური სამუშაოა საწარმოებელი ყოველდღიურად. ოთხივე ჩვენთვის აბსოლუტურად უცხო სივრცეში აღმოვჩნდით. ამდენი კამერა, აუდიტორია, პროდიუსერი თავისას გეუბნება, რეჟისორი თავისას გთხოვს, ყურში გელაპარაკებიან, შენ შენი უნდა თქვა, მოკლედ, არც ისეთი ადვილია ჩვენი წვალება, როგორც ეს მაყურებელს ჰგონია. ბუნებრივია, ნერვიულობაც იყო. პირველი ოთხი გადაცემა ზაფხულის პერიოდს დაემთხვა. ისედაც დაღლილები ვიყავით ოთხივე და კიდევ ახალი საქმე დაგვემატა. მგონი გავართვით თავი, წარმატებული შოუ გამოვიდა, ამას რეიტინგები აჩვენებს. როგორც ჩვენივე კოლეგები გვეუბნებიან, საკმაოდ რეიტინგული გადაცემაა, განსხვავდება ტელესივრცეში სხვა სამედიცინო გადაცემისგან. ჩვენთან იუმორია, ბევრი სტუმარი.

- და გასაგებ ენაზე საუბრობთ.

- ჩვენც გაგვირბის ზოგჯერ ტერმინები, მაგრამ მერე ერთმანეთს ვუსწორებთ. მეც ფიზიკოსი რომ მესაუბროს თავისი ტერმინებით, ვერაფერს გავიგებ.

- როგორ ირჩევთ თემებს?

- თემებს პროდუსინგი არჩევს. ვცდილობთ აქტუალური თემები ავირჩიოთ. მაგალითად, ახალ წელს ავარჩიეთ ნაბახუსევი, ერთ-ერთ ბოლო გადაცემაში გვქონდა საზოგადოებისთვის რატომღაც ტაბუდადებული ჰემოროიდული დაავადებები, ბუასილი. ბევრი მალავს ამ დაავადებას, თვითმკურნალობას იწყებს და ამიტომ აუცილებელია ის ინფორმირებული იყოს, თუნდაც ასეთი ტიპის გადაცემიდან. გადაცემის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ დავამსხვრიოთ მითები, რომელზეც აწყობილია ადამიანის ჯანმრთელობა. ხალხს ჰგონია, რომ ძმრიანი წინდები სასარგებლოა გაციების დროს, რომ ბევრი ლიმონი გაციებას კურნავს და ა. შ. ბევრი არასწორი სამედიცინო მიდგომაა, რომლის შესახებაც საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს. მაგალითად, წყლის დალევას საზოგადოება ჩვენ მივაჩვიეთ.

- მართლა არის წყალში სილამაზის საიდუმლო?

- წყალში არის ჩვენი ცხოვრების საიდუმლო. წყლიდან მოვდივართ ჩვენ ყველანი, ამიტომ წყალი ჩვენი ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამიტომ კიდევ ერთხელ, თქვენი პოპულარული გაზეთის საშუალებით ვეტყვი თქვენს მკითხველს, რომ წყალს თუ დალევთ, იქნებით ბევრად უფრო კარგად, გამოიყურებით ბევრად უფრო უკეთ და იქნებით ჯანმრთელები.

- კიდევ რა რჩევას მისცემთ ჩვენს მკითხველს?

- ფეხით იარეთ ბევრი. ალკოჰოლი მიიღეთ დღეში ერთი ერთეული, მაგალითად, ერთი ბოკალი ღვინო და იარეთ დღეში ერთი საათი მაინც.

- თქვენ ბევრს მოძრაობთ ფეხით?

- კი, როცა სეზონია კუს ტბაზე დავდივარ. დილაობით ვვარჯიშობ, როცა ამის საშუალება მაქვს. ვცურავ, თხილამურებზე ვდგავარ, როცა სეზონია.

- სიგარეტს ეწევით?

- მხოლოდ მაშინ, როცა დიდი ნადიმია. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ეს ყველაზე დიდი დანაშაულია, რაც ადამიანმა შეიძლება საკუთარ თავს და ოჯახის წევრებს გაუკეთოს. თამბაქოს მოხმარება არის თვითმავნებლობის საუკეთესო საშუალება.

- ე.ი. სიგარეტს ეწევით, ალკოჰოლს მიირთმევთ, მოკლედ, დიმიტრი გელოვანი არ ხართ.

- (იცინის) არა, არა, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ოღონდ, კარგად მაქვს გააზრებული თამბაქოს მოხმარების შედეგები, ამიტომ თვეში სულ რაღაც 2-3 ღერს ვეწევი. ალკოჰოლთანაც ფრთხილად ვარ. კვირაში ერთი საღამო მაქვს, როდესაც თავს ალკოჰოლის მიღების უფლებას ვაძლევ, ისიც ზომიერად.

- მას მერე რაც ტელეწამყვანი გახდით, რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?

- ეს კითხვა ბევრჯერ დამისვეს თქვენმა კოლეგებმა. ადამიანები მიღიმიან, ქუჩაში მცნობენ. ეს ცოტა არ არის დღევანდელ რეალობაში, სადაც ადამიანები, სამწუხაროდ, ერთმანეთს არ უღიმიან. სხვა არაფერი შეცვლილა.

- უფრო დაკავებული არ ხართ?

- დიდად არა, ეს გადაცემა თავისი რეპეტიციითა და ჩაწერით იკავებს ერთ საღამოს.

- ერთი საღამოს შედეგია ის, რასაც ჩვენ ეთერში ვნახულობთ?

- ერთი საღამო, 6-7 საათი. ეს კარგი პროდიუსინგის დამსახურებაა, რისთვისაც მადლობას იმსახურებენ ეს ადამიანები. აბსოლუტურად უცხო გარემოში მივედით და ძალიან კარგად დაგხვდნენ.

- რთული აღმოჩნდა თქვენთვის ტელეწამყვანობა? ნერვიულობის მომენტი გქონდათ პირველი ეთერის დროს მაინც?

- ტახიკარდია დღესაც, ყველა გადაცემის ჩაწერის წინ არის. უკვე ბევრი გადაცემა ჩავწერეთ, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს ვატყობთ, რომ ვიძაბებით, პაუზებიც გვაქვს. ალბათ, გავა დრო და ისე ჩავწერთ გადაცემას, რომ ამაზე არც ვიფიქრებთ, მაგრამ ეს არ იქნება კარგი. როცა ეს ყველაფერი რუტინაში გადადის, როცა ამას მოვალეობის მოხდის

„ხალხს ჰგონია, რომ ძმრიანი წინდები სასარგებლოა გაციების დროს, რომ ბევრი ლიმონი გაციებას კურნავს“

„ფოტოების გადაღებას რომ მოვყვენ ქუჩაში, ეს ძალიან უცხოა ჩემთვის, მეცინება კიდეც ამ ყველაფერზე. ზოგჯერ „რუგზაკი“ მომიკიდია მხარზე და გამოვპარულვარ სტუდიიდან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ

„ᲩᲐᲮᲘᲙᲐᲠᲓᲘᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ. ᲣᲙᲕᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲩᲐᲕᲬᲔᲠᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲢᲧᲝᲑᲗ, ᲕᲘᲫᲐᲑᲔᲑᲘᲗ, ᲯᲐᲣᲖᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ“

EXCLUSIVE

„თქვენი პოპულარული გაზეთის საშუალებით ვეტყვი თქვენს მკითხველს, რომ წყალს თუ დალევთ, იქნებით ბევრად უფრო კარგად, გამოიყურებით ბევრად უფრო უკეთ და იქნებით ჯანმრთელები“

მიზნით აკეთებ, ემოცია იკლებს, ის შედეგი აღარ იდება, რაც მაყურებელს მოსწონს, რისთვისაც გაქებს. ადრენალინი საჭიროა.

- იუმორიც კარგი გაქვთ ოთხივეს, ალბათ, ესეც გაითვალისწინეს, როცა კადრებს არჩევდნენ.

- ალბათ, როცა ვიდეო კამერის წინ დავდექით და რაღაცების მოყოლა დავიწყეთ, გვთხოვეს, თავისუფლად ისაუბრეთო. არ ვიცი როგორ მოხდა ყველაფერი, მაგრამ ნეპოტიზმი არ ყოფილა. იყო თავისუფალი სივრცე, სადაც ძალიან მოულოდნელად მოვხვდით. სახლში რომ ვთქვი, ტელევიზიაში მივდივარ ჩაწერაზე-მეთქი, მოკვდნენ სიცილით. არ სჯეროდათ.

- როდის გადაუარათ სკეპტიციზმმა ოჯახის წევრებს?

- დღემდე არ გადასვლიათ (ღიმება), დღემდე იუმორით უყურებენ ამას.

- გგულშემატკივრობენ მაინც?

- კი, კი. დიდად არ მიყვარს ოჯახზე ლაპარაკი. ჩვენ ექიმები ვართ, არ ვართ ვარსკვლავები, „ფეშენ“ საზოგადოების ნაწილები, კინოს, თეატრის მსახიობები, მაგრამ უცებ გაჩნდა ინტერესი. ჩვეულებრივი ოჯახები გვყავს, ისევე, როგორც ყველას საქართველოში.

- ვინ გყავთ ყველაზე დიდი კრიტიკოსი ოჯახში?

- ბავშვები. ვიღაც რომ გამიცინებს ქუჩაში, დამცინიან, გიცნესო.

- გადაცემას დავუბრუნდეთ, ზოგჯერ, ალბათ, რამდენიმე დუბლად გიწევთ კონკრეტული ფრაზის ან სიტუაციის ჩაწერა...

- სასაცილო სიუჟეტები განთავსებულია ჩვენს ფეისბუქგვერდზე. ზოგიერთი მომენტი ისე კარგად გამოგვივიდა, იუმორისტულ გადაცემასაც შეამკობდა. არის შემთხვევა, როცა რაღაც სიტყვას ვერ ამბობ სწორად. ვარჯიშებსაც ვაკეთებთ, მაგრამ იმდენად სასაცილო დასანახები ვართ ამ დროს, ამაზეც გვეცინება ხოლმე. არის მომენტები, როცა ტექსტი გავიწყდება, ყურში გკარნახობენ, ჩამორჩები ტექსტს. როცა სტუმარი შემოდის მასთან საუბარი უფრო ადვილდება. იქ არ არის საჭირო დაზეპირებული ტექსტები, ამდენად, უფრო თავისუფლად ვართ.

- ისეთი სტუმარი თუ გყოლიათ, მისი ალაპარაკება რომ გაგჭირვებიათ?

- გვყოლია ძალიან სერიოზული სტუმრები, ვერაფრით რომ ვერ გამოვაცოცხლეთ, ისეთიც. ამდენ კამერებში ვერ ვილაპარაკებო, უთქვამთ.

- კურიოზული, სახალისო მომენტებიც გექნებოდათ.

- კურიოზული იყო, როცა თავიდან სიმხნევისთვის ალკოჰოლი მივიღეთ. ცოტა მეტი მოგვივიდა და სანამ ჭკუაზე არ მოვედით, გადაღება ვერ დავიწყეთ. ახლა კი მივეჩვიეთ ერთი კამერიდან მეორეში გადასვლას, თავიდან რთული იყო, 6-7 კამერა იღებს, თვალებში „პროჟექტორები“ განათებს.

- დასასრულ, რას ეტყვით და რას ჰპირდებით თქვენს ერთგულ მაყურებელს?

- პირველ რიგში მადლობას გადავუხდი გულშემატკივრობისთვის, მგონი ყველას ვუყვარვართ. ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ კრიტიკა არ წამიკითხავს. არის მხოლოდ რჩევები, რა თემაზე ვისაუბროთ შემდეგ გადაცემაში. მედიცინა ამოუწურავია. ამერიკაში ეს დაგაცემა 2007 წლიდან გადის, პრაქტიკულად ყოველ საღამოს და თემა არ იწურება დღემდე. ასე რომ, ამ შოუს პერსპექტივა დიდი აქვს თუ ქვეყანაშიც და ტელევიზიაშიც ყველაფერი კარგად წავიდა. ჩემთვის, როგორც დილეტანტისთვის ამ სფეროში, მაყურებლის სიყვარული ძალიან მნიშვნელოვანია. ფოტოების გადაღებას რომ მთხოვენ ქუჩაში, ეს ძალიან უცხოა ჩემთვის, მეცინება კიდეც ამ ყველაფერზე. ზოგჯერ „რუგზაკი“ მომიკიდია მხარზე და გამოვპარულვარ სტუდიიდან. მე მიყვარს ჩემი მაყურებელი. მადლობას ვუხდი მათ და უფრო საინტერსო ეთერს ვპირდები.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რატომ დადგა დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნები

ქეთი ხატიაშვილი

ვადამდელი არჩევნები თუ მთავრობის შეცვლა? ამ კითხვაზე დღეს ყველა ექსპერტსა თუ პოლიტიკურ ჯგუფს საკუთარი პასუხი და მოსაზრება აქვს. ზოგი მიიჩნევს, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, ზოგი ფიქრობს, რომ ღარიბაშვილი შეიცვლება, ზოგიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ პარლამენტიც დაიშლება და მინისტრთა კაბინეტიც... სულ ეს არის ქართული პოლიტიკის თავისებურება – ვითარება არასტაბილური ჩანს, მისი წინასწარ განჭვრეტა კი თითქოს შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ეს გაზვიადებული შეხედულებაა. ასეთი ლაბირინთი ქართულ პოლიტიკაში ბევრწილად იმ ცრუ პროგნოზებისა თუ მოლოდინების გამო იქმნება, რომელსაც დაინტერესებული ექსპერტები თუ პოლიტიკოსები ხატავენ იმისთვის, რომ მათთვის სასურველი გზით წაიყვანონ პოლიტიკური პროცესები.

პოლიტიკაში ილუზიები უფრო ხილულია ხოლმე, ვიდრე რეალობა... ამიტომაც ხშირად აბსურდული ვერსიებიც ისმის.

მაგალითისთვის 2015 წლის პროგნოზებიც კმარა. თუმცა ეს სულ სხვა თემაა.

რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ვერავინ, ვისაც ღარიბაშვილის მოშორება სურს, ან პარლამენტის დაშლა (სურთ, რომ ამ ორიდან რომელიმე აუცილებლად მოხდეს), ვერაფერს ამბობს იმაზე, რა კრიზისი შეიქმნება. ანუ, რატომ გახდება საჭირო არჩევნების მაინცდამაინც წელს ჩატარება. ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც მოვისმინე, ასე ჟღერდა: ბიძინა ივანიშვილი ახლა დადებს საგამოძიებო მასალებს

რამდენიმე მინისტრზე, შესაბამისად, საჭირო გახდება მათი შეცვლა, პარლამენტი ახალ კანდიდატებს ვერ თუ არ დაამტკიცებს და კრიზისიც დაფიქსირდება.

თუმცა, სრულიად გაუგებარია, რატომ ვერ დაამტკიცებს ახალ კანდიდატებს პარლამენტი, მით უფრო, თუ ეცოდინება, რომ შეიძლება გარეთ აღმოჩნდეს და მძიმე საარჩევნო პროცესში ჩაებას. ეს საკმაოდ ხელოვნურ კრიზისს ჰგავს.

ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ერთადერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს – ეს ნაციონალების განადგურებაა. სწორედ ასე წარმოუდგენია ბურჯანაძეს იმ პარტიის მომავალი, რომლის გულმხურვალე დამცველიც ერთ დროს თავადვე იყო.

ახლა კი მას, როგორც (ასევე) გულმხურვალე პრორუსულ ძალას, ნაციონალების სივრცეზე აქვს პრეტენზია. ის დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური მზე მას მხოლოდ იმიტომ არ ანათებს, რომ საკაშვილის სიმაღლე უჩრდილავს... პრინციპში, პოლიტიკაში ბურჯანაძე რეალისტი არასოდეს ყოფილა, არც რომანტიკოსი, ის ყოველთვის ქალი იყო...

1992 წლის შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დანიშნულა და ამ ხელისუფლებისთვისაც, ისევე როგორც მისი წინამორბედებისთვის, ღირსებისა და იმიჯის საკითხია, ქვეყანაში დაცული იყოს საკონსტიტუციო ვადები. კრიზისის დაფიქსირებით, ბუნებრივია, ის საკუთარ სისუსტესა და უძლურებასაც დააფიქსირებს. ამიტომაც, სერიოზული ექსპერტები ასეთ მცდელობებს არ მიესალმებიან, ყოველთვის სჯობს, მორე მოითხოვენ არჩევნებს...

მეორე მოლოდინი, რომელიც რატომღაც გაჩნდა – ეს ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკიდან წასვლაა.

ისე ჩანს, რომ ახლა ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეტევაც, რომელმაც კამპანიური

ირაკლი ღარიბაშვილს პოლიტიკური წარმატების შანსი აქვს

ითმინო ოპოზიციის გამოხტომები, ვიდრე შური იძიო, მით უფრო პრორუსული ძალებთან დათმობაზე წახვიდე.

ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა:

– მე პირადად არ ვისურვებდი. ძალიან მინდა მივეჩვიოთ, რომ კანონის ფარგლებში ვიცხოვროთ, კონსტიტუციას მოვუსმინოთ და ასე შემდეგ. ჩემი სურვილი არ იქნებოდა, ამის აუცილებლობასაც ვერ ვხედავ, მაგრამ არაფერი უნდა გამოვრიცხოთ და თუ პროცესები ისე განვითარდა, რომ ამის აუცილებლობა დადგება, არაფერი ამაში კატასტროფა არაა, თუმცა არ იქნება კარგი და სჯობია, ყველაფერი კონსტიტუციურად განვითარდეს და, დიდი ალბათობით, ასეც იქნება...

ჩემი აზრით, ამით მან პრორუსული ძალები უფრო დააშოშმინა, ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობა გაუჩინა. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა. რეალურად, ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება, რადგანაც ყოველთვის გამოჩნდებიან ქუჩის პოლიტიკოსები, რომლებიც ვადაზე ადხასიათი მართლაც მიიღო, ასევე მოხდა პრორუსული ძალების ობიექტივში. ბევრისთვის პრემიერის შეცვლაა მიზნის მიღწევა, მიზანი კი ისევ და ისევ ვადამდელი არჩევნებია. აქ ძირითადად მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის დაძაბულობაზე თამაშობენ. ანუ მიიჩნევენ, რომ, თუკი პრემიერი



შეიცვლება, დიდი კულუარული ბრძოლები შეიძლება დაიწყოს. ამ შემთხვევაში სწორედ პრეზიდენტს მოუწევს, პარლამენტს პრემიერის ახალი კანდიდატურა შესთავაზოს. და ხომ შეიძლება ირაკლი ალასანია გახდეს მისი ფავორიტი? და მაშინ პროცესი ჩიხში შევა, – ამტკიცებენ დარწმუნებით.

ირაკლი ღარიბაშვილს მცირე პოლიტიკური გამოცდილება აქვს. გარკვეული შეცდომების მიუხედავად, მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბების შანსი უნდა მიეცეს. მოსწონს ეს ვინმეს დღეს თუ არა, ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) პოლიტიკური ფიგურაა, ვისაც წარმატების მიღწევის პერსპექტივა აქვს. თუმცა, ამისთვის მას ახალი და პროფესიული გუნდი სჭირდება.

პოლიტიკოსისთვის მნიშვნელოვანია, ითამაშოს ჭრელ ინტერესებზე, გაითვალისწინოს ყველას ამბიცია და მიაღწიოს კომპრომისს. პოლიტიკა კომფორტი არ არის...

ასე რომ, პრორუსულ ძალებს მისი წასვლა ორი მიზეზით შეიძლება სურდეთ: ის წარმოადგენს იმ ხელისუფლებას, რომელმაც ვერ შეძლო ნაცების განადგურება, და მეორე, მისი წასვლით იოლი იქნება ვადამდელ არჩევნებამდე მისვლა.

პრემიერის წინააღმდეგ ნაციონალებიც აქტიურობენ. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ღარიბაშვილს წარმატების მიღწევის პერსპექტივა გაუქრონ, რასაც გარკვეულად მიაღწიეს კიდევ ეგრეთწოდებული „კახური კლანის“ დაშლით; და მეორე, ირაკლი უნდა წავიდეს. ნაციონალები აქტიურად უჭერენ მხარს, მაგალითად, იგივე ჯანდაცვის მინისტრს სერგეენკოს. მიზეზი გასაგებია – ის და ნებისმიერი სხვა, ღარიბაშვილის გარდა, მაინც ტექნიკური დანიშვნა იქნება და არა პოლიტიკური. შესაბამისად, მის წინააღმდეგ ბრძოლაც – უფრო ადვილი.

P.S. ასე რომ, პრორუსები ახლა გათამამებულნი არიან და საკუთარ პირობებს დემონსტრაციული მანერითაც კი აფიქსირებენ, თუკი რომელიმე მათი პირობა შესრულდება, მაშინ ისინი თავს უკვე გავლენიან ფიგურებად წარმოიდგენენ და მართვის სადავეებისკენაც გაექცევათ თვალი.

„დღე ნუსტ

ქეთი ხატიაშვილი

ვადამდელი არჩევნები – ვინ არის დაინტერესებული ამით ყველაზე მეტად და რა შემთხვევაში შეიძლება პოლიტიკაში „საგანგებო მდგომარეობა“ გამოცხადდეს. რატომ გათამამდნენ დღეს პრორუსული ძალები საქართველოში და როგორია მათი პერსპექტივები. ამ და სხვა საინტერესო თემებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ესაუბრა:

– შენი აზრით, ჩამოყალიბდა თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ კონსტრუქციულ ოპოზიციად? შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი კონსტიტუციური ველიდან არ გადიან?

– ფორმალურად ნაციონალები საკონსტიტუციო ჩარჩოებს არ სცდებიან და იმ გზით მიდიან, რა გზითაც უნდა მიდიოდეს ოპოზიციური პარტია, ანუ ყველა მათი ნაბიჯი მიმართულია ხელისუფლებაში მოსვლისკენ... ამ მიზანს ისინი ხშირად ქვეყნის ინტერესებსაც კი სწირავდნენ. ასე იყო მაშინ, როცა ნაციონალები ხელისუფლებაში იყვნენ და ახლაც, როცა ოპოზიციაში არიან.

მიუხედავად თავისი მძიმე წარსულისა, მათ შეეძლოთ, მართლაც ჰქონოდათ მცირე, მაგრამ რეალური შანსი, ქცეულიყვნენ კონსტრუქციულ ოპოზიციად, რასაც დღევანდელი ხელისუფლების ნაკლებად რეზულტატურობა უწყობს ხელს.

უკვე დღეს, არჩევნებიდან 2 წელში, ამბობენ: ნაციონალების დროს შენდებოდა სახლები, იგებოდა გზები, იყო ნაკლები კრიმინალი, იყო პატრული, არ იყო მასობრივი კორუფცია. მეორე მხრივ, იმავე ნაციონალების დროს, იყო მასობრივი ტერორი. მაგრამ სწორედ ეს პოზიტივი – თუკი ისინი შეძლებდნენ, დაენახათ საკუთარი შეცდომები, გადაეხარშათ საკუთარი დამარცხება, დაევიწყებინათ საზოგადოების მიმართ წყენა, რომ ისინი ხელისუფლებიდან გაისტუმრეს – მათ გადარჩენის შანსს აძლევდათ... მათ უნდა დაენახათ, რისთვის უთხრა საზოგადოებამ მათ უარი. და ეს მოხდა არა იმიტომ, რომ სოციალური გარემო იყო ცუდი, არამედ იმიტომ, რომ თითოეულ ოჯახში შიში იყო ჩასახლებული. ჯერ კიდევ 2011 წელს ვთქვი, რომ ნაციონალები წაგებდნენ, იმიტომ, რომ მათ ვერ დაინახეს, რის გამო ეუბნებოდა საზოგადოება მათ უარს და საარჩევნო კამპანია ააგეს სწორედ იმაზე, რისი მიუღებლობაც იყო საზოგადოებაში – შიშზე.

არჩევნების მერეც, ისინი ვერ მიხვდნენ, რა ტიპის ტრანსფორმაცია სჭირდებოდათ. არადა, რადიკალური ცვლილებები იყო საჭირო – იმ ძალების ჩამოშორება, ვინც ტერორში იყო შემჩნეული, ანუ ძალა, რომელიც აშინებდა და ატერორებდა საზოგადოებას... თუ ამას მოახერხებდა, რეალური შანსი გაუჩნდებოდა – ამ არჩევნებზე თუ არა, შემდეგზე მაინც გამხდარიყო ფავორიტი პოლიტიკური ძალა.

თუმცა, თუკი მათ ცალკეულ გამოსვლებს დავაკვირდებით, ისინი მუქარის ტონს არ იშორებენ. სააკაშვილს არ ვგულისხმობ მხოლოდ, ბევრი ცნობადი სახე მყავს მხედველობაში. ამიტომაც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, საზოგადოება, რომელსაც ნაცების მიმართ შიში არ განელებია, ისევ ყველას აირჩევს, ნაცების გარდა.

– ყველაში დესტრუქციული და პრორუსული ძალებიც იგულისხმებიან?

– კი... ყველაფრიდან ჩანს, რომ, თუ ვადამდელი არჩევნები იქნება, ხელისუფლების მთავარი მესიჯები სწორედ ნაციონალების დაბრუნების შიშზე აიგება.

დააკვირდით, როგორი მესიჯები მოდის სოცქსელიდან: ნაციონალები უკრაინაში ამზადებენ დესანტს, აქედან წასული ქართველები მათ სწორედ საკუთარი მიზნებისთვის სჭირდებათ; ნაციონალები კიევში დიდ ფულს შოულობენ, რომელსაც ისევ აქ დასაბრუნებლად დახარჯავენ. საქართველოში რომ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს და აქ ფრონტის ხაზი მივიღოთ, ეს იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული... ეს ის მესიჯებია, რაც მკვიდრდება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს პროდასავლური ძალები ისეთი ია, როგორც არასდროს...“

ნათუნა ლაგაზიძე: „20 წელი გვქონდა იმისთვის, რომ დასავლეთი მირაჟიდან რეალობად ქცეულიყო... მაგრამ დღეს ნატოც და ევროკავშირიც ძალიან შორს არის“

„არც ერთ ახალ სახეს არ ეძლევა საშუალება, ჰყავდეს თავისი გუნდი და ჩამოყალიბდეს პოლიტიკური პერსპექტივის მქონე ლიდერად“

EXCLUSIVE

– ეს შავი პიარია, თუ ფიქრობ, რომ ნაციონალები რაღაცას რეალურად გეგმავენ?

– რთული სათქმელია. თუმცა, ფაქტია, საზოგადოებაში ამის დაჯერების მზაობა არის. ეს უკვე ნამდვილად ნაციონალების ბრალია... მათ ამ იმიჯის ჩამოსარეცხად არაფერი გააკეთეს.

– ვადამდელი არჩევნები ახსენე და რატომ შეიძლება ამის საჭიროება დადგეს?

– აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ერთი: ხელისუფლებამ უნდა იგრძნოს, რომ მისი რეიტინგი ისე ეცემა, რომ 2016 წლამდე ვეღარ მიაღწევს. იმავდროულად, ის უნდა გრძნობდეს პოლიტიკურ სპექტრში იმგვარი ძალის გამოჩენას, რომელიც გამოთავისუფლებულ ამომრჩეველთა ხმებს შემოიკრებს. ამგვარი პოლიტიკური ძალა ჯერჯერობით არ ჩანს.

ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ მათ, ვინც გარკვეული პროცენტით შევლენ პარლამენტში, ვგულისხმობ ისეთ ძალას, რომელიც ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბდება... თუკი ამგვარი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება და მმართველი პარტიის რეიტინგიც მკვეთრად დაიწევს, ვადამდელი არჩევნებიც შეიძლება გამოცხადდეს...

აქ სხვა პრობლემაა. ბევრი მოქმედი დეპუტატი ხვდება, რომ მომავალში პარლამენტში ვერ მოხვდება. სწორედ ისინი იქნებიან ბარიერი ამ გზაზე მთავარი ბარიერის როლში.

– ხომ არ ფიქრობ, რომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნილება მაინც უფრო პრორუსულ ძალებს აქვთ?

– კი, რა თქმა უნდა... დღეს პროდასავლური ძალები ისეთი სუსტია, როგორც არასდროს... ჩვენ შეიძლება მივიღოთ პარლამენტი, რომელსაც არ ექნება დასავლური საგარეო ორიენტაცია... ეს ძალები ამას უკვე არც მალავენ. ის, რასაც ისინი რამდენიმე წლის წინათ ვერ იტყოდნენ, ახლა ღიად აფიქსირებენ. მიიჩნევენ, რომ ახლა შეიძლება თამამად თქვა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება არის საქართველოს გადარჩენისა და ტერიტორიების დაბრუნების (თუმცა ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვიზიარებ) ერთადერთი გზა... მათი მოსაზრებით, ანტიდასავლური პოლიტიკის დეკლარირების საშუალებას მათ საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობები აძლევს...

– რამ განაპირობა ეს – ეკონომიკურმა ვითარებამ?

– მათ შორის, ეკონომიკურმაც... საქართველოს ყველა ხელისუფლების მთავარი დანაშაულია ის, რომ მათ საზოგადოებისთვის ელემენტარული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლეს. ვერ მოახერხეს ის, რომ საზოგადოება არ დამდგარიყო სახიფათო არჩევანის წინაშე: სოციალური კეთილდღეობა თუ საქართველოს დამოუკიდებლობა... მეორეც, ყველანაირ იმედს აქვს ლიმიტი... 20 წელი გვქონდა იმისთვის, რომ დასავლეთი მირაჟიდან რეალობად ქცეულიყო... მაგრამ დღეს ნატოცა და ევროკავშირიც ძალიან შორს არის.

დააკვირდით, ახლა იხსნება ნატოს სასწავლო ცენტრი... მოსახლეობას ეს უკვე უსაფრთხოების ფარად კი აღარ მიაჩნია, არამედ იმ საფრთხედ, რომელმაც შეიძლება მას რუსეთის რისხვა დაატეხოს თავს... რადიკალურად შეიცვალა აღქმა...

– დემოკრატიული სისტემა განა პრორუსი ძალების არსებობასაც არ გულისხმობს?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებას რომც უნდოდეს მათი აკრძალვა, მძიმე დილემის წინაშე დადგება. თუ ერთი პოლიტიკური პარტია ან ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აიკრძალა, მერე აღარავინ იქნება დაზღვეული აკრძალვებისგან, თანაც ნებისმიერი მოტივით...

აქ საჭიროა რუსული ბაზრის ალტერნატივა შეიქმნას...

– მინდა, ხელისუფლებასაც შევეხოთ. შენი აზრით, ვის აქვს ვერტიკალზე პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბების შანსი და პერსპექტივა?

– რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ ივანიშვილი, რომ მან ახალი სახეები მოიყვანა პოლიტიკაში, სჯობდა პოლიტიკური გამოცდილებით და კვალიფიკაციით ყოფილიყვნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ პოლიტიკაში ახალ სისხლს გზა გაეხსნა, იყო მისასალმებელი... თუმცა, ამის პარალელურად მათ არ მიეცათ იმ დოზის თავისუფლება, რომელიც მათ დამოუკიდებელ და პერსპექტიულ პოლიტიკოსებად შედგომის საშუალებას მისცემდა. შევარდნაძეს დღეს ბევრ ქოქოლას კი აყრიან, მაგრამ მან ყველას მისცა შანსი. ყველას, ვინც კი პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდა, საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება ჰქონდა.

„ხელისუფლებამ უნდა იგრძნოს, რომ მისი რეიტინგი ისე ეცემა, რომ 2016 წლამდე ვეღარ მიაღწევს“

დღეს განსხვავებული ვითარებაა. არც ერთ ახალ სახეს არ ეძლევა საშუალება, ჰყავდეს თავისი გუნდი და ჩამოყალიბდეს პოლიტიკური პერსპექტივის მქონე ლიდერად. შესაძლოა, ეს ივანიშვილის წარსული მწარე გამოცდილების ბრალიც იყოს. ხშირად გვესმის, რომ, როგორც მერაბიშვილი, ისე ადეიშვილი ადრე კონსულტაციებს სწორედ ივანიშვილთან გადიოდნენ. ივანიშვილს არაერთხელ უთქვამს მათი მისამართით, რომ ისინი წარმატებული მენეჯერები იყვნენ. ადამიანმა, რომელმაც მილიარდები ჩადო მაშინ და ეგონა, რომ ხელისუფლება, მინიმუმ, მოუსმენდა მაინც, მის წინააღმდეგ წავიდა... ეტყობა, ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სამზეოზე ახლად გამოყვანილ ფიგურებს დღეს ნაკლები თავისუფლება აქვთ.

არადა, ამ გუნდს მხოლოდ პასუხისმგებლობა კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ მართვის რეალური ბერკეტებიც. სხვა რა პერსპექტივა ჩანს? ერთსა და იმავე პოლიტიკურ წრეზე ვტრიალებთ ერთი და იგივე პოლიტიკური სახეებით... თუ ახალი პოლიტიკური ლიდერები არ იშვა, საკმაოდ რეალური შეიძლება გახდეს „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი, მით უფრო რომ ისინი დღემდე რჩებიან დასავლეთის რეალურ ფავორიტებად. არადა, საქართველოში მიმზიდველი ახალი სახეების არსებობის შემთხვევაში, დასავლეთს ფსონი შეიძლება სწორედ მათზე დაედო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვისი იდეა იყო პაატა ბურჭულაძის იუბილის სპორტის სასახლეში მოწყობა?

my View

თამარ გონგაძე

EXCLUSIVE

„არტპალასი“ მსოფლიოდან 15 საოპერო მომღერალს უყრის თავს



2015 წლის 12 თებერვალს, სპორტის სასახლეში, სახელოვნებო ინდუსტრია „არტპალასი“ დიდი ქართველი საოპერო მომღერლის - პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ, სიურპრიზებით აღსავსე, გრანდიოზულ კონცერტს გეგმავს.

კონცერტში მონაწილეობის მისაღებად „არტპალასის“ მოწვევით საქართველოს ესტუმრება 15-მდე ქართველი და უცხოელი მსოფლიო ვარსკვლავი. საგანგებოდ იუბილისადმი სპორტის სასახლეში შენდება უპრეცედენტო 600 მ2-იანი სცენა და ორიგინალური დეკორაცია ეკრანებით, სპეციფიკური განათებითა და გახმოვანებით.

კონცერტის კონცეფცია: ქართველი და უცხოელი პრიმადონები მსოფლიო ბანს 60 წლის იუბილეს ულოცავენ.

კონცერტის მაღალ ხარისხსა და მასშტაბურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში პირველად ჩამოვა ლეგენდარული ფრანგი მსახიობი ალენ დელონი, რომელიც ქართველ პიანისტ დავით ალადაშვილთან ერთად წარუძღვება საღამოს. დათუნა ფრანგი მსახიობის საუბარს გადაგვითარგმნის.

ამ ფოიერვერკულ კონცერტში მონაწილეობენ: ნინო მაჩაიძე, მაყვალა ქასრაშვილი, იანო თამარი (ალიბეგაშვილი)ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, ნინო სურგულაძე, მარიკა გულორდავა, თეონა დვალი, ნანა მირიანი (ქათარაშვილი) და უცხოელი პრიმადონები: მიშელ კრაიდერი, ოლგა ბოროდინა და ირინა მაკაროვა. ამ ადამიანების ერთად შეკრება ნებისმიერი რანგის თეატრს უჭირს. ისინი პაატას იუბილემ შეკრიბა.

სპეციალურად ამ დღისათვის ერთიანდება ორი სიმფონიური ორკესტრი, ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი და ე.მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. გაერთიანებულ ორკესტრს ორი მაესტრო უდირიჟორებს - ჯანლუკა მარჩანო და ნიკოლოზ რაჭველი.

გარდა მომღერლებისა, კონცერტში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინე - ლიანა ისაკაძე.

ეს კონცერტი რომ სპორტის სასახლეში ჩატარებულიყო, დავით საყვარელიძის დაჟინებული მოთხოვნა ყოფილა. ის ამ კონცერტის დამდგმელი რეჟისორია. „არტპალასთან“ მეორედ თანამშრომლობს. კაჭრეთის საშობაო კონცერტის რეჟისორიც ის გახლდათ.

საიუბილეო კონცერტზე რომ მხოლოდ ქალბატონებს ემღერათ ეს ღონისძიების მუსიკალური პროდიუსერის მარინა ბერიძის იდეა იყო. და მთავარი სტუმრის – ალენ დელონის ჩამოყვანის იდეაც მას ეკუთვნის.

მარინა ბერიძე: „პირდაპირ ალენ დელონი არ დამისახელებია. ბრედ პიტი, რიჩარდ გირი... თამამად ვიძახდი ამ სახელებს, ეს ჩემი მანერაა. ერთდროულად რამდენიმე ადამიანთან მიდიოდა მოლარაკება. ასაკობრივად ყველაზე მეტად ვინც „მაწყობდა“, ის დაგვთანხმდა ჩამოსვლაზე“

მარინა ბერიძე: როცა კონცერტის მასშტაბურობაზე წავიდა საუბარი, მომინდა, რომ მას ისეთი წამყვანი ჰყოლოდა, რომელსაც სულ არ ვხედავთ. მეტიც – ძალიან ცნობილი უნდა ყოფილიყო. ისეთივე ცნობილი, როგორიც პაატაა. რამდენიმე გვარი დავასახელე, პირდაპირ ალენ დელონი არ დამისახელებია. ბრედ პიტი, რიჩარდ გირი... თამამად ვიძახდი ამ სახელებს, ეს ჩემი მანერაა. ერთდროულად რამდენიმე ადამიანთან მიდიოდა მოლარაკება. ასაკობრივად ყველაზე მეტად ვინც „მაწყობდა“, ის დაგვთანხმდა ჩამოსვლაზე.

დათო საყვარელიძე: სწორი მიდგომით სპორტის სასახლე შეიძლება კლასიკური კონცერტებისთვის მიმზიდველ შენობად იქცეს. იკა ავალიანთან ერთად ამ კონცერტის შემდეგ ამაში მსმენელს დავარწმუნებ. საოცარი სცენა დაგხვდებათ. ირაკლი ნიუ-იორკიდან დროებით დაბრუნდა. პროექტებს გააკეთებს და დატოვებს თბილისს. ამ გრანდიოზულობის შესაძლებლობა ჩემი ძალებით არ მქონია. გამოჩნდა „არტპალასი“, რომელმაც თავის გამოჩენის საშუალება მოგვცა. როდესაც კლასიკურ კონცერტს აკეთებს „არტპალასი“ ჩემთან მოდიან ხოლმე. მე ეს მიხარია. ბატონ პაატას დიდი სიყვარულს საქმით ვუმტკიცებ.

– რითი იქნება ეს კონცერტი განსხვავებული?

– ატმოსფერო, რომელიც იქ იქნება, ძალიან მიმზიდველია. სპორტის სასახლეში ბევრი კონცერტი ჩატარებულა, მაგრამ ასეთი ატმოსფერო და სცენა იქ არავის უნახავს. გარდა ამისა, პაატას შემოქმედებიდან ეპიზოდებს ალენ დელონი მოყვება. ბევრმა არ იცის მისი საერთაშორისო კარიერული მიღწევები. სერიოზული საოპერო პროგრამა გვაქვს. პომპეზურობას და საზეიმო განწყობას შევინარჩუნებთ.

პროექტის გენერალური სპონსორია სამშენებლო კომპანია „ჯიდი-ჯი“.

ბეჟან წაქაძე (სამშენებლო კომპანია „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპის“ დამფუძნებელი): ჩვენ დიდი სიყვარულით დავთანხმდით ამ კონცერტის სპონსორობას. გვინდა ეს საღამო მაღალ დონეზე ჩატარდეს. ახალგაზრდებისთვის დიდი მოტივი იქნება, რომ სამომავლოდ ასევე წარმატებით იღვაწონ.

„პაატას მსგავსი მომღერალი ცოტა გვყავს. ის ამას იმსახურებს“

მარინა ბერიძე: მე მომწონს, რომ ორი ორკესტრი ერთიანდება და ერთი დიდი ორკესტრი ხდება. მე მომწონს, რომ ჯანლუკა მარჩანო და ნიკა რაჭველი თავიანთი სიუპრიზებით გაგვაოცებენ. მე მომწონს წამყვანის რანგში ალენ დელონი და დათუნა ალადაშვილი რომ გვყავს. ძალიან ბევრი სიურპრიზი გველის. ბევრი საოპერო მძივია ამ კონცერტზე. მათ ასე ეძახიან. მთავარია, რომ კარგი გამოვიდეს, რაშიც ეჭვი არ მეპარება. ეს იქნება ზეიმი. პაატას მსგავსი მომღერალი ცოტა გვაყვს. ის ამას იმსახურებს.

დავით საყვარელიძე: „სპორტის სასახლეში ბევრი კონცერტი ჩატარებულა, მაგრამ ასეთი ატმოსფერო და სცენა იქ არავის უნახავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისში „კაი ბიჭების“ კონკურსი ჩატარდება

my View
ნინო მჭედლიშვილი

13 თებერვალს საღამოს 9 საათზე „ქორთიარდ მერიოტი“ მასპინძლობს კონკურსს, „მისტერ ვალენტინი 2015“. პირველი ქალთინგიდან შერჩეული 20 ახალგაზრდა ბიჭი სხეულის დემონსტრირებას მოახდენს პოდიუმზე და „მისტერ ვალენტინის“ ტიტულისთვის იბრძოლებს.

კონკურსის დეტალები პროექტის ორგანიზატორს, სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელსის“ ხელმძღვანელს, კახი ხაბეიშვილს გამოვკითხეთ.

- მეექვსე წელია „მისტერ ვალენტინი“ ტარდება საქართველოში. იდეის ავტორი გია ჯაჯანიძე გახლავთ. წინა წლებში კონკურსს ატარებდა ქეთა ნაჭყებია. სამწუხაროდ, ქეთა გარდაიცვალა და 2013 წლიდან დღემდე, უკვე მესამედ „ბესტ მოდელსი“ ატარებს კონკურსს.

- კახი, შენი ორგანიზატორობით ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულები, ბერდია თოფურია და თორნიკე ტყემალაძე საზოგადოებამ უკვე გაიცნო...

- ბერდია მინერალური წყლის სახე გახდა, ასევე აზერბაიჯანული „პეპსის“ სახე. თორნიკე ტყემალაზე, რომელიც მანამდე „იმიჯ ცენტრის“ მოდელი იყო და გამარჯვების შემდგომ, ჩემს სააგენტოსთან გააფორმა კონტრაქტი, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიწვიეს. ექსკლუზიურად გეტყვით იმასაც, რომ „მისტერ ვალენტინი 2014“, თორნიკე ტყემალაძე, თამუნა მუსერიძესთან ერთად წაიყვანს „მისტერ ვალენტინი 2015“-ის ფინალს.

- ამ ყველაფრის გათვალისწინებით წელს, ალბათ, კონკურსში მონაწილეობის მეტი მსურველი გამოჩნდა.

- რა თქმა უნდა. თუმცა აქტივობის მიზეზი მხოლოდ პოპულარობის სურვილი არ არის. მსურველთა რიცხვი გაიზარდა იმიტომ, რომ ადამიანებმა კარგად გაიაზრეს რა კონკურსში მონაწილეობენ. ეს არ არის მოდელების კონკურსი. ეს არის, კარგი ბიჭების, მოვლილი ბიჭების კონკურსი. შესაბამისად, კომპლექსებიც აღარ აქვთ. შესარჩევი ტურები ცხრა იანვრიდან დავიწყეთ. პირველი შესარჩევი ტური შედგა 26 იანვარს. ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ გია ჯაჯანიძე. ქასთინგს ესწრებოდნენ: მაკა შალიკაშვილი, ზალიკო ბერგერი, მოდელი, თამთა პოპიაშვილი. 50 მსურველიდან გადავარჩიეთ 20 საუკეთესო.

„კონკურსანტებმა დაიწყეს უკვე მასტერკლასები დეფილეში, ცურავენ, არჩევენ ვარცხნილობებს, ირუჯებიან, აქვთ ფოტოსესიები“

- რამდენ ლუქში წარსდგებიან კონკურსანტები მაყურებლის წინაშე?

- სამი ლუქი იქნება წარმოდგენილი: კლასიკური სამოსი, სპორტული სტილი და საცურაო კოსტიუმი.

- ვინ იქნებიან ფინალზე ჟიურის წევრები?

- საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჟიური მყავს წელს, მათ შორის არიან: მაია ასათიანი, თაკო ჩხეიძე, ნინო იოსელიანი, თეა აგლაძე, მაკა შალიკაშვილი, ზალიკო ბერგერი, ნინო ნადირაძე, გია ჯაჯანიძე, „არენას“ გენერალური დირექტორი სოფო ხაჭაპურიძე, რომელიც გამარჯვებულზე დააწესებს ექვსთვიან ულიმიტო პაკეტს, გამოავლენს მისტერ ფიტნესს და დააჯილდოებს სამთვიანი მომსახურების პაკეტით. კონკურსანტებმა დაიწყეს უკვე მასტერკლასები დეფილეში, ცურავენ, არჩევენ ვარცხნილობებს, ირუჯებიან, აქვთ ფოტოსესიები. იგეგმება ბევრი სატელევიზიო ეთერი.

„ეს არ არის მოდელების კონკურსი. ეს არის, კარგი ბიჭების, მოვლილი ბიჭების კონკურსი. შესაბამისად, კომპლექსებიც აღარ აქვთ“

ამ კვირაში იური ვაზაგაშვილის საქმეზე ექსპერტიზის პასუხები დაიდება

ირაკლი შოთაძე

ამის შესახებ „პრაიმტაიმმა“ შეიტყო კომპეტენტური წყაროსგან. ინფორმაციის მიხედვით, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გაგზავნილია შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი, გამოძიებისთვის საინტერესო მასალები. მათ შორის ასაფეთქებელი მოწყობილობისგან დარჩენილი ნაწილაკები. მასზე ჩატარებულმა კვლევამ, სავარაუდოდ, უნდა გასცეს პასუხი არაერთ კითხვაზე, მათ შორის იმაზე, რა ტიპის მოწყობილობა იქნა გამოყენებული და როგორ მოხდა მისი აფეთქება.

ვარაუდობენ, რომ ამ დასკვნის შემდეგ გამოძიებას უფრო მეტად გაუადვილდება მუშაობა, ვინაიდან დღეს არსებული სამუშაო ვერსიებიდან, მთელი რიგი ვერსიებისა გამოირიცხება და პროკურატურას დარჩენილი ნაწილის გარშემო მოუწევს მუშაობის გაგრძელება.

ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გაგზავნილია შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი, გამოძიებისთვის საინტერესო მასალები

შესაბამისად, თუ გენერალური პროკურორის მოადგილე, ირაკლი შოთაძე 30 იანვარს გაკეთებული განცხადებით, აიმედებდა საზოგადოებას – დღეს გაცილებით მეტია ცნობილი, ვიდრე 11 დღის წინო, ექსპერტიზის დასკვნების შემდეგ გამოძიების ინფორმირებულობა აშკარად გაცილებით მეტად გაიზრდება.

რამდენად მოხდება მედიაში აღნიშნული დასკვნების შინაარსის გამჟღავნება, რთული სათქმელია, ვინაიდან, სავარაუდოდ, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით ეს საკითხი დახურული იქნება, თუმცა „პრაიმტაიმი“ შეეცდება, თავისი მკითხველის მაქსიმალურად ინფორმირებას, რაღა თქმა უნდა, გამოძიების ინტერესების დაუზიანებლად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გემრიელი კერძების რეცეპტები თაკო ჩარკვიანისგან ზარმაც დიასახლისებს

EXCLUSIVE

„ყოფილა პერიოდი, როცა მკაცრად ვაკონტროლებდი წონას, ზოგჯერ არაფერს არ ვჭამდი“

„ხაჭაპურს ტორტს არ დავაყოლებ, გამორიცხულია. ამის ნებისყოფა მაქვს“

my View
ნინო მჭედლიშვილი

დიდი კულინარობით ვერ დავიკვეხნიო, თავიდანვე გაგვაფრთხილა თაკო ჩარკვიანმა, თუმცა იმდენი გემრიელი და იოლად მოსამზადებელი, კერძის, სალათის, დესერტის რეცეპტი გაგვანდო, არ ვიცი კიდევ რა უნდა გააკეთოს დიასახლისმა, კარგი კულინარის სტატუსი რომ დაიმსახუროს.

- კულინარიული გამოცდილება დედისგან მივიღე. მახსოვს, პატარა ვიყავი, დედა ხაჭონარევ ცომს აბრტყელებდა, მერე ოთხკუთხედებად ჭრიდა და წყალში ხარშავდა. ეს პროცესი ძალიან მომწონდა. დედა ხვდებოდა, ვერ მომიშორებდა, პატარა დაფას მაძლევდა და ცომს მიწილადებდა. ვხარშავდით მე და დედა ამ ხაჭონარევ ცომებს და მერე კარაქით ან არაჟნით გეახლებოდით ხოლმე. ისე კარგად ვერთობოდი ამ პროცესით, დიასახლისი მეგონა თავი. ერთხელ მითხრა, დამოუკიდებლად გააკეთეო. გავაკეთე და, სხვათა შორის, წარმატებითაც. რომ გითხრათ, დიდი კულინარი ვარ-მეთქი, მოგატყუებთ. თუმცა, მაღიზიანებენ ქალები, რომლებიც ტრაბახობენ იმით, რომ არაფრის კეთება არ იციან. უნიჭოები მგონია ასეთი ქალები. გონიერი ქალი, ოჯახს არ მოაშიებს.

- კერძი გამოგიგონია?

- როგორ არა. თან ძალიან მარტივი კერძი. ყველას გვიყვარს მაკარონი. მოხარშავთ ნებისმიერი ფორმის მაკარონს, გადაწურავთ წყალს, გადაავლებთ ცივ წყალს და მოათავსებთ ქვაბში. შემოდგამთ ნელ ცეცხლზე, დაუმატებთ ერთ მაიონეზს, რომელშიც გაქნილია 3-4 კბილი გაჭყლეტილი ნიორი. წამოდუღდება თუ არა, გამორთავთ. საოცარი გემო აქვს. მაწვნითაც შეიძლება იგივეს გაკეთება მათთვის, ვინც კალორიებს ითვლის. მსგავსი კერძი ვნახე ამასწინათ ინტერნეტში, „პეტუჩინო“ ერქვა.

- გიგანებმა სვანური კერძები არ გასწავლეს?

- კუბდარი რთული მოსამზადებელია, თან დიდად არ ვწყალობ ამ კერძს. ჭვიშტარი მირჩევნია. დედამთილს ვთხოვე და მასწავლა მომზადება. ძალიან მარტივია და საოცარ რამეს გეტყვი, არაფერი ისე არ უხდება ყავას, როგორც ჭვიშტარი.

- როგორ მოვამზადოთ სვანური ჭვიშტარი?

- გემრიელი ჭვიშტარის მთავარი საიდუმლო ყველშია. ყველი უნდა იყოს ჭადის ფქვილზე მეტი, იმდენი, რომ გადატეხავ ჭვიშტარს, უნდა იწელებოდეს, ჭადივით არ უნდა იფხვნებოდეს. ზოგადად ყველაფერს თვალის ზომით ვაკეთებ და ამიტომ დოზების თქმა მიჭირს. თასში ჩავყრით ოთხ მუჭა ჭადის ფქვილს და ნახევარ კილოგრამ გახეხილ ყველს. ყველი არც მარილიანი უნდა იყოს და არც უმარილო. დავუმატებთ ერთ კვერცხის გულს, ძალიან ცოტა სოდას, წყალს, რამდენსაც შეიზელს, მოვზელთ და ცხელ, ცხიმიან ტაფაზე შევბრაწავთ ორივე მხრიდან. უმჯობესია თავდახურულ ტაფაში შევწვათ, შიგნითაც რომ გამოცხვეს. ჩემს ქმარს მოსწონს ჩემი გაკეთებული ჭვიშტარი. დედამთილს ჯერ არ გაუსინჯავს, მაგრამ, რომც არ მოეწონოს, იტყვის, რომ კარგია.

- შენი საფირმო კერძი რომელია?

- ბივსტროგანოვი. მოხარშავთ ერთ კილოგრამ საქონლის ხორცს და წვრილად დაჭრით. ცალკე ზეთში მოთუშავთ წვრილად დაჭრილ ხახვს, დაუმატებთ ტომატს, მოხარშულ ხორცს და სუნელებიან (უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, შავი პილპილი) არაჟანს. წამოდუღდება თუ არა, მზად არის. მარილი გემოვნებით. თეფშზე გვერდით მოუწყობთ შემწვარ კარტოფილს ან ფრის. ფანტასტიკური კერძია, თითებს ჩაატანთ.

- წონის პრობლემა გქონია?

- არა, თუმცა, არის ფორმები, რომელიც ასაკს მოაქვს. პატარა არ ვარ, ამიტომ ყოფილა პერიოდი, როცა მკაცრად ვაკონტროლებდი წონას, ზოგჯერ არაფერს არ ვჭამდი. მერე მივხვდი, რომ კარგ ხასიათზე რომ იყო, უნდა ჭამო ყველაფერი, ოღონდ ზომიერად და უნდა იცოდე რას რამდენი კალორია აქვს, რა არის მავნებელი შენი ჯანმრთელობისთვის. მაგალითად, მაიონეზი საერთოდ ამოვიღე მენიურად, არაჟნით ჩავანაცვლე. მიყვარს სალათები, ხილი. მგონია, რომ სწორად ვიკვებები. თუ მოხდა ისე, რომ არაფერია საჩემო სახლში, არაკალორიული, უბრალოდ თავს ვიკავებ, არ ვჭამ. თუ ძალიან მომინდა ხაჭაპური არც ამ სიამოვნებაზე ვამბობ უარს, მაგრამ ხაჭაპურს ტორტს არ დავაყოლებ, გამორიცხულია. ამის ნებისყოფა მაქვს. სუფრასთან თუ ვჯდები, შედარებით მსუბუქი კერძებით დავიწყებ. მიირთვით სუფრასთან ნადუღი, თევზი და მსუყე კერძებისთვის აღარ დაგრჩებათ ადგილი. ფორმის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა ვარჯიში. კვირაში სამი დღე 15 წუთით ვახერხებ ვარჯიშს.

- ეგზოტიკური კერძები დაგიგემოვნებია?

- გველთევზა გეახელით, ერთხელ, ჟენია ევტუშენკოსთან, ბელა ახმადულინას დაბადების დღეზე, ძალიან პატარა ვიყავი მაშინ. ჩვეულებრივი თევზის გემო ჰქონდა, არაფერი განსაკუთრებული. ეგზოტიკურ კერძებთან დაკავშირებით ერთი კურიოზი მახსენდება ახლა, ბატონი, საშა ჩიკვაიძე ჰოლანდიაში ელჩი გახლდათ. დელეგაცია ვიყავით ჩასული ჰოლანდიაში, დიდი პატივით გვიმასპინძლა ბატონმა საშამ, მთელი დღე ვანგოგის მუზეუმში ვიყავით. გვშია, გული მიგვდის. შეგვიყვანეს რესტორანში. ჩავხედე მენიუს და არაფერი მეცნო. ამიტომ ბრინჯი და ქათმის ხორცი შევუკვეთე. გოგოებმა რაღაც გრძელი დასახელების ეგზოტიკური კერძები მოატანინეს. ჯერ ერთი საათი ელოდნენ შეკვეთას, რომ მოაგორეს მაგიდა, ცეცხლები ენთო კერძებზე, ფოიერვერკებით, პომპეზურად მოიტანეს ყველაფერი. ცოტა გულიც კი დამწყდა, ეს რა დამემართა-მეთქი. ჩაქრა ცეცხლები და თეფშებზე დარჩა მედალიონის ხელა რაღაც. გვერდით ედგა მისაყოლებელი სასმელი, რომელიც ხორხში ტოვებს რაღაც გემოს, ამაშია მთელი მუღამი ამ მედლისხელა კერძისა. ამ დამშეულ ოთხ ქალს ეს გემო სულ არ ადარდებდა. ცალ-ცალკე მეხვეწებოდნენ, ბრინჯი გაგვიყავი ან კარტოფილი შეუკვეთეო. მერე დიდხანს ვიხსენებდით ამ ამბავს ღიმილით.

- ყველაზე ხშირად რომელ კერძს აკეთებ სახლში?

- „ბლინჩიკებს“ დილით საუზმისთვის. ამისთვის დაგჭირდებათ ორი კვერცხი, ერთმანეთში არეული ერთი ქილა მაწონი და არაჟანი, შაქარი გემოვნებით, ცოტა სოდა, ვანილი და პურის ფქვილი, იმდენი, რომ მასა გამოვიდეს სქელი არაჟნის კონსისტენციის. ამ ყველაფერს ერთმანეთში კარგად აურევთ და ცხელ, ზეთიან ტაფაზე დაასხამთ კოვზით. ორივე მხრიდან დაბრაწავთ და ბოლოს, თეფშზე მოაყრით შაქრის ფხვნილს.

- კიდევ რომელი კერძის რეცეპტს გაგვიმხელ?

- მოხარშული კვერცხი არაჟნით. მოხარშავთ ოთხ კვერცხს და გაჭრით შუაზე. ცალკე, არაჟანში აურევთ ხმელ ქინძს, უცხო სუნელს და შავ პილპილს და მოასხამთ შუა-შუა დაჭრილ მოხარშულ კვერცხს. ზარმაცი დიასახლისების კერძია და თან ძალიან გემრიელი, ჭადი უხდება ძალიან.

- „ჩეპე“ გქონია სამზარეულოში?

- როგორ არა. დამხმარე ქალი მყავს, რომელიც მთავარ კერძს მიკეთებს, დილის 9 საათზეც შემიძლია დავიბარო ეს ქალბატონი, მაგრამ ერთი დილა გვაქვს ოჯახს, რომელსაც ერთად ვატარებთ და მაქსიმალურად ვცდილობ გამოვიყენო. მიყვარს რაღაცას რომ ვხლაფორთობ, მიუხედავად იმისა, რომ არაფრით არ ვარ განსაკუთრებული კულინარი. ჩემები მაშაყირებენ კიდეც, სამზარეულოდან სუნი გამოდის, რა დაგეწვაო. თვითონ მსიამოვნებს, როცა მათ ვემსახურები, რაიმე გემრიელობას ვამზადებ.

- ალკოჰოლთან როგორ ხარ?

- არ მიყვარს. ვხუმრობ ხოლმე, ჩემი ოჯახის კაცებმა იმდენი დალიეს, ჩემი წილი ალკოჰოლიც მიღებული აქვთ-მეთქი.

- რაიმე დესერტის რეცეპტსაც ხომ არ შემოგვთავაზებ?

- დესერტში ცოტას მოვიკოჭლებ, მაგრამ ერთ საინტერესო რეცეპტს გაგიმხელთ. აიღებთ ნახევარ კილოგრამ შავი ქლიავის ჩირს, კარგად გარეცხავთ და დაასხამთ მდუღარე წყალს. არ უნდა ჩაფლავდეს ჩირი, მაგარი უნდა დარჩეს. გადაწურავთ წყალს და მოასხამთ არაჟანში გარეულ შაქარსა და დაჭრილ, მოუხალავ ნიგოზს. ზემოდან მოაყრით მოხალულ ნიგოზს და დესერტი მზად არის.

„ჩემი ოჯახის კაცებმა იმდენი დალიეს, ჩემი წილი ალკოჰოლიც მიღებული აქვთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

10 დღეში ბადაშვილს გაუშვებენ?!

მირიან ბოქოლიშვილი

რა ღირს სამართლიანობის აღდგენა? ბიძინა ივანიშვილის დაანგარიშებით ამ საქმეს დაახლოებით 1 მილიარდი ლარი დასჭირდება. ექსპრემიერმა ვრცელ სატელევიზიო ინტერვიუში დააანონსა, რომ ეს პროცესი თებერვლიდან დაიწყება, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სამართლიანობის აღდგენა არჩევნების პერიოდს დაემთხვევა, რითაც ხელისუფლება პოლიტიკური ქულების დაგროვებას შეეცდება. ამაზე ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი ერთად ვნახოთ, რას ამბობს ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის აღდგენის შესახებ. როგორც ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, სამართლიანობის აღდგენა ძალიან გაჭიანურდა, თუმცა თებერვლიდან ქონებრივი კუთხით ეს პროცესი დაიწყება.

„სამართლიანობის აღდგენა ძალიან გაჭიანურდა. ეს ვალდებულება გვქონდა, როდესაც მოვედით. ხშირად ვაძლევდით დაპირებას ჩემი პრემიერობის დროსაც, რომ ვემზადებით ამისთვის და იქნება. ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ თებერვლიდან ეს პროცესი დაიწყება. როგორც მან თქვა, არის ამის მზაობა. ამას სჭირდება შესატყვისი თანხები. როგორც ვიცი, მინიმუმ მილიარდზეა საუბარი, რაც ჩვენთვის არცთუ ისე ცოტა თანხაა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, გაჭიანურება არ მომხდარა ვიღაცის სუბიექტური ინტერესების გამო ან იმის გამო, რომ ვინმეს არ უნდოდა.

შეძლებს თუ არა ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკა სამართლიანობის აღდგენისთვის 1 მილიარდის გაღებას, ეს სხვა საკითხია, თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, წართმეული ქონების ნაწილის დაბრუნება ქვეყნის ბიუჯეტიდან არანაირი სახსრების გამოყოფას არ საჭიროებს.

„შინაგან საქმეთა მინისტრის ჩანაცვლებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სახელისუფლებო ვერტიკალზე წინაურდებიან ის კადრები, ვისაც ივანიშვილთან აქვთ გავლილი გარკვეული სამსახური“

ვალერი გელბახიანი, იურისტი:

– ივანიშვილს მხედველობაში ჰქონდა ის, რაც ღარიბაშვილმა უკვე დააანონსა. პროკურატურაში იქმნება სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც იმ საქმეების შესწავლას დაიწყებს, რაც 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ჩადენილი ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებას. საუბარია ქონების უკანონო წართმევაზე. ბუნებრივია, ასეთი ორგანო შეიქმნება, მაგრამ მან იქვე აღნიშნა, რომ მილიარდი ლარი სჭირდება იმ ადამიანებზე კომპენსაციის გაცემას, რომლებიც ასეთი გზით დაზარალდნენო. როგორც ჩანს, აქ მხედველობაშია ის, რომ ეს ქონება გადაყიდულია, მაგრამ არაფერი არ თქმულა იმის თაობაზე, რომ წართმეული ქონების ნახევარზე მეტი არსად არ არის გაყიდული, აღრიცხულია და დევს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. ამიტომ ამ ასპექტში, როდესაც სახელმწიფოს საკუთრებაშია გადატანილი ეს ქონება, ამას არანაირი კომპენსაცია არ სჭირდება. სახელმწიფოს შეუძლია, გამოსცეს აქტი და ეს ქონება მესაკუთრეს დაუბრუნოს. მეორე ნაწილში კი, ალბათ, გაიცემა კომპენსაციები. რამდენად სწრაფად მოხდება ეს პროცესი, სხვა საკითხია. ვფიქრობ, ამ პროექტის განხორციელება უფრო არჩევნების წინ დაიწყება, რასაც გარკვეულწილად პოლიტიკური დატვირთვა ექნება.

– რაც შეეხება მთავარი პროკურორის ყოფნა-არყოფნის საკითხს? ითქვა, რომ შესაძლოა, მალე პოსტი გიორგი ბადაშვილსაც დაატოვებინონ...

– თუ იური ვაზაგაშვილის საქმე არ გაიხსნა, გარწმუნებთ, იმაზე მალე დადგება პროკურატურის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ. ეს ვარაუდი მოიცავს დაახლოებით ერთ თვეს, თუმცა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა განაცხადეს, 10 დღე არის ვადა, რა ვადებშიც უნდა მოხდეს იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ცხელ კვალზე გახსნა.

– ვის მოიაზრებთ ბადაშვილის შემცვლელად?

– შინაგან საქმეთა მინისტრის ჩანაცვლებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სახელისუფლებო ვერტიკალზე წინაურდებიან ის კადრები, ვისაც ივანიშვილთან აქვთ გავლილი გარკვეული სამსახური. ანუ მის მიერ ნდობის ფაქტორი იქნება განმსაზღვრელი. მაღალჩინოსნების იმ კატეგორიის მიმართ, რომლებიც ადრე ძალოვნებში მუშაობდნენ, ივანიშვილის ნდობა დაბალია, რადგან მაინც ნაციონალების პერიოდში გაიზარდნენ ჩინოსნებად. მგონია, რომ პროკურატურაშიც ანალოგიური მიდგომა იქნება.

მთავარი პროკურორის შეცვლა ლოგიკურად ეჩვენება ექსპერტ სოსო ცისკარიშვილსაც. „პრაიმტაიმნიუსთან“ ცისკარიშვილი ე.წ. „კაბელების საქმეს“ იხსენებს და ამბობს, რომ ეს საქმე იქნება ერთ-ერთი საფუძველი, რის გამოც ბადაშვილს პოსტის დატოვება მოუწევს.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– მთავარი პროკურორის შეცვლა უფრო ლოგიკური და სამართლიანი იქნება, ვიდრე მისი დატოვება ამ თანამდებობაზე. თუნდაც იმიტომ, რომ ვერც ის და ვერც მისი წინამორბედი ვერ ერკვეოდა, რომელი პროკურორი მუშაობს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და რომელი გრძნობდა თავს წარჩინებულ პირად ზურიკელა ადეიშვილის სახელობის პროკურატურაში. სამწუხაროდ, ასეთი ტიპის აფეთქება გახდა საჭირო, რომ მათ ცოტა დაეძაბათ გონება. არცთუ შორია ის დრო, როდესაც პროკურატურის წარჩინებულები იძულებულნი იქნებიან გააჟღერონ ის მიზეზი, რატომ არის დღემდე დაპატიმრებული თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ჯგუფი, რომელთა მიმართაც ამ დრომდე ვერანაირი არგუმენტირებული ბრალდება ვერ მოვისმინეთ.

ვალერი გელბახიანი: „გარწმუნებთ, რომ იმაზე მალე დადგება პროკურატურის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ“





სოსო ცისკარიშვილი: „მთავარი პროკურორის შეცვლა უფრო ლოგიკური და სამართლიანი იქნება, ვიდრე მისი დატოვება ამ თანამდებობაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გოგა მესხმა პირდაპირ ეთერში ცოლობა სკოლის მოსწავლეს სთხოვა

my View
ნინო მჭედლიშვილი

მომღერალმა, გოგა მესხმა გადაცემაში „ერთი-ერთში“ თავის რჩეულს ხელი სთხოვა. პირდაპირ ეთერში ასეთი ჟესტი სიურპრიზი აღმოჩნდა მარიამისთვის. ცალ მუხლზე დაჩოქილმა მომღერალმა ბეჭედი გაუწოდა თავის რჩეულს. მარიამი სცენაზე ავიდა და შეყვარებულს გადაეხვია.

- გოგა, გაგვაცანი შენი რჩეული...

- მარიამ ივარდავა, ორი წლის წინ, პროექტში „ახალი ხმა“ გავიცანი. მწვრთნელები არ შემოუტრიალდნენ და მეორე ტურში ვეღარ გადავიდა. თავიდანვე ძალიან მომეწონა, მაგრამ კამათში გავიცანით ერთმანეთი.

- რა თემაზე იკამათეთ?

- ამბიციური ვეგონე, ზედმეტად თავდაჯერებული, ავარდნილი. მერე, უფრო ახლოს რომ გავიცანით ერთმანეთი, მიხვდა, რომ შეცდა. გაცნობიდან ექვს თვეში გამოვუტყდი გრძნობებში და უარი მივიღე. მაშინ 16 წლის იყო მარიამი. ვერც წარმოვიდგენდი, ისე გამოიყურებოდა. ათი წლით უფროსი ვარ მასზე. ეს რომ გავიგე, უხერხულად ვიგრძენი თავი. გავწყვიტე ურთიერთობა. მივხვდი, რომ შემეშალა. ასაკი იყო მხოლოდ გადამწყვეტი, უარი რომ მითხრა სიყვარულზე, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. ერთი წლის მერე თვითონ შემეხმიანა, საზღვარგარეთ ვიყავი, „ფეისბუქით“ მომიკითხა. ჩამოვედი თუ არა, აღვადგინე კონტაქტი.

„ათი წლით უფროსი ვარ მასზე. ეს რომ გავიგე, უხერხულად ვიგრძენი თავი. გავწყვიტე ურთიერთობა. მივხვდი, რომ შემეშალა“

- რადგან თვითონ მოგიკითხა, მთლად გულგრილი არ უნდა ყოფილიყო შენ მიმართ.

- თავიდან გამირბოდა, არ ვიცი რას ფიქრობენ ამ დროს ქალები.

„თავიდან გამირბოდა, არ ვიცი, რას ფიქრობენ ამ დროს ქალები“

- გადაცემაში „ერთი ერთში“ ხელი სთხოვე შენ რჩეულს. ამის შესახებ წინასწარ ვინმემ იცოდა?

- მისმა რამდენიმე მეგობარმა იცოდა, თვითონ - არა. ამიტომაც ცუდად გამხდარა მერე. გონება არ დაუკარგავს, მაგრამ შეუძლოდ ყოფილა.

- თვითონაც ნერვიულობდი...

- არ მქონდა სანერვიულო?

- მარიამის მშობლები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს, ეთერიდან ხომ არ გაიგეს ყველაფერი?

- არა, მარიამის მშობლებმა იცოდნენ, გავაფრთხილე, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით-მეთქი, ვკითხე.

- თქვენი ასაკობრივი სხვაობა ხომ არ აწუხებს მარიამის ოჯახს?

- არა, არა, მის მშობლებთან ყველაფერი რიგზეა.

- როგორც გადაცემიდან ჩანდა, მარიამი დაგთანხმდა ცოლობაზე.

- ჯერ ერთად არ ვცხოვრობთ. გარკვეული საკითხები გვაქვს მოსაგვარებელი მეც, მარიამსაც. მარიამმა უმაღლესი განათლება უნდა მიიღოს.

- სკოლა დაამთავრა?

- წელს ამთავრებს. სკოლის მოსწავლეა.

- სკოლის მოსწავლეს სთხოვე ცოლობა?

- აუ, რა სკოლის მოსწავლე, შეხედეთ, ვერც წარმოიდგენთ (იცინის).

- მოკლედ, დანიშნულები ხართ. ქორწილს ხომ არ გეგმავთ?

- არა, ქორწილი, ალბათ, არ გვექნება. ყანწი, ამდენი მთვრალი ადამიანი ერთად, ქართული ცეკვა და საცივში ჩაყოფილი თავი, არ შემიძლია. საქორწინო მოგზაურობას ვამჯობინებთ ორივე. ერთი თვის განმავლობაში მოვივლით ევროპას.

- ბედნიერებას გისურვებთ.

- მადლობა.

თიბისი ბანკმა 2014 წლის შედეგები შეაჯამა

გასულ კვირას, თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ 2014 წლის შედეგები შეაჯამა და მთელი წლის განმავლობაში ბანკის ძირითადი მიღწევები დეტალურად განიხილა.

ფიზიკური პირების დეპოზიტებისა და სესხების მიხედვით თიბისი ბანკმა საცალო ბაზარზე პირველი ადგილი დაიკავა. ლონდონის საფონდო ბირჟაზე ქართულ კომპანიებს შორის ყველაზე მსხვილი განთავსება სწორედ თიბისი ბანკმა განახორციელა. ასევე, წარმატებით დაასრულა ბანკი კონსტანტას შერწყმა და მიკროფინანსების პორტფელი 40 მლნ ლარამდე გაზარდა.

მთელი წლის განმავლობაში დინამიკურად გაზრდილმა ძირითადმა ფინანსურმა მაჩვენებელმა მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. ალბათ, ყველას აინტერესებს რა მდგომარეობა აქვს თიბისი ბანკს საცალო სესხებთან, ან დეპოზიტებთან დაკავშირებით. გეტყვით, რომ 2014 წლის განმავლობაში საცალო სესხების ზრდამ 38 %-ს მიაღწია, საცალო დეპოზიტების ზრდამ კი 22,8 % შეადგინა. რაც შეეხება კორპორატიულ სესხებს, აქ საქმე უფრო მსუბუქადაა, რადგან წლიურმა ზრდამ 6,4 %, დეპოზიტებში კი 1,6 % შეადგინა.

თიბისი ბანკმა პროკრედიტ ბანკის 40 მლნ ლარამდე მოცულობის სასესხო პორტფელი შეისყიდა. როგორც გაირკვა, ბანკი კონსტანტას შერწყმის შემდეგ მიკროფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბებულა. სწორედ ამის შემდეგ მიიღო თიბისი ბანკმა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, რაც ბანკს საშუალებას მისცემს განვითარდეს რეგიონებში და გაზარდოს ბაზრის წილი მიკროსეგმენტში.

იმისთვის, რომ თიბისი ბანკს სხვადასხვა მიმართულებები ემართა, მსოფლიოს წამყვანი ბანკების ტოპ მენეჯერები მოიწვია. გასულ წელს განხორციელებული რეფორმების შედეგად, გიორგი თხელიძემ რისკების მართვის დირექტორის პოსტი დაიკავა, ნიკოლოზ ქურდიანი მიკრობიზნესის მართვის დირექტორად დანიშნეს, დავით ნიკლაური კი კორპორატიული საბანკო ბიზნესის მართვის დირექტორად იქნა არჩეული.

შეიძლება ითქვას, 2014 წელი თიბისი ბანკისთვის ძალიან წარმატებული იყო, რადგან სხვადასხვა პრესტიჟული უცხოური გამოცემებისგან (Global Finance, Euromoney, EMEA Finance და The Banker and PWM) ბანკმა არაერთი აღიარება მოიპოვა. ასევე, თიბისი ბანკის სახით ქართულმა ბანკმა პირველად მიიღო ჯილდო ორ კატეგორიაში - საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურება და საუკეთესო სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკი.

ალბათ, ყველას გაინტერესებთ, თუ რამდენად აქტიური იყო გასულ წელს თიბისი ბანკი სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. გეტყვით, რომ ტრადიციულად, კულტურისა და ხელოვნების მხარდასაჭერად, ბანკმა რამდენიმე მსხვილი პროექტი განახორციელა. კერძოდ, ლიტერატურული პრემია, „საბას“ დაჯილდოებისთვის ექსკლუზიური პროექტი „ეპოქის ხმები“ შექმნა, რომელიც „ოქროს ფონდის“ ჩანაწერებზე აიღო და რომლისთვისაც ქართველმა ხელოვანებმა მუსიკალური ნაწარმოებები, ქორეოგრაფიული ნომრები და ორიგინალური მხატვრობა შექმნეს. დაჯილდოების ცერემონია კი „საბას“ ისტორიაში ერთ-ერთი გრანდიოზული იყო.

დაბოლოს, მოკლედ მიმოვიხილოთ ის პროექტები, რომელიც თიბისი ბანკის თანადგომით განხორციელდა. 2014 წელს თიბისი ბანკმა მის მიერ ინიცირებული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების დაფინანსება განაგრძო, სიაში, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ და არხი კულტურაზე, „არტარეა“ მოხვდა. თიბისი ბანკმა ასევე დააფინანსა ქართველი ხელოვანების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის არაერთი ინიციატივა და თანამედროვე ხელოვანთათვის ქალაქში თავისუფალი „არტ კედელი“ შექმნა.

ამავე წელს, პირველად საქართველოში, თიბისი ბანკის სახით, კერძო ბიზნესი ჩაერთო კინოს დაფინანსებაში, რის შედეგაც კინოცენტრთან ერთად ერთობლივი პროექტი განხორციელდა.

ზემო აღნიშნულ მიღწევებსა და წარმატებებს თუ გავითვალისწინებთ, 2014 წელი თიბისი ბანკისთვის ყოფილა განკუთვნილი. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ქართული წიგნის ხელოვნება“



EXCLUSIVE

თამთა მჭედლიშვილი

„მგონია, რომ ალბომში შესული ნამუშევრები ბევრს დაიფიქრებს, ბევრს ბავშვობას გახსენებს, ბევრს იქნებ სტიმულსაც გაუღვიძებს“... - ამ ფრაზით ასრულებდა თავისი წიგნის „ქართული წიგნის ხელოვნება“ - პირველი ნაწილის შესავალს ქალბატონი ნინო ჯიშკარიანი, იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი, რომლის მიზანმიმართულმა ჩანაფიქრმა მალევე უცილობლად საჭირო გახადა წიგნის გრაფიკის უფრო დეტალური სურათის ჩვენება. შედეგმაც არ დააყოვნა, მისი და წიგნზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის (ტექსტის ავტორი – დათო ანდრიაძე; დიზაინი - სანდრო ჩხაიძე; რედაქტორი - ქეთი კორძახია) დაუღალავი შრომისა და პროფესიონალიზმის წყალობით, ქართულ კულტურას კიდევ ერთი არაჩვეულებრივი წიგნი შეემატა - „ქართული წიგნის ხელოვნების“ მეორე ნაწილი, რომლის პრეზენტაციაც 27 იანვარს ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა.

გამოცემის პირველი ნაწილი XX საუკუნის ქართული წიგნის სატიტულო შრიფტებს მიეძღვნა, მეორე ნაწილი კი XX საუკუნის ქართული წიგნის გაფორმების, კონსტრუირებისა და სატიტულო შრიფტის ისტორიას ასახავს. მასში 60 მხატვრის ნამუშევარია შესული: წიგნის ყდები, სატიტულო ფურცლები, მხატვრული შრიფტები და წიგნის გაფორმების სხვა ელემენტები.

„ქართული წიგნის ხელოვნების“ როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილის ტექსტის ავტორი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტუროლოგი დავით ანდრიაძე გახლავთ, რომელზეც ბევრჯერ აღნიშნულა და პრეზენტაციაზეც კიდევ ერთხელ გაიმეორეს, რომ „ქართულ საზოგადოებას წარუდგინა შინაგანი სულიერი კულტურით საოცრად ნაგრძნობი, პროფესიულად ამაღლებული და სრულყოფილი, მართლაც რომ შესანიშნავი ნამუშევარი“. თავად ბატონი დავითი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წიგნი შედგა, და ეს წიგნი თავისთავად არის წიგნის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პრეცედენტი“.

წიგნის პრეზენტაციაზე ამ არაჩვეულებრივი ნაშრომის შესახებ ისაუბრეს წიგნის ავტორმა, მხატვარმა ნინო ჯიშკარიანმა, წიგნის რედაქტორმა, ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კორძახიამ, ასევე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა იქ დამსწრე საზოგადოებამ, მათ შორის ბატონებმა: ზურაბ კიკნაძემ, ემზარ კვიტაიშვილმა, ზაზა აბზიანიძემ, აბბა ალავერდელმა - მიტროპოლიტმა დავითმა, ბადრი ქუთათელაძემ, ემზარ ჯგერენაიამ...

ზურაბ კიკნაძე, ლიტერატორი:

„ნინოს პირველი წიგნის პრეზენტაცია შარშან იყო, მაგრამ მე ვერ დავესწარი, ახლა მეორე წიგნი გამოიცა და მე მგონი, კიდევ გაგრძელდება ამ კუთხით მუშაობა.

ეს ორი ტომი ყველაფერთან ერთად შესანიშნავი პრეზენტაციაა ჩვენი განთქმული მხატვრების, რომლებიც, უკლებლივ ყველა, პროფესიონალია, ტილოებზე მუშაობენ და დიდი პანოები აქვთ შექმნილი, მაგრამ წიგნისთვისაც არ დაუშურებიათ ენერგია...

ადრე წიგნის ავტორსა და მხატვარს შორის სხვაგვარი თანამშრომლობა იყო. მახსოვს, განსაკუთრებით გამომცემლობა „ნაკადული“ და სხვა გამომცემლობებიც, ყურადღებას აქცევდნენ წიგნის გაფორმებას, მხატვრები იკრიბებოდნენ, საგანგებო ოთახი ჰქონდათ, სადაც უამრავი ხალხი ტრიალებდა, თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ, ნამდვილი თანამშომლობა იყო წიგნის ავტორსა და მხატვრებს შორის. ახლა ცოტა სხვანაირად არის საქმე... ალბათ, ეს პროექტი გაგრძელდება, რა თქმა უნდა, კიდევ გამოჩნდებიან მხატვრები და ააღორძინებთ ურთიერთობას მხატვარსა და სიტყვიერ შემოქმედს შორის. წარმატებას გისურვებთ!“.

ემზარ კვიტაიშვილი, პოეტი:

„ნინოს მამა, შესანიშნავი მხატვარი ოთარ ჯიშკარიანი ჩემი ახლო მეგობარი იყო, და ვიცი, თუ რამდენი ენერგია შეალია მან ქართულ წიგნს. შედეგრად მიმაჩნია მის მიერ შექმნილი ანბანთქება. ჟურნალ „ცისკრის“ წარწერა ოთარის გაკეთებულია, მგონი, შეცვლას აპირებენო და ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება გამართლებული.

პირველი წიგნის გამოცემა ჩემი მეგობრისგან, ზურაბ კიკნაძისგან გავიგე და დავინტერესდი, მივიღე ეს წიგნი და არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. დღეს თუ ვინმე ხელოვნებაზე წერს, ერთ-ერთი უპირველესი დათო ანდრიაძეა. არა მგონია ამდენი ინფორმაცია, ამდენი ცოდნა ვინმეს ჰქონდეს ჩვენში მხატვრობაზე.

პირველი წიგნის გამო გული მწყდებოდა, რომ ელგუჯა ბერძენიშვილი არ იყო შესული და აი, მეორე წიგნში ვნახე, რომ ისიც გათვალისწინებულია.... წიგნში ბევრი შემოქმედი წინ წამოსწია ჩვენმა ნინომ, რაც ძალიან მიხარია. როგორც სიმფონიას, ისე ვათვალიერებ ამ წიგნებს. თქვენ ისეთი ენერგია და გემოვნება გაქვთ, იმედი მაქვს, ამ ორ წიგნზე არ შეჩერდებით. მადლობა ნინოს ამ საჩუქრისთვის“.

მიტროპოლიტი დავითი:

„პირველი თარგმანები ღვთის სულიერი წიგნისა არის, და ალბათ, დამოკიდებულება ხელნაწერთან და ხელით ნაკეთებ საქმესთან ამ წიგნებიდან შევისუნთქეთ დ შევისისხლხორცეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ასე ერთობით, კრებითად არის ეს ნამუშევრები შეკრებილი, რადგანაც, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ გვახსენებს იმ დროს, როდესაც ეს თაობა, თქვენი თაობა, უფროსი თაობა, მართლაც მუხლჩაუხრელად, რუდუნებით შრომობდა და ზრდიდა თავის თავში შვილებსა და შვილიშვილებზე გადასაცემად იმ დახვეწილ გემოვნებას, რომელიც მრავლად არის ამ ორ წიგნში გადმოცემული. ამ წიგნების დათვალიერებას ახლავს რაღაცნაირი ნოსტალგია, სინანული, დრო მიდის, არ ჩერდება, კარგი იქნება, თუ ამ წიგნების შემდეგ, ალბათ, შეერთდება ტრადიციები და დღევანდელთან მოვა... იმიტომ, რომ, თუ ძირზე ნამყენი კარგად გაკეთდება, შედეგიც კარგი იქნება.

არა მგონია, რომ ხელით შრომა, მით უფრო წიგნის გრაფიკაში ხელისშემშლელი რამ იყოს, უფრო მეტიც, ვინც ხელით გრაფიკას კარგად შეისწავლის, კომპიუტერულ გრაფიკას უფრო უკეთესად გაართმევს თავს. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მადლობა მინდა გადავუხადო წიგნზე მომუშავე ჯგუფს, ქალბატონ ნინოს, თითოეულ თქვენთაგანს, ეს თქვენი მომავალიც არის და იმედიანი მომავლის მზერაც. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ“.

გარდა იდეური და ტექსტობრივი თვალსაზრისისა, წიგნი გამოირჩევა როგორც სანდრო ჩხაიძის არაჩვეულებრივი დიზაინით, ისე ბეჭდვის ხარისხითაც. „ქართული წიგნის ხელოვნება“ გამომცემლობა „მერიდინიმა“ (კახა რუსიძე) დაბეჭდა და ფაქტია, რომ ხელოვნების თვალსაზრისით შესანიშნავი წიგნი შესთავაზეს საზოგადოებას.

„ვფიქრობ, რომ ეს ერთად თავმოყრილი ვიზუალური მასალა არა მარტო წარსული გამოცდილების შემეცნებას მოემსახურება, არამედ, შესაძლოა, ინსპირაციის მიზეზად იქცეს ახალგაზრდა თაობისთვის, ახალი სიცოცხლე შთაბეროს თანამედროვე ტექნიკით შეჯერებულ წიგნის გრაფიკას. თუ ერთი ახალგაზრდა მაინც დაინტერესდება ამით, ჩავთვლი, რომ საქმე გავაკეთე“ - ამბობს ქალბატონი ნინო და მისგანვე ვიგებთ, რომ უახლოეს მომავალში გეგმავს „ქართული წიგნის ხელოვნების“ მესამე ნაწილის გამოცემას, რომელიც წიგნის ილუსტრაციებს მიეძღვნება და ფაქტობრივად, სამტომეულში მთლიანად იქნება ასახული XX საუკუნის ქართული წიგნის გრაფიკის განვლილი გზა.

კვლავაც წარმატებას ვუსურვებთ ქალბატონ ნინოს ამ ფასდაუდებელ საქმიანობაში და წერილს ბატონი მერაბ ბერძენიშვილის სიტყვებით დავასრულებთ:

„კარგ საქმეს ხარ შეჭიდებული. ბრწყინვალეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაჟს ქვეყნის პირველ გუნდში გამოძახების იმედი აქვს

„ჩემი ინტერესი არ არის, რომ საქართველოს ნაკრები კარიერისთვის გამოვიყენო, ჩემი ინტერესია, საქართველოს ნაკრებს გამოვადგე“

„რომ არ მჯეროდეს ჩემი შესაძლებლობების, გამოვიდოდი და ვიტყოდი, რომ ნაკრების ღირსი არ ვარ“

EXCLUSIVE

„თუ მე სხვას ვჯობივარ, მე გამომიძახებს“

მაგდა კლდიაშვილი

ახალ წლამდე, რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კახა ცხადაძე წარადგინა, რომელიც პარალელურად ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზეც იმუშავებს უახლოესი **6** თვის განმავლობაში. კახა ცხადაძეს „ინტერში“ საკუთარი შვილი, ბაჩო ცხადაძეც ჰყავს წაყვანილი და ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეცაა. თემურ ქეცბაიამ ბაჩო ცხადაძე ზაფხულში ამხანაგურ მატჩებში გამოიძახა, თუმცა მისთვის მინდორზე თავის გამოჩენის შანსი არ მიუცია. გამოიძახებს თუ არა საკუთარ შვილს ნაკრებში – ეს არის ერთ-ერთი აქტუალური კითხვა კახა ცხადაძისადმი და იმსახურებს თუ არა შვილი ნაკრებში თამაშს, რას ფიქრობს ამაზე თავად ბაჩო ცხადაძე და რა პრივილეგია აქვს მას სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით. „პრაიმტაიმი“ ეროვნული თავკაცის ვაჟს ბაქოში დაუკავშირდა.

– დიდი ხანი ტრავმირებული იყავი, თუმცა ბოლო ამხანაგურ მატჩში თურქეთში დუბლი შეასრულე, სრულად მოირჩინე ტრავმა?

– ექვსი თამაშიდან ოთხი გამოვტოვე და ეს ცუდი იყო მოსამზადებელ პერიოდში, თუმცა პირველი 10 დღე ფიზიკურ ვარჯიშებს დაეთმო და ის არ გამიცდენია. რაც შეეხება იმას, მოვირჩინე თუ არა ტრავმა ბოლომდე, ამაზე ზუსტად ვერ გიპასუხებთ, ეს თამაშებში უნდა ნახო, როდესაც სეზონი დაიწყება. დღეს კი თავს კარგად ვგრძნობ.

– ბოლო ინტერვიუში, როდესაც ნაკრებზე ვსაუბრობდით, მითხარი, რომ ყველა ფეხბურთელის მსგავსად, შენც გინდოდა ეროვნულ გუნდში თამაში. ახლა, როდესაც ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი მამაშენი გახდა, რომელიც ბაქოს „ინტერშიც“ შენი მწვრთნელია, როგორც გგონია, გამოგიძახებს?

– ახლა, ეს ბევრს არაფერს ცვლის, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ყოველდღიური კონტაქტი გვექნება და ყოველდღიურად შეუძლია ჩემი მდგომარეობის შეფასება. მარტო ეს პრივილეგია თუ მექნება. სხვა მხრივ, როგორც აქამდე იყო, ისე იქნება. მეექვსე წელია, „ინტერში“ ერთად ვმუშაობთ და არასდროს ყოფილა ეჭვი, რომ სხვა რამის გამო დავუყენებივარ შემადგენლობაში. მხოლოდ პროფესიონალიზმის ნიშნით. ამიტომ, ვფიქრობ, რაღაც განსხვავება უნდა იყოს ჩემსა და სხვა ფეხბურთელებს შორის, როდესაც გამოძახებაზე მიდგება საქმე. თუ დავიმსახურებ მე და ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც დაიმსახურებს, სწორედ ის ითამაშებს ნაკრებში. რა თქმა უნდა, მეც ამის ძალიან დიდი სურვილი მაქვს. ჩემი ინტერესი არ არის, რომ საქართველოს ნაკრები კარიერისთვის გამოვიყენო, ჩემი ინტერესია, საქართველოს ნაკრებს გამოვადგე.

– კახა ცხადაძეს არ გააკრიტიკებენ იმის გამო, რომ შვილს დაუძახებს ნაკრებში?

– ნებისმიერი ფეხბურთელის გამო, რომელიც ნაკრებში იქნება მიწვეული და არ გაამართლებს, ყველა ვარიანტში მწვრთნელს გააკრიტიკებენ, თუ ის მინდორზე თამაშით არ გაამართლებს ნდობას, მით უფრო, როდესაც საკუთარი შვილი არ გაგიმართლებს. ამ შემთხვევაში, ყველაფერი დამოკიდებულია ფეხბურთელზე, ანუ ჩემზე. თუ ვიქნები მზად, გამომიძახებს, უნდა გავამართლო და ასე უნდა იფიქროს ნებისმიერმა ფეხბურთელმა. ნინა მწვრთნელსაც აკრიტიკებდნენ ფეხბურთელების გამო, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მომენტია. ვინც იქნება ნაკრებში, ყველამ უნდა დაამტკიცოს, რომ იმსახურებს.

– თუკი კახა ცხადაძე არ გამოიძახებს ნაკრებში საკუთარ შვილს, ამით, შესაძლოა, გულშემატკივრის პატივისცემა დაიმსახუროს, გილაპარაკით, გიფიქრიათ ამაზე?

– სიმართლე გითხრა, ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ და არაფერია განსაკუთრებული. ამის გამო, ის შეზღუდული არ უნდა იყოს. თუ მე სხვას ვჯობივარ, მე გამომიძახებს.

– ანუ, კახა მზად არის, მიიღოს კრიტიკა შენთან დაკავშირებით?

– თამაშიდან გამომდინარე?

– თუნდაც...

– ჩემი აზრით, მარტო იმიტომ გაკრიტიკონ, რომ მწვრთნელის შვილი ხარ, არასწორია. თუ სხვას ჯობიხარ და არ ჯდება ეს ობიექტური კრიტიკის ფარგლებში, არავინ უნდა გაგაკრიტიკოს, თუმცა ამასაც დამსახურება უნდა. სხვა მხრიდან შევხედოთ, თუ მამაჩემი მომცემს შანსს, ნაკრებში თავი გამოვიჩინო, იმაზე თუ ვიფიქრებ, რომ კრიტიკა არ დავიმსახურო, ვერ ვითამაშებ. თუ ნაკრებში გამოძახებას კლუბში თამაშით დავიმსახურებ და ამაზე ვიფიქრებ, მაშინ ვერც ამ შანსს გამოვიყენებ. პირიქით, თუ შანსი მომეცემა, ვეცდები, რომ გულშემატკივარს თავი უკეთესად დავამახსოვრო და მწვრთნელის იმედი გავამართლო. არავის არაფრის გარანტია არ აქვს. მადლობას გუშინდელისთვის არ გადაგიხდიან, ან როგორ თამაშობ კლუბში, ნაკრები სულ სხვა თემაა.

– თუმცა, თქვენი მამაშვილობის ამბავი ახლა უფრო ხომ არ გახდება განხილვის საგანი, ვიდრე ეს აქამდე იყო ბაქოში, სადაც შენზე დადებული ავანსი სრულად გაამართლე...

– ზუსტად ამას ვამბობ. კარგად იცი, ჩვენ მიმართ აქაური პრესის დამოკიდებულება, ჩვენ წინააღმდეგ როგორ არიან განწყობილები. 5 წლის განმავლობაში არავისთვის მიმიცია იმის საშუალება, რომ რამე ეთქვათ და არც ზეწოლა მიგრძნია პრესიდან. როდესაც მოედანზე გადიხარ, ლეგიონერი როცა ხარ, შენს ქვეყანას წარმოადგენ და მეზობელ ქვეყანაში თამაშობ, სულ სხვა დამოკიდებულებაა ჩვენ მიმართ, განსაკუთრებით, როდესაც მწვრთნელის შვილი ხარ, დიდი პასუხისმგებლობაა და შეჩვეული ვარ ამას. თუ ობიექტურად გაგაკრიტიკებენ, ეს უნდა მიიღო. რომ არ მჯეროდეს ჩემი შესაძლებლობების, გამოვიდოდი და ვიტყოდი, რომ ნაკრების ღირსი არ ვარ. იმ ასაკში არ ვარ, რომ ჩემთვის სანაკრებო კარიერა დასრულებული იყოს, ეს სხვა თემაა ჩემთვის და ყველა ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულია. სადამდეც შეგიძლია, უნდა გამოადგე ქვეყანას, თუ მას სჭირდები. თუ დავჭირდები, ვეცდები, რომ გამოვადგე.

„როგორც ჩემთვის, ისე ჩვენს გუნდში მოთამაშე ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან ცუდი იქნება გუნდიდან კახას წასვლა“

– როდესაც საკუთარ კლუბში წარმატებული მწვრთნელი ხარ, როგორც ფეხბურთელი, კახა ცხადაძეს ურჩევდი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელობას?

– როგორც ჩემთვის, ისე ჩვენს გუნდში მოთამაშე ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან ცუდი იქნება გუნდიდან კახას წასვლა. რამდენიმე წელია ერთად ვართ, შეთამაშებულები. რამდენიმე მოთამაშემ აღნიშნა უკვე ინტერვიუებშიც და არაობიექტურობაში არ ჩამომართვათ, ყველა ერთ აზრზეა, ყველამ ვიცით, რას გვთხოვს მწვრთნელი, როდის რა უნდა გავაკეთოთ, ძალიან რთული იქნება გადაწყობა. ვინ მოვა გუნდში ისიც არ ვიცით, მაგრამ პირადად კახას როგორც ქართველი ფეხბურთელი, ვფიქრობ, უნდა წასულიყო ნაკრებში.

– როგორც შვილმა ისე მიპასუხე ამ კითხვაზე, გარისკა თუ არა წარმატებულმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ჩაბარებით?

– როგორც შვილიც, თითქმის იგივე აზრზე ვარ და როგორც შვილს, უფრო გამეხარდა. როდესაც მამა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხდება, შვილისთვის უფრო გასახარებელია, ვიდრე, როგორც ფეხბურთელისთვის.

– კახას „ინტერიდან“ წასვლის შემდეგ თუ შენარჩუნდება ბაქოში ქართული კონტინგენტი?

– ქართული კონტინგენტი წარმოადგენს ზუსტად იმ ბირთვის ნაწილს, რაზეც გუნდია აწყობილი. ახალი მწვრთნელის გადასაწყვეტიც იქნება, მაგრამ ხელმძღვანელობასთან გვქონდა საუბარი და გვითხრეს, რომ სურთ ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელება. პრინციპში, ეს ფურცელზე გადატანილი არ არის, მაგრამ სიტყვიერ შეთანხმება მივაღწიეთ და ვიმედოვნებ, რომ გუნდის ადგილობრივი ბირთვი შენარჩუნდება, არა მარტო ქართველების, არამედ სხვა ქვეყნიდანაც არიან ლეგიონერები. საერთოდ, თუ დარჩება შემადგენლობა, უფრო გაგვიადვილდება ახალ მწვრთნელზე გადაწყობა.

– როგორი პრესა ჰქონდა აზერბაიჯანში კახას ნაკრებში დანიშვნას, ეწყინათ თუ გაეხარდათ, რომ კახა ბაქოდნ მიდის?

– ბოლომდე არ სჯერათ, რომ „ინტერიდან“ წავა. პრეზიდენტის ინტერვიუც იყო, რომელიც იმედოვნებს, რომ რაღაც შეიცვლება და კახა გუნდში დარჩება. ყველა ხედავს იმ წარმატებას, რომელიც „ინტერს“ აქვს მისი მწვრთნელობის პერიოდში და როდესაც წასვლაზე მიდგა საქმე, ახლა დაიწყეს ამაზე ლაპარაკი რატომღაც. ობიექტური მედია კი სულ აღიარებდა ჩვენს წარმატებას. არავის არ სურს, რომ კახა წავიდეს, გუნდშიც და გარშემო ადამიანებსაც. რთულია, როდესაც აწყობილი გუნდი სხვა სისტემაზე უნდა გადაეწყოს.

– „ინტერი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის და დიდი ალბათობით, ევროზონაშიც მოხვდება. როგორი იქნებოდა კახა ცხადაძისთვის იდეალური წასვლა „ინტერიდან“?

– იდეალური წასვლა გუნდიდან იქნებოდა ტიტულით და პირველ რიგში, ჩემპიონობით. დიდი სურვილი გვაქვს და იმედი ამის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თასი ან ჩემპიონობა მოვიპოვოთ. ჩემპიონობა ძალიან რთული იქნება, რადგან ლიდერს 5 ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ, როგორც შარშან, ახლაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ფეხბურთელებს გვსურს, რომ ტიტულით გავაცილოთ კახა და ეს მისთვის იდეალური წამოსვლა იქნებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიხეილ ხუციშვილი – ილია კოკაიას არანაირი სურვილი არ გააჩნია პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს

მაგდა კლდიაშვილი

„ზესტაფონი“ ზესტაფონში მხოლოდ სათამაშოდ ჩავა

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ სულ რამდენიმე დღეა შეიკრიბა და თბილისში, თბილისის ზღვაზე მშენებარე ბაზაზე ემზადება. ახალ წლამდე გაცხადდა, რომ იმერულ კლუბს ერთადერთი მეპატრონე და დამფინანსებელი, ილია კოკაია აღარ უპატრონებდა, კლუბიდან ყველა ფეხბურთელი გაუშვეს და ახლა თავკაცობა დუბლების მწვრთნელს ანდეს. რა გახდა ილია კოკაიას გულის აცრუების მიზეზი და რას პასუხობს „ზესტაფონის“ გენერალური მდივანი, სფფ-ს პრეზიდენტს იმაზე, რომ მათ გუნდში ფინანსური პრობლემები არ არის. როდის დაუბრუნდება „ზესტაფონი“ ზესტაფონს – ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმი“ მიხეილ ხუციშვილს ესაუბრა.

– რა გახდა ილია კოკაიას, „ზესტაფონიდან“ წასვლის მიზეზი?

– ეს დღევანდელ ფეხბურთში არსებული არასტაბილური სიტუაციაა. სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ არის ჯერჯერობით, არც ფედერაციისგან. ის სიტუცია, რაც დღეს ფეხბურთშია, მიუღებელია ინვესტორისთვის, ეს იყო მიზეზი და ამიტომ აიცრუა გული.

– აქვს თუ არა „ზესტაფონს“ ფინანსური პრობლემები?

– დღეის მდგომარეობით გუნდის ანგარიშზე 0 თეთრია. ჩვენი იურისტი ჩასული იყო ზესტაფონში, ესაუბრა საკრებულოს თავმჯდომარესა და გამგებელს. უკვე დაიწყო 50%-იანი წილის გადაბარების პროცესი. იურიდიული საკითხებია მოსაგვარებელი, რომ ოფიციალურად გადაეცეს მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოს კლუბის წილი და ამის შემდეგ ჩაირიცხება კლუბის ანგარიშზე 200 ათასი ლარი. ეს მაისამდე, ასეთია პირობა, პლუს იქნება 300 ათასი ლარი, მაგრამ ეს ზესტაფონში არსებული სტადიონისა და ბაზის მოვლისთვისაა გამოყოფილი, მოვლა თვეში 9 ათასი ლარი ჯდება.

– ბოლო ინფორმაციით, ილია კოკაია თანახმაა, რომ 50/50-ზე დააფინანსოს გუნდი, რეალურია ეს ინფორმაცია?

– ალბათ, ასე იქნება, 50/50-ზე. არის მოლაპარაკება, რომ 51% ჩვენი იყოს და 49% – მუნიციპალიტეტის, მაგრამ სავრაუდოდ, პირველი ვერსია დარჩება.

– ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში განმარტა, რომ „ზესტაფონს“ ფინანსური პრობლემები არ აქვს, რადგან ფედერაციასა და კლუბს შორის არის ფინანსური ურთიერთობა, რომელზეც საჯაროდ საუბარი არ ისურვა, თუმცა ფინანსური კრიზისი არ დაადასტურა, ამაზე რას იტყოდი?

– დღევანდელი მდგომარეობით ჩვენს ანგარიშზე თანხები არ არის, თუმცა ყველა ვალი გასტუმრებულია. 5-6 ფეხბურთელის ხელფასია გასასტუმრებელი, სხვა ვალი არ არსებობს. უბრალოდ, პირველი იანვრიდან მაისამდე ხომ უნდა იყოს გუნდი დაფინანსებული, ეს ბიუჯეტი აღარ არის. აქამდე, ეს, ერთი ადამიანის ჯიბიდან ფინანსდებოდა, ილია კოკაიას ჯიბიდან, მან ყველა ვალდებულება შეასრულა იანვრამდე. დარჩენილ წვრილ ვალს გავისტუმრებთ მაშინვე, როგორც კი ანგრიშზე თანხა გაჩნდება. ახალ წლამდე გაცხადდა, რომ 1 იანვრიდან კლუბის მფლობელი გუნდს აღარ დააფინანსებდა, აქედან გამომდინარე აქვს „ზესტაფონს“ ფინანსური პრობლემა.

– როგორც ვიცი, ოდიკაძესთან დღემდე გადასახდელი გაქვთ დავალიანება და ამის გამო ფედერაციაში „ზესტაფონს“ წევრობაც შეჩერებული აქვს. სპორტულ ტრიბუნალში წაგებული საქმეების დავალიანებები გასტუმრებულია?

– წევრობის შეჩერებასთან დაკავშირებით, საქმის კურსში არ ვარ. ბაბუნაშვილთან დიდი ხანია მიღწეულია შეთანხმება და ყოველთვიურად ვუხდით მას ხელფასს, ხელფასის სახით თვეებზე გაიწერა დავალიანება. ბოლო ერთი თვე არ გადაგვიხდია, რაც ეს ფინანსური კრიზისი გამოცხადდა, ვადასტურებ ამას, მაგრამ, როგორც კი გუნდში თანხები გაჩნდება, ვალდებულების შესრულებას გავაგრძელებთ. აფციაურთან დაკავშირებით, მის წარმომადგენელთან, ჯაბა მუჯირთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და ნინასწარ, მოვილაპარაკეთ კიდეც. რაც შეეხება ოდიკაძის საკითხს, მის წარმომადგენელს არ შევხვედრივარ ამის თაობაზე.

– ილია კოკაიასგან ბევრჯერ მოვისმინეთ განცხადებები, რომ ის გუნდს ტოვებს, რომ კრიზისია. ეს ხომ რ იყო მანიპულირება სახელმწიფოსთან შესათანხმებლად?

– უკვე მეოთხე წელია ამ გუნდში ვარ და დღიდან მოსვლისა, ამ საკითხზე ვსაუბრობდით სახელმწიფოსთანაც, ფედერაციასთანაც. მართლა გეუბნებით, კერძო კლუბები ძალიან მძიმე მდგომარეობში არიან. ვიხდით ქონების გადასახადს, დღგ-ს და ა.შ. ეს თანხები მიდის სახელმწიფოსთან, რომელიც აფინანსებს კლუბებს, რომლებიც ჩვენი მოწინააღმდეგეები არიან. რატომ აფინანსებს, ამის ნინაალმდეგი არ ვართ, მაგრამ თუკი აფინანსებს ბათუმს, ქობულეთს, წალენჯიხას მილიონი ლარით, მაშინ დაგვაფინანსონ ჩვენც. თუ სახელმწიფო მოგვცემს მილიონს, ინვესტორი ზემოდან ორ მილიონს დადებს და ეს ყველასთვის კარგი იქნება. ეს იყო ამოსავალი წერტილი, ამაზე იყო საუბრები და ყოველთვის გვაიმედებდნენ, რომ ეს მოხდებოდა, დღეს ხვალ და უკვე მეოთხე წელია, მოლოდინის რეჟიმში ვართ. როცა გადაეწერა პრეზიდენტსა და მფლობელს იმედი, რომ ეს აღარ მოხდება, გაცლა ამჯობინა. რბილიც ვცადეთ და მეგობრულიც, მაგრამ არ ეშველება. დარწმუნებული ვარ, გამოსწორდება ეს სიტუცია, ამოქმედდება სახელმწიფო პროგრამა და ვნახოთ.

– ილია კოკაიამ „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტობის ყველაზე დიდი შეცდომა ნიკა გელაშვილის გუნდიდან გაყიდვა იყო, მან ეს და ბევრი სხვა ფეხბურთელი დააბრუნა კიდეც გუნდში, მაგრამ ევროსარბიელზე შერცხვენის შემდეგ, გუნდი დაშალა, რა იყო ამის მიზეზი?

– ერთი რამის თქმა შემიძლია, სპორტული მხარე მე მეხება და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ის მიზეზი, რომ ჩვენ უეფას თასიდან პირველივე ეტაპიდან გამოვვარდით; მეორე ეტაპიდან ჩავერთეთ, მაგრამ ჩვენთვის პირველი თამაში იყო, ეს არ ყოფილა იმის მიზეზი, რომ გუნდის ბიუჯეტი 1/3-ით შემცირდა. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, გარკვეული პრობლემები იყო ისევ თანხებთან დაკავშირებით, რაც უმჯობესია, თავად ბატონ ილიას ჰკითხოთ.

– ზაფხულში, უკვე გაშვებულ ფეხბურთელებთან იყო დაპირება, რომ გუნდი თბილისში გადმოვიდოდა შემოდგომიდან და დედაქალაქში მოემზადებოდა. ახლა სად მოხდება „ზესტაფონის“ ბაზირება?

– დაპირება იყო, რომ აღმოსავლეთში ვიქნებოდით, თბილისში მოემზადებოდა გუნდი. თბილისის ბაზაზე ერთი მინდორი დასრულებულია და უკვე რამდენიმე დღეა, გუნდი აქ ვარჯიშობს. მეორე მინდორი გაზაფხულზე იქნება მზად. პრობლემა გვაქვს გასახდელებთან დაკავშირებით. უკვე მერვე თვეა შეტანილი გვაქვს მერიაში გასახდელების პროექტი, რომლის დამტკიცებასაც ველოდებით, რომ დავიწყოთ მშენებლობა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ შემოდგომაზე გუნდი ვერ გადმოვიყვანეთ თბილისში, თორემ მოედანი უკვე მზად იყო, რომ ფეხბურთელები მიეღო. დღესაც გასახდელების პრობლემა გვაქვს. უბრალოდ, ზესტაფონიდან 4-5 ფეხბურთელი გვყავს ჩამოყვანილი, რომელიც გავამწესეთ აქ და მათ დაბინავებაზე ვფიქრობთ, დანარჩენები ყველანი თბილისელები არიან და ფინანსურად და ყველანაირად, ეს მომგებიანია. ახლა არ გვაქვს ის თანხები, რომ გუნდს სასტუმრო ვუქირავოთ ზესტაფონში, გამოვკვებოთ.

– ანუ გუნდი ზესტაფონში მხოლოდ სათამაშოდ ჩავა?

– ჯერჯერობით ასეა და თუ გაჩნდება თანხები, ჩემი სურვილია პირადად და არაერთხელ დამიფიქსირებია, რომ „ზესტაფონი“ ზესტაფონში უნდა იყოს, იქ უნდა ვარჯიშობდეს და ა.შ.

– დასრულდება თუ არა „ზესტაფონის“ თბილისის ზღვის ბაზა?

– ეს, დაახლოებით, 5-მილიონიანი პროექტია, რომელიც აუცილებლად დასრულდება. არაერთხელ მისაუბრია ამ თემაზე ილია კოკაიასთან. როგორც ის ამბობს, ძალიან კარგი საქმე კეთდება, იდეაში, დაგეგმილი გვაქვს ფიტნეს-დარბაზის აშენება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მოემსახურება. გაკეთდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია, რომელიც უფასო იქნება და ბავშვებს ანაზღაურების გარეშე ექნებათ საშუალება, მოემზადონ. ეს ბიუროკრატიული პრობლემებია მოსაგვარებელი, რომელიც დღესაც გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მაღალჩინოსანია საქმის კურსში და გვპირდებიან მოგვარებას.

– რა იქნება გუნდის მიზანი?

– აქტიურად მიმდინარეობს ახლა შერჩევები. 35 კაცამდე ვარჯიშობს ყოველდღე. აქედან, 25 დარჩება გუნდში. კიდევ ველოდებით გაძლიერებას. მიზანი ჩემპიონატში ადგილის შენარჩუნება იქნება. ყველა თამაშზე რომ მოსაგებად გავალთ, ამაზე საუბარი ბანალურია.

– ბოლო დღეებში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ილია კოკაიაც ჩაერთვება, რა ინფორმაცია გაქვს ამაზე?

– ამ თემაზე ბევრი საუბარი იყო და როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ილია კოკაიას არანაირი სურვილი არ გააჩნია პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს.

– გამორიცხავთ?

– ამ ეტაპზე გამოვრიცხავ, თითქმის დარმწუნებული ვარ, შემდეგში არ ვიცი.

– ილია კოკაია გადაწყვეტილებებს ხშირად იცვლის, რადგან ამ ეტაპზე საუბრობთ, ანუ მომავალში შესაძლებელია?

– ამ ეტაპზე, მე გამოვრიცხავ. ზოგადად, ბევრჯერ გვილაპარაკია ფედერაციის მუშაობაზე და მისი აზრი ვიცი, თუმცა სჯობს თავად მას ჰკითხოთ.

„ის სიტუცია, რაც დღეს ფეხბურთშია, მიუღებელია ინვესტორისთვის, ეს იყო მიზეზი და ამიტომ აიცრუა გული“

„კერძო კლუბები ძალიან მძიმე მდგომარეობში არიან. ვიხდით ქონების გადასახადს, დღგ-ს და ა.შ. ეს თანხები მიდის სახელმწიფოსთან, რომელიც აფინანსებს კლუბებს, რომლებიც ჩვენი მოწინააღმდეგეები არიან“

„დღეის მდგომარეობით გუნდის ანგარიშზე 0 თეთრია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N4 (305) ორშაბათი, 2 თებერვალი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

exclusive

რატომ წაიყვანა საგიჟეთში შეყვარებული ქალი გიორგი გურგულიამ

exclusive

„სიმართლე რომ გითხრათ, მათი გადამტერება მაგარი „მკიდია“, სრულ იგნორს ვუკეთებ. მაგათ დონეზე ჩამოვიდე და შევეპასუხო, უბრალოდ, არ მინდა“

დავით ქაცარავას ტრანსსექსუალებთან სექსუალურ კავშირში ამხელენ

exclusive

თაკო ნაცვლიშვილი – 16 წლის მოდელის დიდი წარმატება პარიზის მოდის კვირეულზე

„ქართული წიგნის ხელოვნება“

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

ეროვნული exclusive ნაკრების წევრი ბუბა დაუშვილი მეორე ბავშვს ელოდება

„არტპალასი“ მსოფლიოდან 15 საოპერო მომღერალს უყრის თავს

exclusive

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება